# კვირის პალიტრა

№ 35 (446) ◆ 1 – 7 სექტემბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



გვ.3

ეუთოში კანდიდატების წარდგენისას საკმაოდ უარყოფითი ტენდენცია გამოჩნდა...

უსუფაშვილის სასარგებლოდ იმიტომ მოვხსნი ჩემს კანდიდატურას, რომ ამ ადამიანის პროფესიონალიზმშიც დარწმუნებული ვარ და პატიოსნებაშიც. ცესკოს თავმჯდომარეს კი მეტი არაფერი მოეთხოვება. თუმცა ეს განცხადება არ ნიშნავს იმას, რომ დევდარიანის პატიოსნება მაეჭვებდეს. უბრალოდ, მან ამ საქმისა ძალიან ცოტა იცის, შესასწავლად დრო არ ეყოფა და ცაიტნოტი ვიღაცამ შეიძლება მოხერხებულად გამოიყენოს.


გვ.7

## არ ვაპირებ ვინმეს რამე დავაყვედრო...

## მედიას ექრძალება... ცესკოს უფლება აქვს...


გვ.11

## გაკვეთილების ცხრილი







**გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას!**

ჩვენი პატარა მკითხველისთვის გაზეთში საჩუქარია

## შინაგან საქმეთა სამინისტროს... 

## უშიშროების ვიცე-პოლკოვნიკმა საკუთარი თანამშრომელი გაიტაცა(!)

გვ.5

**„დიდი საქმეები“ დიდი ხალხის გარეშე არ კეთდება**

მოტაცებულის მამამ დამნაშავეებს 80 ათასი დოლარი გადასცა. გამტაცებლები იმდენად კონსპირირებულად მოქმედებდნენ, რომ ეჭვმიტანილების ვინაობა მხოლოდ თანხის გადაცემის შემდეგ გახდა ცნობილი.

*დამნაშავე სამართალდამცავები უკვე აღარაფერს ერიდებიან და საკუთარ თანამშრომლებსაც კი იტაცებენ...*

**„ლექიანობა“ ძალოვნებში**

## „იქნებ თქვენმა გაზეთმა გაბედოს და საფოსტო კონტრაბანდის ბიზნესი გაახმაუროს“

გვ.6



**რატომ მოუწამლეს „ნარკომანი“ ძაღლები საბაჟო დეპარტამენტს**

*მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ საზღვარგარეთიდან, განსაკუთრებით კი მოსკოვის გავლით, საქართველოში გამოგზავნილი კორესპონდენციები იკარგება ან იძარცვება...*

ჩემმა პარტნიორებმა იმდენი ქნეს, ფირმიდან გამომაგდეს, თვითონ კი ამანათებითა და ბანდეროლებით ჯერ ნარკოტიკების გაგზავნა-გამოგზავნა დაიწყეს, მერე არც ამას დასჯერდნენ და იარაღისა და ასაფეთქებელი მასალის მიღება დაიწყეს რუსეთიდან.



### სამხედრო თემაზე:

## ქართველები ომის წინა ხაზზე

გვ.8

ქართველ მესანგრეებს, ერაყული საბრძოლო მასალების გაუვნებლება უბრძანეს. სატვირთო ავტომობილით საშიში ტვირთის გადატანის შედეგად მოხდა უეცარი აალება. ოთხმა ქართველმა ოფიცერმა მიიღო სხვადასხვა ხარისხის დამწვრობა.

ყველაზე მეტად ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა შავგულიძე დაზარალდა. მან მიიღო ტრაქეისა და ბრონქების ზედაპირული დამწვრობა, ორივე მტევნის მე-2-3 ხარისხის დამწვრობა, მაგრამ, საბედნიეროდ, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

## 6 სექტემბერი

## ძლევაი საკვირველი


გვ.27

იმის მიუხედავად, რომ მტერი კალიასავით მრავალი იყო, ქართველებმა დედამიწის უძლიერეს იმპერიას აჩვენეს, რა შეუძლიათ — დიდგორი მოვიგეთ!

იქ, დიდგორზე, ბრძოლის დასაწყისში მხოლოდ 200 ქარქაშში ხმალჩაგებული ქართველი შევიდა მტრის ბანაკში. მოღალატეები ეგონათ და სიხარულით შეხვდნენ... იმ 200-მა დაიწყო ბრძოლა და ვინ იცის, იქნებ იმათ გადაწყვიტეს ომის ბედი... საქმე ისე როგორ წაგვივა, ქვეყნისთვის შეწირული 200 კაცი არ დაგვრჩეს?

## ცოლმა ქმრის მკვლელობა ხუთი წლის შემდეგ თავად აღიარა...

გვ.5

**„კოშმარები მტანჯავდა, არ მასვენებდა მისი სული, ვეღარ გავუძელი და სიმართლე გავამხილე.“**

„...ქალმა ნაჯახი აიღო და მოგერიების მიზნით მოუქნია. კაცი წაბარბაცებულა და ამ მომენტში კისერში მოხვედრია...

ციხეში ჩაჯდომის შეშინებია...“

ხუთი წლის მერე გამოცხადდა და ყველაფერი წვრილად მოუყვა სამართალდამცავებს...

მეზობლები ადასტურებენ, რომ მათ ოჯახში სისტემატური დებოში იყო.

მკვლელობაში ბრალდებული სახლში გაუშვეს...

# დიდგორი გვახსოვდეს, ქართველებო!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## გატაცებული ბავშვი დააბრუნეს

ზესტაფონელი ბიზნესმენის, დიმიტრი სარდანაძის ბავშვი უცნობმა პირებმა მაშინ გაიტაცეს, როდესაც ოჯახი ქობულეთიდან ბრუნდებოდა. სარდანაძეების ოჯახმა ბავშვი მძევლობიდან ცოტა ხნის წინ, ერთხელ უკვე დაიხსნა. გავრცელებული ინფორმაციით, მაშინ გამტაცებლებს გამოსასყიდის საფასურად გადახდილი თანხა ეცოტავათ. თუმცა სარდანაძეები როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ბოროტმოქმედებისთვის ფულის გადახდას უარყოფენ. მათი თქმით, გამტაცებელთა შესახებ არაფერი იციან და ბავშვი შინ თავისი ფეხით დაბრუნდა და ადგილსამყოფელზე არაფერი უთქვამს.

ზესტაფონის პოლიციის განცხადებით, გატაცებულის ოჯახმა მათთან თანამშრომლობაზე თავიდანვე უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, ისინი ყველანაირად ეცდებიან დანაშაულის გახსნას.

## რუსეთმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია

რუსეთის სამხედრო ავიაციამ საქართველოს საჰაერო სივრცე კიდევ ერთხელ დაარღვია. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის განცხადებით, რუსეთის ტერიტორიიდან საქართველოში შატილი-აწუნტის მიმართულებით 5 კმ-ის სიღრმეში შემოფრენილმა Су-25 ტიპის თვითმფრინავმა საქართველოს საჰაერო სივრცეში 10-12 წუთი დაჰყო. თვითმფრინავი 4 კმ-ის სიმაღლეზე დაფრინავდა. 12-წუთიანი საჰაერო მანევრირების შემდეგ იგი არდოტის მიმართულებიდან კვლავ რუსეთის ტერიტორიაზე გადაფრინდა.

## ნავთობსადენის მშენებლობა პიკს უახლოვდება

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელების ინტენსივობა პიკს უახლოვდება. წალკის რაიონში ტრანშეებში ნავთობსადენის პირველი მილების ჩაწყობა დაიწყო. საქართველოს ნავთობის სახელმწიფო კორპორაციის განცხადებით, უკვე შედუღებულია შვიდკილომეტრიანი სიგრძის მილი, მიწის ზედა ფენისგან გაწმენდილი და მომზადებულია 50 კილომეტრამდე სიგრძის სამშენებლო დერეფანი. მშენებლობაზე დასაქმებულთა 80% ადგილობრივი მოსახლეობაა. ნავთობსადენის მშენებლობის პარალელურად, ინვესტორი კომპანია BP-მა მარშრუტის გასწვრივ მდებარე სოფლებში მოსახლეობისთვის სოციალური მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება დაიწყო. სოციალური პროგრამები წყალსადენების, გაზმომარაგების სისტემებისა და სკოლების შეკეთებას, ფერმერების ხელშეწყობას და სხვა სახის დახმარებას ითვალისწინებს. აღნიშნული პროგრამების განხორციელებაში ტენდერში გამარჯვებულ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობაც იღებს მონაწილეობას.

## აქცია პოლიციასთან დაპირისპირებაში გადაიზარდა

200-მდე პენსიონერი და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ერთი საათის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა შიდა ქართლის ადმინისტრაციის შენობაში შეღწევას და პრეზიდენტის რწმუნებულთან შეხვედრას. აღელვებულმა პენსიონერებმა შენობის ფანჯრების მინები ჩაამსხვრიეს.

აქციის მონაწილეთა პროტესტი საპენსიო დავალიანებებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესის მეორედ გადადებამ გამოიწვია. ამჯერად სხდომა ფინანსთა სამინისტროსა და ერთიანი საპენსიო ფონდის წარმომადგენლების გამოუცხადებლობის გამო არ შედგა. პენსიონერებმა და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა დროშებითა და ხელკეტებით შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციულ შენობასთან გადაინაცვლეს. „ნაციონალური მოძრაობის“ გორის ორგანიზაციის წარმომადგენელი მიხეილ ქარელი სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების დამსახურებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ პენსიონერები კუთვნილ 14 ლარს ვერ იღებენ.

## პენსიონერებს პლასტიკური ბარათები ექნებათ...

ქუთაისელ პენსიონერებს სექტემბრიდან „სახალხო ბანკი“ პლასტიკური ბარათებით მოემსახურება. ფინანსური ანგარიშსწორების ეს ფორმა პირველად დაინერგა საქართველოში. ექსპერიმენტის ჩატარება ქუთაისში გადაწყდა. პლასტიკური ბარათებით მომსახურება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ პენსიონერს წინასწარ შეუძლია აიღოს კუთვნილი თანხა. ასევე, ბარათის მფლობელს შესაძლებლობა ექნება დაფაროს სხვადასხვა დავალიანება, მათ შორის, ტელეფონისა და კომუნალური გადასახადების. თუ ექსპერიმენტმა გაამართლა, რაშიც დარწმუნებულნი არიან ქუთაისის ხელისუფალნი, პლასტიკური ბარათებით მომსახურება მთელ იმერეთში დაინერგება.

## პოლიციელებმა თავდამსხმელი მოკლეს

ზუგდიდში პოლიციელებმა თავდამსხმელი მოკლეს. სახელმწიფო დაცვის პოლიციის სამსახურის თანამშრომლებს შემოვლის დროს, ფაიფურის ქარხნის დასახლებასთან, სამი შეიარაღებული პირი დაესხა თავს. ყაჩაღებმა მოულოდნელად ცეცხლი გაუხსნეს პოლიციელებს და მანქანიდან გადმოსვლა უბრძანეს. ერთ-ერთმა პოლიციელმა მოასწრო მანქანიდან საპასუხო ცეცხლის გახსნა. როგორც ჩანს, თავდამსხმელები ამას არ ელოდნენ და მიიმალნენ. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, პოლიციელებმა (მათი თქმით, სიბნელის გამო) ღამით ვერაფერი აღმოაჩინეს. დილით, შემთხვევის ადგილზე, პოლიციის, პროკურატურისა და ექსპერტიზის თანამშრომლები გამოცხადდნენ. სწორედ მათ იპოვეს ყელის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობისგან გარდაცვლილი ერთ-ერთი თავდამსხმელი პაატა ჯიჭოლაია. 25 წლის ჯიჭოლაია ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუას მკვიდრი იყო. სავარაუდოდ, მას ორი თანამზრახველი ახლდა, რომლებმაც მიმალვა მოასწრეს. როგორც ჩანს, ყაჩაღებმა დაჭრილი ჯიჭოლაია მიატოვეს და იგი სისხლდენისგან გარდაიცვალა.

## ვერც გაერო და ვერც ეუთო?

ეუთოს წარმომადგენელი თბილისში, ლიბიუ ბოტა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში პროგრესის არარსებობას ადასტურებს. „კონფლიქტის მოგვარებისთვის სასურველ, მნიშვნელოვან ძვრებს ვერ ვხედავ, მაგრამ პრობლემის სამართლიანი მოგვარების იმედს არ ვკარგავ“, — განაცხადა ბოტამ, რომელიც გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის სტატუსით საქართველოში აფხაზეთის პრობლემატიკაზე 1996-99 წლებში მუშაობდა. კონფლიქტის მოუგვარებლობის ძირითად მიზეზად მან დაპირისპირებულ მხარეებში „პოლიტიკური ნების არარსებობა“ დაასახელა. რაც შეეხება ეუთოს, ბოტას თქმით, მას სურვილი აქვს, აფხაზეთის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად ძალისხმევა გააააქტიუროს, მაგრამ ჯერჯერობით ამითაც არაფერი გამოდის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეუთო ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელმაც 1992-93 წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტები აღიარა.

## დევნილთა მოთხოვნები მკაცრი ხდება

საპროტესტო აქციის მეშვიდე დღეს აფხაზეთიდან დევნილები მოთხოვნებს ამკაცრებენ — აქციის მონაწილეებმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიის სასწრაფო მოწვევა მოითხოვეს და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ლონდერ ცაავას გადაყენებას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, თამაზ ნადარეიშვილის გადადგომის მოთხოვნაც დაამატეს. „აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მხარდაჭერით ჩვენ ვაგრძელებთ უვადო შიმშილობას და მას მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებამდე არ შევწყვეტთ“, — განაცხადა „იმელის“ შენობის წინ 21 აგვისტოდან მიმდინარე აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა რუზგენ გოგოხიამ. მან ყურადღება იმ გარემოებაზე გაამახვილა, რომ აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ თამაზ ნადარეიშვილმა არაერთხელ განაცხადა აფხაზეთში საომარი მოქმედებების განახლების აუცილებლობის თაობაზე, მაგრამ ამ ბოლო დროს ისიც აღიარა, რომ ამ საქმეში მას ხელს პრეზიდენტი და პარლამენტი უშლიან. გოგოხიას განცხადებით, ხალხი, რომელსაც ხელში იარაღი ეჭირა და თავდაუზოგავად იბრძოდა თავისი მიწის დასაცავად, დღეს უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია, თამაზ ნადარეიშვილი და ლონდერ ცაავა კი დევნილების პირობების გაუმჯობესებაზე არ ზრუნავენ.

## ბათუმსა და თბილისში მარილის ქარხნები გაიხსნება

გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით უახლოეს პერიოდში, ბათუმში, იოდიზებული მარილის მწარმოებელი ქარხანა გაიხსნება, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნილების დაახლოებით 25%-ს დააკმაყოფილებს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, ასეთივე საწარმოს გახსნა უახლოეს ხანებში თბილისშიც იგეგმება. ეპიდემიოლოგიური კვლევის მონაცემებით, იოდის ნაკლებობით გამოწვეული ჩიყვის დაავადება საქართველოს მოსახლეობის 43,5%-ს აღენიშნება. ამასთან, ძირითადად, მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობაა დაავადებული.

## საერთაშორისო მედიის „დესანტი“ საქართველოში

11 სექტემბრისთვის საქართველოს ევროპისა და ამერიკის ათამდე ტელეკომპანიის 40-მდე ჟურნალისტი ეწვევა. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს განცხადებით, 2 სექტემბერს ბრიუსელში სტარტს აიღებს და ქაბულში დასრულდება ჟურნალისტთა ჰუმანიტარული აქცია, რომლის მონაწილეებიც საქართველოს ტერიტორიაზე გავლით ავღანეთში ჰუმანიტარულ ტვირთს ჩაიტანენ. „ვფიქრობ, 40 ჟურნალისტის ტელერეპორტაჟი საქართველოსა და ტრასეკას მაგისტრალისთვის შესანიშნავი რეკლამა იქნება, მით უმეტეს, რომ ჟურნალისტები საქართველოში ღირსშესანიშნაობების დათვალიერებასაც აპირებენ“, — განაცხადა მთავრობის სხდომაზე მერაბ ადეიშვილმა.

## ბაგრატის ტაძარს 1000 წელი შეუსრულდა

ქუთაისში, ბაგრატის ტაძარში ღვთისმშობლის მიძინების დღე განსაკუთრებულად აღინიშნა. ტაძარს, რომელიც ღვთისმშობლის მიძინების სახელზე აშენდა, მარიამობა დღეს 1000 წელი შეუსრულდა.

საზეიმო წირვას, რომელიც ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა, მეუფე კალისტრატემ აღავლინა, ათასობით მართლმადიდებელი დაესწრო. მარიამობის აღსანიშნავად ქუთაისში სხვადასხვა ეპარქიის მღვდელმთავრები და ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულნი. საქართველოს პრეზიდენტისა და იუნესკოს გადაწყვეტილებით, რომლის მფარველობაშია ტაძარი, საიუბილეო ღონისძიებები სექტემბრის ბოლო დეკადაში გაიმართება.

## ისრაელი პრობლემების მოგვარებას გვპირდება

საქართველოში ოთხდღიანი ოფიციალური ვიზიტით მყოფი ისრაელის სოციალური დაცვის მინისტრი ზებულონ ორლევი საქართველოს პრეზიდენტ შევარდნაძეს, სახელმწიფო მინისტრს და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ამირან გამყრელიძეს შეხვდა. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის სოციალური დაცვის სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. ისრაელი მზადაა, საქართველოს საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს და საჭიროების შემთხვევაში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში მატერიალურადაც დაეხმაროს.

## საგანგებო ლეგიონი გაუქმდა

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონი გაუქმდა. მის ბაზაზე შეიქმნება ახალი, ოპერატიულ-სამძებრო დეპარტამენტი. პარლამენტში პროექტს კენჭი დაჩქარებული წესით, სამივე მოსმენით ეყარა და საპარლამენტო პოზიციასთან დებატების შემდეგ 97-მა დეპუტატმა (წინააღმდეგი არც ერთი) მხარი დაუჭირა ფინანსთა სამინისტროში ოპერატიულ-სამძებრო დეპარტამენტის შექმნას.

## ტყიბულის გრანიტი და მოშიმშილე ტყიბულელები

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთში ტყიბულის გრანიტის მომპოვებელი საამქროების ხელმძღვანელობას შავ სამყაროსთან კავშირში ადანაშაულებს. თემურ შაშიაშვილის მონაცემებით, ამ ბიზნესს რაიონში ქურდები აკონტროლებენ, რის გამოც ბიუჯეტის ნაცვლად, თანხები დამნაშავეთა ჯიბეში მიდის.

ტყიბულში გრანიტის მომპოვებელი 28 საწარმო მოქმედებს, რომლებიც მუდმივ უმუშევრობასა და წარმოებული პროდუქციის ბაზრის უქონლობას უჩივიან. ტყიბულის გამგეობაში არ სჯერათ წიაღისეულის მომპოვებელთა პრეტენზიებისა და დასტურად იმ გარემოებას ასახელებენ, რომ საქართველოში ყველა სასაფლაო ტყიბულის გრანიტით არის მოპირკეთებული, ბიუჯეტში კი ამ საწარმოებს კაპიკები შეაქვთ.

## მწეველთა საყურადღებოდ!

საქართველოში, როგორც ჩანს, თანდათან „ამერიკული ცხოვრების სტილი“ მკვიდრდება — ყოველ შემთხვევაში, სიგარეტთან დაკავშირებით მაინც. პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანახმადაც თამბაქოს მოწევა საბავშვო ბაღებში, სასწავლო დაწესებულებებსა და საავადმყოფოებში სასტიკად იკრძალება. მოწევა აიკრძალა საზოგადოებრივი კვების იმ ობიექტებზეც, სადაც სპირტიანი სასმელები არ იყიდება. თუმცა კანონის მიღების ინიციატორის, პარლამენტარ კობა ამირხანაშვილის განცხადებით, მისი დარღვევის შემთხვევაში ფულადი ჯარიმები გათვალისწინებული არ იქნება — უბრალოდ, დამრღვევს შენობას დაატოვებინებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაციული სანქციები უწყების მესვეურებს დაეკისრებათ.

## ჟვანია ბოროტმოქმედთა ტყვიას გადაურჩა?!

აფხაზეთიდან დევნილმა სორდიამ სენაკში ავტომანქანა გაიტაცა და თანმხლებ, ჯერჯერობით დაუდგენელ პირთან ერთად სენაკის ავტომაგისტრალზე მოძრავი ერთ-ერთი მანქანის დაყაჩაღება დააპირა. სწორედ ამ დროს ავტომაგისტრალზე ჟვანიასა და მისი თანამოაზრეების ავტოკოლონამ ჩაიარა, რასაც ბოროტმოქმედების მხრიდან სროლა მოჰყვა. შემთხვევის ადგილზე პოლიციის ოპერატიული ჯგუფი გავიდა. ორმხრივი სროლის შედეგად სორდია მძიმედ დაიჭრა. იგი სენაკის საავადმყოფოშია გადაყვანილი. მეორე ბოროტმოქმედმა მიმალვა მოასწრო.

პოლიცია ჟვანიას ესკორტზე თავდასხმის მცდელობის ვერსიას გამორიცხავს და აცხადებს, რომ ინციდენტის დროს „გაერთიანებული დემოკრატების“ ავტომანქანების გამოჩენა დამთხვევა იყო.

## გარდაბანში ჯილეხი დაფიქსირდა

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის განცხადებით, ამჟამად ჯილეხით დაავადებული 52 წლის ქალბატონის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. პაციენტი ინფექციური პათოლოგიის ცენტრში მკურნალობს. ცენტრის ინფორმაციით, გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს მკვიდრმა გასულ კვირას ცხვრის ხორცის დაჭრა და დაამუშავა. ხორცში ჯილეხის მიკრობები აღმოჩნდა, რის გამოც მას ჯილეხის კანის ფორმა განუვითარდა. წელს ეს ჯილეხით დაავადების უკვე მე-15 შემთხვევაა.

## იწყება ახალი საომარი ოპერაცია




სპარსეთის ყურეში საომარი ოპერაცია ახალ ფაზაში შედის. ამის შესახებ, ერაყში ამერიკის ადმინისტრაციის მეთაურმა, პოლ ბრემერმა განაცხადა.

მისი თქმით, ბოლო დროს, ერაყში სხვა ქვეყნებიდან 100-ზე მეტმა ტერორისტმა შეაღწია. ისინი, ძირითადად, იემენიდან, სირიიდან და სუდანიდან ჩადიან და „ანსარ-ალ-ისლამის“ დაჯგუფებას უერთდებიან, რომელიც უკვე დიდი ხანია მოქმედებს ერაყის ტერიტორიაზე. „სამწუხაროდ, ერაყი ტერორიზმთან ომში ბრძოლის ახალ ველად იქცა“, — განუცხადა მან ჟურნალისტებს ბრაზილიის დედაქალაქში გამოსვლისას, ბაღდადში აფეთქების შედეგად დაღუპული სერჟიო დე მელოს ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონიის დროს. ამჟამად, აშშ ერაყში ახალი ქვეყნების ხარჯზე სამშვიდობო ძალების გაფართოების შესაძლებლობას განიხილავს. ვაშინგტონმა შესაბამისი რეზოლუციის პროექტი უკვე მოამზადა. შეძლებს თუ არა გაეროს უშიშროების საბჭო ერთიანი პოზიციის შემუშავებას, ჯერჯერობით, ბუნდოვანია. აშშ-ის ტრადიციული პარტნიორები — გერმანია, საფრანგეთი, ინდოეთი და პაკისტანი — ერაყში სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის სამშვიდობო ძალების გაგზავნის წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ იმ პირობით, თუ მათი კონტინგენტები ამერიკის ჯარების სარდლობას არ დაემორჩილებიან. ვაშინგტონისთვის ეს მოთხოვნა მიუღებელია.

## ელექტროენერგია ლონდონშიც გაითიშა

ჩრდილოეთ ამერიკაში ელექტროენერგიის ამასწინანდელი მასშტაბური გამორთვის შემდეგ შუქი ნისლიან ალბიონზეც გამოირთო. საღამოს, პიკის საათში, ლონდონში შუქი მოულოდნელად ჩაქრა. ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა საცხოვრებელ სახლებსა და საავადმყოფოებს, გაჩერდნენ მატარებლები და მეტრო. ათასობით მგზავრი მეტროს სადგურებიდან ამოიყვანეს. ამ დროს გარეთ კოკისპირულად წვიმდა, ხოლო ბრიტანეთის დედაქალაქის ცენტრში გარეგანათება გამორთული იყო. ელექტროენერგიის მიწოდება 34 წუთში აღდგა. ლონდონის მერიამ სიტუაციას „ქალაქის სირცხვილი“ უწოდა, ტერაქტის ვერსია კი თავიდანვე გამოირიცხა. როგორც გაირკვა, შუქი მეგაპოლისის ენერგოკომპანიის მიზეზით გაითიშა. სპეციალური კომისია ავარიის მიზეზების გამოძიებას შეუდგა.

## ოპოზიცია ვერც აზერბაიჯანში შეთანხმდა

ლონდონში გამართულ კონსულტაციებზე აზერბაიჯანის ოთხი ოპოზიციური პარტიის — „მუსავათის“, „მილი ისთიგლალის“, „სახალხო ფრონტისა“ და „დემოკრატიული პარტიის“ ლიდერებმა 15 ოქტომბერს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში ერთიანი კანდიდატის წამოყენება ვერ მოახერხეს. „დემოკრატიული პარტიის“ ლიდერის, რასულ გულიევის თქმით, გადაწყდა, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება ოპოზიციისაგან ერთიანი კანდიდატის წამოყენება საპრეზიდენტო არჩევნების მხოლოდ მეორე ტურში. ამასთან, გულიევი დარწმუნებულია, რომ ოპოზიცია „ათჯერ უფრო რადიკალური უნდა გახდეს“, არასანქცირებულ საპროტესტო აქციებზე გადავიდეს, გამართოს ინტენსიური მიტინგები, პიკეტები და მსვლელობები.

აზერბაიჯანის პარლამენტის ყოფილ სპიკერზე, რასულ გულიევზე სამშობლოში ძებნაა გამოცხადებული. იგი საზღვარგარეთ იმალება.

## ფინეთში მობილურებს ისვრიან

მსოფლიო ჩემპიონატი მობილური ტელეფონების სროლაში ფინეთში უკვე მეოთხედ გაიმართა. წესები საკმაოდ მარტივია. ყუთში ჩაყრილი მოძველებული აპარატებიდან უნდა ამოირჩიო ერთი და რაც შეიძლება შორს ისროლო. მსაჯებმა მაღალი შეფასება მისცეს ავსტრალიელი, გერმანელი და ჰოლანდიელი „სპორტსმენების“ გამოსვლებს. გამარჯვებულად კი ფინელი სამი სანტალა აღიარეს. მან მობილური ტელეფონი 99 მეტრსა და 62 სანტიმეტრზე ისროლა, რაც 15 სანტიმეტრით აღემატება შარშანდელ რეკორდს. ახალი შედეგი გინესის რეკორდების წიგნში შევა.

რაც უფრო ვუახლოვდებით 2 ნოემბერს, ქართულ პოლიტიკაში მით მეტად უცნაური მოვლენები ხდება... და არა მხოლოდ პოლიტიკაში. თითქმის მთელი გაზაფხული-ზაფხული პარლამენტარებმა თავიც დაიტანჯეს და ჩვენც დაგვტანჯეს იმაზე მსჯელობით, თუ როგორ უნდა ჩაგვეტარებინა არჩევნები, რა შემადგენლობა უნდა ყოფილიყო საარჩევნო კომისიაში და ა.შ.. საბოლოოდ, უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, ფაქტობრივად, იმავე შემადგენლობისა და ძალთა თანაფარდობის ცესკო დაგვიტოვა, რასაც ვიწუნებდით და ვებრძოდით. დიდი ვნებათაღელვა იყო კომისიის თავმჯდომარესთან დაკავშირებით — მისი კანდიდატურა ხან საპატრიარქოს უნდა წარმოედგინა, ხან გაეროს, ხან თეთრ სახლს და ხანაც — ეუთოს. ესოდენ რთული მისია ბოლოს ეუთოს დაეკისრა, რომელმაც წარმოდგენილი 30-კაციანი სიიდან კიდევ 3 გადაარჩია და... დასამტკიცებლად, ანუ დასანიშნად კვლავ პრეზიდენტს წარუდგინა. იგივე მოხდა ბიუჯეტის სეკვესტრთან დაკავშირებითაც — ამას წინ უძღოდა სავალუტო მისიის ჩამოსვლა, გაუთავებელი კონსულტაციები და მუქარები. მერე ჟურნალისტებისა და მინისტრების მარათონი კანცელარიის ზედა-ქვედა სართულებზე; ჩინოვნიკების ლიფტებთან მიმწყვდევა და „პაროლობანას" თამაში; გაწევ-გამოწევა თემაზე „მომეცი კომენტარი" — „არაფერი ვიცი"; რასაკვირველია, საპარლამენტო ღამისთევები და ოპოზიციის მოთხოვნები მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ... ამდენი გაწამაწიის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს სეკვესტრის დაკანონება პარლამენტის გარეშე, თვითონაც მშვენივრად შეუძლიათ და საამისოდ ყველანაირი უფლებამოსილება აქვთ. როგორც ჩანს, ეს ამბავი ჩვენზე უკეთ „მეგობარმა ქვეყნებმა" და საერთაშორისო ორგანიზაციებმაც უწყიან, ამიტომ არ იღებენ ხმას.

დიდი ხანია ცნობილია, რომ ქართულ პოლიტიკაში ხალხისადმი არანაირი ანგარიშვალდებულება არ არსებობს. ასეთი რამ „პოზიციასაც" და ოპოზიციასაც მხოლოდ შიგადაშიგ, არჩევნების წინ ახსენდებათ. ამ პერიოდში ნამდვილი სახალხო, ოღონდ ბუტაფორიული ზეიმია ხოლმე — 4 წელიწადში ერთხელ პოლიტიკოსები ერთმანეთს ხალხისთვის ზრუნვას ეცილებიან. ვინ წიგნებს არიგებს და ამ მიზნით ბუღალტრის გატაცებაზეც არ ამბობს უარს — კაცმა რომ თქვას, მომავალი თაობის განათლება ისეთი რამ არის, უარი მართლაც არაფერზე უნდა თქვა... ვინ ისტორიული მთავარსარდლების სტრატეგიით მოქმედებს — იდეური მოწინააღმდეგის სახურავს ესხმის თავს და დროშას ეუფლება; ვინ დენის ტარიფზეა ჩაბღაუჭებული და უკვე გაღებული კარის შესამტვრევად ძალ-ღონეს არ იშურებს; ზოგსაც პოტენციური ამომრჩეველი თითო დღით, ზღვის სანახავად მიჰყავს... ერთი სიტყვით, საქართველო წინასაარჩევნო, ბუტაფორიული ცხოვრებით ცხოვრობს. ამასობაში კი შესაძლებელია ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში უპრეცედენტო ფაქტის წინაშე დადგეს — ახალი პარლამენტი ისე ავირჩიოთ, რომ ძველის დახურვა ვერ მოხერხდეს — ერთ-ერთი დეპუტატი სპიკერატს ეხვეწებოდა — ჰიმნი თუ არა, „შალახო" მაინც დაუკარით, დავხუროთ ეს სესია და წავიდეთ სახლებშიო... ტრაგიკომიკური ხასიათის გამო, ალბათ „შალახო" მართლაც უპრიანი იქნებოდა, მაგრამ კვორუმის არარსებობის გამო დეპუტატი გააწბილეს. შექმნილ ვითარებაში ცესკომ, შეიძლება ითქვას, ანტისახალხო დადგენილება მიიღო და მედიას არჩევნებამდე 50 დღით ადრე პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე ინფორმაციის გამოქვეყნება აუკრძალა — ჩვენს დუხჭირ ყოფაში როგორ შეიძლებოდა მოსახლეობისთვის გახალისებისა და გართობის უკანასკნელი შანსიც წაერთმიათ?!

ყველაფრის მიღმა, ქართულ პარლამენტარიზმში, ისეთი პირებიც არიან, ცინიზმითა და სარკაზმით აღსავსე სიტუაციის მიუხედავად, მთელი სერიოზულობით რომ ეწევიან საკანონმდებლო მუშაობას და ბრძოლის გაგრძელებაზე უარს არც ამ შრომის წყალში ჩაყრის შემდეგ ამბობენ...

ვესაუბრებით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის ერთ-ერთ კანდიდატს, პარლამენტარ **ვახტანგ ხმალაძეს**:

— თუ საარჩევნო კანონმდებლობაზეა ლაპარაკი, ხელაღებით ვერ ვიტყვი, რომ ნაშრომი წყალში ჩაიყარა — არჩევნების სამართლიანად ჩასატარებლად საჭირო ბევრი მუხლისა და საკითხის გატანა პარლამენტში მაინც მოვახერხეთ. თუმცა პარლამენტს ჩემ მიერ შეთავაზებული, არჩევნების ელექტრონული სისტემის დახმარებით ჩატარების იდეა რომ მიეღო, დღეს არც ამ მუხლების საჭიროება იქნებოდა და საარჩევნო კომისიის თუ მისი თავმჯდომარის არჩევა-დანიშვნისადმი ავადმყოფური ინტერესიც გაქრებოდა. ყველა იმ პროცედურას, სადაც კი კაცის ხელით გაყალბება შეიძლება მოხდეს, კომპიუტერი ჩაატარებდა და, შესაბამისად, გაყალბების იდეაც მოიხსნებოდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვენს პარლამენტში ობიექტური საჭიროების გამო წინადადება ძალზე იშვიათად ან საერთოდ არ გადის. მოხდა ისე, რომ არათუ ელექტრონული არჩევნების, ჩვენ მიერ მომზადებული საარჩევნო კანონმდებლობის ზოგიერთი ის საკითხიც კი ვერ გავიდა, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას მაქსიმალურად რომ შეუწყობდა ხელს. ყველაზე მნიშვნელოვანი ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია იყო — ჩვენი წინადადების მიხედვით, ამომრჩევლის სტატუსი ექნებოდა იმას, ვინც არჩევნებში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამდა და სპეციალური კომისიის წინაშე წარდგებოდა, სადაც მოხდებოდა არა მხოლოდ მათი რიცხობრივი აღნუსხვა, არამედ რეგისტრაცია, მათ შორის, ფოტოგრაფიული და ბიომეტრული პარამეტრებითაც კი. სამაგიეროდ, იმას მაინც მივაღწიეთ, რომ შსს-ს და იუსტიციის სამინისტროს მიერ მოხდა ამომრჩეველთა აღნუსხვა — მეტ-ნაკლები სიზუსტით, მაგრამ მაინც ახალი აღნუსხვა, სადაც საზღვარგარეთ მყოფნიც არიან დაფიქსირებულნი. საგულისხმოა, რომ განზრახულია ამ სიების კომპიუტერიზაცია. ეს მათი გაფილტვრის საშუალებას იძლევა, რადგან სხვადასხვა პარტიას მიეცა არსებული სიების მონიტორინგის ჩატარებისა და გასაჩივრების უფლება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პარლამენტმა მიიღო ჩვენ მიერ კოდექსში ჩადებული გაყალბების საწინააღმდეგო ყველა მექანიზმი — როგორიცაა ამომრჩევლის მარკირება წაუშლელი მელნით,

# საჯაროობა პატიოსან ცესკოს არ უნდა აშინებდეს...

## გასული არჩევნების ტოტალური გაყალბება კოლექტიურმა უპასუხისმგებლობამ გამოიწვია



რაც რამდენჯერმე ხმის მიცემას გამორიცხავს; საგანგებო, ჭვირნიშნიანი ბიულეტენების დაბეჭდვა და მათი ბლოკნოტების სახით აკინძვა, რაც თავიდან აგვაცილებს ყალბ ბიულეტენებს, ხოლო ბლოკნოტების ყუები კი მხოლოდ კომისიის მდივნებს ექნებათ და თუ საარჩევნო უბანში ამოღებული ბიულეტენების რიცხვი მასზე არსებულ ყუათა რიცხვს გადააჭარბებს, პასუხისმგებელი პირის ძებნა საჭირო აღარ იქნება. ასევე იქნება ოქმთან დაკავშირებითაც — გასული არჩევნების შემდეგ, ბოლო დრომდე, იყო შემთხვევები, როდესაც დეპუტატობის ერთ კანდიდატს სხვა ოქმი ჰქონდა, მეორეს — სხვა, კომისიაში კი სულ სხვა მონაცემები იდო. ახალი წესით, ოქმს მხოლოდ კომისიის მდივანი შეავსებს. თუ მდივანი კანდიდატს სხვა ოქმს შეუვსებს და კომისიაში სხვას დადებს, პასუხისმგებლობაშიც თვითონვე მიეცემა. შესაძლებელია, ამ მექანიზმთაგან რომელიმე ცალკე აღებული, ნაკლებეფექტიანი იყოს, მაგრამ როდესაც ყველა ერთად ამუშავდება — გაყალბება შეუძლებელი თუ არა, ძალზე ძნელი იქნება.

დავთანხმდი, უპირველესად იმიტომ, რომ ეს საქმე ვიცი და მაინტერესებს. ვიცი, სად შეიძლება აღმოჩნდეს ჩემი აქტიური მონაწილეობით შექმნილი კანონის სუსტი ადგილი, სად ეცდებიან ხრიკების გამოყენებას და ა.შ.. მეორეც, ეს თანამდებობა სულ ოთხთვიანია — იანვრამდე როგორმე გადადებს კაცი თავს და გაძლებს.

— **მაგრამ ყველაფერი ეს თავს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იყრის. თუ მისი წევრების დანიშვნაზე ატეხილ „ომს" გავიხსენებთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ბევრი რამ, თუნდაც სამართლიანად ჩატარებული, შესაძლებელია, კომისიაში მაინც უსამართლოდ გადაწყდეს... ყოველ შემთხვევაში, თითქმის ყველა პოლიტიკური გაერთიანების პრეტენზიები ძველ ცესკოსთან დღემდე პასუხგაუცემელი რჩება... საინტერესოა ისიც, რომ მისი თავმჯდომარის პატიოსნებას არავინ დაუეჭვებია მაშინ, როცა თავად კომისიის უპატიოსნობაში ეჭვი არავის ეპარება.**

— ყველაზე მთავარი, რამაც გასული არჩევნების ტოტალური გაყალბება გამოიწვია, კოლექტიური უპასუხისმგებლობა გახლდათ — კომისიას, თავმჯდომარისგან დამოუკიდებლად, კენჭისყრის საფუძველზე, შეეძლო ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება და, ამავე დროს, კომისიის ნებისმიერი წევრიც კი საზოგადოების წინაშე თავს იმართლებდა — მე არაფერ შუაში ვარ, გადაწყვეტილება კომისიამ მიიღოო. სწორედ ასეთი პოზიცია ჰქონდა ბევრ საკითხთან დაკავშირებით ჯუმბერ ლომინაძესაც. ისევე როგორც სხვებს, მის პატიოსნებაში ეჭვი არც მე შემიტანია, მაგრამ როდესაც უწყების ხელმძღვანელი ხარ და ხედავ, ამ უწყებაში უმსგავსობა ხდება, განზე გადგომა და პროცესების ნებაზე მიშვება გაუმართლებელია. ბოლოს და ბოლოს, თუ სხვა არაფერი შეგიძლია, ეს უნდა განაცხადო და წახვიდე, რომ ნეგატიურად მიმდინარე პროცესები საზოგადოების წინაშე ამგვარად მაინც დაფიქსირდეს... ახალ კანონმდებლობაში ამ მხრივ საქმე ბევრად უკეთესადაა, რადგან კომისიის ყველა კენჭისყრა სახელობითია და ყველა გადაწყვეტილება, მის მიმღებთა და მოწინააღმდეგეთა ჩათვლით, გამოქვეყნებას ექვემდებარება. გარდა ამისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ახალ ცესკოში მრავალი საკითხის მიღება განპიროვნებულია — შესაბამისად, კანონდარღვევის შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ კაცს ეკისრება. გასულ არჩევნებზე ცესკოში ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას ხელისუფლება ფლობდა, დღეს კი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო 2/3-ის მოგროვება მხოლოდ სამი პარტიის: „მრეწველების", „აღორძინებისა" და „მოქკავშირის" გაერთიანებით შეიძლება. ასეთ შემთხვევაშიც, ზემოთ ნახსენები გამჭვირვალობის გამო, კომისიის წევრებს ძალზე გაუჭირდებათ შავზე თეთრის გადაჭრით თქმა. სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო 1991 წლის არჩევნების დროს. მაშინ ცესკოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გახლდით და ხმათა უმრავლესობას „მრგვალი მაგიდა" ფლობდა. მახსოვს, ზოგიერთი წევრი მეუბნებოდა — ამა და ამ საკითხის მხარდაჭერას მავალებენ და უარი რომ ვთქვა, არ გამოვა. გამოაცხადე, რომ შეუძლოდ ვარ და სხდომას არ დავესწრებიო... ყველაფრის მიუხედავად, ეს საკითხი ქართული პოლიტიკისთვის მაინც პრობლემად რჩება — ახალი კოდექსის თანახმად, კომისიის წევრი, პარტიის მიერ წარდგენისა და დანიშვნის დღიდან, პარტიისგან დამოუკიდებელი ხდება. მეტიც, კომისიაში ვიწროპარტიული ინტერესების გატარებისთვის 2 წლით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული.

— **ცესკოს თავმჯდომარის შერჩევა ფინალს მიუახლოვდა — ეუთომ წარმოდგენილი 30 კანდიდატიდან სამი შეარჩია — ნანა დევდარიანსა და დათო უსუფაშვილთან ერთად თქვენც თავმჯდომარეობის კანდიდატი ხართ. კანდიდატობაზე დათანხმდით, არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვით. დღეს კი აცხადებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ცესკოს თავმჯდომარეობაზე უსუფაშვილის სასარგებლოდ დამშვიდებული სინდისით იტყვით უარს...**

— ცესკოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო ისეთი პირი, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა პარტიისთვის იქნებოდა მისაღები, ექნებოდა ნდობა საზოგადოებაში და, რაც მთავარია, იქნებოდა პროფესიონალი. ცესკოს თავმჯდომარეზე ლაპარაკი ახლა არ დაწყებულა — ამაზე მსჯელობა თითქმის ორი წელია, მიმდინარეობს და პირადად მე ყოველთვის უარს ვამბობდი, რადგან ეს რუტინული და საკმაოდ დაუფასებელი შრომა გახლავთ. ყოველთვის, სადაც კი მიმუშავია, შემოქმედებით საქმიანობას ვეწეოდი. უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი და შემდეგ, პარლამენტში უმთავრესად კანონშემოქმედებით საქმიანობას ვეწეოდი — ავტორი თუ არა, თანაავტორი მაინც ვიყავი, ვმონაწილეობდი დებატებში... ვაკეთებდი იმას, რაც ვიცოდი და რისი გაკეთებაც მსიამოვნებდა. მაგრამ ეუთოში კანდიდატების წარდგენისას საკმაოდ უარყოფითი ტენდენცია გამოჩნდა. ბევრი მათგანის მიმართ სულაც არ ვარ ცუდად განწყობილი და არც მათ პატიოსნებაში შემიტანია ეჭვი, მაგრამ იმდენად შორს დგანან არჩევნებისა და შესაბამისი პროცედურებისგან, რომ ვერ წარმომიდგენია, როგორ აპირებდნენ დანიშვნის შემთხვევაში მუშაობას.

დავთანხმდი, უპირველესად იმიტომ, რომ ეს საქმე ვიცი და მაინტერესებს. ვიცი, სად შეიძლება აღმოჩნდეს ჩემი აქტიური მონაწილეობით შექმნილი კანონის სუსტი ადგილი, სად ეცდებიან ხრიკების გამოყენებას და ა.შ.. მეორეც, ეს თანამდებობა სულ ოთხთვიანია — იანვრამდე როგორმე გადადებს კაცი თავს და გაძლებს.

პარლამენტს გარეთ დარჩენას რაც შეეხება: ამ ორგანოში მოხვედრის ერთადერთი მიზანი ჩემთვის კანონშემოქმედებითი საქმიანობა გახლავთ. ამას კი როგორღაც, პარლამენტს გარეთაც მოახერხებდა კაცი... უსუფაშვილის სასარგებლოდ იმიტომ მოვხსნი ჩემს კანდიდატურას, რომ ამ ადამიანის პროფესიონალიზმშიც დარწმუნებული ვარ და პატიოსნებაშიც. ცესკოს თავმჯდომარეს კი მეტი არაფერი მოეთხოვება. თუმცა ეს განცხადება არ ნიშნავს იმას, რომ დევდარიანის პატიოსნება მაეჭვებდეს. უბრალოდ, მან ამ საქმისა ძალიან ცოტა იცის, შესასწავლად დრო არ ეყოფა და ცაიტნოტი ვიღაცამ შეიძლება მოხერხებულად გამოიყენოს. ეს არის და ეს.

— **თქვენ პარლამენტი და კანონშემოქმედებითი საქმიანობა ახსენეთ. გულახდილები ვიყოთ — რამდენია თქვენ გვერდით ისეთი პარლამენტში, ვისაც ეს შემოქმედება და კანონები აინტერესებს? განხილვების დროს პარლამენტში ძალზე ბევრი ცარიელი სკამია. ბევრზეც, დეპუტატებს უბრალოდ, სძინავთ. ისიც კი, ვინც კამათობს, ხშირად კანონპროექტის შინაარსსაც არ იცნობს, რა უნდა, თვითონაც არ იცის — თავსაც იტანჯავს, კოლეგებსაც და ტელემაყურებელსაც ტანჯავს...**

— ქართული პარლამენტარიზმი საკმაოდ თავისებური მოვლენა გახლავთ. არსად, მსოფლიოში, პარლამენტარებს უშუალოდ კანონშემოქმედებითი საქმიანობა არ ევალებათ. მაგალითად, ამერიკაში კანონის შექმნაზე კონგრესის ბიბლიოთეკასთან არსებული სპეციალური სამსახური მუშაობს, სადაც რამდენიმე ასეული, თითქმის ყველა პროფილის იურისტია გაერთიანებული. ესა თუ ის ჯგუფი ან ფრაქცია მათ მხოლოდ კანონის იდეას აწვდის, ვთქვათ, ხელფასების გაზრდის შესახებ. შემდეგ კი მას თვეების მანძილზე ყველა სპექტრში განიხილავენ; დეტალური ანალიზი წარედგინება კონგრესს და მას ხმას მხოლოდ გაცნობის შემდეგ აძლევენ. ბუნებრივია, კონგრესმენი და პარლამენტარი ყველა დარგის სპეციალისტი ერთდროულად ვერ იქნებიან — მოქმედებს გუნდური პრინციპი და ფრაქციას თითო სფეროში თითო წამყვანი სპეციალისტი მაინც ჰყავს — ყველა ერთად კი ერთი იდეის, პოლიტიკური პლატფორმის გარშემოა გაერთიანებული. როდესაც რაიმე პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე არ არის ლაპარაკი, ხმის მიცემის დროს გუნდი სწორედ იმ ერთი სპეციალისტის მოსაზრებას უნდა ეყრდნობოდეს. მაგრამ რაიმეს მხარი რომ დაუჭირო, ან წინააღმდეგი გამოხვიდე, რომელიმე, კონკრეტული დარგის პროფესიონალი უნდა იყო, რადგან შენი დარგის ფასი თუ არ იცი, სხვას მით უმეტეს ვერ დააფასებ. ქართულ პარლამენტში კი პროფესიონალიზმზე ლაპარაკი ზოგჯერ, უბრალოდ, უხერხულია და ყველა გადაწყვეტილებას ფრაქციები პოლიტიკური ნიშნით იღებენ — აქედან იწყება და აქ მთავრდება ყველაფერი... საბოლოოდ, მაინც ამომრჩევლამდე მივალთ, რადგან როდესაც კაცს ერთხელ ხმას მისცემ და მატყუარა გამოდგება, მეორედ აღარ უნდა ენდო, თორემ რომც არ უნდოდეს, მესამედ მაინც მოგატყუებს — უპირობოდ გჯერა და იმიტომ...

— **თუმცა ქვეყნის ხელისუფლებაში მაინც არის ერთი „პროფესიონალი", რომელიც, ჩანს, სიტუაციას შესანიშნავად იყენებს და ყველაფერს სათავისოდ ამთავრებს ხოლმე...**

— აქაც ისევ პასუხისმგებლობასთან გვაქვს საქმე. პრაქტიკულად, ჩვენ „უპასუხისმგებლო პრეზიდენტის რესპუბლიკა" ვართ. პიროვნულ უპასუხისმგებლობას არ ვგულისხმობ. შექმნილი ვითარების გამო, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე პრეზიდენტს პასუხი არ, უფრო სწორად კი, ვერ მოეთხოვება. საპარლამენტო მმართველობის შემთხვევაში კი ასე არ იქნებოდა. ახლა კი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტია ბევრ რამეზე პასუხისმგებელი, მაგრამ, ამავე დროს, მას იმდენი ფუნქცია და უფლებები აქვს, რომ საბოლოოდ, თუ კონსტიტუციას მივყვებით, საკუთარი თავის დასჯა თავადვე მოუწევს... აქედან მოდის ყველა პრობლემაც და ვერანაირი საკადრო ცვლილება თუ სტრუქტურული რეფორმა საქმეს ვერ უშველის. იმავე, ფინანსთა სამინისტროსთან მიმართებაშიც — მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების პრაქტიკით, მმართველი პარტიის შეცვლის დროსაც კი ყველაზე იშვიათად ფინანსთა მინისტრს ცვლიან. ჩვენთან კი პირიქით არის, რადგან მხოლოდ ჩვენთან იღებს ფინანსთა მინისტრი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რაც ეკონომიკისთვის დამღუპველია. ამის გამო, მნიშვნელობა არ აქვს, საგადასახადო ლეგიონი ოპერატიული სამმართველოთი შეიცვლება თუ სხვა რამით, გამოეყოფა მას საბაჟო სამსახური თუ შეუერთდება. კრილოვის იგავივით არის ხელისუფლების საქმე — როგორც უნდა დასხდნენ, მათგან მუსიკოსები არ დადგება და ვერც გამართულ მელოდიას დაუკრავენ...

— **უფლებამოსილების მიწურულს ცესკომ, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და მედიას წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკოსთა საქმიანობის გაშუქება აუკრძალა.**

— საკმაოდ უცნაური და მართლაც უპრეცედენტო გადაწყვეტილებაა. ერთდროულად, კაბალურიც და სიმბოლურიც არის. კაბალური იმიტომ, რომ წარმოუდგენელია, რატომ უნდა აუკრძალო ასე ბუნდოვნად პრესას პოლიტიკოსებზე ინფორმაციის გამოქვეყნება — დადგენილებაში ნათქვამია, რომ აგიტაციის მიზნით ინფორმაციის გამოქვეყნება იკრძალება. „აგიტაციაში" კი ყველაფერი შეიძლება იგულისხმებოდეს. ყოველ შემთხვევაში, აგიტაციად რა ჩაითვლება და რა არა, ამას ისევ ცესკო დაადგენს. გამოდის, რომ მისთვის მისაღებ საინფორმაციო საშუალებას შეუძლია მისცეს შეუზღუდავი მუშაობის საშუალება, სხვა კი შეზღუდოს. დადგენილება სიმბოლურია იმიტომ, რომ ქართული მედია ცესკოს ამ შემადგენლობას ერთსულოვნად, საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებდა. როგორც ჩანს, უფლებამოსილების მიწურულს, „შურისძიება" განიზრახეს და ეს დადგენილება მიიღეს. თუმცა რამდენად სიმბოლური იქნება იგი, ჯერ კიდევ საკითხავია — ახალმოწვეულმა კომისიამ რომ მისი გაუქმება მოინდომოს, ხმათა 2/3-ია საჭირო. ეს კი არც ისე იოლი იქნება, თუმცა არც შეუძლებელი.

ვფიქრობ, თუ ცესკო პატიოსანია საჯაროობა არ უნდა აშინებდეს.

***დაჩი გრძელიშვილი***

# „ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲑᲐᲒᲐᲜᲘᲐ ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲠᲐ, ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ“



დღეს სკოლაში მივდივარ!

## მეც გავცქერ იმ დღეებს, გაფრენილს...

როცა ძალიან გინდა ყველაზე ლამაზი დღეები ხელმეორედ განიცადო — ბავშვობაში ბრუნდები მუდამ; იმ მშვენიერი მოგონებებიდან ერთ-ერთი პირველი სკოლაში წასვლის წუთებია. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ იმჟამინდელი პირველი სექტემბრის განცდას ხიბლი ვერაფერმა დააკლო. დილაადრიან მივადგები ხოლმე ფანჯარას და სკოლისკენ მიმავალ ბავშვებს ჩემი გულიც მიჰყვება თან. ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, ისევ მინდა იმ ბედნიერებასთან ზიარება.

ცოტა ხნის წინ მეგობართან, მისაღებ ოთახში სკამზე ფაქიზად გადაკიდებულ თეთრ პერანგსა და შარვალს შევავლე თვალი.

— შენი შვილისთვის 1-ელი სექტემბერი ერთი თვით ადრე დამდგარა-მეთქი, — შევეხუმრე.

— რაც სარაჯში ბალს დაემშვიდობა, იმ დღიდან ჩანთა და ჩასაცმელი ამ სკამზეა გადაკიდებული, მოუთმენლად ელის ამ წუთებსო, — მიპასუხა. ჩემი მეგობრის შვილი, თიკო სამი თვეა სკოლაში წასასვლელად ემზადება, თუმცა მშვენივრად იცის, როგორც არ უნდა მოინდომოს, 1-ელი სექტემბერი მაინც „თავის დროზე მოვა“.



დღეს ჩვენს ქალაქში, ერთსა და იმავე დროს სწავლის მაუწყებელი ზარის წკრიალი სხვადასხვა მხრიდან უხმობს მომავალ თაობას. ვინ სკოლაში, ვინ უმაღლეს სასწავლებელში შეაბიჯებს პირველად, მათთვის ეს დღე ისეთივე განუმეორებელი იქნება, როგორც ოდესღაც მათი მშობლებისთვის. ამ უდიდეს ზეიმს ისიც კი გაიხსენებს, რომელთა ოჯახებისთვის სასექტემბრო ფორიაქი პრობლემად ქცეულა.

**მაია ციხისელი,** მშობელი: „ორი შვილი მყავს, უმცროსი ბიჭუნა წელს პირველად მიდის სკოლაში, უფროსი — მეხუთე კლასშია. სწავლის დაწყება ნამდვილ სატანჯველად მექცა. პირველი კლასის წიგნების კომპლექტი 35 ლარამდე დამიჯდა, თუმცა კარგა ხანია გვეუბნებიან, წიგნებს უფასოდ დავარიგებთო. არ მჯერა. ამიტომ თადარიგი მაინც დავიჭირე. შვილის გაბრწყინებულ სახეს რომ ვუყურებ, ჩემს თავზე მომდის გული, რა მაწუწუნებს-მეთქი“.

**გურამ მნათობიშვილი,** მშობელი: „ორი წელია სექტემბრის დადგომა ჭირის დღესავით შემძულდა; რომ მგონია, სახელმძღვანელოები ვიყიდე, ცოტა ხანში აღმოჩნდება, რომ ის წიგნები არ შემიძენია, რომელიც ჩემს შვილებს გამოადგებათ. ამ დალოცვილებმა არ შეიძლება სწავლის დამთავრების დროს, მაისში გვითხრან, რომელი წიგნებით აპირებენ ასწავლონ ბავშვებს? წელს ჭკუა ვისწავლე, სანამ არ გაირკვევა, ამდენი ალტერნატიული სახელმძღვანელოდან რომელია საჭირო, არაფერს ვიყიდი“.



— სკოლაში მისვლისთანავე ჩემი მეზობელი ამალია შემიყვარდა...

**ნინო მემარნიშვილი**, მშობელი: „კარგად მესმის, ლეგალურად დაბეჭდილი სახელმძღვანელოები პოლიგრაფიულად მაღალი ხარისხისაა და ბავშვს ის უნდა შევუძინო, მაგრამ ძალიან ძვირი ღირს, ამიტომ იძულებული ვარ, ზოგიერთი მაინც ფალსიფიცირებულით ჩავანაცვლო. გავიგე, სკოლებში აბონემენტები შეაქვთ, რაც ლეგალური სახელმძღვანელოების იაფად შეძენის საშუალებას მოგვცემს. ახლა კარგი დროა, მე ხომ დიდი გაჭირვების ფასად უკვე ვიყიდე“.



— მეგონა, მასწავლებელი არც ჭამდა, არც სვამდა, ძილითაც არ ეძინა...

დღეისათვის სასკოლო სახელმძღვანელოებს საქართველოში ლეგალურად 30-მდე გამომცემლობა უშვებს. თუმცა ეს სულაც არ აფრთხობს „შავ ბაზარს“, ერთი უბრალო მიზეზის გამო: უხარისხო, ფალსიფიცირებული, მაგრამ იაფფასიანი წიგნები გაცილებით დიდი ტირაჟით იყიდება.

მშობლებისთვის თავსატეხად იქცა ალტერნატიული სახელმძღვანელოების არსებობაც. დღეს საქართველოში განათლების სამინისტროს გრიფით 180 დასახელების წიგნი გამოდის. აქედან 37 ალტერნატიულია, რომელთა არჩევანი სკოლამ ან საგნის მასწავლებელმა უნდა გააკეთოს. სამი წელია სოროსისა და ევრაზიის ფონდების ფინანსური მხარდაჭერით დიდ ქალაქებში ხორციელდება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამა, რომელიც სასკოლო წიგნების ლეგალური ბაზრობების გამართვას ითვალისწინებს. მშობელი კი მაინც „შავ ბაზარს“ არჩევს, მერე რა, რომ სახელმძღვანელო უხარისხოა, სამაგიეროდ — იაფია!

ჩემი მეგობრის შვილის მსგავსად, წელს დედაქალაქის 13.000 პირველკლასელი საჩუქრად სახელმძღვანელოებს მიიღებს. საბედნიეროდ, ჩვენს პატარებს არ აინტერესებთ საჩუქრებს ვინ გადასცემს — მერი თუ საკრებულო. ისინი გულისფანცქალით ელოდნენ, როდის შეაბიჯებდნენ სკოლაში. მშობლები კი — ვერდიქტის გამოტანას, ამ დაუსრულებელ ძიძგილაობაში ვინ გაიმარჯვებდა, რომ ბოლოს და ბოლოს, მათთვის სასურველი წიგნები მიეღოთ. ამასობაში ქალაქის მერი თბილისში მიწისძვრით დაზარალებულ 29-ე საშუალო სკოლაში მივიდა და ყველას გასაგონად მოსახლეობას დაჰპირდა, რომ პირველ სექტემბერს სასკოლო შენობები მწყობრში დახვდებოდათ.

ასეა თუ ისე, 1-ელ სექტემბერს სწავლის მაუწყებელი ზარი მაინც დაირეკა და საგანგებოდ გამოწყობილი პირველკლასელები ახალ, მათთვის ჯერაც უცნობ, მაგრამ ასე სანატრელ დღეს სკოლისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. მე კი რატომღაც შარშანდელი პირველი სექტემბერი გამახსენდა, დილაუთენია მემაწვნის ბიჭმა ომახიანად რომ დაიყვირა მაწონი, მაწონიო. რამდენიმე დღის შემდეგ ლევანს (ასე ჰქვია იმ ოქროყანელ ბიჭს, რომლის ხმაც დღესაც მაღვიძარა საათივით რეკს) დავუდარაჯდი და ვკითხე, სკოლაში რატომ არ დადიხარ-მეთქი. დიდი, წყლიანი თვალებით ამომხედა, მერე დედისკენ გააპარა მზერა და წაიბუტბუტა: ვის მივყავარ, რო? — ვერაფერი ვუთხარი.

ლევანისნაირი ბიჭები და გოგონები, ჩვენდა სამწუხაროდ, ძალიან ბევრნი არიან და ეს მაშინ, როდესაც უამრავი პროგრამა „ხორციელდება“ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის...

მე კი ისევ ჩემი პირველი სექტემბერი მენატრება, ლაღი და უშფოთველი, საოცრად ლამაზი — ახდენილი ოცნების დღე, რომელიც ყველა ბავშვისთვის ერთნაირია. პირველი მასწავლებელი კი — უამრავი ფერად-ფერადი ყვავილებით ხელში — ულამაზესი. პირველი სექტემბერი ყველა ჩვენგანისთვის რომ გაუხუნარი რჩება, ამაში ჩემი რესპონდენტებიც დაგვარწმუნებენ:



— კარგად მახსოვს ის დღე, ორი გრძელი ნაწნავითა და დიდი თეთრი ბაფთებით...

**დოდო ჭიჭინაძე,** მსახიობი: „შვიდი წლის რომ გავხდი, სკოლაში მაშინ წავედი. ამაზე დიდი საოცრება ხომ რა უნდა ყოფილიყო მაშინ ჩემთვის. ასე მეგონა, მეცხრე ცაზე დავფრინავდი და მთელი გზა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, ძალიან კარგად ვისწავლი-მეთქი. მაშინ დიდ პატივს სცემდნენ სკოლას. პირველ სექტემბერს მე-2 სკოლაში ბიცოლამ, გერმანელმა ქალმა ტანტე ლილ პალიმ წამიყვანა, მშობლები რაიონში მუშაობდნენ და ჩემთვის ამ განსაკუთრებულ დღეს ქალაქში ჩამოსვლა ვერ შეძლეს. ბიცოლა არაჩვეულებრივი ქალი იყო. მან მიმაჩვია შრომას. კარგად მახსოვს ის დღე, ორი გრძელი ნაწნავითა და დიდი თეთრი ბაფთებით. სკოლა ისე დავამთავრე, ნაწნავები არ შემიჭრია. „დავით გურამიშვილის“ გადაღება რომ დაიწყო, 19 წლის ვიყავი. მაშინ მთხოვეს თმა შემეჭრა. რა თქმა უნდა, შევიჭერი, მაგრამ ასე მეგონა, იმ ნაწნავებთან ერთად ბავშვობაც დავკარგე“.

**ჯემალ ღაღანიძე,** მსახიობი: „ბავშვობიდან ძალიან მეტიჩარა ვიყავი. საბავშვო ბაღში სულ თეატრალური კოსტიუმებით დავდიოდი. მიყვარდა ცეკვა, სიმღერა და ოხუნჯობა. დოლიძის ქუჩაზე დავიბადე, დღესაც იმ სახლში ვცხოვრობ. 61-ე სკოლაში ვსწავლობდი. სასტუმრო „აჭარის“ ადგილას ჩემი საბავშვო ბაღი იყო. სპორტის სასახლესთან ბაზარი გახლდათ. მამამ სახლის მშენებლობა რომ წამოიწყო, ახლობლებმა უთხრეს, რას შვრები კაცო, ტყეში სახლდებიო? უბნის ბიჭები, ყველანი ერთ საბავშვო ბაღში დავდიოდით, ერთად წავედით სკოლაშიც. მახსოვს, როგორ „შემკაზმეს“ პირველ სექტემბერს. შავი ტრუსები და თეთრი პერანგი გვეცვა. სკოლის ეზოში აკორდეონი უკრავდა, ყველა ცეკვავდა. სკოლაში მისვლისთანავე ჩემი მეზობელი ამალია შემიყვარდა. მოგვიანებით წერილი მივწერე: მიყვარხარ ამალია, როგორც ჩემი და-მეთქი. რა ამაყი ვიყავი! ქალბატონი ამალია დღესაც ხშირად მახსენებს იმ წერილს. ახლა, 70 წლის ვარ და რატომღაც 1-ელ სექტემბრის მოსვლას მეც ბავშვივით ვეგებები. ეს დღე ყველასთვის მართლაც ძალიან ძვირფასია, მაშინაც კი, როდესაც წლები გადის“.

**მაია დათუნაშვილი,** მუსიკათმცოდნე: „ახალი ფორმა, ჩანთა, წიგნები... დღემდე შემომრჩა ეს დიდებული განწყობილება. 24-ე სკოლაში პირველ სექტემბერს დედამ და მამამ წამიყვანეს. არავის ვიცნობდი, ამდენი უცხო ხალხის დანახვამ ცოტა არ იყოს, დამაბნია. ჩემი პირველი მასწავლებელი მერი რაზმაძე, რაღაც არაამქვეყნიური მეგონა; ვფიქრობდი, რომ იგი არც ჭამდა, არც სვამდა, ძილითაც არ ეძინა, ერთი სიტყვით, მასწავლებელი იყო და მორჩა. ახლაც ბავშვივით მიხარია მისი დანახვა. სკოლის ეზოში, დირექტორმა, საოცრად ინტელიგენტურმა და დახვეწილმა ადამიანმა — უჩა მეტრეველმა მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. ზეიმის მერე ერთ მწკრივად დაწყობილები საკლასო ოთახისკენ გავემართეთ. მაშინ თავი ყველაზე დიდი მეგონა. ჩემ გარშემო ზოგი ტიროდა, ზოგიც ისეთი მობუზული იყო, გულში ვფიქრობდი, რა მოუვიდათ, ჩვენ ხომ უკვე დიდები ვართ-მეთქი. ჩვენს დროს ბურთულიანი კალმები არ იყო და სკოლაში კალმისტარსა და სამელნეს ვატარებდით. ერთი გენახათ, რა ორომტრიალი იყო სამელნისთვის ყაისნაღით შალითა რომ მოექსოვათ. ახლაც მეცინება, რომ მაგონდება, თითები სულ მელნით მქონდა მოთხვრილი“.



— კაცი მეგონა თავი, მაშინ თითქოს ბავშვობასაც გადავაბიჯე...

**თამაზ თოლორაია,** მსახიობი: „23-ე სკოლაში ვსწავლობდი, მახსოვს, დედამ პირველ სექტემბერს როგორ წამიყვანა. ჩემი პირველი მასწავლებელი რომ დავინახე და ახლოს მივედი, დედამ მითხრა: — თაზო, გაიცანი ქალბატონი ზინა, შენი მასწავლებელი იქნებაო. ეს დღე ყოველთვის მემახსოვრება. იმითაც ვიყავი ამაყი, რომ უკვე დიდი ვარ, საბავშვო ბაღში აღარ დავდივარ-მეთქი. უფრო სწორად, კაცი მეგონა თავი, მაშინ თითქოს ბავშვობასაც გადავაბიჯე“.

(დასასრული იხ. გვ. 27)

### ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ✱ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

### ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ:

1. **ეთერ ერაძე** — „ყვარყვარე, შენ შეგვიწყალე!..“ — 63 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „ბურკაძის ძღვენი“ — 55
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „არ დავიწყებ იმის მტკიცებას, თითქოს მამა აბრამის ბატკნები ვართ...“ — 50
4. **დაჩი გრძელიშვილი, იზო რიკაძე** — „შტატებს შევარდნაძე უკვე საქართველოს პრობლემად მიაჩნიათ“ — 36
5. **ეკა ლომიძე** — „რას წარმოადგენს „რობოტას“ ბანდა“ — 24



თქვენს პრემიას ამჯერად **ეთერ ერაძე** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 330-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

CMYK



# უშიშროების ვიცე-პოლკოვნიკმა საკუთარი თანამშრომელი გაიტაცა(!)

## „დიდი საქმეები“ დიდი ხალხის გარეშე არ კეთდება

სექტემბერში თბილისის საოლქო სასამართლოში უჩვეულო პროცესი გაიმართება. საქმე ადამიანის მოტაცებაში ბრალდებულის გასამართლებას ეხება. ქვეყანაში, სადაც ფულის გამოძალვის მიზნით დიდისა თუ პატარის გატაცება ჩვეულებრივ ამბად იქცა, ასეთი პროცესი სკანდალური და უჩვეულო არ უნდა იყოს. მაგრამ ამ შემთხვევაში მთელი ინტრიგა იმაში მდგომარეობს, რომ ეჭვმიტანილი უშიშროების მაღალჩინოსანია, რომელმაც გასატაცებელ სუბიექტს შორს არ დაუწყო ძებნა და თავისივე კოლეგა მოიტაცა(?!).

გატაცების საქმეს მთავარი სამხედრო პროკურატურა იძიებდა. იმის მიუხედავად, რომ დანაშაული რამდენიმე თვის წინ მოხდა, მას ფართო რეზონანსი დღემდე არ მოჰყოლია.

**ირაკლი შელია,** მთავარი სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე:

— გატაცების ორგანიზატორი მართლაც უშიშროების მაღალჩინოსანია. ვიცე-პოლკოვნიკი ისმაილ ჯალალოვი უშიშროების სამინისტროს მარნეულის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა. მას ბრალად თავისივე თანამშრომლის, ოპერატიული განყოფილების მუშაკის, ფაიქ გუმბათოვის გატაცების ორგანიზება ედება.

— **რა მიზნით მოხდა გატაცება?**

— ფულის გამოძალვის მიზნით. მოტაცებულის მამამ დამნაშავეებს 80 ათასი დოლარი გადასცა. გამტაცებლები იმდენად კონსპირირებულად მოქმედებდნენ, რომ ეჭვმიტანილების ვინაობა მხოლოდ თანხის გადაცემის შემდეგ გახდა ცნობილი. ჯალალოვის ბინიდან 46 ათასი ამერიკული დოლარი ამოვიღეთ.

— **აღიარებს ჯალალოვი დანაშაულს?**

— იგი აცხადებს, რომ უდანაშაულოა და არც დანაშაულის ორგანიზებაში და არც გატაცებაში მონაწილეობა არ მიუღია.

— **მაშინ, რამდენად რეალურია ბრალდება?**

— რეალურზე რეალურია. იმდენი მტკიცებულება გვაქვს, რომ სხვა ვერსია გამორიცხულია. ძიება 6 თვეს გაგრძელდა. 31 ივლისს დავამთავრეთ საქმე და საოლქო სასამართლოს გადავეცით. პროცესი სექტემბერში უნდა გაიმართოს.

— **გატაცებულის ოჯახისთვის 80 ათასი დოლარის გადახდა იოლი არ იქნებოდა. სპეცსამსახურები დაეხმარნენ და ჯალალოვს დანომრილი ფული გადასცეს?**

— ფული არ იყო დანომრილი. გატაცებულის მამა ამბობს, რომ მას ქალიშვილი ჰყავს გათხოვილი ბაქოში. იქიდან დაეხმარნენ და 10 დღის მანძილზე შეაგროვა თანხა. სხვათა შორის, გამტაცებლები თავდაპირველად 200 ათას დოლარს ითხოვდნენ.

— **ჯალალოვის გარდა, კიდევ ვინ მონაწილეობდა ამ საქმეში?**

— ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი პირის ვინაობაა დადგენილი და მასზე ძებნაა გამოცხადებული. ეს არის მარნეულში დისლოცირებული სამხედრო-საჰაერო ძალების დაცვის ასეულის მეთაური დავით დეკანოიძე. მისი მონაწილეობა უტყუარად არის დადგენილი. ჯალალოვ-დეკანოიძის გარდა, გატაცებაში კიდევ ორი კაცი მონაწილეობდა. მათი ვინაობა, ჯერჯერობით, უცნობია, მაგრამ ცოტა ხანში დავადგენთ.

— **გამოძიების პროცესში უშიშროების სამინისტროს მხრიდან ჩარევა ხომ არ ყოფილა?**

— არა... როგორ ჩაერეოდნენ... უშიშროების სამინისტროში ხსენებულ ფაქტზე კომენტარს არ აკეთებენ. ადამიანის გატაცებაში ეჭვმიტანილი ვიცე-პოლკოვნიკის დაცვა ალბათ ძნელი იქნება. რა კრიტერიუმებით ხდება ძალოვან სამინისტროებში კადრების შერჩევა?! — კითხვა, რომელიც დღემდე პასუხგაუცემელი რჩება. დამნაშავე სამართალდამცავები უკვე აღარაფერს ერიდებიან და საკუთარ თანამშრომლებსაც კი იტაცებენ (ჩვენ რაღას გვიზამენ(?). როგორ წარიმართება სასამართლო პროცესი, წინასწარ არავინ იცის. მაგრამ თვით ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „დიდი საქმეები“ დიდი ხალხის გარეშე არ კეთდება.

***დავით დევიძე***

# გია ჯიქია უშიშროების ყოფილ მაღალჩინოსნებს დაპატიმრებას უპირებს?!

უახლოეს ხანებში უშიშროების ყოფილი მინისტრის, ვახტანგ ქუთათელაძის, მისი მოადგილის, სიმონ ნოზაძისა და ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსის, ლევან კენჭაძის გვარები კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცევა. საქმე ეხება პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ სამხედრო პროკურატურისთვის გადაცემულ დასკვნას, რომლის საფუძველზეც სამხედრო პროკურორმა გია ჯიქიამ ფაქტზე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით საქმე აღძრა. მარტივად რომ ითქვას, ვახტანგ ქუთათელაძის მინისტრობის პერიოდში იკვეთება, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა უკანონო ფარულ მოსმენებსა და აგენტების „ჩანერგვას“. „კვირის პალიტრასთან“ საუბარში სამხედრო პროკურორმა განაცხადა, რომ ორ კვირაში აღნიშნული საქმე დასრულდება და კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხიც დაისმება.

— **პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომელიც მაისის თვეში გადმოგეგზავნათ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძარით, რომელშიც უშიშროების ყოფილი მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე, მისი მოადგილე სიმონ ნოზაძე და ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსი ლევან კენჭაძე იმხილებოდნენ. რა მტკიცებულებას დაეყრდენით?**

— დავაზუსტებ: საგამოძიებო კომისიის მასალებში არ ყოფილა მითითებული, რომ უშუალოდ ეს შემოწმება ჩატარდა ქუთათელაძის, კენჭაძისა და ნოზაძის მიმართ. ლაპარაკი იყო თანამშრომელთა ფართო სპექტრზე, რომლებიც იმ პერიოდში ანტიტერორისტულ ცენტრში მუშაობდნენ.

— **ირიბად რატომ მესაუბრებით, აღნიშნული პირები ხომ იმ პერიოდში მუშაობდნენ?**

— კი, ბატონო, მაგრამ სხვებიც მუშაობდნენ. თუმცა შემიძლია დავადასტურო, რომ ამ მასალებში ქუთათელაძის, კენჭაძისა და ნოზაძის გვარ-სახელები ნამდვილად ფიგურირებს. პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნაში იყო მთელი რიგი დეტალები, რომლებიც დაზუსტებას მოითხოვდა. დღეს დოკუმენტაციის დიდი ნაწილი უკვე ამოღებული გვაქვს, დაკითხულია მოწმეთა 80%. უახლოეს კვირაში მოხდება ამ მტკიცებულებების იურიდიული შეფასება. ამის შემდეგ დავასახელებ პიროვნებებს. ალბათ საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან თანამდებობის პირები.

— **საქმე ეხებოდა უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის გეგმას. ამასთან საინტერესოა, რამდენად შეესაბამება სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ფუნქციას პოლიტიკური პარტიებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე კონტროლის დაწესება?**

— უშიშროების სამინისტროს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ფარული თვალთვალის და თანამშრომლების ჩანერგვის უფლება მაშინ აქვს, როდესაც არის დადასტურებული ინფორმაციები, რომ მზადდება რაიმე ანტიკონსტიტუციური ქმედება, ასეთ შემთხვევაშიც უშიშროების სამინისტრო ვალდებულია თანხმობა გენერალური პროკურორისგან მიიღოს. მათ კი გენერალური პროკურორისგან თანხმობა არ მიუღიათ. ეს კანონის დარღვევაა და ამიტომაც დგება კონკრეტული პიროვნებების პასუხისმგებლობის საკითხი.

— **თუ უკანონო იყო პარტიებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებში უშიშროების აგენტების ჩანერგვა, რატომ მიმართავდა ამას მაშინდელი უშიშროების მინისტრი?**

— პასუხი რომ გაგცეთ, უნდა გავამხილო ის ჩვენებები, რომელიც სამართლის საქმეში დევს. საქმე კი გრიფით საიდუმლოა.

— **რომელ პარტიებში მოხდა აგენტების ჩანერგვა?**

— 30 წელია ვმუშაობ ამ სისტემაში და ასეთი მნიშვნელოვანი საქმე იშვიათად შემხვედრია... ამას ჯუმბერ პატიაშვილი ახმოვანებს. ცხადია, იმათზე იყო საუბარი, რომლებიც სახელისუფლებო პარტიებს არ წარმოადგენენ. სამწუხაროდ, ლაპარაკია სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზიაციაზეც.

— **თუ დაჰკითხეთ ქუთათელაძე, ნოზაძე, კენჭაძე...**

— ჯერჯერობით ვერ დავკითხე. ეს საქმე ისე არ დამთავრდება, თუ ყველა არ დაიკითხება.

— **ეს თემა წინასაარჩევნოდ აგორდება?**

— რატომღაც მივეჩვიეთ: კაცთან მიხვალ, დანაშული აქვს ჩადენილი და



გააბამს ყვირილს: მე იმ პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი ვარ და ამიტომ ტერორს მიწყობენო. ჩემთვის, როგორც პროკურორისთვის, მხოლოდ ერთ ფაქტს აქვს მნიშვნელობა — არის თუ არა კანონდარღვევა; ყველა სპეკულანტობს. ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ დროებითმა კომისიამ ეს მასალები გადმომცა?! გეთანხმებით, რომ ხმაური მოჰყვება. ვიცი ასევე, გაინტერესებთ, დავაპატიმრებთ ამ ხალხს თუ არა. მე დაპატიმრების უფლება არ მაქვს, შუამდგომლობით უნდა წარვდგე სასამართლოს წინაშე და ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. თუ მათზე არ გავცემ დაპატიმრების სანქციას, არც ამის თქმის შემეშინდება ხმამაღლა. ვიცი მოაბამენ კუდებს: ჯიქია შეაშინეს, ფული გადაუხადესო... არავისიც არ მეშინია.

*P.S. მართალია, გია ჯიქია დღეს იქადნება, რომ უშიშროების ყოფილ მაღალჩინოსნებს კუდით ქვას ასროლინებს, მაგრამ უფრო უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ჯოხი წვრილფეხობაზე გადატყდეს. ბოლოს და ბოლოს, ქუთათელაძესთან, ნოზაძესთან და იმავე კენჭაძესთან შედარებით გია ჯიქიას „კავშირები“, რბილად რომ ვთქვათ, სუსტია. ასე რომ, ზევიდან რასაც უბრძანებენ დღევანდელ სამხედრო პროკურორს, ისიც უახლოეს მომავალში იმ ნოტაზე ამღერდება.*

***მარინა მამისაშვილი***

# ცოლმა ქმრის მკვლელობა ხუთი წლის შემდეგ თავად აღიარა

...მარდანმა მითხრა — ახლა კი მოვიდა შენი სიკვდილისა და ებრაელების სასაფლაოზე დამარხვის დროო. დავინახე, რომ დაიხარა და იატაკიდან აიღო ხერხი. მე ვისარგებლე ამ პაუზით და იქვე დაყრილი იარაღებიდან სწორედ ის ნაჯახი ავიღე, რომლითაც ადრე ქმარი მოკვლით მემუქრებოდა. ნაჯახი ზურგს უკან ამოვიფარე. ვიფიქრე, თუ დამჭირდება, მეც დავემუქრები და ოთახიდან გავექცევი-მეთქი. ამ დროს ფიწლის ქნევა დამიწყო. ტანის მოძრაობით მოქნეულ ფიწალს ვიცილებდი. მარდანი კართან იდგა და გზას მიღობავდა. მე



### — მკვლელობაში ბრალდებული ქალი სახლში გაუშვეს...

ნაჯახი მოვუღერე და ვუყვირე — თავი დამანებე-მეთქი. მან უფრო გაშმაგებით მოიტანა იერიში ფიწლითა და ხერხით. ნაჯახი მოვიქნიე. მინდოდა ხელი შემეშალა მისთვის. ამ მომენტში წელში იყო მოხრილი, როგორც კი გაიმართა, მაშინ მოხვდა მარჯვენა მხრიდან ყელში. დავინახე როგორ იფეთქა სისხლმა. გონება დავკარგე. რამდენ ხანს ვიყავი ასე, არ ვიცი. როცა გონს მოვედი, ტანში საშინელ სისუსტეს ვგრძნობდი. ის უკვე უსულოდ ეგდო. არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ მე მოვკალი. 10 წუთი გაოგნებული ვიდექი. რა გამეკეთებინა, არ ვიცოდი. საწოლზე დავაწვინე. ჯერ კიდევ თბილი იყო. გამოვედი ოთახიდან, ტანსაცმელი გამოვიცვალე. ცოტა დავწყნარდი და გავაანალიზე ჩემი საქციელი. ვიფიქრე, რომ თუ ამ მკვლელობის შესახებ გაცხადდებოდა, მონიკას (შვილს) სახელი გაუტყდებოდა. მარდანის ცხედრის ნახვით ბავშვის ფსიქიკა შეირყეოდა. გარდა ამისა, ვიფიქრე, რომ დამიჭერდნენ, ჩემი შვილი უპატრონოდ დარჩებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, მარდანის ცხედარი დამემარხა. იქვე ოთახში ლომით და ნიჩბით ღრმად ორმო ამოვთხარე და მარდანის გვამი ლეიბიანად სამარეში ჩავაცურე. ზემოდან გადავაფარე ადეალა და დავაყარე მიწა. ეზოდან შემოვზიდე დიდი ქვები და ისინიც მჭიდროდ დავალაგე ზედ. ზემოდან მოვასხი ბეტონი და გადავაფარე იგივე ლინოლიუმი, რაც ოთახში იყო დაგებული. ოთახი მოვწმინდე სისხლისა და მიწისაგან. მთელი სხეული მიკანკალებდა. მეორე დღეს, საღამოს მოვიდა მონიკა. შემატყო ცუდად ვიყავი, მაგრამ სიმართლე ვერ ვუთხარი. წლების განმავლობაში მან არაფერი იცოდა ჩვენი ურთიერთობის შესახებ. მეც კოშმარები მტანჯავდა. ტანჯვას ვეღარ გავუძელი და სიმართლე გავუმხილე...

— ერთი კვირის წინ, თბილისში ჩადენილი ხუთი წლის წინანდელი ეს მკვლელობა გაიხსნა. ისანი-სამგორის რაიონის პროკურორის, ვაჟა აბაკელიას თქმით, რომ არა მაყვალა ლათიბაშვილის გულწრფელი აღიარება, დანაშაულის გახსნა გამორიცხული იყო იმ უბრალო მიზეზით, რომ მკვლელობა აღრიცხული არ ყოფილა. მოხდა უცნაური რამ: მაყვალა ლათიბაშვილი სინდისმა შეაწუხა, პოლიციაში გამოცხადდა და ყველაფერი წვრილად მოუყვა სამართალდამცველებს. პროკურატურამ კი მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქალბატონი სახლში გაუშვა. ვესაუბრებით ისანი-სამგორის რაიონის პროკურორს **ვაჟა აბაკელიას.**

— მაყვალა ლათიბაშვილის ქმარი წარმოშობით აზერბაიჯანელი მარდან ტაგიევი ყოფილა. მათ მოსკოვში, სტუდენტობის წლებში გაუცნიათ ერთმანეთი და დაქორწინებულან. ამ ქალს წინა ქორწინებიდან ჰყოლია ვაჟი, მარდანთან კი გოგონა შესძენია. როგორც ირკვევა, ტაგიევი ცუდი ცხოვრებით ცხოვრობდა. ორჯერ იჯდა ციხეში ქურდობისა და ხულიგნობის გამო. როგორც ამბობენ, მკვლელობის ბრალდებითაც დაუპატიმრებიათ, თუმცა არ დაუმტკიცდა. ციხიდან გამოსვლის მერე სისტემატურად სცემდა ცოლსა და შვილს. ამასობაში გოგონა წამოიზარდა, 17 წლის გახდა. როგორც მაყვალა ლათიბაშვილი ჰყვება, მისი ქმარი პერიოდულად იკარგებოდა თვეობით. ერთ დღესაც ნასვამი მისულა, უთქვამს, რომ გოგონა უნდა გაეყიდა.

— **რას ნიშნავს გაეყიდა?**

— თათრებს ხომ აქვთ ასეთი წესი — ქალიშვილებს საზღაურის ფასად ათხოვებენ. ცოლი წინააღმდეგი ყოფილა. ტაგიევს კი უთქვამს, რომ თუ არ გამაყიდვინებ, მე თვითონ მოვიტაცებ და ვეღარც იპოვიო...

— **რას მეუბნებით...**

— კი. ასე ჰყვება ეს ქალი და მინდა გითხრათ, რომ ჩვენს პრაქტიკაში გვაქვს ასეთი შემთხვევები. უარესიც. ამაზე მოსვლიათ შელაპარაკება. მაყვალა ლათიბაშვილს უთქვამს, შენ ამას ვერ ეღირსებიო. რას ჰქვია, ვერ ველირსებიო და ხერხი მოუქნევია, რომელიც ხელში მოხვედრია და გასჭრია კიდეც. ამას ნაჯახი აუღია და მოგერიების მიზნით მოუქნევია. ის წაბარბაცებულა და ამ მომენტში კისერში მოხვედრია. ადგილზევე მომკვდარა. ერთი პერიოდი გადაუწყვეტია პოლიციაში განეცხადებინა, მაგრამ ციხეში ჩაჯდომის შეშინებია. გოგონა მეორე დღეს მისულა შინ და უკითხავს, მამა სად არისო. ამას უპასუხია, — უკვე წაეთრაო და ამით დამთავრებულა საუბარი. წლების განმავლობაში იგი არავის მოუკითხავს.

— **ახლა რატომღა განაცხადა?**

— არ მასვენებდა მისი სული. მოჩვენებები მტანჯავდაო. სხვათა შორის, პარაფსიქოლოგს ვესაუბრე ამ საკითხზე და მან მითხრა, რომ მოკლულის სული სახლიდან არ მიდის, სანამ საიდუმლო არ გაიხსნება.

— **ბატონო ვაჟა, რატომ არ დააპატიმრეთ მკვლელი?**

— ჯერჯერობით აუცილებელი მოგერიების მოტივით აღვძარით საქმე. ბევრი რამე დასაზუსტებელია. ნაჭდევი გვაჩვენა ხელზე. ხელწერილით გავათავისუფლეთ.

— **თუ შეატყობინეთ მის სანათესავოს?**

— კი. ძმა ჩამოვიდა, საქმის კურსში ჩავაყენეთ. მოისმინა მშვიდად, არაფერი უთქვამს, მხოლოდ გვთხოვა, ცხედარი გამატანეთ აზერბაიჯანშიო. ჩვენ უარი ვუთხარით, რადგან ჯერ გამოკვლევები მიმდინარეობს.

— **თუ ასე სტანჯავდა კოშმარები, წლების განმავლობაში არავისთვის გაუმხელია?**

— არა, მეზობლები ადასტურებენ, რომ მათ ოჯახში სისტემატური დებოში იყო. ტაგიევი სცემდა ოჯახის წევრებს. გარდა ამისა, არის ერთი ნიუანსი, რომელსაც ლათიბაშვილის პირველი ვაჟი ჰყვება. 20 წლის წინ, 13 წლისა დანით დაუჭრია მუცელში. გვაჩვენა ნაიარევი. ისე, ეჭვი გვაქვს, ხომ არ შეესწრო მკვლელობას გოგონა ან ბიჭი.

— **დარწმუნებული ხართ, რომ მკვლელობა ამ ქალმა ჩაიდინა, იქნებ მისი შვილის მხრიდან ჰქონდა შურისძიებას ადგილი?**

— შესაძლებელია, მაგრამ ეს ყველაფერი ვერსიებია და ამის მტკიცებულებები არ გაგვაჩნია. გამოძიებას დრო სჭირდება. მე მაინც მგონია, რომ მკვლელობა ამ ქალის მიერ არის ჩადენილი, რადგან სინანულის გრძნობა აშკარა იყო. დამიჯერეთ, თავად რომ არ მოსულიყო, კაციშვილი ვერ გაიგებდა ვერაფერს.

***მარინა მამისაშვილი***

CMYK

# „იქნებ თქვენმა გაზეთმა გაბედოს და საფოსტო კონტრაბანდის ბიზნესი გაახმაუროს“



კომისიის წევრებმა მოსკოვიდან მიღებულ კორესპონდენციაში უამრავი გახსნილი წერილი აღმოაჩინეს

გიორგი მუჯირიშვილი

## რატომ მოუწამლეს ნარკომანი ძაღლები საბაჟო დეპარტამენტს

მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ საზღვარგარეთიდან, განსაკუთრებით კი მოსკოვის გავლით, საქართველოში გამოგზავნილი კორესპონდენციები იკარგება ან იძარცვება. ვერ გეტყვით, ეს შეგნებულად კეთდება თუ არა.

ამ სამიოდე წლის წინ, თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, დედაქალაქის მთავარი ფოსტამტის შენობის ერთ-ერთ ოთახში საშინელი ტრაგედია მოხდა. კერძოდ, ქუთაისიდან თბილისში გამოგზავნილი ამანათის მიღებაზე ადრესატმა უარი განაცხადა. მისი უარი საფუძვლიანი იყო, რადგან ამანათზე მითითებულ პირს ქუთაისში ნათესავ-მეგობარი არ ჰყავდა, ამიტომ ადრესატმა და ფოსტის თანამშრომლებმა ამანათი საეჭვოდ მიიჩნიეს და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის უშიშროებისა და პოლიციის ქვეგანყოფილებებს დაუკავშირდნენ. უშიშროების ორმა თანამშრომელმა ფოსტის იზოლირებულ ოთახში წინასწარი შემოწმებისა და გზავნილის სპეციალური აპარატით დათვალიერების გარეშე (აპარატურა, რომელსაც ყუთის გაუხსნელად შეუძლია რენტგენის სხივების საშუალებით დაადგინოს, თუ რაა მასში მოთავსებული, სამწუხაროდ, შესაბამის ორგანოებს არ აქვთ. — ზ. ჩ.), ფრთხილად გახსნეს ამანათი. აფეთქების ტალღამ არა მარტო ფოსტამტის შენობაში, ახლომდებარე სახლებშიც ერთიანად ჩაამსხვრია მინები, ხოლო თვით იმ ოთახში, სადაც ავბედითი ამანათი გაიხსნა, ტრაგედია დატრიალდა. ერთი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო მეორეს ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა. გამოძიებამ ვერ დაადგინა ამანათი-ბომბის გამომგზავნის ვინაობა და საქმე დაიხურა. კიდევ კარგი, ტერორისა და ანგარიშსწორების ამ სახეობამ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა, თორემ საქართველოს საფოსტო სამსახურების როგორც სახელმწიფო, ისე კომერციული უწყებები ამ მხრივ, დღემდე არანაირად არ არის დაცული. ფოსტას არ აქვს ისეთი აპარატურა, რომელიც გზავნილებში იმ (ფეთქებადსაშიშ) საგნებს აღმოაჩენს, რომელთა გადაგზავნა ფოსტის მეშვეობით იკრძალება.

გარდა ამისა, ამ ბოლო დროს უამრავმა მოქალაქემ მოგვმართა თხოვნით, გაგვერკვია, თუ რატომ იკარგება მათ სახელზე უცხოეთიდან გამოგზავნილი ამანათები. მათივე განცხადებით, ხშირად ამანათი ან ბანდეროლი გაჭრილია და რომელიმე ფასიანი ნივთი ამოღებულია, ამანათი კი სკოტჩით საგულდაგულოდ არის დაწებებული. გთავაზობთ ერთ-ერთი დაზარალებული მოქალაქის, ქალბატონ **გალინა ბიძინაშვილის** რედაქციაში გამოგზავნილ საჩივარ-წერილს მცირეოდენი შემოკლებით: (სტილი დაცულია) „ჩემი შვილი გერმანიაში სწავლობს, ვუგზავნით ერთმანეთს წერილებს, უფრო სწორად, ჩემი გაგზავნილი წერილები მიდის ადრესატამდე 8-10 დღეში. იქიდან გამოგზავნილი წერილის შემცველობა, თუ ერთ ფურცელს აღემატება, იგი იკარგება... ვცადე, წერილები სხვადასხვა ფოსტაში გამოეგზავნა. ხან რუსთაველზე, ხან კი პლეხანოვზე მდებარე ფოსტაში. შედეგი ყველგან ერთი და იგივეა. ვერსად ამიხსნეს, რატომ იკარგება უცხოეთიდან გამოგზავნილი წერილები. ვემუდარე და ვეხვეწე ფოსტის თანამშრომლებს, მაგრამ არც მუდარამ და არც ჩხუბმა არ გაჭრა. ასეთ დღეში მარტო მე რომ ვიყო, იქნებ ხმაც არ ამომეღო, მაგრამ ფოსტაში გაუთავებელმა სიარულმა დამარწმუნა, რომ ჩემს დღეში უამრავი ადამიანია. ახლა ბოლო შემთხვევას მოგიყვებით. ნაცნობმა გერმანელებმა თავიანთ მეგობარს თბილისში, იუბილესთან დაკავშირებით, ბანდეროლით საჩუქარი გამოუგზავნეს. ბანდეროლი ჩემმა შვილმა 17 ივლისს გამოაგზავნა გერმანიიდან ჩემს სახელზე და იგი იუბილარისათვის დაბადების დღეზე უნდა მიმერთმია. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ დღემდე ბანდეროლი არ ჩანს. ფოსტის თანამშრომლები მპასუხობენ, ჩვენ არაფერი ვიცით, გერმანიის ფოსტას მიმართეთო. გერმანიის ფოსტამ კი ოფიციალურად განაცხადა, აღნიშნულმა ბანდეროლმა კარგა ხანია, გერმანიის საზღვრები დატოვაო და პასუხისმგებლობა საქართველოს ფოსტას დააკისრა. ბოლოს თბილისის მთავარ ფოსტამტში მითხრეს, გადაიხადეთ თანხა და როგორმე მოგიძებნით დაკარგულ ბანდეროლსო, ოღონდ ძებნას ორი თვის შემდეგ დავიწყებთო(?!). როგორ შეიძლება ადამიანის ასე აბუჩად აგდება?!“.

სანამ „თბილისის მთავარ ფოსტამტს“ და შპს „საქართველოს ფოსტის“ ხელმძღვანელობას დავუკავშირდებოდით, სიტუაციაში გასარკვევად საქართველოს ფოსტის დეპარტამენტს ვეწვიეთ. ხელმძღვანელობა ადგილზე არ დაგვხვდა, მაგრამ ერთ-ერთმა თანამშრომელმა პირდაპირ მითხრა: თუ გინდათ, სიმართლე გაიგოთ, საფოსტო გზავნილების გადაზიდვების ფირმის, „არეალის“ ყოფილ დირექტორს, თემურ ჯიოშვილს მიმართეთო. შემოთავაზებული წინადადებით ვისარგებლე და ფირმა „არეალის“ ყოფილ დირექტორს საბურთალოზე მდებარე ერთ-ერთი საავადმყოფოს ეზოში შევხვდი. **თემურ ჯიოშვილი**: — საქართველოში კოოპერატივების ბუმი რომ დაიწყო, კოოპერატივი მეც გავხსენი. ჩემი ახლობლები საქართველოს ფოსტაში მუშაობდნენ და მირჩიეს, საფოსტო ბიზნესი დამეწყო. დავუჯერე და რამდენიმე მათგანი სახელმწიფო ფოსტიდან ჩემს კოოპერატივშიც გადმოვიყვანე სამუშაოდ. ამ ხალხის მეშვეობით ჯერ კონტაქტები მეზობელ რესპუბლიკებთან დავამყარეთ, მერე ნელ-ნელა გავაფართოეთ სამოქმედო სივრცე და თითქმის მთელი დსთ-ის ქვეყნების საფოსტო სამსახურებთან ვთანამშრომლობდით. შემოსავალიც კარგი გვქონდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველობა სამუშაოდ უცხო ქვეყნებს მიაწყდა და ჩვენც საფოსტო მომსახურებას ევროპის კერძო საფოსტო ფირმების მეშვეობით ვახორციელებდით. საქმე აეწყო. შემოსავალმაც იმატა, მაგრამ ჩემმა პარტნიორებმა უფრო დიდი მოგება მოინდომეს და უკანონო საფოსტო ოპერაციებს მიჰყვეს ხელი.

— **რას გულისხმობთ?**

— ჩემმა პარტნიორებმა იმდენი ქნეს, ფირმიდან გამომაგდეს, თვითონ კი ამანათებითა და ბანდეროლებით ჯერ ნარკოტიკების გაგზავნა-გამოგზავნა დაიწყეს, მერე არც ამას დასჯერდნენ და იარაღისა და ასაფეთქებელი მასალის მიღება დაიწყეს რუსეთიდან.

— **საიდან მოდიოდა ნარკოტიკები და როგორ ხვდებოდა საფოსტო გზავნილებში?**

— მაშინ არეული დრო იყო. არავინ არაფერს ამოწმებდა. თუ შენი კაცი გყავდა შუა აზიის რესპუბლიკებში, მით უმეტეს, ტაჯიკეთში, „წამლის“ საქართველოში გამოგზავნა პრობლემას არ წარმოადგენდა. საიდანაც „წამალი“ მოდიოდა, იქაურ საფოსტო განყოფილებაში და, განსაკუთრებით, მოსკოვში, სანდო კაცი უნდა გყოლოდა. მაშინ და, მგონი დღესაც, შუა აზიის რესპუბლიკებში საამანათო და, საერთოდ, საფოსტო კავშირი მოსკოვის გავლით ხორციელდებოდა. ერთი სიტყვით, ჩვენი კაცი ნარკოტიკებიან ამანათს საქართველოში გამოაგზავნიდა. ყველა პუნქტში, მოსკოვი იქნებოდა თუ ხარკოვი, როგორც ფოსტაში, ისე შესაბამის ორგანოში ჩვენი კაცი გვყავდა და შემდეგ ჩვენს სახელზე, უფრო სწორად, გამოგონილ სახელზე ვიღებდით გზავნილს. თუ იაღლიში მოხდებოდა და პოლიცია რამეს იეჭვებდა, ჩვენ ხელს ვერავინ დაგვადებდა. ამანათები მისამართებზე კი არა, გამტანის მოკითხვის წესით მოდიოდა. მოგვიანებით, როცა საქმე საათივით აეწყო, ბიჭებმა გადაწყვიტეს, წილში ორგანოების ხალხიც ჩაესვათ. ძალიან შევშინდი, ციხეში მოხვედრა ნამდვილად არ მინდოდა. ჩემს პარტნიორებს ვურჩიე, პატარა პარტიებზე ვიმუშაოთ და არაფერიც არ მოხდება-მეთქი. სიცილი დამაყარეს — ფული თუ არ გინდა, ადგილს ნუ გვიცდენ, წადი და ახალი ფირმა გახსენიო. რა უნდა მექნა, ისევ გარისკვა ვამჯობინე, ოღონდ ფირმის მფლობელისა და დამაარსებლის პრივილეგიები სხვას გადავულოცე და რიგით თანამშრომლად გავფორმდი.

ჩემმა პარტნიორებმა იმდენი ქნეს, ფირმიდან გამომაგდეს, თვითონ კი ამანათებითა და ბანდეროლებით ჯერ ნარკოტიკების გაგზავნა-გამოგზავნა დაიწყეს, მერე არც ამას დასჯერდნენ და იარაღისა და ასაფეთქებელი მასალის მიღება დაიწყეს რუსეთიდან.

— **როგორ აგზავნიდით იარაღს?**

— ჯერ ცხინვალში, მერე ვლადიკავკაზშიც გავხსენით „არეალის“ ფილიალები და წამოვიდა რუსეთიდან ნაირ-ნაირი იარაღი. ამ საქმეში რუსეთის მხრიდან დიდი ხალხი იყო ჩარეული. მაშინ ვლადიკავკაზსა და, საერთოდ, კავკასიაში ყველაფრის დეფიციტი იყო. მახსოვს, ვითომ ხორცის კონსერვების სახით ნაღმებიც კი შემოყარეს რუსეთიდან, მერე სად მიდიოდა, აღარ ვიცი. ჩვენ ჩვენს წილს ვიღებდით. ვითომ უზრუნველად ვცხოვრობდი, მაგრამ (1997 წლამდე) სულ შიშში ვიყავი. ღამღამობით კოშმარები მტანჯავდა. სასმელს მივეძალე და ერთ წელიწადში გავლოთდი. ახლაც ვმკურნალობ. მანამდე კი ფირმიდან გამომაგდეს. ჩუმად რომ ვყოფილიყავი, რამდენიმე თვე ჩემმა ყოფილმა პარტნიორებმა ცოტაოდენი თანხა მიხადეს, მაგრამ ხუთი წლის წინ, როდესაც ჩემი წილის გამოსატანად მივედი, ფირმა გაუქმებული დამხვდა. ბეჭედი და ბლანკები დამიბრუნეს და მითხრეს, ფირმა დავხურეთ და ჩვენც საქართველოდან უნდა ავიბარგოთ. აქ აღარ დაგვედგომებაო. იქნებ თქვენმა გაზეთმა მაინც გაბედოს და საფოსტო კონტრაბანდის ბიზნესი გაახმაუროს.

— **არ დაინტერესებულხართ, რა მოხდა?**

— როგორ არა. რაღაც-რაღაცები გავიკითხ-გამოვიკითხე, ზოგსაც თვითონ მივხვდი. საქმე ის არის, რომ იარაღი აღარავის სჭირდებოდა. მასზე მოთხოვნილება არც სომხეთში იყო და არც აზერბაიჯანში, ალბათ იქაც ისწავლეს ფოსტით იარაღისა და ასაფეთქებელი მასალის შეტანა. „წამლის“ საქმეშიც შეიცვალა სიტუაცია — რამდენიმე წლის წინ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა ნარკოტიკზე, იარაღსა და ასაფეთქებელ მასალაზე დაგეშილი მაძებრები შეისყიდა საზღვარგარეთ. ის ძაღლები ისე არიან გაწვრთნილები, თუნდაც ერთ გრამ ნარკოტიკს ან ტროტილს ვერ გამოაპარებ. ჩემმა ყოფილმა პარტნიორებმა მითხრეს, საბაჟოს პოლიცია ვერ მოურიგდა და იძულებული ვართ, საქმე შევწყვიტოთ. საბაჟო საქმეს გახსნის და პოლიცია ჩვენ გაგვწირავსო. ერთი სიტყვით, უკან მოუხედავად მოუსვეს საქართველოდან. მაგრამ სასაცილო და შეიძლება დასაფიქრებელიც ის არის, რომ ნარკოტიკებზე დაგეშილმა ძაღლებმა ერთი წლის მუშაობის შემდეგ „ძალზე შეაწუხა“ მაღალჩინოსნები და უცხოეთიდან ჩამოყვანილი ოთხფეხა მაძებრები ერთიანად ამოწყვიტეს. ვის სჭირდებოდა ეს? — ისევ იმ ჩინოვნიკებს, ძაღლების მოსყიდვა შეუძლებელი იყო, „საქმეში“ ხელს უშლიდნენ. მას შემდეგ არავის მოსვლია აზრად ახალი ძაღლების შემოყვანა.

ამ საქმეში რუსეთის მხრიდან დიდი ხალხი იყო ჩარეული. მაშინ ვლადიკავკაზსა და, საერთოდ, კავკასიაში ყველაფრის დეფიციტი იყო. მახსოვს, ვითომ ხორცის კონსერვების სახით ნაღმებიც კი შემოყარეს რუსეთიდან, მერე სად მიდიოდა, აღარ ვიცი. ჩვენ ჩვენს წილს ვიღებდით. ვითომ უზრუნველად ვცხოვრობდი, მაგრამ...

— **თქვენი საუბრით ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ საქართველოში საფოსტო გზავნილებით ნარკოტიკები და იარაღი დღესაც შემოდის?**

— თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ ამ ვერსიამდე მივალთ. დღეს საქართველოში სახელმწიფო საფოსტო სტრუქტურებს მიზანმიმართულად აჩანაგებენ კომერციული სტრუქტურების სასარგებლოდ. სამწუხაროდ, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საქართველო სახელმწიფო ფოსტის გარეშე დარჩეს. გააუქმეს ფოსტისა და კავშირგაბმულობის სამინისტრო და იგი ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს შეუერთეს უსუსური, უუფლებო დეპარტამენტის სახით. სპეციალურად ხდება „საქართველოს ფოსტის“ ავტორიტეტის შელახვა და მისი გაკოტრება... შეიძლება რომელიმე კერძო საფოსტო ფირმა ახლაც მისდევდეს ამ საქმეს, გამორიცხული არაფერია.

— **თუ ახლაც ხდება უკანონო და აკრძალული ტვირთების ფოსტის მეშვეობით ტრანსპორტირება, არ გეშინიათ, რომ თქვენ ზედმეტი ლაპარაკისათვის დაგსჯიან?**

— არც ისეთი გულუბრყვილო ვარ. უსაფრთხოების ზომები მიღებული მაქვს, ჩემი ყოფილი პარტნიორებისაც არ მეშინია (ჩვენმა რესპონდენტმა დაზღვევის მექანიზმები არ გაგვიმხილა — ზ.ჩ.)...

ჩვენს რესპონდენტთან საუბრის შემდეგ თბილისის მთავარ ფოსტამტს ვეწვიეთ. ხელმძღვანელ პირთაგან არავინ დაგვხვდა და საფოსტო მომსახურების მთავარ სპეციალისტს, ქალბატონ **თინა დიდებულიძეს** გავესაუბრეთ:

— თბილისის მთავარ ფოსტამტში არაფერი იკარგება — არც უცხოეთიდან გამოგზავნილი და არც აქედან გაგზავნილი.

— **ჩვენ გვაქვს უამრავი დაზარალებული მოქალაქის წერილი, რომლებმაც ვერ მიიღეს უცხოეთიდან გამოგზავნილი ამანათები. გვაქვს ქვითრებიც, რომლებიც ადასტურებს, რომ ამანათები ნამდვილად თქვენი ფოსტის სახელზე გამოიგზავნა. იმავეს ადასტურებს გერმანიის ფოსტიდან მიღებული ოფიციალური წერილიც.**

— დავუძახებ საამანათო განყოფილების უფროს ინსპექტორს, **ნინო სალუქაშვილს** და ერთად მოვძებნოთ დაკარგული ამანათები (დიდხანს ვეძებეთ სპეციალურ ჟურნალში დაკარგული ამანათები, მაგრამ ვერას გავხდით. — ზ. ჩ.). აი, ხომ ხედავთ, ჩვენთან ამანათები არ შემოსულა...

— **თუ არსებობს ამანათის მოსაძებნი კიდევ სხვა მექანიზმი?**

— უნდა შეივსოს ფორმა № C-06 და ძებნა გამოგზავნის ადგილიდან უნდა დაიწყოს. ჯობს, შპს „საქართველოს ფოსტაში“ მიბრძანდეთ, იქნებ იქ იპოვოთ რამე. სხვათა შორის, ზოგჯერ გერმანელებს ეშლებათ და საქართველოში გამოსაგზავნ ბანდეროლებს შეცდომით ამერიკაში, ჯორჯიის შტატში აგზავნიან — საქართველო ჯორჯიის შტატში ეშლებათ.

ვისი ბრალია, რომ ამანათი იკარგება? ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ უამრავმა მოქალაქემ ვერ მიიღო უცხოეთიდან გამოგზავნილი ბანდეროლი, წერილი თუ საჩუქარი; ზოგიერთმა კი გაქურდული ამანათი მიიღო? ამ კითხვით შპს „საქართველოს ფოსტას“ მივმართეთ. რეკლამაციების ბიუროს უფროსმა, ქალბატონმა **ზოია ქსოვრელმა** გვითხრა: „რა თქმა უნდა, საჩივრები ჩვენთან შემოდის. ბევრი მოქალაქე ეძებს მის სახელზე საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ამანათებს, მაგრამ გზავნილები რომ იკარგება, დამნაშავე ჩვენ კი არა, უშუალოდ ამანათის გამომგზავნი ქვეყანაა. დასავლეთ ევროპის საფოსტო სამსახურები ცუდად მუშაობენ. არაფერს ვამბობ აშშ-ზე. რამდენი რეკლამაცია და თხოვნა გავუგზავნეთ ამერიკელებს დაგვხმარებოდნენ ამა თუ იმ გზავნილის მოძებნაში, მაგრამ პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალეს. იძულებული გავხდით, საერთაშორისო საფოსტო კავშირში, შვეიცარიაში გვეჩივლა. თითქოს ერთხანს მდგომარეობა გამოსწორდა, მაგრამ ახლა იგივე ხდება. „საქართველოს ფოსტა“ მხოლოდ მოსკოვის გავლით იღებს სხვადასხვა ქვეყნიდან გამოგზავნილ კორესპონდენციას. იქ კი საქართველოს სახელზე გამოგზავნილ ამანათებსა და ბანდეროლებს ძარცვავენ. ჩვენგან უცხოეთში გაგზავნილი კორესპონდენცია კი დაუბრკოლებლად აღწევს დანიშნულების ადგილამდე“.

სახელმწიფო ფოსტის თანამშრომლებთან საინტერესო საუბრის შემდეგ ჩვენ შევხვდით შპს „საქართველოს ფოსტის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს **აკაკი მხეიძეს**. მისი განცხადებით: „გეთანხმებით, რომ მძიმე მდგომარეობაა ჩვენს უწყებაში. ახლა ვეძებთ კრიტიკული სიტუაციის გამოსწორების გზებს. გაითვალისწინეთ, რომ ახალი დანიშნული ვარ და თქვენთან სასაუბროდ მზად არ გახლავართ. ჯობს, შპს „საქართველოს ფოსტის“ საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელს, გიორგი მუჯირიშვილს გაესაუბროთ.“ რჩევა ყურად ვიღეთ და „საქართველო ფოსტის“ სტრუქტურაში შემავალი „საერთაშორისო ფოსტის“ დირექტორს, **გიორგი მუჯირიშვილს** შევხვდით: „მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ საზღვარგარეთიდან, განსაკუთრებით კი მოსკოვის გავლით, საქართველოში გამოგზავნილი კორესპონდენციები იკარგება ან იძარცვება. ვერ გეტყვით, ეს შეგნებულად კეთდება თუ არა. დღეს ჩვენი მომსახურება ძალზე იაფი ღირს. ტარიფები სახელმწიფომ დაადგინა და მისი დარღვევა არ შეგვიძლია. მაგალითად, წერილის გაგზავნა საქართველოს ფარგლებში 50 თეთრს არ აღემატება, ხოლო საზღვარგარეთ გაგზავნა 2-3 ლარია. კომერციული ფირმები კი ერთი წერილის საზღვარგარეთ გაგზავნაში 30 დოლარს ითხოვენ. ასეთივე სხვაობაა ბანდეროლებისა და ამანათების გასაგზავნ ფასებში. რომ დარწმუნდეთ, შემიძლია ჩაგრთოთ იმ კომისიაში, რომელიც საზღვარგარეთიდან, მოსკოვის გავლით, იღებს და ამოწმებს კორესპონდენციებს“ (ამ წინადადებით ვისარგებლე და მეორე დღეს, როგორც კომისიის წევრი, მოსკოვიდან მიღებული კორესპონდენციის შემოწმებას დავესწარი.) დალუქული საფოსტო ტომრების აწონისას აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა ტომარას ორი-სამი კილოგრამი აკლდა. შედგა შესაბამისი აქტი. კომისიის წევრებთან ერთად გაიხსნა საფოსტო ტომრები და დავიწყეთ ამანათებისა და ბანდეროლების დათვალიერება. გიორგი მუჯირიშვილი მიხსნის: „საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ყველა ამანათი არ არის დალუქული. ხომ ხედავთ, სკოტჩით არის ყუთები გადაწებებული. ნებისმიერს შეუძლია გახსნას, რამე ამოიღოს და მერე ხელახლა გადააწებოს. არც ბეჭედი აქვს ყუთს. ერთი სიტყვით, დაუცველია. ჩვენ კი ყოველ ამანათს თეთრ ქსოვილში ვდებთ და ზედ რამდენიმე ლუქსაც ვადებთ. ასეთი ამანათი და ბანდეროლი ყოველთვის დაცულია. ახლა ბანდეროლები და წერილები ვნახოთ. ხედავთ, ეს წერილი გახსნილია. ეს ბანდეროლი კი სამართებლით არის გაჭრილი... შევადგენთ შესაბამის წერილს და რეკლამაციას და მოსკოვში გავაგზავნით, მაგრამ პასუხს ან მივიღებთ, ან არა“.

(გაგრძელება იხ. გვ 13)

CMYK

# სინამდვილეში ბიძინა ივანიშვილი არავისთან არ არის

## ღარიბი არ მეთქმის, მაგრამ ჩემზე მდიდრები ბევრნი არიან პოლიტიკაში



რას აპირებს თოფაძე ბაკურიანში? ამ საქმეში მისი პარტნიორი, როგორც ამბობენ, ცნობილი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი იქნება, რომელიც ბაკურიანის აღორძინებისთვის 60 მილიონი ევროს გაღებას გეგმავს.

რატომ დაინტერესდა ბაკურიანით მთავარი „მრეწველი" დღეს და რა ურთიერთობები აკავშირებს ცნობილ ბიზნესმენთან და ხომ არ არის ეს ყოველივე რამენაირად არჩევნებთან დაკავშირებული. ეს ის კითხვებია, რომლებიც საზოგადოებას აინტერესებს.

**— ბატონი გოგი, „კვირის პალიტრის" მკითხველმა ყველაზე მდიდარ პოლიტიკურ ლიდერად დაგასახელათ. ალბათ, სიმდიდრე ნამდვილად არ შეგიშლით ხელს არჩევნებში?**

— არ ვიცი, ხალხი როგორ გაიგებს ჩემს ნათქვამს, მაგრამ რაც მეტი მდიდარი იქნება საქართველოში, მით უკეთესია საზოგადოებისთვისაც და ქვეყნისთვისაც. სხვა საკითხია როგორ, რა გზით იქნება ის ქონება მოპოვებული. ღარიბი მართლაც არ მეთქმის, მაგრამ ჩემზე მდიდრები ბევრნი არიან პოლიტიკაში.

სიმდიდრე პოლიტიკოსის წარმატების საწინდარი ვერ იქნება, თუმც ფული და ის მეთოდები, რომლებსაც პოლიტიკაში იყენებენ, ბევრს წყვეტს. ვფიქრობთ, ხალხი ქონების კი არა, ჩვენი პოლიტიკური შეხედულებების გამო დაგვიჭერს მხარს.

**— ამბობენ, რომ ბაკურიანის პროექტის განხორციელებაში თქვენი პარტნიორი ბიძინა ივანიშვილი იქნება...**

— ადრეა ბაკურიანის პროექტთან ბიძინა ივანიშვილის დაკავშირება. მე და ბიძინა მეგობრები და ბიზნესპარტნიორები ვართ, მაგრამ ის პოლიტიკაში არ ერევა და არც ჩაერევა. თუმცა ბევრი ცდილობს მისი სახელი გამოიყენოს, — ბიძინა ჩემთან არისო. სინამდვილეში, ბიძინა ივანიშვილი არავისთან არ არის, ერთი გულმხურვალე ქართველია, რომელიც ჩუმად ეწევა ქველმოქმედებას. შარშან მე და ბიძინამ დავათვალიერეთ და გულდაგულ შევისწავლეთ ის ადგილი, სადაც ინვესტიციების განხორციელებას ვაპირებთ. გავეცანი მსოფლიოში ცნობილი ექსპერტების დასკვნებს ბაკურიანის შესახებ. პროექტის შესადგენად კანადელი და ავსტრიელი სპეციალისტები მოვიწვიეთ, გაკეთდება საბაგირო გზები... ქართველების ამბავი ხომ იცით? სანამ იდეის დონეზეა საქმე, მხარში არავინ გვიდგას, როცა დაინახავენ, საქმე დაიძრაო, მერე გაფაციცდებიან და ბევრი ბანკირი და ბიზნესმენი ჩაერთვება საქმეში. ზოგიერთს კი უნდა ამ პროექტში ჩართვა, მაგრამ ფულის გამოჩენის ეშინია და ამიტომ ყოყმანობს...

სამთო ტურიზმს საქართველოში უდიდესი პერსპექტივა აქვს. მთის კურორტი დიდი შემოსავლის წყაროა ქვეყნისთვის. ოფიციალური მონაცემებით, ევროპა 27 მლნ სამთო ტურისტს იღებს, მსურველი კი 80 მლნ-ია. ამიტომ ევროპელები ხან ჩილეში ჩადიან, ხან კანადაში, ხანაც ალასკაზე. საქართველო კი ახლოს არის, ამიტომაც აქვს მას დიდი პერსპექტივა. ბაკურიანში სამონადირეო მეურნეობის დაარსებასაც ვაპირებთ, საცხენოსნო ტურიზმს განვავითარებთ, ტაბაწყურში კოტეჯებს დავდგამთ და ტურისტებს თევზაობის საშუალებას მივცემთ. სტატისტიკის თანახმად, ზღვაზე დამსვენებელი კვირაში 420 დოლარს ხარჯავს, სამთო ტურისტი კი — 1350-ს. ბაკურიანში, ჩვენს კომპლექსში, 1.000 ტურისტი რომ მივიღოთ, კვირაში 1.300.000 დოლარი დარჩება საქართველოში... ტურისტული კომპლექსის მომსახურებისთვის საჭირო იქნება მეცხოველეობის ფერმის გაკეთება და ადგილობრივი მოსახლეობაც დასაქმდება.

**— ზემოთ თქვით, ბიძინა ივანიშვილი ჩემი ბიზნესპარტნიორიაო, არაერთი ერთობლივი პროექტი გვაქვსო. იქნებ დაგვიკონკრეტოთ რას გულისხმობდით?**

— ბიძინასთან ერთად „ძირულაჰესის" პრივატიზება მინდოდა. ეს 80 მეგავატის მწარმოებელი ჰესია. პროექტი გავამზადეთ, პრეზიდენტმა რეზოლუციაც დაადო, მაგრამ ამერიკელებმა თქვეს უარი. პრივატიზაციის პროექტი ითვალისწინებდა ჰესის რეკონსტრუქციას, მისი ვალების დაფარვასა და იმერეთის რამდენიმე რაიონის მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის უფასოდ მიცემას. ზოგიერთი ჰესი 1.000 ლარად არის პრივატიზებული, ჩვენ ოთუზბირი დაგვიფასეს, მაინც თანახმა ვიყავით, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მეც მინდოდა ყაზბეგში ჰესი ამეშენებინა. ამაზეც უარი თქვა „ეი-ი-ესის" კომისიამ. ერთი სიტყვით, ნებართვები ვერ მივიღეთ... ამ საკითხს რაო „ეეს როსიასთანაც" დავაყენებთ. რა, ქართველებს ჰესების აშენება და ამოქმედება აკრძალული გვაქვს?!

**— არაერთხელ გითქვამთ, მრეწველები პრეზიდენტთან დაპირისპირებულები ვართო, მაგრამ ბაკურიანში შევარდნაძის სტუმრობისას უფრო კეთილ მასპინძელს ჰგავდით...**

— მიგიხვდით კითხვის ქვეტექსტს... არ შეიძლება ყველაფრის პოლიტიზება.

ბაკურიანის პროექტზე მუშაობისას ბევრი პრობლემა შეგვხვდა, მაგრამ პრეზიდენტი მხარში ამოგვიდგა და გვითხრა, პრეზენტაციას უთუოდ დავესწრებიო. ვუთხარი, — თქვენი სტუმრობა ამ სამთო კურორტს მეტ პოპულარობას შეჰმატებს-მეთქი. პრეზიდენტის ბაკურიანში ჩამოსვლას პოლიტიკური საფუძველი არ აქვს. მის ეკონომიკურ გუნდსა და მის საკადრო პოლიტიკას მუდამ ვაკრიტიკებდით და კვლავაც გავაკრიტიკებთ...

**— ამბობენ, „ახლები" და „მრეწველები" საარჩევნოდ ერთიანდებიანო.**

— თუ ვინმესთან გავერთიანდებით, აუცილებლად „ახლებთანაც", მაგრამ ჯერჯერობით არ გადაგვიწყვეტია, კონსულტაციები ბევრ პარტიასთან გვაქვს. 20 სექტემბრამდე შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

*ზურაბ ჟვანია ძველ მეგობარს, მიხეილ სააკაშვილს კიდევ ერთხელ უწვდის ხელს... თუმც ზოგიერთის აზრით, შერიგების ეს სცენარი ჯერ კიდევ „ნაციონალებისა" და „დემოკრატების" „წაკიდებამდე" დაიწერა. ურწმუნოები კიდევ არაერთ საეჭვო ფაქტს ხედავენ „გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის ქმედებაში. მათი ეჭვების გაფანტვა და საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებზე პასუხი პარლამენტის ექსთავმჯდომარეს,* ***ზურაბ ჟვანიას*** *ვთხოვეთ:*

# არ ვაპირებ ვინმეს რამე დავაყვედრო...



გივი თარგამაძე ჩემი კონკურენტი ვერ იქნება

**ოპონენტების თვალის ასახვევი მანევრია, რომ 20 სექტემბერს, ძველი გეგმის თანახმად, თქვენს ბლოკს მიხეილ სააკაშვილი შეუერთდება.**

— სამწუხაროდ, ასეთი ჩანაფიქრი არ გვაქვს. მაგრამ მწამს, დიდ ოპოზიციურ გაერთიანებას შეუძლია წერტილი დაუსვას იმ უმსგავსობას, რაც დღეს ქვეყანაში მეფობს.

**— ცალკეულ საარჩევნო უბნებზე მაჟორიტარებისთვის „დემოკრატები" და „ნაციონალები" ერთმანეთის კონკურენტები ხართ. მაგალითად, საბურთალოს რაიონში თქვენ გივი თარგამაძესთან მოგიწევთ ბრძოლა.**

— მიკვირს, რატომ გადადგეს ეს ნაბიჯი „ნაციონალებმა". მათ იცოდნენ, ჩვენი გეგმები. ჩვენი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ეს არასწორი ნაბიჯი იყო. სხვა პარტიებთან შეთანხმების გარეშე არც ერთი მაჟორიტარის კანდიდატურა არ წამოგვიყენებია. გივი თარგამაძე კარგი ადამიანია, ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთს და გვისაუბრია. ის ჩემი მეტოქე ვერ იქნება. მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა თავისი მოძრაობა შექმნა, არ მახსოვს მას დახმარებისთვის მოემართოს და ჩვენ უარი გვეთქვას. ასეთი რამ არც მომავალში მოხდება. როდესაც ვინმესთან მეგობრობა გაკავშირებს და თანამოაზრედ მიიჩნევ, პოლიტიკური კონიუნქტურის გამო ამ ურთიერთობას ხაზს არასოდეს გადაუსვამ.

რაიმის დათმობა თუ შემეძლო, დავთმე. დავთმე იმ ხალხისთვის, რომლებიც ჩემი მოწვევით არიან დღეს პოლიტიკაში. ვამაყობ, რომ ჩემი ხელშეწყობით გახდნენ ისინი დამოუკიდებელი პოლიტიკური ლიდერები და არ ვაპირებ, ვინმეს რამე დავაყვედრო.

**— მაგრამ თქვენი უანგარობის მიღმა, ბევრი უდიდეს ანგარებას ხედავს. საზოგადოება ფიქრობს, რომ ბურჯანაძის წინ წამოწევას კონკრეტული ჩანაფიქრი უძღოდა.**

— რა თქმა უნდა, გვქონდა ჩანაფიქრი. საზოგადოებას სამართლიანად აქვს კითხვები ჩემი და ჩემი იმ მეგობრების მისამართით, რომლებიც „მოქალაქეთა კავშირის" სათავეში ვიდექით. შეიძლება, საათობით ვამტკიცოთ ჩვენი უდანაშაულობა, მაგრამ ბევრად უკეთესია, წინა პლანზე იყვნენ ის ადამიანები, რომელთა მიმართ ნაკლები კითხვა ჩნდება და ნდობაც ბევრად მეტია. დავიღალე აბსურდული ეჭვების გაფანტვით. არაერთი ისეთი ნაბიჯი გადამიდგამს, რომელიც არავის გადაუდგამს პოლიტიკაში. ვისაც აქვს თვალი, ის დაინახავს, ვისაც აქვს ყური, ის გაიგონებს და ვისაც არც ერთი აქვს და არც მეორე, ეს ჩემი პრობლემა არ არის. ზედმეტი ეჭვიანობა ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის სენია. ასეთებს თავი იმაზე ჭკვიანებად მიაჩნიათ, ვიდრე სინამდვილეში არიან, ყველაფერში ხლართებსა და ქვედინებებს ეძებენ. ჩემთვის მიუღებელია სიტყვების რახარუხი, საქმით გამოვხატავ ჩემს მისწრაფებებს და თუ ვინმეს ეს არ სჯერა, რა ვქნა?..

— დაუშვებელი და ხალხისთვის შეურაცხმყოფელია, რომ ოპოზიციამ ერთმანეთთან კინკლაობა და დავა დაიწყოს. ბევრი ოპოზიციური ლიდერისთვის სასაყვედურო მაქვს იმის გამო, რომ ჩაიშალა დიდი ოპოზიციური გაერთიანება, რომლის შესაქმნელად ექვსი თვე ვიმუშავე. ყველა დათმობაზე წავედი, მაგრამ... აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი. იმიტომ კი არა, რომ სათქმელი არ მაქვს, არამედ იმიტომ, რომ ვიცი, მოსახლეობისთვის ამაზრზენია, როდესაც პოლიტიკოსები მათი პრობლემების მოგვარების ნაცვლად, თავიანთი საქმის გარჩევით არიან დაკავებულნი.

**— რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ეჭვები, რომლებიც თქვენი თანაგუნდელების მისამართით გამოითქვა?**

— ვიცნობ ბევრ ადამიანს სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიაში, რომლებზეც, განსაკუთრებით კი მათი ბოლოდროინდელი საქმიანობის გამო, არსებობს სერიოზული ეჭვები, მაგრამ ამაზე ლაპარაკს არ ვაპირებ... დავით სალარიძეს აქვს უდიდესი პროფესიული გამოცდილება. ფაქტობრივად, მან ჩამოაყალიბა საქართველოში საგადასახადო სამსახური, მისი ხელმძღვანელობის დროს გააათმაგა ამ სამსახურმა საბიუჯეტო შემოსავლები. მას მცირე და საშუალო ბიზნესის უამრავი წარმომადგენელი უჭერს მხარს და ეს იყო უმთავრესი ნინო ბურჯანაძისთვის. მომწონს მისი პოზიცია — კარს უხსნის ყველას, ვისაც თავისი პროფესიონალიზმით და გამოცდილებით შეუძლია გამოიყვანოს ქვეყანა კატასტროფული მდგომარეობიდან.

**— მიხეილ სააკაშვილს „კვირის პალიტრისთვის" არც დაუმალავს, რომ სალარიძის წასვლის შემთხვევაში, თავის მეგობრებთან გუნდში ყოფნის სურვილი აქვს...**

— ვფიქრობ, ეს პრობლემა თავისი განცხადებით უკვე მოაგვარა დავით სალარიძემ. აუცილებლად შევხვდები მიშას და თუ ის ამისთვის მართლაც მზად არის, ჩვენს გაერთიანებას წინ არაფერი აღუდგება.

**— ანუ სალარიძესა და სააკაშვილს შორის გააკეთებთ არჩევანს?**

— ამ შემთხვევაში თვით დავით სალარიძემ დაიკავა სახელმწიფოებრივი პოზიცია. რად უნდა ამას მარჩიელობა... ჩვენი კარი ღიაა და უპირველესად, მიხეილ სააკაშვილისთვის.

**— ამბობენ, რომ „ნაციონალებისა" და „დემოკრატების" ცალკე ყოფნა**

*საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ნაციონალები" და „დემოკრატები", ჯერჯერობით, ცალ-ცალკე აპირებენ არჩევნებზე წასვლას. ამასობაში კი მათი გზები არცთუ სასიამოვნოდ გადაიკვეთა. თბილისის რამდენიმე რაიონში ჟვანიასა და სააკაშვილის მომხრეები კონკურენტები არიან. მართლა აპირებენ ორთაბრძოლას ძველი მეგობრები თუ ჟვანია-სააკაშვილის მომხრეების დაპირისპირება მხოლოდ წინასაარჩევნო ფარსია, ამის გარკვევა ნაციონალების საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატთან,* ***გივი თარგამაძესთან*** *ვცადეთ, რომელსაც ყველაზე სერიოზული მოწინააღმდეგე შეხვდა — პარლამენტის ექსსპიკერი ზურაბ ჟვანია.*

— ბატონ ზურაბს უთქვამს, გაღიზიანებული ვარ, რომ საბურთალოზე გივი თარგამაძე იყრის კენჭს. ხომ იცოდა, ამ რაიონში მაჟორიტარობას მე რომ ვაპირებდიო. გაუგებარია ასეთი შეფასებები. გულთმისანი ხომ არ ვარ, გამოვიცნო, ვინ რას ფიქრობს და შესაბამისად მივიღო გადაწყვეტილება.

საბურთალოზე კენჭს შარშანაც ვიყრიდი და გავიმარჯვე კიდეც. ეს სასამართლომაც დაადასტურა, უბრალოდ, ცესკოს „გაუჭირდა" ამის აღიარება. ამიტომ ნოემბერში კიდევ ერთხელ ვეცდები ჩემი სიმართლე დავამტკიცო. ისე კი, არ მაინტერესებს, ვინ ფიქრობს საბურთალოს რაიონში მაჟორიტარობას და ვინ — არა.

**— ანუ ზურაბ ჟვანიას კონკურენტობა უხერხულობას არ შეგიქმნით?**

— პირიქით, სხვებს უნდა შეექმნათ უხერხულობა. ორი წელია საბურთალოში ვმუშაობ და ჩემს უკითხავად რატომ მიიღეს გადაწყვეტილება ამ რაიონში ეყარათ კენჭი? კარგი იქნება, თუ ამ პოლიტიკურ ძალასთან შევძლებთ განსაზღვრული პრინციპებით თანამშრომლობას და არ მგონია, მსგავსი განცხადებები საქმეს წაადგეს. თუ ურთიერთგაგებაზეა ლაპარაკი, ეკითხათ მაინც ჩემთვის, — რას აპირებო. ამის ნაცვლად, უაპელაციოდ აცხადებენ — როცა ჩვენ ვგეგმავთ საბურთალოში კენჭისყრას, თქვენ როგორ გაბედეთ ამაზე ფიქრიო. ასეთი ტონით ლაპარაკი მიუღებელია ჩემთვის. პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ჩემი კონკურენტი. აუცილებლად ვიყრი საბურთალოზე კენჭს, რათა კიდევ ერთხელ დავადასტურო შარშანდელი ჩემი 10.500 ამომრჩევლის გამარჯვება და იმ ხალხის მხარდაჭერაც მოვიპოვო, რომლებსაც შარშან არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცათ.

ჩემი განცხადება „ნაციონალებისა" და „დემოკრატების" დაპირისპირებად არ უნდა აღიქვას ვინმემ. მაჟორიტარი კანდიდატი ვარ და შემიძლია კერძო, სუბიექტური დამოკიდებულება მქონდეს, თუნდაც ზურაბ ჟვანიას განცხადებების მიმართ.

ძალიან ბევრი გავაკეთეთ იმისთვის, რომ შექმნილიყო ოპოზიციური პარტიების დიდი კოალიცია, სადაც იქნებოდნენ „ახლებიც", ლეიბორისტებიც და სხვა პარტიებიც და არა მხოლოდ სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის გაერთიანება, რომელიც უთუოდ დაემსგავსებოდა „მოქალაქეთა კავშირის" ერთი ნაწილის აღდგენას. სამწუხაროდ, დიდი გაერთიანება არ შედგა. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ — ჩემი საქმიანობის სფერო ანტიკორუფციული მოღვაწეობაა. თუ ჩემ გვერდით, ჩემს ბლოკში იქნებიან სალარიძისნაირი კორუმპირებული ადამიანები, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, აუცილებლად მივადგები რომელიმე მათგანის ბიზნესს და რა გამოვა?! მომიწევს ხელი ავიღო ანტიკორუფციულ საქმიანობაზე იმიტომ, რომ თუ თანაგუნდელობის გამო ვიღაცას დავინდობ, მერე ვეღარავისზე ავიმაღლებ ხმას. და მთავარი, — ადამიანები, რომელთაც ბიზნესს შევარდნაძის რეჟიმის დროს მიჰყვეს ხელი, პრეზიდენტს ვერასოდეს დაუპირისპირდებიან. ჩვენი გაერთიანების აზრი და მიზანი იყო, ერთიანი ძალით დაგვემარცხებინა შევარდნაძე. თუკი დავალებული ხალხი პრეზიდენტს ვერ დაუპირისპირდება, ცხადია, ისინი ჩვენთვის ტვირთად იქცევიან და დაგვამუხრუჭებენ. აი, სწორედ ამიტომ არ შედგა ეს გაერთიანება. ძალზე არაგულწრფელი იყო სალარიძის განცხადება, — რაკი ნაციონალებისა და დემოკრატების გაერთიანებას ხელს ვუშლი, ბლოკს დავტოვებო. თუ მართლაც ფიქრობდა ამის გაკეთებას, რატომ არ წავიდა?!

**— დასასრულ, მინდა შეაფასოთ ცესკოს დადგენილება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ.**

— ამ ამაზრზენი დადგენილების წინააღმდეგ უკვე შევიტანეთ სასამართლოში სარჩელი. ეს ცესკოს კუდის უკანასკნელი ბოროტი გაქნევაა. მჯერა, ჩვენი სარჩელი დაკმაყოფილდება და გავიმარჯვებთ. ამ უმსგავსობის ერთ-ერთი ავტორი, ზაქარია ქუცნაშვილი თავისი პოზიციების გასამყარებლად ვითომ ევროსაბჭოს რეკომენდაციებს იშველიებს. მისი სიტყვები იმდენად შორს არის სიმართლისგან, როგორც თავად ზაქარია ქუცნაშვილი ჩინეთის იმპერატორის ტახტისგან.

ცესკოს დადგენილება, ფაქტობრივად, ზღუდავს არა მხოლოდ მედიის თავისუფლებას, მოქალაქის უფლებასაც, მიიღოს ობიექტური ინფორმაცია. ეს არის ხელისუფლების დაუფარავი მცდელობა, წინასაარჩევნოდ პრესაზე კონტროლი დააწესოს...

# სალარიძე თუ მართლა ფიქრობდა წასვლას, რატომ არ წავიდა?



დავალებული ხალხი პრეზიდენტს ვერ დაუპირისპირდება და ჩვენ დაგვამუხრუჭებენ

*მოამზადა*
***იზო რიკაძემ***

# ქართველები ომის წინა ხაზზე

## ერაყში ქართველი სამხედროები პარტიზანული ომის შუაგულში აღმოჩნდნენ



ქართველი მენაღმეები ერაყში გამგზავრების წინ. მარცხნიდან პირველი ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა შავგულიძეა

ერაყში ქართული სამხედრო სამშვიდობო კონტინგენტის გამგზავრებისადმი მიძღვნილი სტატია შემდეგი სიტყვებით დავიწყეთ — ამიერიდან ერაყში თავიანთი შვილების ბედზე მარტო ამერიკელი კი არა, ქართველი დედებიც ინერვიულებენო.

სამწუხაროდ, მათ მართლაც მიეცათ ამის საბაბი. 19 აგვისტოს ბაღდადის გრანდიოზულმა ტერორისტულმა აქტმა დაანგრია ერაყში გაეროს წარმომადგენლობის შენობა. საბედნიეროდ, ეს ქართველებს არ შეხებიათ, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ, 21 აგვისტოს, მაინც მოხდა ინციდენტი, რის შედეგადაც დაიჭრა ოთხი ქართველი ოფიცერი.

ყველაზე დიდი ალბათობა ამისა, ჰქონდათ მესანგრეებს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო პროფესიის წარმომადგენლებს და სინამდვილეშიც ასე მოხდა.

21 აგვისტოს, ქ. თიქრიტში დისლოცირებული მე-4 ამერიკული ქვეითი დივიზიის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაურმა (ჩვენი 15-კაციანი მესანგრეთა ჯგუფი სწორედ ამ ბატალიონის დაქვემდებარებაშია) ქართველ მესანგრეებს, ერაყული საბრძოლო მასალების გაუვნებლება უბრძანა. სატვირთო ავტომობილით ამგვარი საშიში ტვირთის გადატანის შედეგად მოხდა უეცარი აალება. ოთხმა ქართველმა ოფიცერმა მიიღო სხვადასხვა ხარისხის დამწვრობა.

ყველაზე მეტად ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა შავგულიძე დაზარალდა. ბაღდადიდან თავდაცვის სამინისტროში გამოგზავნილი შეტყობინების თანახმად, გოჩა შავგულიძე 25 აგვისტოს ჯერ კიდევ ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყო მიერთებული. მან მიიღო ტრაქეისა და ბრონქების ზედაპირული დამწვრობა (გაუკეთდა ბრონქოსკოპია), აგრეთვე ორივე მტევნის მე-2-3 ხარისხის დამწვრობა, მაგრამ, საბედნიეროდ, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

მაიორმა კახა ჯიქიამ ორივე წინამხრისა და ხელის მტევნების მე-2 ხარისხის დამწვრობა მიიღო; დაახლოებით ამგვარი დაზიანება მიიღეს კაპიტანმა გიორგი ჯანელიძემ და მაიორმა ფრიდონ სოფრომაძემ. მათ სიცოცხლესაც აღარაფერი ემუქრება.

ის, რომ ქართველმა ოფიცრებმა მხოლოდ დამწვრობები მიიღეს, იმაზე მეტყველებს, რომ აალებას ნაღმის ან ჭურვის აფეთქება არ მოჰყოლია.

დაზარალებული ქართველი სამხედროები ქუვეითში გადაიყვანეს. იქიდან გერმანიაში, სამხედრო ჰოსპიტალში უპირებდნენ გაგზავნას, მაგრამ შემდეგ არჩევანი აშშ-ის ტეხასის შტატში არსებული დამწვრობის ცენტრზე შეჩერდა, იქ შესაძლოა ყველაზე ძალიან დაზარალებული, ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა შავგულიძე გააგზავნონ.

ერაყში მომხდარი ინციდენტის შემდეგ ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, — ქართველ მენაღმეებს არ გააჩნიათ სათანადო ცოდნაო. ეს მტკნარი სიცრუეა, რადგან ამ სტატიის ავტორი თავად არაერთხელ ყოფილა მოწმე იმისა, თუ როგორ იღებდა მაშინ უფროსი ლეიტენანტი გოჩა შავგულიძე სეპარატისტების მიერ ჩადგმულ ნაღმებს ჯერ ცხინვალის მიმდებარე ქართული სოფლების შარაგზებიდან, ხოლო შემდეგ აფხაზეთში. ასობით გაუვნებლებული ნაღმი თუ „სიურპრიზი“ არ ნიშნავს პროფესიონალიზმს?

უბრალოდ, მენაღმის პროფესია მუდმივად ექსტრემალურ სიტუაციებთანაა დაკავშირებული. ტყუილად როდი ამბობენ, მენაღმე მხოლოდ ერთხელ ცდებაო!..

# შესრულდა თუ არა საგაზაფხულო გაწვევის გეგმა სამხედრო ძალებში?

საქართველოს სამხედრო ძალებში საგაზაფხულო გაწვევა გასულ კვირას დამთავრდა. საგაზაფხულო კი ერქვა, მაგრამ სინამდვილეში 27 მაისიდან 27 აგვისტომდე გაგრძელდა და უფრო საზაფხულოს სახელს იმსახურებდა.

ეს იყო პირველი ექსპერიმენტი, როდესაც სამხედრო ძალებში წვევამდელთა გაწვევას არა სამხედრო კომისარიატები, არამედ გამგეობებთან არსებული სამოქალაქო სტრუქტურები ხელმძღვანელობდნენ.

გაწვევის შედეგებით უკმაყოფილო დარჩა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი — თუ არ ჩავთვლით კონტრაქტით მომსახურეებს, შეიარაღებული ძალები მხოლოდ 45%-ითაა დაკომპლექტებული.

გენშტაბის უფროსის ამ განცხადებამ უკმაყოფილება გამოიწვია სახელმწიფო კანცელარიაში, სადაც განთავსებულია საქართველოს პრეზიდენტთან არსებული რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის სამხედრო სამსახურში გაწვევის საკოორდინაციო განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობდა საგაზაფხულო გაწვევას.

ამ განყოფილების უფროსმა, ბატონმა **კობა ულრელიძემ** „კვირის პალიტრას“ განუცხადა:

— თუკი შარშან, შემოდგომაზე, სამხედრო კომისარიატებმა მხოლოდ 4.212 ახალგაზრდა გაიწვიეს (ამ რიცხვში 200-ლარიანი მოსაკრებლის გადამხდელებიც შედიან), წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 8 ათასამდე ავიყვანეთ. შემახვედრეთ გენშტაბის უფროსი და დავუმტკიცებთ, რომ ჩვენ ყველანაირად, მათ შორის იურიდიულადაც, მართლები ვართ. სხვა თუ არაფერი, განა თავად თავდაცვის მინისტრს, ბატონ დავით თევზაძეს არ უნდოდა, რომ რაც შეიძლება მეტ წვევამდელს გადაეხადა 200-ლარიანი მოსაკრებელი, რაც ჯარს არასაბიუჯეტო შემოსავალს გაუზრდიდა?! მაშინ რას გვემართლება გენშტაბის უფროსი?

გაწვევის ბოლოს ამგვარი სურათი იხატება: სულ გეგმის მიხედვით, სავალდებულო სამხედრო სამსახურში 7.651 ახალგაზრდა უნდა გაეწვიათ. გაწვეულია 5.270 კაცი, ხოლო 2.519-მა კი 200-ლარიანი სამხედრო მოსაკრები გადაიხადა, რომელიც მათ ერთი წლით გადაუვადებს ჯარში გაწვევას.

გამოდის, რომ ბატონი კობა ულრელიძე აბსოლუტურად მართალია, რადგან მათმა სამსახურმა მართლა გაართვა თავი საქმეს და გეგმასაც კი გადააჭარბა, რაც თითქმის დაუჯერებელია ბოლო წლებში მიმდინარე გაწვევის პროცესების მუდმივი ჩავარდნების ფონზე.

მაგრამ არც გენშტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი წუწუნებს ტყუილად — თავდაცვის სამინისტროს საგაზაფხულო გაწვევის შედეგად 4.280 ჯარისკაცი უნდა მიეღო, რეალურად კი მხოლოდ 2.556 ახალგაზრდა გამოცხადდა. არადა რამდენიმე ათას ჯარისკაცს დემობილიზაცია უწევს. ჯარისკაცთა დანაკლისის გამო შეუძლებელი გახდება არა მარტო ეფექტიანი საბრძოლო სწავლების პროცესის ჩატარება, არამედ რიგითები ყაზარმებში მედღეურებად დასაყენებლად და ყარაულში გასაშვებადაც აღარ იქნება საკმარისი.

ასე რომ, გასაგებია გენშტაბის უკმაყოფილება, მაგრამ არც ისაა დასავიწყებელი, რომ 200-ლარიანი მოსაკრებლით თავმოყრილი თანხის დიდი ნაწილი იმავე თავდაცვის სამინისტროს არასაბიუჯეტო ანგარიშზე შედის. ნუთუ თავდაცვის სამინისტრო ამ ფულს „უმალავს“ გენშტაბს?

შეიარაღებული ძალების გენშტაბის მსგავსად, უკმაყოფილება სამხედრო ძალების სხვა სტრუქტურებმაც შეიძლება განაცხადონ. შინაგან ჯარებში 2.140 ახალწვეულის ნაცვლად 1.256 მოხვდა, სასაზღვრო ძალებს 1.100-ის ნაცვლად 906 შეემატა. ისინი თავს იმითღა ინუგეშებენ, რომ იმედი აქვთ, 200-ლარიანი მოსაკრებლის საერთო თანხიდან წესით თავის კუთვნილ პროცენტს მიიღებენ. შარშან მთელი მოსაკრებლის 80% თავდაცვის სამინისტროში წავიდა, დარჩენილი 20% კი — სახელმწიფო ბიუჯეტში.

სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა 187 წვევამდელი მიიღო, უშიშროების სამინისტრომ — 75, ხოლო დაზვერვის დეპარტამენტმა გეგმას, 56 კაცს გადააჭარბა — იქ 60 ახალგაზრდა მიიღეს.

ამ მხრივ ამ სამ სტრუქტურას საწუწუნო მართლაც არაფერი აქვს, პირიქით, დიდი საქმის „ჩაწყობები“ მიდის, რომ როგორმე მავანთ მოახერხონ შვილის ან ნათესავის იქ გამწესება. თავდაცვის სამინისტროს, შინაგანი თუ სასაზღვრო ჯარების რიგითებისა და სერჟანტებისგან განსხვავებით, იქ მომსახურე ჯარისკაცები სამორიგეოდ სამ დღეში ერთხელ გამოდიან, შინ ათევენ ღამეს და ხელფასსაც იღებენ.

როგორც ჩანს, 200-ლარიანი მოსაკრებლის პრინციპის ამუშავებამ შეიძლება სახელმწიფო ბიუჯეტს მართლაც შემატა ის თანხები, რომლებიც მანამდე სამხედრო კომისარიატების მოხელეების ჯიბეებში „იძირებოდა“, მაგრამ გაჩნდა ახალი პრობლემა — რა მოხდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს გეგმით გასაწვევი 7-8 ათასი ახალგაზრდიდან ყველა 200 ლარს გადაიხდის?!



სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი“
უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით

- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- ჩხვლეტის გარეშე
- უმტკივნეულოდ
- სწრაფად
- გარანტირებული ეფექტით

მის: კოსტავას 63
☎ 25 27 09

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის
თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი
გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:
1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა–ლიტერატურა,
4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
10. ფიზიკა და მათემატიკა, 11. ქიმია და ბიოლოგია,
12. ისტორია და რელიგიის ისტორია, 13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.
თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი
საბუთები მიიღება 10-17 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2
(ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

# კიდევ ერთი „ამერიკული“ ბატალიონი

## „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა მოქმედებაში



უკვე ტრადიციად ქცეული პროცესი არც 30 აგვისტოს დილას დარღვეულა. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, კვლავ საზეიმო ვითარებაში გამოშვებული იქნა კონტრაქტით აყვანილი ქართველი სამხედროების მესამე დანაყოფი — მე-11 ბრიგადის 113-ე „შავნაბადას“ ბატალიონი, რომელმაც სამთვიანი მომზადება გაიარა კრწანისის სამხედრო პოლიგონზე, „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში.

ისევე, როგორც „კომანდო“-სა და ეროვნული გვარდიის საჩხერის მე-16 სამთომსროლელთა ბატალიონის გამოშვებისას, სამხედროებს სწავლების დამთავრება სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა — პრეზიდენტმა მიულოცა. მის გვერდით, ტრიბუნაზე, ტრადიციისამებრ, აშშ-ის ელჩი საქართველოში და უცხო ქვეყნების სამხედრო ატაშეები იდგნენ. ტრადიცია მოულოდნელად დაარღვია რესპუბლიკის მოედნის თავზე გამოჩენილმა ამერიკელების ნაჩუქარმა სამმა UH-1H „იროკეზის“ ტიპის შვეულმფრენმა და ბევრს მიანიშნა — ამერიკა ქართველებს მარტო ხმელეთზე კი არა, ჰაერშიც გეხმარებათო.

„წვრთნისა და აღჭურვის“ ამერიკულ-ქართული პროგრამა, წესით, 2004 წლის მაისში უნდა დამთავრდეს, მას შემდეგ, რაც მომზადდება რიგით მეოთხე დანაყოფი — თავდაცვის სამინისტროს 111-ე თელავის ბატალიონი.

# ფოთს უცხოურმა ხომალდებმა „მიაკითხეს“

გასულ კვირას, საქართველოს საზღვაო ქალაქ ფოთში დიდი სტუმრიანობა იყო — ხუმრობა როდია, შავი ზღვის ხუთივე ქვეყნის — რუსეთის, უკრაინის, ბულგარეთის, რუმინეთისა და თურქეთის სამხედრო ხომალდების ვიზიტი! ასეთი სერიოზული საზღვაო არმადა Black Sea Force-2003 საერთაშორისო საზღვაო სწავლების ეგიდით ზაფხულის მიწურულს შავი ზღვის ყველა ქვეყნის თითო-თითო პორტს ეწვია და ყოველი მათგანის აკვატორიასთან ორ-ორი დღე დაყო. ეს საზღვაო ლაშქრობა 3 აგვისტოს, ბულგარეთში დაიწყო. მისი მთავარი ამოცანაა, ზღვაში ანტიტერორისტული და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ წლეულს ამ სწავლების გაერთიანებულ შტაბს ჩვენი თანამემამულე, საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალების სარდლის პირველი მოადგილე, მეორე რანგის კაპიტანი ზაზა ერქვანია ხელმძღვანელობს. გაისად ეს სწავლება ფოთში დაიწყება.

წლეულს სწავლებაზე ქართული მხარიდან, მისი საზღვაო ძალების ფლაგმანი, სარაკეტო ხომალდი „თბილისი“ მონაწილეობდა, რომელიც, მართალია, ტონაჟით ჩამორჩებოდა რუსულ თუ თურქულ სადარაჯო ხომალდებს, მაგრამ სისწრაფით მათ ყოველთვის ჯაბნიდა.

# „კურსკის“ ტრაგედია 3 წლის შემდეგ მეორდება!



30 აგვისტოს ბარენცის ზღვაში რუსეთის მორიგი ატომური წყალქვეშა ნავი ჩაიძირა

30 აგვისტოს, დილაუთენია, ბარენცის ზღვაში ჩაიძირა რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ძალების ჩრდილოეთის ფლოტის ატომური წყალქვეშა ნავი.

ფაქტობრივად, გამეორდა სამი წლის წინანდელი ტრაგედია — 2000 წლის 14 აგვისტოს ამავე ზღვაში ტრაგიკულად დაიღუპა ატომური წყალქვეშა ნავი Курск-ი და მისი 118-კაციანი ეკიპაჟი.

ამჯერად მსხვერპლი, საბედნიეროდ, ბევრად უფრო ნაკლებია — ჯერჯერობით, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 7 მეზღვაური. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ბარენცის ზღვის ცივ წყალში ადამიანი მხოლოდ 30-40 წუთიღა გაძლებს, მათი ბედი ალბათ უკვე გარკვეულია. წყლიდან ამოყვანილი სამი მეზღვაურიდან მხოლოდ ერთის გადარჩენა მოხერხდა.

კატასტროფის დროს 627A პროექტის ატომურ წყალქვეშა ნავ K-159-ზე სულ ათი მეზღვაური იმყოფებოდა, რადგან ნავი საზღვაო ბუქსირს გრემიხის ნავსაყუდლიდან (რომელიც მურმანსკის აღმოსავლეთით, 400 კმ-ზეა) ქ. პოლიარნისკენ მიჰყავდა, სადაც მისი ატომური რეაქტორებიდან აქტიური ზონები უნდა ამოეღოთ შემდგომში მათი უტილიზაციის მიზნით.

**ჩვენი დოსიე: 627A პროექტის ატომური წყალქვეშა ნავი ტაქტიკური ნომრით K-159, ზღვაში ჯერ კიდევ 1963 წელს ჩაუშვეს. მისი სიგრძე 107 მ-ს, ხოლო სიგანე 8 მ-ს აღემატებოდა. ნორმალური წყალწყვა 3.101 ტონა იყო. შეეძლო ჩაეყვინთა მაქსიმალურ, 300 მ სიღრმეზე და წყალქვეშ 30 კვანძი განევითარებინა, წყლის ზედაპირზე კი მხოლოდ ამის ნახევარი სიჩქარით დაცურავდა. ნავის ეკიპაჟი 110–კაციანი იყო.**

ატომურმა წყალქვეშა ნავმა მსოფლიო ოკეანეების სხვადასხვა აკვატორიაში მოასწრო 9 ავტონომიური ცურვის განხორციელება და საბრძოლო ამოცანების შესრულება. 1989 წლის 30 მაისამდე ანუ ჩრდილოეთის ფლოტის შემადგენლობიდან გამოყვანამდე, K-159-მა გაცურა 212.618 საზღვაო მილი.

ამჟამად კუნძულ კილდინთან, საიდანაც სამ მილში, 170 მ-ის სიღრმეზე ჩაიძირა K-159, მიმდინარეობს საძიებო-სამაშველო სამუშაოები, რომელშიც მონაწილეობს ორი სამაშველო ხომალდი და ორიც — თვითმფრინავი. ტრაგედიის ადგილზე ჩაფრინდნენ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალი, ფლოტის ადმირალი ვლადიმირ კუროედოვი, სხვა მაღალჩინოსანი ოფიცრები და მთავარი სამხედრო პროკურატურის წარმომადგენლები.

რუსეთის ოფიციოზი, მართალია, ვეღარაფერს გამოასწორებს, მაგრამ თავს მაინც იმშვიდებს — ჩაძირული ატომური წყალქვეშა ნავის ორივე რეაქტორი დიდი ხანია გაჩერებულია, ხოლო იარაღი (მათ შორის ბირთვულქობინიანი ტორპედოებიც) მასზე საერთოდ არ იყოო.

**ჩვენი დოსიე: ოკეანეებსა და ზღვებში დღემდე შვიდი ატომური წყალქვეშა ნავი იყო ჩაძირული, მათგან ორი ამერიკული („ტრეშერი“ და „სკორპიონი“) და ხუთი საბჭოთა (K-8, K-219, K-278 Комсомолец-ი, Курск-ი და K-27). ხუთივე საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავი, ისევე როგორც 30 აგვისტოს ჩაძირული K-159, ჩრდილოეთის ფლოტს ეკუთვნოდა. ამ ხუთიდან ოთხი — ავარიის შემდეგ დაიღუპა, ერთი კი — K-27 კრემლის გადაწყვეტილებით ჩაძირეს, რადგან მისი აღდგენა დიდ თანხებს მოითხოვდა.**

პირველი ატომური წყალქვეშა ნავი K-8 საბჭოთა სამხედრო ფლოტმა 1976 წელს დაკარგა ბისკაის სრუტეში, დაიღუპა 52 ადამიანი. 1986 წლის ოქტომბერში, ატლანტის ოკეანეში, ბერმუდის სამკუთხედის ჩრდილოეთით ჩაიძირა სტრატეგიული ატომური წყალქვეშა ნავი K-219, რომელსაც ამერიკაზე დამიზნებული 16-ბირთვულქობინიანი ბალისტიკური რაკეტა ჩაჰყვა ფსკერზე. დაიღუპა 4 მეზღვაური, დანარჩენების გადარჩენა მოხერხდა. 1989 წლის აპრილში კი ნორვეგიის ზღვაში რამდენიმესაათიანი ხანძრის შედეგად ჩაიძირა ატომური წყალქვეშა ნავი K-278 Комсомолец-ი. ამ უბედურებას 42 კაცი ემსხვერპლა. სამწუხაროდ, ნავის მე-7 ნაკვეთურში წყალქვეშ გაჩენილ ხანძარს ვერ გადაურჩა ჩვენი თანამემამულე, უფროსი მატროსი ბუხნიკაშვილი. მან დაგმანა ნაკვეთურის ჰერმეტიული კარები, ცეცხლს სწრაფი გავრცელების საშუალება არ მისცა, თორემ მსხვერპლი უფრო დიდი იქნებოდა.

ზღვის ფსკერიდან უკვე ამოიღეს კიდევ ერთი, ტრაგიკულად დაღუპული რუსული ატომური წყალქვეშა ნავი Курск-ი. K-159-ის ამოღება არც ისე იოლი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ იგი Курск-ზე 8-ჯერ ნაკლებს იწონის. სამაგიეროდ, იგი 170 მ სიღრმეშია ჩაძირული, რაც Курск-ის ფსკერთან შეხების ნიშნულზე 60-70 მ-ით მეტია.

# გენშტაბმა საკუთარი აკადემია გახსნა

## ქართველ მაღალი რანგის ოფიცრებს აკადემიის დამთავრება სამშობლოშიც შეეძლებათ

30 აგვისტოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის პირველ კორპუსს ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ეწვია პრეზიდენტის მეთაურობით — ისინი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის სრული მასშტაბით ამოქმედების დაწყებას დაესწრნენ.

— გენშტაბის აკადემია პირველი სამხედრო-სამეცნიერო და სასწავლო ცენტრია საქართველოში, სადაც ოპერატიულ-სტრატეგიულ დონეზე მომზადდება უფროს და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობა სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობის სპეციალობით, — განაცხადა ამ აკადემიის პრეზიდენტმა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა, გენერალ-მაიორმა **ელგუჯა მეძმარიაშვილმა**.

ასე რომ, საქართველოში გაიხსნა ნამდვილი სამხედრო აკადემია (დღემდე არსებულ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში კურსანტებს ამზადებენ ოფიცრის პირველადი წოდების მისაღებად), რომელშიც ყოველწლიურად მხოლოდ 10-15 ოფიცერი ისწავლის და ისიც მხოლოდ პოლკოვნიკისა და გენერლის ჩინისანი.

ფაქტობრივად, ჩნდება შესაძლებლობა, უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობამ უმაღლესი მომზადება სამშობლოშივე მიიღოს. დღემდე ქართველი პოლკოვნიკები და გენერლები სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო აკადემიებში სწავლობდნენ.

გენშტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში, „სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობის“ სპეციალობაზე, არის შემდეგი სპეციალიზაციები: „სამხედრო ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები“; „შეიარაღებული ძალების მშენებლობა“; „სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაცია“; „სამხედრო სამართალი და საკანონმდებლო ბაზა“; „სამობილიზაციო რესურსები, სამხედრო ეკონომიკა და ზურგის უზრუნველყოფა“ და „ტერიტორიული დაცვა“.



ქვეყნის პრეზიდენტმა აკადემიის პრეზიდენტს სწავლის დაწყება მიულოცა

სამხედრო-საინჟინრო აკადემიის ამოქმედების ცერემონიის დამთავრებისთანავე ჩატარდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს გაფართოებული სხდომა. მასზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების ახალი კონცეფცია წარმოადგინა. ის, მისივე თქმით, დაფუძნებულია არა მარტო შეიარაღებული ძალების მშენებლობაზე, არამედ სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობის ერთიან პრინციპზე.

არსენალი

# ლეგენდარული MP5

## გერმანულმა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევმა დიდი პოპულარობა მოიპოვა

გერმანელები არაერთხელ გამხდარან იარაღის მოდის წარმმართველები მთელ მსოფლიოში. ასე მოხდა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების შემთხვევაშიც.

ჯერ იყო და, მათმა MP18-მა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, მთელი ევროპა „დაიპყრო“, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები — MP38 და MP40, საუკეთესო ავტომატურ იარაღად იყო აღიარებული.



MP5

გერმანელებმა, კერძოდ კი ცნობილმა საიარაღო ფირმამ „ჰექლერ უნდ კოხმა“ პირველობა არც ომის შემდეგ დაუთმო ვინმეს — პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი MP5 და მისი მოდიფიკაციები მრავალი ქვეყნის სპეცსამსახურებმა აიღეს შეიარაღებაში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიციამ და სასაზღვრო დაცვამ MP5-ის შესყიდვა 1966 წლიდან დაიწყო. რამდენიმე წელიწადში მას მიჰბაძა 30 ქვეყნის (მათ შორის აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის და ბელგიის, ანუ იმ ქვეყნების, რომლებიც თავად უშვებენ საუკეთესო იარაღს) ხელისუფლებამ.

თუმცა, საინტერესოა, რომ თავად ბუნდესვერმა „სამხედრო“ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის რანგში „თანამემამულე“ MP5 კი არა, ბელგიური წარმოების ებრაული „უზი“ შეარჩია ამ უკანასკნელის სიიაფის გამო.

MP5-სა და მის მოდიფიკაციებს: MP5A3, MP5SD, MP5KA1-სა და MP5PDW-ს დღემდე ფართოდ იყენებენ სპეცდანიშნულების სხვადასხვა ჯგუფები: ბრიტანული SAS-ი, ფრანგული ჟანდარმერიის სპეცჯგუფი GIGN-ი, ამერიკული „დელტა“ და სხვები.



MP5K

განსაკუთრებით მოდაშია MP5-ის სპეციალურად დამოკლებული ვარიანტი MP5K. იგი ისე კომპაქტურია (მისი სიგრძე 33 სმ-ც არ არის, ხოლო წონა — 2 კგ-ია), რომ თავისუფლად იმალება პიჯაკის ქვეშ. მას მჭიდის წინ სპეციალური ხელის დასაჭერი აქვს, რაც აადვილებს მიზანში სროლას. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ მოდიფიკაციიდან 9X19Para სისტემის ვაზნების გამოყენებისას სწრაფსროლის ტემპი წუთში 900 გასროლას აღწევს, რაც ნამდვილად არ აადვილებს ავტომატური ჯერის გაშვებისას მიზანში სროლას და რომ არა სწორედ ის ლულისქვეშა ხელისმოსაკიდი, ეს შეუძლებელიც იქნებოდა.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

სამხედრო კალეიდოსკოპი

# „ნიანგები“ მინისტრ ივანოვის თვალწინ შეეჯახნენ ერთმანეთს

26 აგვისტოს, რუსეთის თავდაცვის მინისტრს, სერგეი ივანოვს სამხედრო პილოტებმა საბედისწერო „ფეიერვერკი“ მოუწყვეს — ორი რუსული საბრძოლო შვეულმფრენი Ми-24, რომლებსაც „მოფერებით“ „ნიანგებსაც“ უწოდებენ, მის თვალწინ ერთმანეთს შეეჯახა. დაიღუპა 6 ადამიანი, ერთიც დასახიჩრდა.

არადა ამ კატასტროფამდე რუსეთის თავდაცვის მინისტრი ივანოვი საუკეთესო გუნებაზე იყო — წყნარი ოკეანის ფლოტმა, კოდური სახელწოდებით Восток-2003, გრანდიოზული სამხედრო „პოკაზუხა“ მოაწყო, რითაც მინისტრი ივანოვი პრეზიდენტ პუტინის წინაშე თავის მოწონებას აპირებდა.

თავიდან ცდილობდნენ, ყველაფერი ჩიტებისთვის დაებრალებიათ — ერთი ფრთოსანი



Ми-24

შვეულმფრენის ძრავაში მოხვდაო, მაგრამ მალე გაირკვა — დაშვებაზე წასულმა ერთმა „ნიანგმა“ მეორეს კუდი „მოაჭრა“, რაც, პირველ რიგში, პილოტების ბრალი იყო, რომლებმაც შეიძლება მინისტრის წინ თავის გამოჩენა მოინდომეს.

სხვათა შორის, სერგეი ივანოვი პირველად არ ჩაუგდია საჭოჭმანო ვითარებაში მის დაქვემდებარებაში მყოფ ავიაციას. ორი წლის წინ, ყაზანში, სამხედრო ქარხნების დათვალიერების დროს, მას უჩვენეს ახალი სასწავლო შვეულმფრენი „ანსატი“. მოულოდნელად შვეულმფრენს ჰაერში კარები მოსძვრა და მინისტრს კინაღამ თავზე დაეცა.

# სომხები აზერბაიჯანში სამხედრო სწავლებებს აპირებენ

2004 წელს აზერბაიჯანში NATO-ს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში გაიმართება საერთაშორისო სამხედრო სწავლებები Cooperative Best Effort-2004.

სწავლებებში მონაწილეობის სურვილი სომეხმა სამხედროებმაც გამოთქვეს, რამაც ძალიან აღაშფოთა ბაქო. ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდება აზერბაიჯანში, თუკი სომეხი სამხედროები ბაქოს მიდამოებში სროლას დაიწყებენ, თუნდაც სასწავლო მიზნით და NATO-ს ხელქვეით.

აზერბაიჯანელთა პროტესტს სომეხმა მაღალჩინოსანმა სამხედრომ ამგვარი კომენტარი გაუკეთა: — თუ აზერბაიჯანი არ შეიცვლის პოზიციას, მაშინ ეს სწავლება საერთოდ არ გაიმართება მათ ტერიტორიაზეო!

ძნელი სათქმელია, რატომ არიან სომეხი სამხედროები ასე დარწმუნებული ამაში, მაგრამ, ეტყობა, სომხური მხარე ყველაფერს იღონებს, ჩაიშალოს NATO-ს სწავლებები აზერბაიჯანში, თუკი ის არ დაუშვებს სომეხ სამხედროებს ამ სწავლებაზე.

# ფინელებს „ლეოპარდები“ ძვირად შეასაღეს?!

ევროპაში მორიგი გრანდიოზული სკანდალი მწიფდება. ფინურმა გაზეთებმა გამოააშკარავეს ერთი ფინანსური გარიგება, რომლის შედეგადაც, მათი აზრით, ფინეთი გაცუცურაკებული დარჩა.

საქმე ეხება 124 ნახმარი ტანკის „ლეოპარდ-2“-ის შეძენას გერმანიაში, რაც 68 მლნ ევრო დაჯდა; ანუ თითო „ლეოპარდის“ ფასი თითქმის ნახევარ მილიონ ევროს მიუახლოვდა, არადა პოლონელებმა თითო ასეთი ტანკი იმავე გერმანელებისაგან 100 ათას ევროდ შეიძინეს (სულ პოლონეთმა 128 ამგვარი სამხედრო მანქანა შეიძინა). თავის მხრივ, გერმანიაში ამბობენ, ფინელებს „ლეოპარდები“ ჩალის ფასად დავუთმეთო და ამის გამო



Leopard-2

ბუნდესვერს პასუხს სთხოვენ. გერმანიის სამხედრო უწყებაში აცხადებენ, პოლონელებს ტანკები ფინელებზე იაფად იმიტომ მივყიდეთ, რომ ისინი ჩვენი NATO-ელი პარტნიორები არიანო.

# შიშველი „მზეთუნახავი“

*თითქოს საგანგაშო არაფერი მომხდარა — შაშოს ბიცოლამ და მისმა მდგმურმა, მეგი ფარესაშვილმა შაშოს გოგოს ოჯახისთვის არასასურველ სასიძოზე გათხოვებაში შეუწყვეს ხელი. ბიძაშვილებმა ერთხანს იჩხუბეს და ერთმანეთი ლანძღეს, მერე კი ცხოვრება ისევ თავისი გზით წავიდა. ოღონდ ეგ იყო, გაცხარებული შაშო მეგის დაემუქრა, ბიცოლაჩემს, ხნოვან ქალს ხელს ვერ დავაკარებ, შენ კი მიფრთხილდი, არსად გადამეყარო, თორემ მოგკლავო.*

*როგორც მოსალოდნელი იყო, მუქარა დანაპირებად დარჩა, შაშო შიუკაშვილი ის კაცი არ იყო, ქალთან ანგარიში ესწორებინა. მეგი კი არა, „მთავარი დამნაშავე“ — სიძეც კი დაინდო და ხელიც არ დაუკარებია. დარდი და ბოღმა გულში ჩაიკლა, კომბალს ხელი წამოავლო და ყიზლარს მიაშურა. იმ დღეებში უნდა აყრილიყო იმდროინდელი ლენინგორის ცხვრის ფარები და უფრო ზემოთ, მოზდოკისაკენ გადასულიყვნენ. მასთან ერთად გაემგზავრა მომხდარის გამო მასზე არანაკლებ გულნატკენი მისი ბიძაშვილი შალვა შიუკაშვილიც, რომელიც დედის უმსგავსი საქციელის გამო ბიძაშვილს თვალს ვეღარ უსწორებდა. ისევ შაშომ შეუძახა — შენ ჩემთვის არაფერი დაგიშავებია და ჩვენს ბიძაშვილობასაც გამოჩურჩუტებული ბიცოლაჩემის გამო ჩრდილი არ მიადგებაო. თუმცა მოგვიანებით ისეთი რამ მოხდა, ამ გამრჯე, პატიოსანი კაცის სიტყვებსაც დაეკარგა ფასი და მომხდარსაც იმხელა კითხვის ნიშანი დაესვა, რომ დღესაც, ამ ამბიდან ორმოცდაორი წლის შემდეგ, არავის აქვს პასუხი ამ გამოცანაზე. თუმცა არის ერთი კაცი, რომელიც ირწმუნება, ამ რებუსს მე ამოვხსნიო. ის კაცი კი უბრალო მოწმე კი არა, პროფესიონალი იურისტი, იმდროინდელი ლენინგორის რაიონის პროკურორი, ბატონი ეფრემ ქენქაძეა, რომელიც იმ დროს ამ საქმეს ჩამოაშორეს და ისე შეთითხნეს ორმოცდასამტომიანი ბრალდება უდანაშაულო კაცზე, ერთხელაც არ ჩაახედეს შიგ.*



**სოფელში რომ აუკრძალეს მამაკაცებთან კურკური, ქალაქში დაიწყო სიარული. ისეთი კაცის გამოჭერა უნდოდა, ვისაც ტიკინასავით ატრიალებდა და ყველაფერს გააკეთებინებდა. ლენინგორში ვერა, მაგრამ ისევ იქ, მათივე სოფელში გამოჩხრიკა ერთი ნახევრად ლენჩი ახმახი და როცა დარწმუნდა ჩემი ყურმოჭრილი მონააო, სამოქმედო გეგმა გააცნო. გეგმა კი ისეთი მარტივი ჩანდა, აბა, ის ახმახი უარს როგორ ეტყოდა.**

შუაღამე გადასული იქნებოდა, პელო შიუკაშვილი ქალის კივილმა რომ გამოაღვიძა. პელოს ქმარ-შვილი ცხვარში ჰყავდა და მარტოხელა ქალი თავიდან კარის გაღებასაც არ აპირებდა, მაგრამ როცა მომკივანში შალიკო შიუკაშვილის მდგმურის, მეგი ფარესაშვილის ხმა ამოიცნო, იქვე მიყუდებულ ნაჯახს წამოავლო ხელი და აივანზე გაიჭრა.

— რა ამბავია, მეგი, რა მოხდა?... — კიდევ რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ შიშველი მზეთუნახავის დანახვაზე ერთბაშად ენა ჩაუვარდა, სათქმელი პირზე შეაშრა. მეგი ფარესაშვილი ერთიანად შიშველი იყო...

— დახოცეს! ყველანი დახოცეს. მარტო მე გამოვასწარი. ცოცხალი აღარავინაა, უბედურები, ღმერთო, ეს რა ჩაიდინეს. მიშველე, პელო, სოფელს შეატყობინე.

შიუკაშვილები ერთ უბნად ცხოვრობდნენ სოფელ უკანამხარეში. ყველა ოჯახი ერთმანეთს ნათესავად ერგებოდა. პელო მიხვდა, რომელ ოჯახზეც იყო ლაპარაკი და ერთბაშად ლოყაზე იტკიცა.

— ეს რა გავიგონე. იქნება მოგელანდა, შე უბედურო! იქნებ ცუდი სიზმარი ნახე! — რას არ მისცემდა პელო, ეს ამბავი თუნდაც რამდენიმე წუთით მეგის ამღვრეული გონების ნაყოფი რომ ყოფილიყო. მაგრამ ვაი, რომ ყველაფერი მართალი იყო. სულ მალე გაღვიძებულმა სოფელმა შალვა შიუკაშვილის ოჯახში ექვსი ცხედარი აღმოაჩინა. იქვე, ლოგინში კი ორი თავგატეხილი მცირეწლოვანი ღრიალებდა, რომელთა სიცოცხლეს, საბედნიეროდ, საფრთხე არ ემუქრებოდა... ვიღაცამ ამ ამბის გამხმაურებელი მდგმური მოიკითხა, — მეზობლების მოსვლამდე შიშველ ქალს თავი საბანში ჩაერგო და ისე გამწარებით მოთქვამდა, შიუკაშვილების უპირველეს ჭირისუფლად მიიჩნია ყველამ. მერე ვიღაცამ ისიც იკითხა: — მაგისი ქმარიც ხომ არ მოუკლავთო და უპასუხეს — არა, სამხრობისას ლომისობაზე წავიდა და ალბათ გამთენიისას დაბრუნდება... გამომთვრალ-გამომტყვრალიო.

სახლში ყველაფერი თავდაყირა იდგა. მეგისა და მისი მეუღლის ოთახში მომხდურებს მხოლოდ კარადები გაეღოთ. როგორც შემდეგ გაირკვა, სწორედ ამ ოთახში, ამ კარადებში ინახებოდა შალიკო შიუკაშვილის ღონიერი ოჯახის დანაზოგი. იქვე იდო რაიონში მატყლის დამამზადებლების, დემეტრაშვილების მიერ შიუკაშვილებზე მიბარებული დიდი თანხაც. ერთიანად წაეღოთ ყველაფერი, შალიკოს სანადირო თოფიც კი. სამაგიეროდ ხელუხლებელი იყო მეგის ოქროულობა და მისი და მისი ქმრის დანაზოგი თანხა.

შემთხვევის ადგილზე იმავე ღამით მივიდნენ ადგილობრივი მილიცია და რაიონის პროკურორი ეფრემ ქენქაძე. პროკურორმა გარდერობის სარკეზე თითების კვალი შეამჩნია და მისი სასწრაფოდ აღება მოითხოვა, მაგრამ მილიციის ექსპერტმა საჭირო ხელსაწყოების უქონლობის გამო ვერ შეძლო ამის გაკეთება. ვერც შემთხვევის ადგილი დაიცვეს, დილიდანვე უამრავი ხალხი მოაწყდა შიუკაშვილების სახლს, — რა კვალი უნდა დარჩენილიყო ამდენი კაცის ტრიალში. დღის თორმეტ საათზე რესპუბლიკის პროკურატურის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მაღალჩინოსნებიც მოვიდნენ. პირველივე გაკითხვა-გამოკითხვის შემდეგ აზრები ერთმანეთს დაემთხვა:

— ერთი კვირის წინ უჩხუბიათ, მოსაკლავადაც დამუქრებია ამ ქალბატონს და მერე ალბათ აღარც მოხუცი ბიცოლა დაინდო, ხოლო დანარჩენები იმიტომ დახოცა, რომ მათ იცნეს შაშო შიუკაშვილი... — ყველაფერი ძალზე მარტივად ასახსნელი ეჩვენათ. სადილობისას თავიანთი გამჭრიახობით კმაყოფილებმა ხელი დაიბანეს, იქაურ პურმარილს ლაზათიანად მოულხინეს და თბილისში დაბრუნდნენ.

## მცდარი ვერსია

ბევრი იძახა პროკურორმა ეფრემ ქენქაძემ — ვიცნობ შაშო შიუკაშვილს, ისეთი კაცია, წარმოუდგენელია, ეს მისი ნახელავი იყოსო, მაგრამ ვინ დაუჯერა. რაკი დახოცილი ბევრი იყო და ამასთან ძარცვაც სახეზე იყო, დაასკვნეს — ამას მარტო შაშო ვერ იზამდა და, მაშასადამე, დამხმარეებიც ჰყავდაო. ეს კი უკვე ბანდის არსებობაზე მიანიშნებდა და გამოძიებაც ამ გზით წარიმართა.

პროკურორი ეფრემ ქენქაძე თბილისისა და ლენინგორის გზაზე იყო დღედაღამ გაკრული — დამიჯერეთ, არავითარი ბანდა არ არსებობს და დანაშაული ძარცვის ნიადაგზეა მომხდარი. განზრახ მკვლელობაც გამორიცხულია, რადგან იარაღად შეშის ნაპობი უხმარიათ. სავსეა შიუკაშვილების ეზო შეშითო (ან კი ვინ მიდის შეშის ნაჭრით ვიღაცის მოსაკლავად).

არავინ დაუჯერა. ანკი როგორ დაუჯერებდნენ, როცა მესამე თუ მეოთხე დღეს კარგად გამოძინებულმა და ამჯერად უკვე კოხტად ჩაცმულ-დახურულმა მეგი ფარესაშვილმა გადაჭრით განაცხადა — ჩემი თვალით დავინახე, როგორ ხოცავდა თავისიანებს შაშო შიუკაშვილი და როგორ ეხმარებოდა მას კიდევ ორი თუ სამი კაციო.

— კი, მაგრამ ღამის სიბნელეში, როცა სახლის მხოლოდ ერთ ოთახში ბჟუტავს ლამპა, როგორ გაარჩიეთ მისი სახე, ისიც ფანჯრის მიღმა? — ეკითხება გამომძიებელი.

— სახე რომ გარკვევით დამენახა, ლამპას ბოლომდე ავუწიე და შაშო ვიცანი.

— მაგრამ თქვენ ამ დროს ოთახში იყავით, ის კი აივანზე. ამავე დროს წინა ჩვენებაში განაცხადეთ, ფანჯარაზე ფარდა მქონდა ჩამოშვებულიო. ასეთ ვითარებაში ხომ გამორიცხულია სახის გარჩევა.

— არა, ფარდა ჩამოშვებული კი იყო, მაგრამ მერე ჩემი ხელით გადავწიე... — არ დაბნეულა მეგი.

ამასობაში, მოზდოკის ახლოს დააპატიმრეს შაშო შიუკაშვილი. თავის ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის ამბავი მისმა ბიძაშვილმა, შალიკო შიუკაშვილმაც გაიგო და თითქოს ასეთ დროს მტყუან-მართლის გარჩევის უნარი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ მაშინვე დაასკვნა:

— შაშო მაგის ჩამდენი არაა, ეგ ყველაფერი მეგი ფარესაშვილისა და მისი ორი გარეწარი ძმის ნახელავიაო... მაგრამ რაკი „თვითმხილველის“ ჩვენება არსებობდა, გამოძიებაც კვლავინდებურად იმ ერთადერთ ვერსიას იზიარებდა, რომლის თანახმადაც მკვლელიც და მძარცველიც რა თქმა უნდა, მის მიერვე შექმნილ ბანდასთან ერთად, შაშო შიუკაშვილი იყო.

## „ვერსიის“ კვალდაკვალ

რაკი იქ, ზემოთ, დარწმუნებულნი იყვნენ ვერსიის სიზუსტეში, ლენინგორშიც იძულებულნი გახდნენ, ამ გზას გაჰყოლოდნენ... ოღონდ პროკურორ ქენქაძის გარდა და ამიტომ საქმეს ჩამოაშორეს. უფრო სწორად, შეუთითხნეს, — შაშოს ბანდის ერთ-ერთი წევრი ქენქაძის დეიდაშვილია, რომელიც ამ დღეებში გათავისუფლდა პატიმრობიდან და რაიონის პროკურორიც ჩვენს ვერსიას იმიტომ არ იზიარებს, რომ როგორმე თავის ნათესავი გადაარჩინოსო. ეფრემ ქენქაძე თანამდებობიდანაც მოხსნეს. ახლა საჭირო იყო იმ მანქანის „პოვნა“, რომელიც შაშოს ყიზლარიდან ჩამოყვანას შეძლებდა, მაგრამ ასარჩევად სად ჰქონდათ საქმე. მწყემსებს ერთადერთი მანქანა ემსახურებოდა და მისი მძღოლი თინიკაშვილი ცხრა თვის განმავლობაში (ვიდრე დაპატიმრებული ჰყავდათ) გაიძახოდა, ჩემი ჯაბახანით ყიზლარიდან ლენინგორში ჩამოსვლას ორ დღეს ვუნდები და ერთ ღამეში ამხელა გზას როგორ დავფარავდიო. არადა, იმ საღამოს, როცა მკვლელობა მოხდა, შაშო და შალიკო ყიზლარში ერთად იყვნენ, ამას სხვა მწყემსებიც ადასტურებდნენ. საღამოს ცხრა საათამდე საქმიანობდნენ მწყემსები, მერე შაშო მანქანის ძარაზე ასულა დასაძინებლად.

— ხომ შეეძლო საღამოს ცხრა საათის შემდეგ სხვა მანქანას გაჰყოლოდა, ღამით ლენინგორში ჩასულიყო, თავისი ავი საქმე გაეკეთებინა და დილით დაბრუნებულიყო? — ჩაჰყინებოდა გამომძიებელი მწყემსს.

— როგორ არა, თუ შვეულმფრენით გადააფრენდნენ იმ მანქანას. გაიგეთ, ხალხო, აქედან ლენინგორამდე ზუსტად 318 კილომეტრია, ახლა იქაც მიდექ-მოდექი და ვიდრე უკან ჩამოხვალ, კარგი ექვსასორმოცდაათი კილომეტრი უნდა იარო, მერე როგორი გზაა, იცით? ნახევრად სტეპებში, ნახნავებში უნდა იხეტიალო. ეგეთი რამე ზღაპარში ნამდვილად შეიძლება, სინამდვილეში კი რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს მაგ ნაბოდვარსა.

მძღოლი ერთი გაუნათლებელი გლეხი იყო, მაგრამ ყველაზე სარწმუნოდ რესპუბლიკის მილიციის იმდროინდელმა უფროსმა მისი ჩვენება მიიჩნია და განაცხადა, შაშო შიუკაშვილი ამ საქმეში უბრალოაო. გამოძიებამ კი მაინც გამონახა ვინმე ფრიდონაშვილი, რომელმაც თითქოს იმ დღეებში ყიზლარიდან ლენინგორამდე იმგზავრა ვინმე ამირუმოვთან ერთად. ორივე ამტკიცებდა, ჩვენ ჩამოვიყვანეთ შაშო შიუკაშვილი და კიდევ სამი უცნობი იმ ღამით ლენინგორში. მერე ერთხანს დაველოდეთ და ისევ უკან, ყიზლარში წავიყვანეთ. ფრიდონაშვილი ისეთი მაგარია, უჭმელ-უსმელი თერთმეტ საათში ფარავს ამხელა მანძილსო.

თუმცა არც ეს დრო აძლევდა ხელს გამოძიებას — მწყემსები, დაზარალებული შალიკოს ჩათვლით, ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ საღამოს ცხრაზე დაშორდნენ ერთმანეთს, დილის შვიდის ნახევარზე კი გაიღვიძეს. ცხრასაათნახევარში შაშო ამდენი რამის გაკეთებას ვერ მოახერხებდა. ასე რომ, ფრიდონაშვილის ავტოგარბენიც არ გამოდგა საკმარისი. მეტიც, შაშოს ამოცნობის პროცედურაზე მისმა დამცველმა იმდენი მოახერხა, შაშო არ შეუშვა იმ ოთახში, სადაც ამოცნობა მიმდინარეობდა... და ფრიდონაშვილმა სხვას დაადო ხელი. თუმცა შემდეგ აუხსნეს, წინა კბილები ოქროსი აქვს და ახლა მაინც აღარ აურიოო და როცა შაშო წარუდგინეს, ამჯერად უკვე „უშეცდომოდ“ ამოიცნო. ამის შემდეგ შაშოს იოლად დააწერინეს ჩვენება, სადაც იგი დანაშაულს აღიარებდა, თუმცა ბანდის წევრები „არ დაუსახელებია“. მკაცრი ზეწოლის პირობებშიც კი, რაც უბრალოდ რომ ვთქვათ, პატიმრის წამებას გულისხმობს, მას ვაჟკაცობა ეყო და ტყუილად არავისთვის დაუდია ხელი.

შაშო შიუკაშვილს სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯა. წელიწადი და თვრამეტი დღე ელოდა იგი განაჩენის აღსრულებას. ეს სამოცი წლის ჯანმაგარი კაცი ისე მოტყდა და დაბეჩავდა, რომ გეკითხათ, რაიხსტაგი შენ დაწვი თუ ვან დერ ლიუბემო, გიპასუხებდათ — ეგ ჩემი ნამოქმედარიაო. თვითონ ხომ ფარხმალი დაყარა, მაგრამ მისი ადვოკატი არ ისვენებდა — შაშოს უდანაშაულობის დამამტკიცებელი იმდენად არგუმენტირებული საჩივარი აფრინა მოსკოვს, რომ საქმე დაირღვა და ხელახალ გამოძიებას დაუბრუნდა.

გამოძიება კი თავისას არ იშლიდა. რაკი ბანდა ვერ აღმოაჩინეს, რაკი ფრიდონაშვილი და ამირუმოვი მოსყიდული პროვოკატორები აღმოჩნდნენ, ახლა იმაზე ედავებოდნენ შაშოს, შენ ვიღაცის უცხო მანქანით ჩახვედი ლენინგორში და განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ უკან დაბრუნდიო.

## ხელუხლებელი სამხილები

ადვოკატმა იმდენი ქნა, დაადგინა, რომ იმ საღამოს, ანუ 1961 წლის ცხრა ოქტომბერს მეგი ფარესაშვილი (როგორ მინდა ეს ქალბატონი თავისი ნამდვილი გვარ-სახელით მოვიხსენიო, მაგრამ მისი შთამომავლები მეცოდება, დანარჩენი გვარ-სახელი, გარდა კიდევ ერთისა, ნამდვილია) ვინმე ბიტაროვს ემუდარებოდა, ლომისობიდან დილამდე არ გამოუშვა შინ ჩემი ქმარი, რადგან მეგობარი უნდა მეწვიოსო. იმავეს ადასტურებდა მეზობლის ქალი ციალა შიუკაშვილი. ისიც გაირკვა, რომ მოგვიანებით, უკვე გონს მოსული პელო შიუკაშვილს ემუდარებოდა, არ თქვა, რომ შენთან დედიშობილა მოვედიო ამ ღამით. უეჭველია, ელოდებოდა კითხვას — ბოლოს და ბოლოს, ლოგინში პერანგი თუ არა, მისი ამხანაგი მაინც ხომ უნდა გცმოდა, ასე რატომ გაშიშვლდიო, მაგრამ ეს კითხვა არავის დაუსვამს, ადვოკატის გარდა. გამოძიება ჯიუტად ამტკიცებდა შაშო შიუკაშვილის ლიდერობას ამ საქმეში. ერთხელაც არ დაინტერესებულან იმ გარემოებით, რომ დამნაშავეს მეგისთვის არაფერი დაუშავებია, მით უმეტეს, რომ ქალი შედარებით განათებულ ოთახში იმყოფებოდა, სადაც დამნაშავემ ერთიანად გაჩხრიკა კომოდის უჯრები და ბლომად ფული და ძვირფასეულობა გააყოლა ხელს. მაშინ, როცა მეგის ქონება ხელუხლებელი დარჩა. მეგის გარდა, ყველა დახოცა — მაშასადამე, არ ეშინოდა, რომ ქალი გასცემდა დამნაშავეს. არავის მოუვიდა ფიქრად (გარდა ადვოკატისა) ეკითხა: კი, მაგრამ შენ ცოცხალი რატომ დაგტოვაო? ადვოკატის ძალისხმევით, მოგვიანებით, მაგრამ მეგი ფარესაშვილი მაინც დააკავეს და მაშინვე გაუჩნდათ კითხვა (ეს უკვე საქართველოს უზენაეს სასამართლოში), რა სახსრებით შეიძინა ამ ქალბატონმა ოცდაათ ათას მანეთად ღირებული სახლი გამოძიების მიმდინარეობის პროცესში? სასამართლოს განჩინებაში ისიცაა დაფიქსირებული, რომ იქ, ციხეში, მეგი ძმამ ინახულა და რომ მას თავის დასაძვრენ კონსულტაციებს უტარებდა მასთან ერთად საკანში მყოფი რეციდივისტი ქალი, ვინმე მონასელიძე.

დიახ, დღემდე კანონს არ უზეიმია. არავის დაუდასტურებია მეგი ფარესაშვილის დანაშაული ამ საქმეში. იგი მალე გაათავისუფლეს და ისევ შაშოს მიუბრუნდნენ. მაშინ ადვოკატმა სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს მისწერა ამ განუკითხაობის შესახებ და მოსკოვიდან ასეთი შინაარსის წერილი მოვიდა:

„ლენინგორის რაიონი, სოფელ უკანამხარე. მოქალაქე შაშო შიუკაშვილს — გაცნობებთ, რომ 1967 წლის 25 აგვისტოს დადგენილებით თქვენ მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია... თქვენ თავისუფალი ბრძანდებით.

სსრ კავშირის გენერალურ პროკურატურასთან არსებული განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ბალაშოვი.“

ასე დასრულდა უდანაშაულო კაცის ექვსწლიანი წამება ციხეებსა და კოლონიებში, მაგრამ საბედნიეროდ, მაშინ ის დრო იყო, როცა ამისათვის პასუხს ითხოვდნენ და საქმისადმი უკონტროლობისა და გულგრილობისათვის სამსახურიდან მოხსნეს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე შუშანია, გამომძიებელი ქორიძე. ამ ტალღას გადაჰყვა საქართველოს მილიციის ლეგენდა, ვალიკო თალაკვაძე და მისი მოადგილე ფარნა მამუჩეიშვილი, მხოლოდ იმისათვის, რომ თავის თანამშრომლებს ენდნენ. თანამდებობაზე აღადგინეს ექვსი წლის წინ მოხსნილი ლენინგორის პროკურორი ეფრემ ქენქაძე, რომელიც მზადაა ახლა, ორმოცდაორი წლის შემდეგ გახსნას ეს საქმე. ეგეც არ იყოს, იქაურებმაც, სოფლელებმაც იციან ყველაფერი. რამდენიმე მათგანთან კონფიდენციალური გასაუბრების შემდეგ ასეთ ვერსიას გთავაზობთ.

## ვერსიის ვერსია

მართლაც ლამაზი იყო ქალი, მეგის შემხედვარე მამაკაცი გულგრილი ვერ დარჩებოდა და სხვათა შორის, არც ქალი იყო მამა აბრამის ბატკანი. ბუნებრივია, პირველად ეს იმ ოჯახში შენიშნეს, სადაც მდგმურად იდგნენ ის და მისი ქმარი. თუმცა მათ მიმართ დამოკიდებულება დიდად არ შეცვლილა. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ შალიკო შიუკაშვილის ოჯახი ისე ენდობოდა მდგმურ ცოლ-ქმარს, რომ თუ რამ დანაზოგი ჰქონდათ, მათ ოთახში ინახავდნენ. ბუნებით შურიანი და სხვის ქონებაზე თვალწასული მეგი გულზე სკდებოდა, რომ ბიძაშვილები, შალიკო და შაშო შიუკაშვილები ერთმანეთზე შეძლებულად ცხოვრობდნენ. მაგრამ იმას კი არ კითხულობდა, რა გარჯის ფასად ჰქონდათ შეძენილი ქონება.

მისი ლოთი ქმარი კი, რომელიც სოფელში მასწავლებლად მუშაობდა, თვიდან თვემდე ბინის ქირასაც ვერ იხდიდა. თუმცა, დიდი ხანია უკვე აღარც ქირას სთხოვდნენ შიუკაშვილები. ამიტომაც იყო, რომ როცა მეგიმ ქმრის შინ არყოფნის დღეებში საყვარლების მოყვანა დაიწყო, შალიკომ მკაცრად გააფრთხილა — ამისთანა რამეს ერთხელ კიდევ თუ გაბედავ, აქაურობას დაემშვიდობებიო. ქალი ადგა და შაშოსთან მივიდა საჩივლელად — შალიკო ცილსა მწამებსო. იმან კიდევ უთხრა — რაღა ცილსა გწამებს, მთელი სოფელი შენზე ლაპარაკობსო და კუდამოძუებული გამოისტუმრა.

**(გაგრძელება იხ. გვ. 13)**



რუბრიკა „ვერსიის“ რჩეული პუბლიკაციების კრებული
კარგი საჩუქარია დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის!

ფასი 2,5 ლარი

# მედიას ეკრძალება... ცესკოს უფლება აქვს...

წინასაარჩევნოდ პრესაზე ცენზურა ძლიერდება. ხელისუფლება კრიტიკას უფრთხის და ცესკოს ხელით „თამაშის ახალ წესს“ ამკვიდრებს. მრავალგზის მოტყუებული მოსახლეობა, დღეს რომ ოპოზიციას გულშემატკივრობს, მთავრობაში ეს კარგად იციან და ამიტომ არჩევნებამდე 50 დღით ადრე, ხელისუფლება ოპოზიციური აზრის კონტროლს იწყებს. 13 სექტემბერს საქართველოში ყველაფერი ვარდისფერი გახდება და ასე დარჩება 2 ნოემბრამდე. ჩვენც მხოლოდ არაფრისმთქმელი, დადებითი ემოციების აღმძვრელი მასალებით მოგვიწევს მკითხველის გამოკვება...

კულუარებში ამბობენ, — ამ ნაბიჯით ძველმა ცესკომ გარდა იმისა, რომ ხელისუფლებას გაუგორა კოჭი, პრესაზეც იძია შურიო. ქართული პოლიტიკური ვენდეტა შედგა. ცესკოს მთავარი მამხილებელი, მედია, ალბათ სამაგალითოდ დაისჯება — რას ჰქვია, საქვეყნოდ თავი რომ მოგვჭერით და რეპუტაცია შეგვილახეთო... ძველი ცესკოს გედის სიმღერა მართლაც სამარცხვინო იყო, თუმც მისთვის შესაფერისი (მისგან უკეთესს არც ველოდით), მაგრამ სასაცილო ის არის, რომ ხელისუფლება არტახებში გვაქცევს და თან ცხვირწინ ევროსაბჭოს რეკომენდაციებს გვიფრიალებს — ხელ-ფეხს იმიტომ გიკრავთ, არჩევნები სამართლიანად რომ ჩატარდესო. ნუთუ ასე ბნელა? რატომ ვკითხულობთ სხვადასხვანაირად ჩვენ და ცესკო ევროსაბჭოს რეკომენდაციებს? ისე, ბნელა თუ არა, მკითხველმა თავად განსაჯოს. „კვირის პალიტრა“ პრესის შეზღუდვის შესახებ კანონის ერთ-ერთ ინიციატორს, **ზაქარია ქუცნაშვილს** ესაუბრა:

— საარჩევნო კოდექსის თანახმად, გარკვეული შეზღუდვები უწესდებათ როგორც ტელეკომპანიებს, ისე გაზეთებს. თუ ბეჭდვით მედიას სურვილი აქვს გააშუქოს წინასაარჩევნო კამპანია და გააკეთოს პოლიტიკური რეკლამა (განცხადებები, მესიჯები და ა.შ.), ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს ცესკოს. რედაქცია ვალდებულია მიუთითოს, რა რიცხვიდან აპირებს ამ პროცესში ჩართვას, რა ოდენობით ფართს (1, 2 გვერდს ან მეტს) გამოყოფს პოლიტიკური რეკლამისთვის და რამდენი ეღირება რეკლამისთვის განკუთვნილი ერთი საგაზეთო გვერდი. დავუშვათ, რეკლამის განთავსების სურვილი ცხრა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ გამოთქვა. გაზეთი ვალდებულია ყველა მსურველს გამოუყოს თანაბარი ფართი, თანაც ერთნაირ ფასად. თუ პოლიტიკური რეკლამის განთავსების სურვილი მხოლოდ ერთმა პარტიამ გამოთქვა, გაზეთს არ აქვს უფლება მას ერთი გვერდი მთლიანად დაუთმოს. ამ შემთხვევაში, მთლიანი ფართის მხოლოდ 1/3-ზე შეიძლება რეკლამის განთავსება. ასეთი აკრძალვები მეტ-ნაკლებად თანაბარი თამაშის წესს ამკვიდრებს ფულიანი და უფულო პარტიებისთვის.

*— მაგრამ თუ შეიზღუდა მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაშუქება და ამა თუ იმ საკითხზე ინტერვიუები, მკითხველს ინფორმაციის მიღების საშუალება აღარ ექნება.*

— მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაშუქება და ინტერვიუების გამოქვეყნება ყველა საინფორმაციო საშუალებას შეუძლია, ვერავინ შეზღუდავს. გაზეთს ან ტელეკომპანიას ვერავინ



აუკრძალავს, რომელიმე საარჩევნო სუბიექტს (პარტიას) აძლევდეს უპირატესობას და შესაბამისად, უფასოდ დაუთმოს მას საგაზეთო ფართი, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს პარტია ვალდებულია თავის საარჩევნო კამპანიის ფონდში ასახოს უფასო პოლიტიკური რეკლამა, როგორც შემოწირულობა (ამ შემთხვევაში უფასო პოლიტიკური განცხადების ღირებულება ეკვივალენტურია შესაბამისი ფართის ფასიანი განცხადებისა). მაგალითად, თუ თქვენ 200 ლარის ღირებულების საგაზეთო ფართი დაუთმეთ უფასოდ ამა თუ იმ პარტიას, იგი ვალდებულია ეს თანხა საარჩევნო ფონდში აღნიშნოს, როგორც თქვენ მიერ გაწეული შემოწირულობა.

*— ვინ მიანიჭებს კლასიფიკაციას საგაზეთო მასალებს — მიმდინარე მოვლენის გაშუქებაა ის თუ რეკლამისთვის გამიზნული.*

— კანონი ამ შემთხვევას ფაქტობრივად არ არეგულირებს. ამის დარეგულირება ცესკოს დადგენილებით შეიძლება, თუმც ჯერჯერობით ასეთი დადგენილება არ არის მიღებული. თუ გაზეთები და ტელეკომპანიები ცესკოს გვერდის ავლით შეეცდებიან მანიპულირებას — მოვლენის ასახვის ნაცვლად პოლიტიკურ რეკლამას გასწევენ, მაშინ შესაბამისი დადგენილება უთუოდ გამოიცემა.

*— გგონიათ, რომ გამიჯვნის იმ კრიტერიუმებს, რომელიც ცესკოსთვის მისაღები იქნება, საინფორმაციო საშუალებებიც დაეთანხმებიან?*

— ამიტომაც არ გავითვალისწინეთ გამიჯვნის წესები კანონში, — სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებისთვის სხვადასხვა თემაა აქტუალური. თუ ერთისთვის ხელისუფლების — კანცელარიის, პარლამენტისა და საკრებულოს საქმიანობის გაშუქებაა საინტერესო, მეორისთვის აქტუალური შესაძლოა ქუჩის აქცია იყოს... ამიტომ რედაქციას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მოათავსოს მასალა პირველ ან მე-10 გვერდზე.

*— თუ არსებობს დადგენილი წესი, როგორი პრინციპით უნდა აიგოს სარეკლამო ხასიათის მასალა ან ინტერვიუ?*

— რამდენადაც ვიცი, ინტერვიუს დროს კორესპონდენტს ეკრძალება სააგიტაციო სახის კომენტარების გაკეთება: რესპონდენტის შექება, მის მიმართ კეთილგანწყობის გამომჟღავნება. მაგალითად, ვერ დაწერთ — რა კარგი ბიჭია ზაქარია ქუცნაშვილი, ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ არჩევნებშიო. ასევე არ გაქვთ უფლება ვინმეს წინააღმდეგ ანტისარეკლამო კამპანია აწარმოოთ.

*— მეტისმეტად კაბალურია კანონი, რომელიც ჟურნალისტს მოვლენის შეფასების უფლებას ართმევს. რა გამოდის? მედია მხოლოდ სტატისტის როლით უნდა დაკმაყოფილდეს? დავუშვათ, ერთმა პოლიტიკურმა გუნდმა მეორეს ცხვირპირი დაამტვრია. მხოლოდ ფაქტი უნდა ავსახოთ და არ ვთქვათ, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება?!*

— ჟურნალისტს აქვს უფლება, საკუთარი აზრი ჰქონდეს. ამ შემთხვევაში თქვენ ვალდებულიც იქნებით, შეაფასოთ და დაგმოთ ინციდენტი. რედაქცია თავისუფალი და შეუზღუდავი უნდა იყოს კომენტარის გაკეთებისას, მიუხედავად იმისა, მოეწონება ეს ვინმეს თუ არა. ამიტომ დღეს კანონი ამ მხრივ შეზღუდვას არ აწესებს...

*— როგორც ჩანს, ცესკო ერთი ხელით გვაძლევს რაღაც უფლებებს, მეორე ხელით კი — გვართმევს. იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რისი უფლება აქვს ცესკოს და რისი — არა?*

— ცესკოს არ აქვს უფლება განუსაზღვროს გაზეთს, რა ფართი გაყიდოს რეკლამისთვის. მას ასევე არ აქვს უფლება განგისაზღვროთ პერიოდი (რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე გაყიდოთ სარეკლამო ფართი გაზეთში). ცესკო ვერ ჩაერევა სარეკლამო ფართის ღირებულების დაწესებაში. მაგრამ ცესკო არ მოგცემთ იმის უფლებას, რომ ერთ პარტიას 100 ლარად განათავსებინოთ ერთი და იმავე მოცულობის რეკლამა, მეორეს კი — 1000 ლარად, ანუ არათანაბარ პირობებში ჩააყენოთ საარჩევნო სუბიექტები. იგი მოგთხოვთ, რომ ყველა პარტიას, რომლებიც თქვენს გაზეთში მოინდომებენ რეკლამის განთავსებას, თანაბარი პირობა შეუქმნათ და ერთნაირი სარეკლამო ფართი დაუთმოთ. ცესკო ასევე ვერასდროს ჩაერევა უფასო საგაზეთო ფართის გამოყოფაში. რომელ პარტიასაც გსურთ, იმას გამოუყოფთ უფასოდ საგაზეთო ფართს.

ვისგანაც გინდათ, იმისგან აიღეთ ინტერვიუ, როგორიც გინდათ, ისეთი შეფასებები და კომენტარი გააკეთეთ, მაგრამ ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს პოლიტიკური რეკლამის განთავსებისას ფართი და პირობები. ერთ პარტიას, რომელსაც ბევრი ფული აქვს, არ უნდა შეეძლოს გაზეთის მთელი სარეკლამო გვერდის შესყიდვა.

*— კანონით დაწესებული წესების დარღვევის შემთხვევაში, თუ არის მოსალოდნელი რაიმე სანქციები?*

— იუსტიციის სამინისტროს დავალებული აქვს, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის კოდექსში. კანონის დარღვევის შემთხვევაში, საინფორმაციო საშუალებებს შესაძლოა დაეკისროთ ჯარიმა, შეუჩერდეთ ან ჩამოერთვათ საქმიანობის ლიცენზია. საარჩევნო სუბიექტებს კი შესაძლოა გაუუქმდეთ რეგისტრაცია და მოიხსნან არჩევნებიდან...

***იზო რიკაძე***

**გ**აისში თბილისის მე-5 იზოლატორიდან პატიმართა გაქცევების გამო დაპატიმრებულმა ციხის 8 თანამშრომელმა შიმშილობა დაიწყო. „კვირის პალიტრასთან“ საუბრის დროს მათ განაცხადეს: „გაქცევის ნამდვილი ხელშემწყობების ნაცვლად ვართ დაპატიმრებულნი. წლების განმავლობაში და იმ დღეებშიც, როცა გაქცევა მოხდა, ქურდებისა და „მაყურებლების“ საკნები ღია იყო — „ქურდულ ხელფასს“ უხდიდნენ ციხისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებს. არაერთხელ მოვითხოვეთ საკნების კარების დაკეტვა, მაგრამ ყური არავინ გვათხოვა. ხშირად ციხის ტერიტორიაზე, ცენტრალურ ეზოში, შადრევანთან ქეიფობდნენ და ციხის თანამშრომლებს ლუდსა და თევზზე გვეპატიჟებოდნენ.“

შაბათს საოლქო სასამართლომ დამნაშავეებს კიდევ ორი თვით გაუგრძელა წინასწარი პატიმრობის ვადა, რასაც დაკავებულთა საპროტესტო აქცია მოჰყვა.

ვესაუბრეთ ბრალდებულების ადვოკატებს:

**მედეა ლომიძე:** — კონტროლიორს ღია კი არა, ჩაკეტილი საკნების სადღეღამისო თვალთვალი ევალება. მე-5 იზოლატორში ქურდებისა და სხვა ავტორიტეტების საკნების კარი არ იკეტებოდა. კარზე „გლაზოკები“ ჰქონდათ და ვინც არ მოსწონდათ, კარს არც უღებდნენ. როლანდ გილიგაშვილმაც აღიარა ერთ-ერთ ინტერვიუში, საკნების კარები ათი წელია არ იკეტებაო.

*— რატომ არ იკეტებოდა?*

— იმიტომ, რომ მღვრიე წყლის არსებობა ხელს აძლევდა ვიღაცას. ციხეში შედიოდა იარაღი, ნარკოტიკები. სანამ 23 მაისის შეიარაღებული გაქცევა მოხდებოდა, საპყრობილეში დეპარტამენტიდან მოვიდა წერილი, რომლითაც იტყობინებოდნენ, მოსალოდნელია პატიმრების გაქცევა და ზომები მიიღეთო. ყური არავის შეუბერტყავს. ეს წერილი საქმეში დევს. 23 მაისს კი 31 მაისის გაქცევაც მოჰყვა. ახლა გამოძიებით იკვეთება, რომ დაპატიმრებულები დამნაშავეები არ არიან. თუმცა დარწმუნებული ვარ, დაინტერესებული მხარე ყველა ღონეს იხმარს, რათა უდანაშაულო ხალხის რეაბილიტაცია არ მოხდეს.

*— მაინც ვინ არის ეს დაინტერესებული მხარე?*

— ზოგიერთი მაღალჩინოსანი... ქალბატონ ელენე თევდორაძის ნათქვამის თანახმად, მეც ვეჭვობ, რომ პატიმრების გაქცევა მართლაც სადღაც, ზევით დაიგეგმა და ვიღაცებმა ამით ჯიბე გაისქელეს.

ადვოკატი **ჟანა უსტარაშვილი:** — კანონით სამოხელეო დანაშაული იმით განსხვავდება სხვა დანაშაულისაგან, რომ მოხელეს უნდა ჰქონდეს ობიექტური შესაძლებლობა, თავისი უფლებები და მოვალეობები შეასრულოს. მეხუთე იზოლატორში სამუშაო პირობები არ იყო. რაც მთავარია, დაკავებულთაგან ექვსი 31 მაისს უკვე გათავისუფლებული იყო სამსახურიდან იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. თუმცა კონტროლიორებმა ამის შესახებ არც 31 მაისს და არც მერე კარგა ხანს არაფერი იცოდნენ. ეს ჩვენი გამოძიებით დავადგინეთ. ამიტომ ისინი დანაშაულის სუბიექტებად აღარ ითვლებიან და მათ მიმართ 23 მაისის ფაქტზე აღძრული საქმეც უნდა შეწყდეს.

*— არის აზრი, თითქოს კონტროლიორებმა გაუღეს კარი პატიმრებს.*

— სისულელეა. კონტროლიორს არ აქვს საკნის გასაღები. ის თვითონაც ჩაკეტილია და თუ გუშაგები არ გამოუშვებენ, ვერ გამოვა. ცნობილი ისიც კი არ არის, როგორ და როდის მოხდა გაქცევა. როცა კონტროლიორები თავიანთ ცვლაში მივიდნენ, გზად ორ-სამ პატიმარს შეეჩეხნენ და შეატყობინეს კიდეც რეჟიმის უფროსს. სხვა რა უნდა ექნათ?

*— ფიქრობთ, რომ ვიღაც არის დაინტერესებული ამ ხალხის დაპატიმრებით?*

— პრეზიდენტმა ბრძანა, დამნაშავეები დაიჭირეთო და თავად აკონტროლებს გამოძიების მიმდინარეობას. ამათ კი თავის მოსაწონებლად უდანაშაულოები გამოიყვანეს დამნაშავეებად. ის კი გასარკვევი დარჩა, შაბათ დღეს, როცა არც სეირნობა შეიძლება და არც საკნის გარეთ ცხვირის გამოყოფა, 16-მა პატიმარმა როგორ გააღწია ციხიდან და სულ ცოტა ხუთი დაკეტილი კარი მაინც როგორ გააღეს? მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ვერც გარეთ და ვერც ციხის შიგნით ძაღლი პატრონს ვერ ცნობს...

ჩვენ კომენტარისთვის პროკურორ **ზურაბ კუჭიანიძესაც** დავუკავშირდით:

*— ბატონო ზურაბ, რამდენად მართებულად მიგაჩნიათ, 16 პატიმრის გაქცევის შემდეგ მხოლოდ კონტროლიორებს მოეთხოვოთ პასუხი და „ღლავები“ კი ბადის მიღმა დარჩნენ?*

— დანაშაულში ეჭვმიტანილების ნაწილი დაკავებულია წინასწარი პატიმრობის მუხლით, მიმდინარეობს გამოძიება. ზემდგომთა პასუხისმგებლობის საკითხსაც განვიხილავთ. გამოძიების დასრულების შემდეგ ყველაფერს მოეფინება ნათელი.

## ქურდების საკნებს „გლაზოკები“ ჰქონია



***ეკა ლომიძე***


# „მწვანე ჩაის დიეტა“ – ჯანმრთელობა, ენერგია, იდეალური წონა




***გსურთ მოიცილოთ ზედმეტი კილოგრამები, განიმტკიცოთ ჯანმრთელობა და აიმაღლოთ ენერგეტიკული პოტენციალი? – უბრალოდ, თქვენ გსურთ იყოთ ფორმაში!***

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის „მწვანე ჩაის დიეტა“ - გახდომის სუპერენერგეტიკული ფორმულა ეფედრინის გარეშე - ეს არის მწვანე ჩაის ექსტრაქტი კაფსულებში (1 კაფსულა 12 ჩ.ჭ. მწვანე ჩაის ნაყენს უდრის) და მისი აქტიური ინგრედიენტების კონცენტრაცია GMP-ის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.

ამასთან ერთად:

- გაიაქტიურებთ მეტაბოლიზმს, რაც დაგახარჯინებთ დიდი რაოდენობით კალორიას საკუთარი ცხიმების წვის ხარჯზე;
- დაირეგულირებთ ცხიმების ცვლას - ეს კი წონის სტაბილურობის გარანტია;
- აიმაღლებთ გამძლეობას და თქვენი ცხოვრების სტილს უფრო დინამიურს გახდით;
- როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი აძლიერებს იმუნურ სისტემას და აჯანსაღებს მთელ ორგანიზმს, მტკიცე ჯანმრთელობა კი თქვენი წარმატების ფაქტორია;
- მიიღეთ „მწვანე ჩაის დიეტა“ და არეგულირეთ თქვენი წონა, ენერგია და ჯანმრთელობა, ხოლო საჭირო შედეგების უფრო სწრაფ მიღწევაში „ჯეოვიტის“ სპეციალისტები დაგეხმარებიან.

***ჩვენთან მოგისმენენ და გაგიგებენ, დაგიბრუნებენ იმედსა და ჯანმრთელობას!***

ჯეოვიტი GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56.
(სამუშაო საათები 10-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის ჩათვლით)

Schiff 60

# „დი-ი-დი გულები აქვთ გურულებს"...



გურია რომ საოცარი მხარეა, ამ ბოლოდროინდელმა სტუმრობამაც დამარწმუნა. კარგა ხანს ვფიქრობდი, როგორ ახერხებენ აქაურები ბავშვივით სუფთა და უმანკო გულის, მზიანი სულის და იმედიანობის ყველა სიტუაციაში შენარჩუნებას-მეთქი. და მივხვდი: დი-ი-დი გულები აქვთ გურულებს, „დი-ი-დი" და დიდი სიყვარულიც ეტევათ შიგ... ფიცხები კი არიან, მაგრამ დაშოშმინებაც უფრო ჩქარი იციან, თავს შემოუძახებენ: — ჰაიტ, შე გლახა, ან შენ რას იტკვლიცავ გულს და ან სხვას რას ერჩი. წამხთარს რაფრა ეშველება მაგითო! ადამიანის სიცოცხლეზე ძვირფასი კი არაფერი მიაჩნიათ: „სამოთხეა აი მიწა, მზე, ცივი წყარო... რომ გტკივა, იგიც უნდა გიხაროდეს, თუ გეცინება და სიხარულის კურცხალი გდის, საამისო მიზეზი გაქ, მუხლზე დამდგარმა უნდა ეხვეწო ღმერთს, დიდხანს დაგტიოს წუთისოფელში... წინაპრისგან გამიგონია — ღმერთს ადამიანობა რომ არ მონატრებოდა, განკაცებული ფეხით კი არ ჩამევიდოდა დედამიწაზეო. იგი ღმერთია და როცა მეინდომებს, კიდო მოვა. შენი სიცოცხლე კი წვრილ ძაფზე კიდია და ისიც სხვის ხელშია, როცა უნდა, მაშინ გადაგიწყვიტავს... დაჯექი მერე ფუმფულა ღურბლებზე და იყურე სანატრელი გახრიოკებული მიწისკენ, მასთან ჭიდილს რომ შეატიე ჯანი და ნახევარი სიცოცხლე, ვინ გამოგიშობს წუთითაც, თვარა!.."

მკითხავთ ალბათ — სად გაიგონე ეს ოქროს სიტყვებიო! სად და ქელეხში. მეგობრის 92 წლის ბაბუის — ისიდორეს გარდაცვალებამ, რომლისგანაც ბევრი სიკეთე მახსოვს, ძალიან დამაღონა. პანაშვიდზე ისე ამომიჯდა გული, ისიდორე ბაბუას კარის მეზობელმა, აგაბო ბიძიამ, შეიცხადა: — გეიყვანეთ აგი ციცა გარეთ, ხალხი არ ხართო? — მერე მხარზე მომხვია ხელი და თავისი სახლისკენ წამიძღვა, — წამოი, ჩემი ბიძიე, დეისვენე, დაწყნარდი... კაი გოგო ხარ მაი ცრემლებიზა, მარა, გეყოფა ახლა... ისიდორე იმფერ გლახათ იყო ბოლო ჟამს, ცოცხალი უფრო ცოდვა იყო. სიკვტილი ჯობდა ახლა მაგიზა, ცას ხვარ გამეეკერებოდა, აპა, 92 წლის ბერიკაცი?! დაფრინავს ახლა ალბათ მისი ბედნიერი სული ცაში თავისუფალი, უტკივარი... დასიზმრებია წუხელი მის ბიძაშვილს, დიმიტრის: წამოი აწი შენც, აღარ გინდა მარილებით დახუთული მაი ფეხები თავისუფლათ გაშალოო?.. ასეა მაი ამბავი და დოვუჯეროთ, ტყუილს არ იტყოდა ისიდორე, ჭირივით ეჯავრებოდა სიცრუე!..

ეს და კიდევ მრავალი ტყუილ-მართალი მითხრა აგაბო ბიძიამ და იმდენი ქნა, გამაღიმა, მარტო ისიდორე ბაბუასი კი არა, საერთოდ გამიიოლა სიკვდილის არსიც და მოლოდინიც: — სიკვტილი რო მართლა მაგფერი გლახა იყოს, შენ დაამაგრებდი ქართველ კაცს საიქიოში? გადაანგრევდა ყოლფერს და გამეიქცეოდა მაინც, ან რაცხა იმფერს ჩეიდენდა, გამოაგდებიებდა თავს გადარეულ მიქელ-გაბრიელს და ქართველებიზა სამარადჟამოდ აკრძალავდა საიქიოს კარების გაღებას... ისე მეც მესიზმრა მამაჩემი: „რო წუწუნობ — ჭირს ცხოვრება, აღარ დეიდგომება დედამიწაზეო, წამოი აწი, სამოცდაათს ხო მიაჭირე და აღარ კმარაო?!. დევილალეთ მე და დედაშენი, აწი აქოურ ოჯახსაც მიხედვა უნდაო და დამათვალიერებია რაფრა ცხოვრობენ: ცხვარ-ძროხაც ბლომად დოუდით და არც აფერი ტკივათ, კინაღამ შევეხვეწე, — აგერ ვარ ბარემ და დავრჩები-თქვა!.. ეტყობა, ჩვენი თავრობის კაცებს მართლა არ მიუსტობათ ხელი სამოთხეში უბრალო ხალხის სამყოფლამდი, თვარა... მართლა, ამ გახსენებაზე — რავაა ქალაქში საქმე, მართლა ინგრევა იქოურობა?!."

> **სიკვდილი რო მართლა მაგფერი გლახა იყოს, შენ დაამაგრებდი ქართველ კაცს საიქიოში? გადაანგრევდა ყოლფერს და გამეიქცეოდა მაინც, ან რაცხა იმფერს ჩეიდენდა, გამოაგდებიებდა თავს გადარეულ მიქელ-გაბრიელს და ქართველებიზა სამარადჟამოდ აკრძალავდა საიქიოს კარების გაღებას...**

როგორ ინგრევა-მეთქი, — გამიკვირდა.

— რა ვიცი, ამბავი მოაქვთ ხან ქალაქელებს, ხანაც გაზეთში ვკითხულობთ: არც დენიაო, არც პური, ხელფასი-პენსიაც არავის უნახავს თვალითო... პენსია არც ჩვენ გვინახავს თვალით კაი ხანია და რომც მეიტანონ, ერთი თვალის შევლება მარტვა. თავრობაში გასული ქალი ხარ და რას ამბობენ, რავაა თუ იცი, ჩვენი ქვეყნის საქმე, გადოვურჩებით ამ გოუმაძღარი და უნამუსო უმფროსების ყბებს გოდოუსანსლავი?!.

სოფელში თლათ ასე შავათ არაა საქმე, უმფროს-უმცროსის ცნობაც არ დავიწყნიათ ჯერ და არც ქალები დამდგარან გზაშარაზე საბოზრათ... მეიწი, აქით და გითხრა, რა დემემართა. ჩემმა ცოლმა არ გეიგონოს, თვარა არ დეიჯერებს ჩემს პატიოსნებას, პაწა გატეხილი მაქ სახელი: ვიდექი ჩემთვის სადგურში, ავტობუსს ვუცდიდი და მევიდა ერთი კაი ქალი, ჩემი უმცროსი გოგოს ტოლი იქნებოდა ჰა და ჰა... ჯერ ვერ გევიგე, რა უნდოდა — შენ კაი კაცი ჩანხარ და ძვირს არ გადაგახდევინებო. ჯერ მეგონა, რაცხა ქონდა გასაყიდი, ციგნებივით დახეტიალობენ ქალები და რა გასაკვირია... მაჩვენე, რას ყიდი-თქვა. მოკვდა სიცილით: — აქანაი რაფრა გაჩვენო, ეგერაა იაფფასიანი სასტუმრო და წამოიო. რომ მივხთი, რას მეუბნებოდა, მოვტრიალდი და გამევიპარე. დევიწვი კაცი სირცხვილით, გულიც მომივიდა: ქურდიც იყო ალბათ, თვარა ჩემი „კაცობის" შეფასება ისთე არ გოუჭირდებოდა იმას, ჩემზე უკეთესებს ნახავდა. გამქურდავდა და გამომიშობდა კიტრივით შიშველს. კაი ხანია, და-ძმასავით გვძინავს მე და ჩემს თალიკოს, აღარც მახსოვს, რეიზა მევიყვანე თავის დროზე... გონია, თლად გამოვჩურჩუტდი, ამას შენ რო გიყობი. მაპატიე, ჩემი ბიძიე. წამოი ახლა და თავად უნდა გაშალო ვახშამი, თვარა ჩემი თალიკო კაი ხანს არ მოვა შინ. ისიდორესგან იმასაც კაი პატივი ახსოვს — საკურთხში მეც მინდა გოვურიო ხელიო. მეფურ სუფრას უწყობენ ამაღამ, მარა ისიდორე რო რამეს გეიგებს, ისე გეიგო ჩვენმა დამაწყევარმა...

— აბა, გჯერა საიქიოსი?!.

— საიქიოსი რავა არ მჯერა, მარა აქანე დამცხვარი ხაჭაპურებით რომ იქ გოუშლის დამხვთურებს სუფრას ისიდორე, მაი არ მჯერა და მომკალი...

...ამის შემდეგ აგაბო ბიძიამ ჭიქა აიღო ხელში, ღვინოს თვალმოწკურულმა გახედა. ნათელში იყოს ისიდორეს პატიოსანი სულიო, — თქვა დაფიქრებულმა.

მეორე დღეს კი დიდი პატივით დაკრძალეს ისიდორე, შავი ნაჭერიც შეაბეს ბოძებს და „ბალკონიდანაც" გადმოაფრიალეს გულისმომკვლელი სიტყვებით აჭრელებული შავი დროშა: „ვემშვიდობები საყვარელ ოჯახს და მეზობლებს!" სახე ჩამოიხოკეს ქალიშვილებმა და რძლებმა — უშენოდ აწი რაფრა ამოვა მზე ქვეყნიერებაზეო. კაცებმაც იბრაგუნეს გულზე ხელები: — არ გვჯერა, არ გვჯერა შენი სიკვტილიო, მაგრამ აგაბო ბიძიამ იმარჯვა ისევ და კაცებს შეუძახა: — ვისაც გვჯერა, ისინი მაინც მიგვიშვით კუბოსთან, თვარა დაღამდა და დაგვრჩა კვტარი დოუმარხავი, თანაც პურმარილიც ცივდებაო!..

დამარხეს ისიდორე, საპატიო „რეჩიც" წაუკითხეს: — თქვენისთანა კაცი აწი არ დეიბადება, მარა შევეცდებით, საქმე მაინც ისე დავაყენოთ, თქვენ რომ გეგეხარდებათო!..

მერე კი დაიწყო ქელეხი და გადამთვრალმა კაცებმა კი არა, მეც ვერ მოვიფიქრე ადგომა და შინ წასვლა, იმისთანა სადღეგრძელოები მოგვასმენინა სახელდახელოდ მოპატიჟებულმა თამადამ: — ქართველებს გაგვიმარჯოს, ნამდვილ ქართველებს, საკუთარი შრომით და ოფლით რომ აშენებენ სოფელს და არა იმგენს, ცალი თვალით ამერიკელების ქისაში რომ იყურებიენ, მეორით — რუსების, ხელი სამათხოვროთ გოუშვერიათო!..

— იმ ქართველ ქალს გოუმარჯოს, კაცს რო დაგლახავების საშუალებას არ მიცემს და გაჭირვებაშიც კაცად აგრძნობინებს თავსო!..

— საქართველოს ნამდვილ პატრონს და გულშემატკივარს გოუმარჯოს, იმდენი ნამუსი რომ შერჩენია, პარლამენტში არჩევის გავარდნილ ტყვიასავით ეშინიაო!...

— ჩვენი მიწის შვილია ქვეყნის პრეზიდენტი და ღმერთს შევეხვეწოთ, მისი ცოდვა გურულებს არ მოკითხოს, თვარა გავწყდებით სამარადჟამოდ, დინოზავრებივით გადავშენდებითო!..

— ორსულ ქალს, ბალანას დაბადებას და აკვნის მთლელს გოუმარჯოსო!... ღმერთს მადლობა საქმისთვის, იმედისთვის, მზისთვის და წვიმისთვისო!..

— ერთგულ მეზობელს და შენი დარდით შეწუხებულ შორეულ მოკეთეს გოუმარჯოსო!..

ყველაზე მეტად მაინც ბოლო სადღეგრძელო მომეწონა:

— ღმერთო, ნუ გაწირავ ამ შენ შექმნილ დედამიწას და შენი ხელით მოზელილი თიხით გამოძერწილ ადამიანს, გოუთბე გული სიყვარულით და დაავიწყე სიძულვილი, ომი არ ქნა და აცალე დაღვინება ბიჭებს, ძალა და ღონე ქვეყნის მშენებლობისთვის დაახარჯვინე, სიყვარული გამოაცდევინე და სიცოცხლის ფასი შეაგრძნობინე, შვილი ხელში დააჭერინე და ნგრევას აღარასოდეს იფიქრებსო!..

— სამასსამოცდახუთი წმინდა გიორგი შეგეწიოთო! — და ფეხზე წამოუდგნენ კაცები სალოცავებს...

...მერე დაიშალნენ ნელ-ნელა: აწი კაი საქმეში შევხვედროდით ერთმანეთსო!..

ისევ მხრებზე გადამხვია ხელი აგაბო ბიძიამ, — კიდო ხვარ ტირიხარო?!

— არა, თქვენ რომ გიყურებთ, ისე მიყვარს სიცოცხლე, სიკვდილი აღარც მახსოვს-მეთქი! — ვუთხარი გულწრფელად და გაუხარდა: — შენ გეიხარე, ჩემი ბიძიე, კაი სიტყვიზაო... არ ვართ გლახა ხალხი გურულები და შევარდნაძის გულობიზა ნუ მოგვიძულებთ... ისე, არც მაია გლახა კაცი, მარა პრეზიდენტობა ადვილი რო იყოს, მეც ქე ავძვრებოდი მის ტახტზე... ზოგი კაცი თავის ოჯახს ვერ უვლის და ხან ცოლი გოუბოზდება, ხან შვილი წავა ქურდათ, ამ ჭრელ ქვეყანაში რო რამე შეგეშალოს და გამოგრჩეს, მაი რა გასაკვირიაო... რომ დოუჯინიათ „გადაყვა თავისიანებსო" — ტყუილია მაგი, ღმერთი როა ჩვენი პატრონი, თვარა სკოლა რო დაამთავრა, მის მერე არც გახსენებია, გონია თავისი გურულობა, მარტო რო გამოუშვა, შეიძლება გზაში ქეც დეიკარგოსო!..

...მეორე დღეს ახლობლის მანქანით მიპირებდნენ გამოშვებას — შინამდე მიგიყვანსო — მაგრამ არ ვქენი, ვერაფრით ვერ დავიკლებდი იმ სიამოვნებას, რასაც გურულებთან ერთად დანჯღრეული ავტობუსით მგზავრობა მანიჭებს. იტყვის ერთი რაღაცას, გამოელაპარაკება მეორე და ახარხარებულ-აზანზარებული ავტობუსი კი არ მიდის, მიხტუნაობს გზაში... რაც იმ ავტობუსში გავიგონე, იმის მოყოლა რომ დავიწყო, ველარ დავამთავრებ წერას და ვერც ერთ გაზეთში დავატევ სათქმელს, ამიტომ „რეპორტაჟს" ავტობუსიდან უახლოეს ხანებში შემოგთავაზებთ...

ერთს გეტყვით — გურია-იმერეთის საზღვარს რომ მივაღწიეთ, რომელიღაცა ენაკვიმატმა მძღოლს გასძახა: — დათოია, ბიჭო, ბერძნის წყაროსთან გააჩერე მაგი დაფეხვილი ავტობუსი, მაგასაც მოათქმევინე სული და ჩვენც დაგვალევიე უკვტავების წყალი, იმის იქით სხვა ჰაერია, წყალსაც სხვაფერი გემო აქ, გურულს არ შეედრებაო!...

მართლაც, წყალსაც სხვაგვარი გემო აქვს გურიაში...

***ინგა ჯაყელი***



## რას გვეტყვი, მამაო?

**— გთხოვთ მიპასუხოთ, შეიძლება თუ არა ადამიანს, რომელმაც თავი მოიკლა კლიმაქსის გამო, გადაუხადოთ საეკლესიო პანაშვიდი ან რა შეიძლება ჭირისუფლებმა მისი სულისთვის გააკეთონ?**

— ამ დაავადების გამო თვითმკვლელობა განსხვავდება იმ თვითმკვლელობისაგან, როცა ადამიანმა იცის, რას სჩადის. გართულებული კლიმაქსის დროს ფიზიოლოგია იცვლება, ადამიანი ხვდება ამ ფიზიოლოგიური პროცესის ტყვეობაში და განუწყვეტელ სულიერ ბრძოლაშია. ფსიქიკა იცვლება, ზოგჯერ შეურაცხადიც ხდება. ასეთი შემთხვევის გამო თვითმკვლელობის დროს ეკლესია მიცვალებულს წესს უგებს, პანაშვიდს უხდის და მისი სულის მოსახსენიებლად ლოცულობს. მაგრამ ამ დაავადების ასეთი მძიმე ფორმა ჭირისუფლებმა და, უპირველესად, ექიმებმა უნდა დაადასტურონ. ახლობლებს შეუძლიათ ილოცონ გარდაცვლილის სულისთვის. გადაიხადონ საეკლესიო პანაშვიდები და მოწყალება გასცენ მის სახელზე.

**— ვარ მართლმადიდებელი, მაგრამ არ მქვია ქრისტიანული სახელი. არც ის მახსოვს, ნათლობისას რა მიწოდეს. მინდა მყავდეს ჩემი სახელის მქონე წმინდა მფარველი ანგელოზი. როგორ მოვიქცე?**

— თუ თქვენი სახელი ქრისტიანობას არ უკავშირდება ანუ წმინდანთა შორის არ მოიხსენიება, სასურველია, გამოიცვალოთ. საერთოდ, ქრისტიანული სახელის დარქმევა ხდება ნათლობის დროს, მაგრამ თქვენს შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ მოძღვარს, რომელიც რომელიმე ქრისტიანულ სახელს შეგარქმევთ. ამ სახელით მონაწილეობას მიიღებთ საეკლესიო საიდუმლოებებში, გეყოლებათ მფარველი ანგელოზი, რომლის სახელზეც ილოცებთ, მას შესთხოვთ მფარველობას განსაცდელისა და სიხარულის დროს.

**— შეგვიძლია თუ არა წმინდანად შერაცხული ერისკაცი „წმინდა მამებად" მოვიხსენიოთ?**

— წმინდა მამებად მოვიხსენიებთ ცოცხალ თუ გარდაცვლილ საეკლესიო მოღვაწეებს, რომლებიც უფლის სახელისთვის ალვწრულნენ. ღვთის ნებით, წმინდანებად შერაცხნენ ის საერო პირებიც, რომლებმაც განუზომელი ღვაწლი წარმოაჩინეს ეკლესიისა და სამშობლოს წინაშე, მაგრამ საეკლესიო ტერმინოლოგიაში „წმინდა მამის" წოდებას მხოლოდ სასულიერო მოღვაწენი ატარებენ.

**— ჩემი 17 წლის ვაჟი ფეხბურთელია და ყოველთვის ინახავს მარხვას. სპორტი დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვს, ამიტომაც მწვრთნელიც და ჩვენც, ოჯახი, ვურჩევთ თავი შეიკავოს მარხვისაგან, რაზეც არ გვეთანხმება. რამდენად გამართლებულია მარხვა ძლიერი ფიზიკური დატვირთვის დროს?**

— სპორტი მართლაც მოითხოვს დიდი ფიზიკური ძალების ხარჯვას, მაგრამ თვალი გადავავლოთ ჩვენს ისტორიას, როდესაც განუწყვეტელ ომებში გვიხდებოდა ყოფნა. ჩვენი წინაპრები, რომლებიც ეკლესიისა და სამშობლოსათვის იბრძოდნენ, მარხულნი მიდიოდნენ ომში. ეს მათ ძალასაც აძლევდა და გამარჯვების რწმენასაც. ხშირად იმარჯვებდნენ კიდეც. რაც შეეხება დღევანდელობას, ბევრი სახელოვანი სპორტსმენი ცხოვრობს ეკლესიურად — მარხვა ფიზიკური ძალების დაბალანსებასაც უწყობს ხელს. თუ თქვენი შვილი დროდადრო, ინტენსიური დატვირთვის გამო, საჭიროებს რძის პროდუქტების მიღებას, შეუძლია მიმართოს თავის მოძღვარს, რომელიც ამ პროდუქტების ხმევის კურთხევას მისცემს.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# „იქნებ თქვენმა გაზეთმა გაბედოს და საფოსტო კონტრაბანდის ბიზნესი გაახმაუროს“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

კომისიის ერთ-ერთი წევრი საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენელი აღმოჩნდა. ვისარგებლე და მებაჟეს, **მამუკა გორგოძეს** გავესაუბრე:

— **მინდა რამდენიმე კითხვაზე მიპასუხოთ. კერძოდ, ხდება თუ არა დღეს საფოსტო გზავნილებით ნარკოტიკების ან ასაფეთქებელი ნივთიერებების გადაზიდვა?**

— არა მგონია...

— **აქვს თუ არა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს შესაბამისი აპარატურა, რომელიც ამანათში ან ბანდეროლში აკრძალულ საგანს აღმოაჩენს?**

— თქვენ ალბათ „ჰაიმანის“ აპარატურას გულისხმობთ. სამწუხაროდ, არ გვაქვს. ძალზე ძვირი ღირს, საბაჟო დეპარტამენტს საამისო სახსრები არ აქვს(?!)

— **ნარკოტიკებსა და იარაღზე დაგეშილი ძაღლები თუ გყავთ?**

— გვყავდა ხუთი ძაღლი. იმდენი ფაქტი გამოვავლინეთ, რომ აღტაცებულები ვიყავით. ვერავინ ბედავდა ნარკოტიკის ან იარაღის გაპარებას. საერთოდ, ნარკოტიკებზე დაგეშილი ძაღლები თვითონ არიან ნარკომანები და ამიტომ, როდესაც ნარკოშიმშილი მოეძალებათ, გამწარებული ეძებენ ნარკოტიკს. იარაღის და ასაფეთქებელი ნივთიერების აღმოსაჩენადაც გვყავდა მაძებრები, მაგრამ რად გინდა, როდესაც ერთ-ერთ რაიონში წავედით ნარკოტიკების აღმოსაჩენად ძაღლები მოგვიწამლეს(!) მერე სულ გააუქმეს საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურაში არსებული ანტინარკოტიკული განყოფილება, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი...

დასასრულ, რამდენიმე კერძო კომერციულ საფოსტო ფირმას ვეწვიეთ. ერთ-ერთი მათგანი უდიდესი საფოსტო ორგანიზაცია, საქართველოში მოქმედი საფოსტო გზავნილების საერთაშორისო ფირმა „DHL“ არის. მარკეტინგის მენეჯერი **ლადო ხარებავა:** „საქართველოში მოქმედ კომერციულ საფოსტო ფირმებს კლიენტებისგან ჯერ არც ერთი საჩივარი არ მიუღიათ. ჩვენი მომსახურებით ყველა კმაყოფილია, რადგან მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან გამოგზავნილ კორესპონდენციას თუ ამანათს მოქალაქე აუცილებლად იღებს. ჩვენს ორგანიზაციას 220 ქვეყანაში აქვს ოფისები. როდესაც მოქალაქე ამანათს ჩვენს ოფისში ჩააბარებს, მას და მის ადრესატსაც ინტერნეტში ჩვენი ფირმის ვებგვერდზე შეუძლიათ თვალი ადევნონ ამანათის გადაადგილებას. ასე რომ, მისი დაკარგვა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ჩვენი მომსახურება სახელმწიფო ფოსტასთან შედარებით ძვირი ღირს, მაგრამ სამაგიეროდ, მომხმარებელი გარანტირებულია, რომ ამანათს არ გაუძარცვავენ ან არ დაუკარგავენ“.

როგორც ზემოთ ითქვა, კომერციული საფოსტო ფირმების მომსახურება მართლაც ძალზე ძვირია. მაგალითად, ერთი წერილის გაგზავნა, ვთქვათ, გერმანიაში 28 დოლარი, ხოლო ხუთკილოგრამიანი ამანათის კი 130 დოლარი ღირს. კომერციული საფოსტო ფირმების ხელმძღვანელები დაბეჯითებით გვიმტკიცებდნენ, რომ შეუძლებელია მათი მეშვეობით ვინმემ ამანათით ან ბანდეროლით აკრძალული საქონლის გადაზიდვა მოახერხოს. ერთ-ერთი ფირმის ხელმძღვანელი: „ამანათს მოქალაქე ჩვენი თანდასწრებით ალაგებს და ფუთავს. საეჭვო საქონელზე შესაბამის სერტიფიკატს ვთხოვთ. ასე რომ, გამორიცხულია ნარკოტიკის ან ფეთქებადი ნივთიერების ამანათში შეპარება“.

ჩვენ პატარა ექსპერიმენტი მოვაწყვეთ. ერთ-ერთ (შედარებით მცირე არეალის მქონე) კომერციულ საფოსტო ფირმაში დავრეკეთ და ვთხოვეთ, ამანათი წაეღოთ სახლიდან. ერთ საათში ფირმის წარმომადგენელიც გამოცხადდა. ამანათში სხვადასხვა ნივთის ჩალაგება დავიწყეთ, მათ შორის, ვითომ საეჭვო ნივთიერებაც (ცელოფანის პაკეტებში მოთავსებული შაქრის პუდრი ძალიან ჰგავს ნარკოტიკს — ზ.ჩ.) გავურიეთ. ფირმის წარმომადგენელმა უარი განაცხადა, მაგრამ მისი „აღშფოთების“ განელება 10 ლარით ვცადეთ, ბოლოს 20 დოლარზე შევთანხმდით...(!)

*P. S. არ შეიძლება სახელმწიფო გერქვას და ფოსტა არ გქონდეს, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოს სტატუსამდე კიდევ ბევრი აკლია. თუ ასე გაგრძელდა, მალე საქართველოში ერთიდან მეორე რაიონში ნათესავი ნათესავს წერილით ხმას ვერ მიაწვდენს, რადგან იაფი სახელმწიფო ფოსტა არსებობას შეწყვეტს, ხოლო კომერციული საფოსტო ფირმების მომსახურება ისე ძვირი ღირს, წერილის გაგზავნის სურვილი ნამდვილად დაეკარგება კაცს.*

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# შიშველი „მზეთუნახავი“...

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

„ეგრე, არა? მეგი არ ვიყო, თუ არ გაგამწაროთო, ჩაიდო გულში ბოლმა ქალმა და იმ დღიდან შიუკაშვილების მტრად იქცა. სოფელში რომ აუკრძალეს მამაკაცებთან კურკური, ქალაქში დაიწყო სიარული. ისეთი კაცის გამოჭერა უნდოდა, ვისაც ტიკინასავით ატრიალებდა და ყველაფერს გააკეთებინებდა. ლენინგორში ვერა, მაგრამ ისევ იქ, მათივე სოფელში გამოჩხრიკა ერთი ნახევრად ლენჩი ახმახი და როცა დარწმუნდა ჩემი ყურმოჭრილი მონააო, სამოქმედო გეგმა გააცნო. გეგმა კი ისეთი მარტივი ჩანდა, აბა, ის ახმახი უარს როგორ ეტყოდა. ბუნებრივია, საქმე შიუკაშვილების გაძარცვას ეხებოდა, მაგრამ ერთი გარემოება ართულებდა საქმეს — ახმახს სოფელში ყველა იცნობდა და რომელიმე შიუკაშვილსაც რომ ეცნო, მაშინ?

— ნიღაბი გაიკეთე — მორჩა და გათავდა... იმათ ოთახებში, სადაც მხოლოდ ქალებსა და ბავშვებს სძინავთ, ტყუილად აურევ-დაურევ ყველაფერს, ვითომ ფულს ეძებ. მერე ჩემთან შემოხვალ და კარადებს ჩამოუვლი, ფული და ოქროულობა იქ აწყვია, ყველაფერს პარკში ჩაყრი და გაიქცევი. ეს საქმე ლომისობას უნდა მოვითავოთ, კაცები სალოცავში იქნებიან გაკრეფილები. ჩემი ქმარიც იქ იქნება. იმ ღამით კი არაფერი გამოგვივა მე და შენ, მაგრამ ერთი-ორი დღის შემდეგ თვითონ მოვალ შენთან. ფულს და ოქროულობას რომ გადმომცემ, მერე მთელი ღამე შენთან დავრჩები...

> **მალე გაღვიძებულმა სოფელმა შალვა შიუკაშვილის ოჯახში ექვსი ცხედარი აღმოაჩინა. იქვე, ლოგინში კი ორი თავგატეხილი მცირეწლოვანი ღრიალებდა, რომელთა სიცოცხლეს, საბედნიეროდ, საფრთხე არ ემუქრებოდა...**

კაცი ჭკუაზე აღარ იყო. ყველაფერზე წავიდოდა, ოღონდ მისი გული მოენადირებინა, მით უმეტეს, ქალი შეჰპირდა, — იმ ფულით სახლს ვიყიდი, ქმარს გავეყრები და ერთად ვიცხოვრებთო. ერთი სიტყვით, იმ საბედისწერო ღამეს რაღაც კი ჩამოიფხატა სახეზე, მაგრამ ვერ იგუა და ჯიბეში ჩაიტენა, — თუ გამიჭირდა, მაშინ გამოვიყენებო და შიუკაშვილების სახლში ქალებსა და ბავშვებს დაერია. აბა, თქვე ასეთებო და ისეთებო, რაც ფული და ოქროულობა გაქვთ, ამ აბგაში ჩამიყარეთო და იქაურობის ჩხრეკას შეუდგა. დაფეთებული ქალები და ბავშვები ერთ კუთხეში მიიკუნტნენ, ყველაფერი წაიღე, ოღონდ არაფერი დაგვიშავოო, ევედრებოდნენ. უკუნი ღამე იყო, ხანდახან ბუხარში ჩამქრალი ცეცხლის სუსტი ალი წამობრიალდებოდა და გაანათებდა ოთახს. ოქტომბერი იდგა და სოფელში უკვე ციოდა. ახმახმა იცოდა, ამ ოთახში ტყუილად უნდა ეჩალიჩა, მაგრამ ასეთ საქმეს უჩვევმა ისე გაუტია, მეორე ოთახში გასვლა გადაავიწყდა კიდეც, მაგრამ როცა მეორე მხარეს ლამპის სინათლეს მოჰკრა თვალი, უმალ იქით გაეშურა. კარადები საკეცის პირით დაალო, ფული და ოქროულობა აბგაში ჩაყარა და ის იყო, ოთახიდან უნდა გასულიყო, თავი ვერ შეიკავა, აბგა მიაგდო და ლოგინში გატრუნულ ქალს დააცხრა. მეგიმაც, ვითომ „შიშით ენაჩავარდნილმა“, თავი ვეღარ დაიცვა... იმ ღლაბუცში ახმახმა ნიღაბიც კი მოისროლა, მერე ის იყო, სახლიდან გასვლა დააპირა, რომ მარო ბებომ შეჰკივლა:

— გოგია ხარ, ბიჭო, შენა? შენ დაგვლუპე? ფუი შენს კაცობას!

რაო, მიცნესო? ეს იმას ნიშნავდა, რომ ხვალვე დაიჭერდნენ. ციხეში რომ წავიდეს, ქალს სხვა პატრონი გამოუჩნდება. არა, ესენი უნდა დახოცოს, მაშინ აღარავის ეცოდინება, რომ მან წაიღო ფული და ოქროულობა.

ბევრი აღარ უფიქრია, აივანზე დაყრილ შეშის ნაპობს წამოავლო ხელი და მარო ბებოს კეფაში ჩასცხო. მერე ოთახში შეიჭრა და აკივლებულ ქალებს დაერია. კიდევ კარგი, ორი პატარა ისე ღრმად შემძვრალიყო ლოგინში, რომ თითქმის უვნებლები გადარჩნენ (რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ სტრესს, რაც იმ ღამით გადაიტანეს).

საქმის ასე შემობრუნებას მეგი ნამდვილად არ ელოდა. გოგია თავის საქმეს მორჩა და აბგიანად გაიქცა. სახლში ერთადერთი ცოცხალი არსება მეგი დარჩა (ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა თვითონ). იცოდა, რაღაც უნდა ეღონა და აქამდე დადუმებულმა ახლა მთელი ძალით იკივლა, მერე კი ერთიანად შიშველ-ტიტველმა პელო შიუკაშვილს მიაშურა... დანარჩენი მკითხველმა უკვე იცის. მათ შორის ისიც, რომ ამ ამბის შემდეგ მეგიმ სახლი იყიდა.

***ვაჟა გავაშელი***

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები.
პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება






# არჩევნები დასავლური თარგით

— 2 ნოემბერს დანიშნულმა საპარლამენტო არჩევნებმა მთავარ კითხვას უნდა გასცეს პასუხი: რა გზით მიდის საქართველო. ამაზე იქნება დამოკიდებული მომავალში თუ როგორი დახმარების იმედი უნდა ჰქონდეს თქვენს ქვეყანას, — განაცხადა თბილისში პრესკონფერენციაზე ეუთოს თავმჯდომარის საგანგებო წარმომადგენელმა ლივიუ ბოტამ. ჯერ კი ცესკოს შემადგენლობა და მისი თავმჯდომარეა ასარჩევი. როგორც საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში ამბობენ, ამ ადგილზე ედუარდ შევარდნაძეს ეროვნული უშიშროების კომიტეტის მდივანი რუსუდან ბერიძე უნდა.



ლივიუ ბოტა

საქართველოში მომავალ არჩევნებს ევროპაში მართლაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ფაქტობრივად, ამ პროცესს აკონტროლებენ კიდეც. ამას ისიც ცხადყოფს, რომ კენჭისყრამდე 2 თვით ადრე, თბილისში ეუთოს პირველი ჯგუფი ჩადის (28 კაცი). როგორც საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელი როი რივსი ამბობს, უშუალოდ არჩევნების დღეს, მთელი ქვეყნის საარჩევნო უბნებში 600-700 უცხოელი დამკვირვებელი მიადევნებს თვალს არჩევნების მსვლელობას. მარტო ეუთოდან და ევროპის საბჭოდან 30-40 მეთვალყურე გაიგზავნება.

სანამ პოლიტიკური პარტიები ახალი ცესკოს ფორმირებით იყვნენ დაკავებულნი, მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა პრეზიდენტის მომხრეებით დაკომპლექტებულმა მოქმედმა ცესკომ — მიიღო დადგენილება, რომელიც პოლიტიკოსთა და იურისტთა უმრავლესობის აზრით, ზღუდავს ამომრჩეველთა უფლებებს და ქვეყნის კონსტიტუციასაც არღვევს. ამ დოკუმენტის თანახმად, არჩევნებამდე 50 დღით ადრე, ცესკო კრძალავს პოლიტიკოსთა და პოლიტიკურ პარტიათა ნებისმიერი საქმიანობის მასმედიით გაშუქებას. ნებადართულია მხოლოდ წინასაარჩევნო სააგიტაციო და სარეკლამო რგოლების ჩვენება. ეს აკრძალვა ვრცელდება პოლიტიკოსთა კომენტარებზე და ნებისმიერ ტელეპროგრამაში, გასართობშიც კი, მათ მონაწილეობაზე. ოღონდ, გაურკვეველია, რა უნდა უყონ წლების მანძილზე პირდაპირ ეთერში ტრანსლირებულ პარლამენტის სხდომებს... კიდევ ერთი რამ არის გასარკვევი: ამ 50 დღეში აქვთ თუ არა მედიაში „გაელვების" უფლება საქართველოს პრეზიდენტს და მის მინისტრებს?

***იზვესტია №155***

# ქართველი პიაფი

მოსკოვის ჯაზის და თეატრის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი ქართველი მომღერლის ნუცას სახელი. პირველნი მას „ჯაზის ქალბატონს" უწოდებენ, მეორენი კი შტურმით იღებენ თეატრალურ სალაროებს, რათა როგორმე მოხვდნენ სპექტაკლზე „ჩემი ლეგიონერი", სადაც ნუცა დიდი ედიტ პიაფის როლს თამაშობს.



ნუცა შანშიაშვილი

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ თბილისიდან 5 დოლარით მოსკოვში ჩასულმა ნუცამ, როგორმე თავი რომ გაეტანა, პატარა დუქანში დაიწყო სიმღერა, მერე მუსიკალურ კონკურსში მიიღო მონაწილეობა, სადაც ბორის მოისეევმა შენიშნა და თავის შოუში მიიწვია. 1998 წლიდან კი დამოუკიდებლად დაიწყო მოღვაწეობა.

***— როგორ მიიღეთ ედიტ პიაფის როლი რომან ვიქტიუკის სპექტაკლში?***

— ნინო ანანიაშვილის იუბილეზე ჩემი გამოსვლის შემდეგ რომან გრიგორევიჩმა მითხრა: — გოგონა, დიდი ხანია ჩემს ედიტ პიაფს ვეძებ, მაგრამ ან მსახიობს ვპოულობდი, ან მომღერალს. შენ ორივე მონაცემი გაქვსო.

***— პიაფის სახის შექმნისას ყველაზე ძნელი რა იყო?***

— სპექტაკლში მის სიმღერებს „ცოცხლად" ვმღერი. თუ პიესის რეპეტიციებს ერთი თვე მოვუნდით, ფრანგულის სწორი გამოთქმის შესწავლას ერთი წელი დასჭირდა. არ შეიძლება პიაფი იმღერო არასწორი ფრანგული ენით. ვიქტიუკისა და ჩემი მიზანია მომღერლის სულიერი ტკივილის გადმოცემა.

***— არ გეშინიათ, რომ პიაფის თამაშით ბოროტ ბედისწერას გადაეყრებით?***

— პირიქით, მგონია, რომ ამ როლით უბედურებას ავიცილებ. იმ ქვეყნად უფრო მეტი ახლობელი მყავს, ვიდრე ამქვეყნად. ხოლო სააქაოსა და საიქიოს დამაკავშირებელი სიზმრებია. როცა ვიძინებ, იმ ხალხს ვხვდები, რომლებიც მიყვარს და მენატრება. მაგრამ ეს მანამდეც იყო, სანამ ედიტ პიაფს ვითამაშებდი.

ნუცას დაგეგმილი აქვს იმ პროგრამის წარდგენა, რომლითაც ამერიკაში იმყოფებოდა. ნიუ-იორკში, „მილენიუმის" დარბაზში, კონცერტებს საარაკო წარმატება ხვდა წილად. ნუცა მღეროდა ჩიკაგოში, ბოსტონში, ვაშინგტონში, ფილადელფიასა და სან-ფრანცისკოში. ის ძალიან წუხდა — დარბაზში ცოტანი იყვნენ ქართველები, უმეტესობა ამერიკელები და რუსები მისმენდნენ, არადა ჩემს რეპერტუარში ბევრი ქართული სიმღერააო.

სურათები სპექტაკლისთვის თავად ნუცამ დახატა. ყოველ სიმღერას ცალკეული ნახატი აქვს. შემოდგომაზე ცენტრალურ სატელევიზიო არხებზე ფილმი-მიუზიკლი „ამოპოლო" გამოვა, სადაც ნუცა მთავარ როლს თამაშობს და ბევრ სიმღერას მღერის.

***არგუმენტი ი ფაქტი N14***

# საქართველოს ხელისუფლების ხელის შეშლის მიუხედავად...

*ინტერვიუ აფხაზეთის ახალგაზრდობის, სპორტის, კურორტებისა და ტურიზმის მინისტრთან,* **ასტამურ ადლეიბასთან:**



— აფხაზეთში ქართულ-აფხაზურმა ომმა ტურისტული ობიექტები ძალიან დააზიანა. სერვისის დონითაც მსოფლიოს ჩამოვრჩით. მომსახურე პერსონალიც არ არის სათანადოდ მომზადებული. აფხაზეთის ტურისტული ობიექტების 90% გაქირავებულია. ამ ობიექტების პატრონებმა უნდა იზრუნონ ყველაფერზე,, რადგან ადრე თუ გვიან, დამსვენებელი სრულყოფილ სერვისს მოითხოვს.

**— რომელი ობიექტები დარჩა სახელმწიფოს?**

— არც ისე ბევრი: კურორტ ბიჭვინთის პანსიონატების გაერთიანება „აიტარი", და ახალი ათონის გამოქვაბულის კომპლექსი. „აიტარში" მთელი საკურორტო ქალაქია გაშენებული, კეთილმოწყობილი ორსართულიანი კოტეჯებით.

**— რა ბედი ეწია ომის დროს დაზიანებულ ობიექტებს?**

— იჯარით აღებული ყველა ობიექტი გაგრასა და ბიჭვინთაში მუშაობს. მართალია, ზოგი კარგა ხანი იყო დაკონსერვებული, მაგრამ ახლა იქ ყველაფერი აღდგენილია. გაქირავებული და პრივატიზებული ობიექტები სახელმწიფო კომუნალური მეურნეობის გამგებლობაში გადავიდა. უამრავი დამსვენებელი ჩამოდის, ამას ნამდვილად არ ველოდით. წელს აფხაზეთის სხვადასხვა კურორტზე 300 ათასმა ადამიანმა დაისვენა. რასაკვირველია, ეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საბჭოთა პერიოდში, მაშინ დაახლოებით 1 მლნ-ზე მეტი დამსვენებელი ჩამოდიოდა... საქმე ის არის, რომ აფხაზეთის საგზურები გაცილებით იაფია, ქვეყანა ნელ-ნელა ტურისტულ ორბიტაზე ბრუნდება, ხოლო იმის ახსნა, რა არის გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი და სოხუმი, რუსებს არ სჭირდებათ. და, რაც მთავარია, როგორც არ უნდა ცდილობდეს ამის შეფერხებას საქართველოს მთავრობა, ქვეყანაში მდგომარეობა სტაბილურდება.

**— კურორტებიდან რესპუბლიკის ბიუჯეტში რა თანხა შედის?**

— შარშან 19 მლნ რუბლზე მეტი შევიდა. წელს — 2-ჯერ მეტი. ჩვენი ეკონომიკის ამოქაჩვა მარტო საკურორტო ბიზნესითაც შეიძლება. აფხაზეთი იმედის თვალით უყურებს ტურიზმის აღორძინებას.

***ია რეგნუმ***

# საქართველო პირველი „რუსული" ზამთრის მოლოდინში

## რაო „ეეს როსია" ადგილობრივ კადრებს არჩევს

ზამთარი ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ საქართველოს პროვინციები ახლავე ემზადებიან ზამთრის ელექტროგრაფიკით, ანუ უსინათლოდ ცხოვრებისათვის: „საქართველოს გაერთიანებულმა დისტრიბუციულმა ენერგოკომპანიამ", რომლის მენეჯმენტს ამერიკული კომპანია P.A. Consulting-ი ახორციელებს, ქვეყნის 23 რეგიონს მოხმარებული ელექტროენერგიის გადაუხდელობის გამო სრულიად შეუწყვიტა ელექტროენერგიის მიწოდება. ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა როგორც მოსახლეობას, ასევე სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებსაც და აღდგება მხოლოდ დავალიანების გადახდის შემთხვევაში. ამ გადაწყვეტილებას ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემაც აუბა მხარი და მთავრობის სხდომაზე განაცხადა, — მოსახლეობამ უნდა ისწავლოს ელექტროენერგიის ფულის გადახდაო.

**(გაგრძელება იხ. გვ. 27)**



საჩუქარი მკითხველისთვის!

ბუთქუნას ყველა სერიას
ნამცხვარი „ზღაპრული" მოჰყვება

ამიერიდან ბუთქუნას წიგნებს მოჰყვება კუპონი, რომლითაც შეგიძლიათ მიიღოთ „თოლიას" უგემრიელესი, მომგებიანი ნამცხვრის „ზღაპრულის" ერთი შეკვრა

კუპონები განაღდდება ყველა სავაჭრო ობიექტში, სადაც იყიდება „თოლიას" ნაწარმი





ახლა უკვე ყველა წიგნში
კომიქსებია!



ბავშვებო!
X წიგნში შეიტყობთ, თუ როგორ მოახერხა დანდალომ ცაში აფრენა და რატომ გაიჭედა მაღალი ხის ტოტებში ისე, რომ მეხანძრეებიც კი ვერ დაეხმარნენ გრძელი კიბით... მისი შველა ამჯერადაც ბუთქუნამ და მისმა მეგობრებმა შეძლეს.



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



# პატარები გვიამბობენ

**4 წლის ლაზარე კვირტიას** მშობლები, ბებია-ბაბუა, უფროსი და, და 10 თვის ძმა ლუკა სამოთახიან ბინაში ცხოვრობენ. ერთხელ ლაზარე მამას ეუბნება:

— მამიკო, ეს ლუკა რატომ გააჩინეთ, სახლი ისედაც გატენილია ხალხით.

* * *

**პატარა თეკლა ქურასბედიანი** ურეკში ისვენებდა. ზღვის მარილიანი წყალი რომ ჩაყლაპა, წამოიძახა, — აუჰ, დედიკო, ეს რამდენი სვანური მარილი ჩაუყრიათ წყალში.

* * *

დედა ეუბნება **პატარა თამთას:**

— ნუ მაბრაზებ, თორემ დავბერდები!

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თამთა ეკითხება:

— შენ აბრაზებდი ბებიას, რომ დაბერდა?

* * *

პირველ კლასში მისულ **დათუნა გაჩეჩილაძეს** ეკითხებიან:

— როგორ მოგეწონა მასწავლებელი?

— არაფერი არ იცის...

— რატომ?

— ყველაფერს ჩვენ გვეკითხება.

## იპოვე 10 განსხვავება





## I ანა, გამოიცანი

**1) რომელი მოციქული დევნიდა ქრისტიანებს მანამ, სანამ ქრისტეს სასწაულებრივმა ხილვამ არ მოაქცია ქრისტიანობისაკენ, რის შემდეგაც თავად გახდა მისი მქადაგებელი და სახელიც შეიცვალა.**

ა) ანდრია; ბ) მარკოზი; გ) იუდა; დ) პავლე.

**2) რომელია საწინააღმდეგო შინაარსის გამომხატველი სიტყვა?**

ა) მორჩილი; ბ) ჯიუტი; გ) კერპი; დ) თავისნათქვამა.

**3) რომელი ქვეყანა აღარ არსებობს:**

ა) პალესტინა; ბ) სირია; გ) ურარტუ; დ) ეგვიპტე.

**4) რომელი არ არის კურკოვანი მცენარე?**

ა) ზეთისხილი; ბ) წაბლი; გ) შინდი; დ) ფშატი.

**5) სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება განსაზღვრული კატეგორიის მსჯავრდადებულთათვის არის:**

ა) ამნისტია; ბ) ალიბი; გ) პრეზუმფცია; დ) პეტიცია.

**6) ვინ არის ავტორი სიტყვებისა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.**

ა) გრიგოლ ორბელიანი; ბ) ილია ჭავჭავაძე; გ) შოთა რუსთაველი; დ) ნიკოლოზ ბარათაშვილი.




## სწავლაში ზარმაცი, ჭამაში მამაცი

დილით ძლივს ააყენეს
მიხო — ტლუ და ზარმაცი,
ფეხზე ამდგარს ეძინა,
დადიოდა ბარბაცით.
პირი არ დაიბანა,
ისაუზმა მაძღრისად
და დაიწყო გავსება
საჭმელებით ჩანთისა.
დედამისმა იკივლა: —
რას აკეთებ მაგასო?!
ჩაალაგე წიგნები,
თორემ ვეტყვი მამასო!
— ვისაც გინდა უთხარი,
მშიერი ვერ ვიქნები!
ჩანთა გატენილია,
სად ჩავაწყო წიგნები?!

*ნიკოლოზ იოსებიძე*



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ცისფერ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ცხოველი დიდი, ბუნებით ნელი, არის ზლაზნია და მოუქნელი, საკვებად უნდა თივა და ჩალა, შავია, ხარზე მეტი აქვს ძალა“.



თქმულება

## მზეჭაბუკი

ერთ სოფელში გულადი და უშიშარი ყმაწვილი, სახელად მზეჭაბუკი ცხოვრობდა.

ერთხელაც საქართველოს მტერი შემოესია, თუმცა როდის არ ესეოდა. დამარცხდა მეფის ჯარი ურიცხვ ურჯულოსთან ბრძოლაში, მაგრამ ვისაც ძალა მოსდევდა, მთა-ტყეში გაიხვეწა და იქიდან არ ასვენებდა მომხდურს. მზეჭაბუკმაც მოკრიბა თანასოფლელები, ტყეში გავიდა და ხშირ-ხშირი თავდასხმებით სისხლს უშრობდა ურჯულოებს. მტერმა ვერაფერი გააწყო. აღარ იცოდა, რა ექნა. ბოლოს ასეთი ხერხი იხმარა: მზეჭაბუკის თანამებრძოლთა შორის მოღალატე გამოძებნა, მიუგზავნა და ათქმევინა: დედაშენი ავადაა და სიკვდილის წინ შენი ნახვა უნდაო. შეწუხდა მზეჭაბუკი. დედის ამბავმა გული მოუკლა, მტრის ყურადღება რომ არ მიეპყრო, ერთ ღამეს მარტო წამოვიდა მშობლის სანახავად. როცა სახლს მიუახლოვდა, იქ ჩასაფრებულმა ურჯულოებმა შეიპყრეს და ყაენს მიჰგვარეს. ყაენმა სარწმუნოების შეცვლა მოსთხოვა, ეგონა, თუ მზეჭაბუკი სარწმუნოებას შეიცვლიდა, მისი თანამებრძოლნი გატყდებოდნენ და ბრძოლაზე ხელს აიღებდნენ. ყაენი ბევრს ეცადა, ლამის წამებით სული ამოხადა მზეჭაბუკს, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჰოდა, ბრძანა, იგი თავისსავე სოფელში კოცონზე დაეწვათ ხალხის თვალწინ, რომ ყველას ჭკუა ესწავლა და ბრძოლა შეეწყვიტა.

სოფლის მოედანზე ძალით გამოყარეს ხალხი. გამოიყვანეს მზეჭაბუკიც. სახე მართალია ნაწამები ჰქონდა, მაგრამ ზედ მზის ნათელი ეფინა, ამაყად იდგა, შიშის ნასახი არ ემჩნეოდა. პირიქით, ვაჟკაცური მზერით ამხნევებდა მოვიშვიშე თანასოფლელთ. ხალხში მოღალატეც ერია. ვითომც ბრალი არაფერში მიუძღოდა.

უცებ მთიდან ზვავივით დაეშვა მზეჭაბუკის ლაშქარი, დაერია ურჯულოებს და მუსრი გაავლო. დაიჭირეს მოღალატეც. მას შიშით მიწისფერი დასდებოდა. უთხრეს მზეჭაბუკს, ეს კაცი სიკვდილით დავსაჯოთო. მზეჭაბუკმა მოღალატეს ახედ-დახედა და თქვა: ამისთვის სიკვდილი ნეტარება იქნება, ცოცხალი დარჩეს; იმაზე მეტი სასჯელი რა უნდა იყოს — ცოცხლობდე და სამშობლოს მოღალატე გერქვასო.

ზღაპარი

## ლომი და მელია

ლომი ძლიერ ავად გახდარიყო და უძრავად იწვა თავის ბუნაგში.

მოსულიყვნენ სანახავად სხვადასხვა მხეცები, თავს ევლებოდნენ და უვლიდნენ თავიანთ ბატონს. მხოლოდ მელია არსად ჩანდა. ყველა გაკვირვებული იყო და კითხულობდა:

— ნეტავ, სად არის დღეს მელია, რომ არ მოსულა აქაო?

მგელმა დაუმატა:

— როცა საერთო მოლხენა და ქეიფია, მელია ხომ არასოდეს არ დააკლდება და დღეს რაღად მოვა, იცის, რომ გამოსარჩენს ვერაფერს გამოელისო.

ლომმა ძალიან იწყინა მელიას ასეთი უყურადღებობა, მგლის ნათქვამი მხეცებმა მელიას გადასცეს, მელია გაჯავრდა:

— დამაცადოს, მე ვაყურებინებ იმას სეირსო!

მეორე დღეს, როცა მხეცები ხელახლა ეახლნენ ლომს, მელიაც მიცუნცულდა, თავმდაბლად თავი დაუკრა და სალამი მიუძღვნა. ლომმა უსაყვედურა:

— სად იყავ ამდენ ხანს, რატომ არ მნახეო?

მელიამ თავი იმართლა:

— თქვენო დიდებულებავ, როცა თქვენი ავადმყოფობის ამბავი გავიგე, თავზარდაცემული გავიქეც გიჟივით, ექიმებს დავეძებდი, ყველას ვთხოვდი შველას და რჩევას, რა წამალი არგებს ჩვენს დიდებულ მეფეს-მეთქი. მირჩიეს: მგელს ფეხი მოსტეხონ, კოჭი ამოართვან და ნადირთ მეფეს მიართვანო!

მივარდა ვეფხვი მგელს და მოსტეხა უკანა ფეხი, მგელს თქრიალით წამოუვიდა სისხლი, ფეხები სულ გაუწითლდა და მწარე ღმუილით მოშორდა მხეცებს. უკან მელია გამოედევნა და მისძახოდა: წითელჩექმებიანო, საით მიბრძანდები? როდესაც სიტყვას ამბობ, დაფიქრდი და სხვას ორმოს ნუ უთხრიო!

## ანდაზები

- ობლისთვის იმედის მიმცემი ბევრია, პურის მიმცემი ცოტაო.
- კარგ მონადირეს იარაღი არ დაუჟანგდებაო.
- ცულით პატარა ხელი დიდ ხეს წააქცევსო.

## გამოცანები IV

ა
ასი, ასი, ასლამაზი,
ასი კაბა აცვიაო,
აბრეშუმის ქოჩორი
გვერდზე გადუვარცხნიაო.

ბ
ერთი შვიდფერი ქამარი,
მზისა და წვიმის შვილია.




პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*

# „ყოველდღე ერთმანეთს ვკოცნით, ღმერთს მადლობას ვწირავთ, კიდევ ერთი დილა რომ გაგვითენა და მერე ვცეკვავთ"

**ვისთვისაც ლეონიდე (ლეო) შერვაშიძის სახელი უცხო არ არის, ის ნამდვილად გულისტკივილით წაიკითხავს ამ სტრიქონებს... ამ ორიოდე კვირის წინ გარდაიცვალა მხცოვანი დიდი მეცნიერი და ჰერალდიკოსი... გარდაიცვალა თბილისში — მისი მშობლიური ქალაქიდან შორს. თუმცა, თურმე სოხუმთან შეხვედრა მაინც ელოდა სიკვდილის შემდეგ... მოლაპარაკება სამთავრობო დონეზე შედგა და ბატონ ლეონიდეს ნეშტი, რომელიც ლურჯ მონასტერში იყო დასვენებული, თბილისიდან სოხუმს წააბრძანეს და მის ტანჯულ სხეულს საკუთარი წინაპრების გვერდით მიუჩინეს ძვალთშესალაგი. ვინ აღარ გამოეთხოვა ბატონ ლეოს, საიდან აღარ მოდიოდა სამძიმრის დეპეშები... მთელი მსოფლიოს წამყვანმა მეცნიერებმა ქედი მოიხარეს მისი ღვაწლისა და დამსახურების წინაშე... ბატონ ლეოს დაემშვიდობა მისი უძვირფასესი მეგობარიც — კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II და მისი სული შეავედრა უფალს.**

**ჩვენც გულწრფელად თანავუგრძნობთ ქალბატონ ალდონას — ბატონი ლეოს უერთგულეს თანამეცხედრეს და გთავაზობთ წერილს, რომელიც დიდი მეცნიერის სიცოცხლის მიწურულს დაიწერა. სამწუხაროდ, მის გამოქვეყნებას ლეო შერვაშიძე ვერ მოესწრო...**

თბილისში ცხოვრობენ და სოხუმის გახსენებით სუნთქავენ, სოხუმში ცხოვრობდნენ და აქაურობა ენატრებოდათ. მათთვის უცხოა ადამიანებს შორის დაპირისპირება, ქიშპობა... უყვართ ადამიანები, ტკბებიან სიცოცხლით, სილამაზის აღქმისა და განცდის საოცარი უნარი აქვთ...



ერთ დღეს საკუთარი სახლის მიტოვება მოუხდათ და დავით აღმაშენებლის პროსპექტზე პატარა ოთახში დაბინავდნენ... აგარაკი დაეწვათ, მანქანა ყაჩაღებმა წაართვეს... სამნი ცხოვრობენ პატარა ბინაში — ბატონი ლეო შერვაშიძე, მისი მეუღლე — ქალბატონი ალდონა გაბუნია და დედამისი, ქალბატონი იულია ნადარეიშვილი...

— ყოველი დღე ჩვენთვის დღესასწაულია... დილით, თვალს გავახელთ თუ არა, ერთმანეთს გადავკოცნით და ღმერთს მადლობას ვწირავთ, რომ კიდევ ერთი დილა გაგვითენა და მერე ვცეკვავთ. ყოველდღე მოდიან ჩვენთან სტუმრები. ამ პატარა ოთახში ვშლით სუფრას. სულ სიმღერის ხმა გადის ჩვენი ფანჯრებიდან... სადაც გვპატიჟებენ, აუცილებლად გვაცეკვებენ მე და ლეოს. თუ ქორწილია, ნეფე-დედოფლის შემდეგ აუცილებლად ჩვენ ვცეკვავთ. ახლახან გენერალ გიორგი შერვაშიძის ვაჟის ქორწილი იყო. დაიწყეს თუ არა ლეკურის დაკვრა, მთელი სუფრა აყვირდა — ალდონა და ლეო, ალდონა და ლეო!.. ჩვენც სიამოვნებით ვიცეკვეთ... წლებს ვერ ვგრძნობთ, სულ მხიარულები და ხალისიანები ვართ. არც ქონება ყოფილა არაფერი, არც ფული და არც სიმდიდრე... მთავარი სინდისი ყოფილა — სოხუმიდან აქ მხოლოდ სინდისი ჩამოვიტანეთ... უბედნიერესი ქალი ვარ... ახალგაზრდობაში ერთ კაცს მოვწონდი... იმ დროს მამაჩემი გადაასახლეს, მამულები ჩამოგვართვეს... დავრჩით მე, ჩემი დეიდები და ბებიები. იმ კაცმა აღარ მითხოვა. იფიქრა, ესენი, ყველანი, ჩემი საპატრონოები იქნებიანო... ახლახან ქუჩაში შემხვდა ის კაცი — მოტეხილი, დაჩაჩანაკებული... მივედი, გამოვეცნაურე და ვუთხარი, — დიდი მადლობა, ჩემო ბატონო, არც კი იცით, მაშინდელი თქვენი საქციელით რამხელა ბედნიერება მაპოვნინეთ-მეთქი. ხელზე მაკოცა და გაიარა... დედა 99 წლის არის და ახლა პირველად გახდა ავად. ძალიან წუხს — უჩემოდ ვერაფერს გააკეთებთ, მალე უნდა ავდგე, თორემ ძალიან გაგიჭირდებათო... ამ ხნის ქალი წუთით არ ისვენებს — რეცხავს, ალაგებს, კერძებს ამზადებს, ხელს არაფერზე გვაკარებინებს... ლეო, ძირითადად, თავისი საქმით არის დაკავებული ან კითხულობს — არაჩვეულებრივი მეხსიერება აქვს, სათვალეს არ ხმარობს, — ან გამუდმებით ხატავს, ლექციების კითხვისას არასდროს იღლება... აი, ასე ვცხოვრობთ, მხიარულად... ხალისიანად, — მიამბობს ქალბატონი ალდონა...

## შერვაშიძეები

შერვაშიძეები ისტორიულ წყაროებში XII საუკუნიდან მოიხსენიებიან. ამ დროს ცხუმის სამთავროს ოთაღო შერვაშიძის შთამომავლები მართავდნენ თურმე, თავად შერვაშიძეების გენეალოგიური შტოს ათვლა კი მხოლოდ აფხაზეთის მთავრის, პუტუ შერვაშიძის შემდეგ იწყება. 1672 წელს სამეგრელოში ოსმალები შეიჭრნენ. რამდენიმე წელიწადში გარდაიცვალა სამეგრელოს მთავარი ლევან III დადიანი და ქვეყანა დროებით მმართველის გარეშე დარჩა. ამით ისარგებლა აფხაზეთის მთავარმა ზეგნაყ შერვაშიძემ და დღევანდელი სამურზაყანოს ტერიტორია მდინარე ენგურამდე აფხაზეთის სამთავროს შეუერთა. მისი გარდაცვალების შემდეგ გაერთიანებული ტერიტორია საუფლისწულოებად დაიყო — უფროს ვაჟს, როსტომს — აფხაზეთი ხვდა წილად, შუათანას, ჯიქეშიას — აბჟუა (მდინარე ბზიფის შემოგარენი), ხოლო უმცროსს, ყვაპუს — დღევანდელი სამურზაყანო. სწორედ მისი მმართველობის დროს დაიწყო სამურზაყანოს დასახლება აფხაზებით. ყვაპუ სისასტიკის გამო ხალხს არ ჰყვარებია, ხოლო მისი ვაჟი — მურზაყანი, რომელმაც XVII ს-ის დასაწყისში შეცვალა მამა, ბრძენი ადამიანი აღმოჩნდა. სწორედ მის პატივსაცემად ეწოდა აფხაზეთის საუფლისწულო სამთავროს „სამურზაყანო"...

მურზაყან შერვაშიძის ვაჟის შვილთაშვილი გახლდათ ბატონი ლეოს ბაბუა დიმიტრი შერვაშიძე, რომელმაც როსტომ ერისთავის შთამომავლის — გენერალ-ლეიტენანტ გრიგოლ შერვაშიძის ქალიშვილზე — ალექსანდრაზე დაიწერა ჯვარი (მაშინ დაშვებული იყო თავადებში ერთი და იმავე გვარის სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებს შორის ქორწინება). გრიგოლ შერვაშიძის მეუღლე კი გახლდათ ცნობილი ქველმოქმედი — ალათი დადიანი. ალექსანდრას და დიმიტრის ორი შვილი ჰყოლიათ — ალექსი და ლიზა...

## მშობლები

— მამას, ალექსი შერვაშიძეს, მემკვიდრეობით წილად ხვდა ეშერის მამულები, — იხსენებს ბატონი ლეო, — დედა, ტერეზა ლაკერბაია აფხაზეთის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ფეოდალის, გენერალ კაც მარღანიას შვილიშვილი გახლდათ... კაც მარღანიას ვაჟს, დავითს, ორი ქალიშვილი ჰყოლია — ნინო და ეკატერინე. ერთი მურზაყან ლაკერბაიას გაჰყვა ცოლად, მეორე — ლევან მხეიძეს. მამას მზითვად ორივე ქალიშვილისთვის თითო ურემი ოქრო გაუტანებია. მურზაყანს ეს ოქრო ერთი ათად უქცევია და აფხაზეთის უმდიდრეს პიროვნებად ქცეულა, ლევანს კი მზითვი ქეიფსა და დროს ტარებაში გაუნიავებია. ბოლშევიკებს მურზაყანისთვის ყველაფერი ჩამოურთმევიათ. ლევანს მისთვის ნახევრად ხუმრობით უთქვამს, — მე მთელი ქონება ჩემს სიამოვნებას მოვახმარე, შენ კი — კომუნისტებისთვის გაისარჯეო...

მურზაყანს და ნინოს 6 ვაჟის შემდეგ ნაბოლარა — ნანატრი ქალიშვილი ტერეზა (ტერა) შეეძინათ. მამა ძალიან ანებივრებდა გოგონას. 7 წლის ტერასთვის ერთხელ მურზაყანს უკითხავს — მთხოვე, რაც გინდა, აუცილებლად შეგისრულებო... ტერას კანფეტის ყუთი გამოუტანია, რომელზეც გოთური სტილით ნაგები სასახლე და თეთრკაბიანი გოგო ეხატა — ასეთი სახლი და კაბა მინდაო, — უთქვამს მამისთვის. მართლაც, ათონის გზატკეცილზე მშვენიერი სასახლე აუშენა მურზაყანმა ტერას (ამ სასახლეში კომუნისტებმა სანატორიუმი „მშენებელი" გახსნეს) და თეთრი კაბაც მიართვა.



ალდონა და ლეო პატრიარქთან

მამამ ვორონეჟში სამხედრო განათლების მიღების შემდეგ სწავლა საფრანგეთში, სორბონას უნივერსიტეტში, სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე განაგრძო. არდადეგებზე ჩამოსულს ტერა ლაკერბაია გაუცნია. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეჰყვარებიათ. მურზაყანი ვერ ელეოდა უსაყვარლეს ქალიშვილს და ამიტომ მათ ქორწინებაზე უარი განუცხადებია. ამის გამო ალექსის და ტერას სოხუმში მალულად დაუწერიათ ჯვარი და პარიზში გამგზავრებულან... სწორედ პარიზში დავბადებულვარ 1911 წლის 16 ნოემბერს. ჯოტო შერვაშიძეს წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძარში მოვუნათლივარ... კარგად მახსოვს გუვერნანტი ქალი — მადმუაზელ ჟანა, რომელიც შემდეგ საფრანგეთიდან ეშერაში დაბრუნებულ ჩვენს ოჯახს თან წამოჰყვა და სიცოცხლის ბოლომდე ჩვენთან ცხოვრობდა — საფრანგეთში მოცარტის ქუჩაზე (ახლა მოცარტის პროსპექტად გადაუკეთებიათ) დიდი სახლი გვქონდა. პირველი მანქანა პრინც ორენბურგს ჰყავდა, მეორე — ჩვენ...

მყავდა უმცროსი და-ძმა — ულამაზესი ლილი შერვაშიძე, რომელიც ცოლად ნესტორ ლაკობას ცოლისძმას — მეჯიდ ჯიჰ-ოღლის (1937 წელს დახვრიტეს) გაჰყვა და ძმა — დიმიტრი (დიმა) შერვაშიძე, რომელიც 1919 წელს კონსტანტინოპოლში, სულთნის სასახლეში დაიბადა. კაც მარღანიას ძმისშვილი, ნაზიფა, თურქეთის სულთნის, აბდულ ჰამიდ II-ის მეუღლე გახლდათ. ჩვენი ოჯახი სტუმრად ეწვია მათ. სწორედ მაშინ გაჩნდა დიმა... მახსოვს მოგზაურობა ე.წ. პრინცების კუნძულზე, სადაც სულთნის დასასვენებელი ადგილი იყო... დიმა სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის საავიაციო კლუბში ჩაირიცხა — მეორე მსოფლიო ომის დროს ავიაგამანადგურებელ დივიზიაში იბრძოდა. 1942 წელს ალმოდებული თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტა და მტრის ოკუპირებულ ტერიტორიაზე — სტანიცა ლიაბინსკში დაეშვა. იქ ლიაბინსკელ იატაკქვეშელებს დაუმეგობრდა და შექმნა არალეგალური ორგანიზაცია — „ნორჩი შურისმაძიებელი", რომელიც დიდად ეხმარებოდა საბჭოთა დაზვერვას. დიმა დაიღუპა 1944 წლის 4 აპრილს — სოფელ ტარასოვსკის გათავისუფლების დროს. ქალაქ ლიაბინსკში ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას მისი სახელი ჰქვია...



ლეო შერვაშიძე მეუღლესთან

...10 წლამდე პარიზში ვცხოვრობდით, პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროს კიევში გადავედით...

რადგან მამაჩემი სათადარიგო ოფიცერი გახლდათ, ომში გაიწვიეს — „ველურ დივიზიაში" — მე, დედა და ლილი კი მასთან ახლოს, კიევში გადავედით საცხოვრებლად. „ველურ დივიზიაში" მხოლოდ თავადთა შვილები შედიოდნენ. მამა ასმეთაური, ანუ როტმისტრი იყო... ამ პერიოდში კიევში ცხოვრობდა რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის დედა — ქვრივი დედოფალი მარია ფიოდოროვნა, რომელიც მორგანატულ (სამეფო გვარის წარმომადგენლის ქორწინება არასამეფო გვარის წარმომადგენელთან) ქორწინებაში იმყოფებოდა გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძესთან (სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პოეტი, დრამატურგი, აფხაზეთის მთავართა საგვარეულო შტოს ერთ-ერთი წარმომადგენელი), რომელიც დუმის წევრი გახლდათ და დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა იმპერატორის კარზე. ჩემი მშობლები მეგობრობდნენ იმპერატრიცასთან — ხშირად სადილობდნენ ერთად, საუბრობდნენ, ერთობოდნენ...

## მშვენიერი მერი

— გალაკტიონის მუზა, მშვენიერი მერი ჩვენი ნათესავი იყო. ჩვენ 1917-19 წლებში ერთ სართულზე ვცხოვრობდით თბილისში, პეროვის ქ. №10-ში, საერთო შესასვლელი გვქონდა და ერთი მოსამსახურე — ვასილისა გვემსახურებოდა. მერისთან ერთად ცხოვრობდა მისი და, თამარი და სიძე პეტრე ზარნიკაუ. მე და ბატონი პეტრე დიდი მეგობრები ვიყავით, უცებ გამონახა საერთო ენა ჩემთან, 7 წლის ბიჭთან. დედა და მერი კი ხშირად სეირნობდნენ გოლოვინსკზე. ამ ორი ულამაზესი ქალის გამოჩენისას პროსპექტზე მოძრაობა ჩერდებოდა. ყოველ შაბათ-კვირას ფაეტონით ქაშუეთის ეკლესიაში დავდიოდით წირვა-ლოცვაზე. ხშირად მახსენდება მერის სიმშვიდე, სილამაზე და სათნოება...

## ლეო შერვაშიძე

ჯერ სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი დაამთავრა, შემდეგ თბილისის ტრანსპორტის ინსტიტუტი. სამამულო ომში დაიჭრა და სამშობლოში დაბრუნდა, 1948 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი გახდა. გიორგი ჩუბინიშვილი ასწავლიდა შუა საუკუნეების საქართველოს ხელოვნებას, კერძოდ კი მინიატურულ და მონუმენტურ ფერწერას... 1951 წელს მუშაობას იწყებს ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. პარალელურად მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ არქეოლოგიის, ხელოვნებისა და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგედ. 1965 წლიდან ასწავლიდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიას. დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, გამოსცა წიგნები — „შუა საუკუნეების მონუმენტური მხატვრობა აფხაზეთში" და „ქართული შუასაუკუნეობრივი საერო მინიატურის საკითხისათვის". მონაწილეობდა მრავალ ექსპედიციაში, იკვლევდა, როგორც აფხაზეთის მიწისზედა, ასევე წყლისქვეშეთის არქეოლოგიას — მან შეადგინა დიოსკურიისა და სებასტოპოლისის პერიოდის ნაგებობათა ნაშთების განლაგების რუკა.

— ბავშვობაში ხატვას მასწავლიდა გამოჩენილი ფერმწერი, გრაფიკოსი და სცენოგრაფი ალექსანდრე შერვაშიძე. ის ბოლო წლებში საფრანგეთში ცხოვრობდა. დღესაც მაქვს შენახული მისი სითბოთი და სიყვარულით სავსე ბარათები. იმ პერიოდში მხატვრის სამშობლოში დაბრუნება შეუძლებელი იყო. ალექსანდრე შერვაშიძე 101 წლის ასაკში მონაკოში გარდაიცვალა. მხოლოდ 1955 წელს გადმოასვენეს მისი ნეშტი სოხუმში...

## ოჯახი

ბატონ ლეოს მეუღლე, ქალბატონი ალდონა ართმევს სიტყვას...

— მაშინ სოხუმის თეატრში ვმუშაობდი თარჯიმნად. არაჩვეულებრივად მახსოვს 1957 წლის 25 ივლისი. ორშაბათი დღე იყო. ლეო რეპეტიციაზე დაპატიჟეს, სადაც სიტყვა წარმოთქვა — ლეოც მომეწონა და მისი სიტყვაც. გამაცნეს. იმავე დღეს სახლში მიმაცილა და მითხრა, — თუ ერთი ნახვით შეყვარების გჯერა, კვირას მოსკოვში მივდივარ და გამომყევიო... სამი დღის შემდეგ პაემანზე მივედი. ლეოს თან ახლდნენ მეგობრები — ანდრია აფაქიძე, ზურაბ ანჩაბაძე, ოთარ ლორთქიფანიძე და შალვა ინალიფა. მეგობრებმა ლეო წააქეზეს — ამ ქალბატონის გარეშე მოსკოვში ნუ წახვალო... ჩამსვეს კატერში და ზღვაში გამიყვანეს. უცებ ლეო ზღვაში გადახტა — თუ არ გამომყვები ცოლად, აქედან არ ამოვალო და ჩაყვინთა... მეგობრებმა კი მითხრეს — თუ არ გაჰყვებით, თქვენც ზღვაში გადაგაგდებთო... სხვა არჩევანი არ მქონდა — ზღვიდან პირდაპირ მმაჩის ბიუროში წავედით... მას შემდეგ ასე ტკბილად ვცხოვრობთ. გვყავს ვაჟი — მხატვარი ალექსი შერვაშიძე, რომლის მეუღლე გახლავთ გენერალ ნიკოლოზ ბლუაშვილის ქალიშვილი, დიანა. მათ ორი შვილი ჰყავთ — 1 წლის მერი და 6 წლის ნინო. ალექსი ოჯახით მოსკოვში ცხოვრობს და მოსკოვის ექსპერიმენტული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ... ლეო თითქმის ყოველდღე მჩუქნის ყვავილებს... საღამოს ვსეირნობთ. ხელკავით მივუყვებით ქუჩას და ღიმილით ვესალმებით ნაცნობებს... ბედნიერები ვართ, როცა ვხედავთ, როგორ შემოგვხარიან გამვლელები...

## საქართველოს მთავარი ჰერალდიკოსი

ბატონი ლეო სკოლის პერიოდიდანვე გაიტაცა ჰერალდიკამ. ბიძამისიც გერბებით ყოფილა დაინტერესებული და ხატვის პრინციპი მას უსწავლებია... მოგვიანებით კი ჰერალდიკით დაინტერესება პროფესიად ექცა. უამრავი გერბი აქვს შექმნილი — სწავლობს თითოეული გვარის წარსულს, ითვალისწინებს მათ დამსახურებას სამშობლოს წინაშე და საქმიანობის სფეროს. ქმნის პერსონალურ გერბებსაც. მისი მთავარი დამსახურება შტრიხების გაშიფვრაა, რასაც დიდი დრო და ენერგია შეალია. საქმე ის არის, რომ უამრავი ევროპული და ქართული გერბი ფერების გარეშე იყო შემონახული, თითოეულ ფერს კი საკუთარი დაშტრიხვის ფორმა შეესაბამება. გერბების შექმნის დროს მხოლოდ წითელ, ლურჯ, იისფერ, მწვანე და შავ ფერებს იყენებენ. ყვითლის და თეთრის ნაცვლად, ვერცხლისა და ოქროს ფერებს ხმარობენ.

— ფერს ხშირად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება შეუძლია ამა თუ იმ გვარის შესახებ... ზუსტად ვერც კი გეტყვით, რამდენი გერბი მაქვს შექმნილი... ახლახან ქალბატონ ია მუხრანელს და ბატონ კოტე ჩოლოყაშვილს გადავეცი ბაგრატიონების განახლებული გერბი. ვმუშაობ წიგნზე, სადაც სამეგრელოს, იმერეთის, კახეთის, სვანეთის და აფხაზეთის თავადაზნაურთა გერბები შევა. ამ საქმეში დიდად დამეხმარნენ ბატონები — იური ჩიქოვანი და ანატოლი კაზბელევსკი, რისთვისაც დიდ მადლობას ვწირავ მათ... საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის — ილია II-ის პერსონალური გერბიც ჩემი შესრულებულია. მუდამ ვგრძნობდი მის მხარდაჭერას და მზრუნველობას იქაც, სოხუმში და აქაც — თბილისში...

...ძველებურ ხის კიბეზე ჩამოვდივარ... დიდხანს მიქნევენ ხელს აივნიდან ქალბატონი ალდონა და ბატონი ლეო — სიკეთით და სითბოთი სავსე ღიმილით მაცილებენ...

— არ დაგვივიწყო, ხშირად შემოგვიარე ხოლმე, — ჭიშკართან მეწევა ქალბატონი ალდონას ხმა...

*ეკა მახარაშვილი*

# ნიაზ დიასამიძე დროს უსწრებდა...

სიკვდილის შემდეგ რომ ასე დარჩეს შენი სახელი, მართლა უნდა იყო, человек с большой буквы — როგორც რუსები ამბობენ. დადიოდა თბილისში და თავისი არსებობით რაღაცას ცვლიდა, ხან სევდამორეული, დაფიქრებული გაჰყურებდა სივრცეს, ხანაც ლაღად ხუმრობდა. სიტყვისათვის წვალება სჭირდებოდა თუ რა! წერდა, ძერწავდა, უყვარდა... სვამდა... მას ყველა იცნობდა, თუმცა შეიძლება, ძალიან ცოტას ჰყავდა ბოლომდე შეცნობილი დახვეწილი გემოვნების, ინტელექტის, ნიჭის **ნიაზ დიასამიძე** — სევდიანი კაცი.

*„...თბილისის ქუჩები, ღამით რომ შემხვდნენ*
*იცით რა მითხრეს?*
*— რითმები!*
*— თითები!“*

— ეს სიტყვები ნიაზ დიასამიძეს ეკუთვნის.

მისი პიროვნების გასაცნობად, მარტო ინფორმაციის მიღება არ კმარა, რაღაც სათუთი ისე უნდა შეიგრძნო, როგორც თითები გრძნობენ თბილ მიწას, ცივ კედელს, ქალის თმის სინაზეს.

მასში რამდენიმე მხარე იყო გაერთიანებული: პოეტური, დახვეწილი ინტელიგენტური, ბოჰემური და იუმორის. მისგან ელოდნენ ღიმილს და ისიც დაუზარებლად იღიმებოდა. მისგან ელოდნენ ხუმრობას და ხუმრობდა, გულში გაჩენილ ტკივილს კი არავის ანდობდა.

მასზე დღესაც ჰყვებიან:

— „ქიშ! — უთხრა ნიაზს მეგობარმა.

ნიაზს ეწყინა, რომ წააგო.

— რა უზრდელი ხარ!

— რატომ?

— ეგრე უნდა მითხრა?

— აბა, როგორ?

— როგორ და: ქიშთ!“

**ან კიდევ**

— „სად მუშაობ? — ჰკითხა ნაცნობმა მილიციელმა ნიაზს.

— დომინოს ქარხანაში.

— რას აკეთებ?

— წერტილებს ვსვამ დომინოს ქვებზე.

— დღეს რატომ არ მუშაობ?

— დღეს „პუსტა-პუსტებს“ უშვებენ...“

ყველაფერი ახსოვთ, მაგრამ შეიძლება, ყველამ არც იცოდეს, როგორი კაცი იყო ნიაზ დიასამიძე.

**ამირან ჭიჭინაძე:** ნიაზ დიასამიძეს ყველა იცნობდა, მაგის ძაღლსაც კი ყველა ცნობდა. მე ვიცოდი, რომ ნიაზი პირველი ადამიანი იყო, ვინც ვიწრო, „ბუტილკა“ შარვალი ჩაიცვა. ყოველთვის კარგად გამოიყურებოდა. ახალგაზრდობაში მღეროდა, ლექსებს წერდა. ტელევიზიაში მუშაობისას დავუახლოვდი. თუმცა მე რომ მუშაობა დავიწყე, ნიაზი დროებით არ დადიოდა სამსახურში. მაშინ უმუშევრებს ასახლებდნენ ხოლმე. ბროცკი გადასახლებული იყო ლენინგრადიდან... ბევრი წესიერი ხალხი მოყვა გადასახლებულებში. მნიშვნელობა არ ჰქონდა უმუშევარს ოჯახი ინახავდა თუ არა, აუცილებლად უნდა გადაესახლებინათ. ნიაზი უმუშევარი არ იყო, მაგრამ იმის გამო, რომ სვამდა, სამი თვით გაუშვეს ცხინვალის შრომა-გასწორების დაწესებულებაში. ის 3 თვე ვიმუშავე ტელევიზიაში, ნიაზი რომ გამოვიდა, მე წამოვედი. მოგვიანებით, 1968 წელს, დაარსდა თუ არა ტელეფილმების სტუდია, მეც მიმიწვიეს. მე, ნიაზ დიასამიძე, ერლომ ახვლედიანი, ლამარა ბოკერია და შოთა არჩვაძე, ერთ ოთახში ვისხედით. ნიაზი უაღრესად სასიამოვნო, რბილი, თბილი, თავაზიანი ადამიანი იყო. რატომღაც მოვეწონე. მოსწონდა „გიორგობისთვის“ სცენარის ავტორი რომ ვიყავი. ხშირად მეტყოდა, წამოდიო და წამიყვანდა ვარაზისხევში პატარა რესტორანში, იმ პერიოდში გარდაეცვალა დედა, ძალიან განიცდიდა. მარტოდმარტო დავრჩი, მარტო დედას ვუყვარდიო, — ამბობდა. ხშირად მეტყოდა, სასაფლაოზე გამყევიო. მინახავს, როგორ ტიროდა დედის საფლავზე. ძალიან მგრძნობიარე იყო. იქიდან ფეხით წამოვიდოდით, მელიქ აზარიანცის სახლში იყო სასადილო, ოღონდ იქ ისეთი ხალხი იკრიბებოდა, რომლებიც ფიქრობდნენ: რა არის ჩვენი ცხოვრება, მარტო სმაშია აზრიო... სულ სავსე იყო ის სასადილო, შევიდოდით, დავსხდებოდით ცალკე მაგიდაზე. ნიაზს ყველა იცნობდა, ცოტას რომ დალევდა, დაიწყებდა შემოვლას. მე უამრავი რამის გამო ვცემდი პატივს ნიაზს, ნათელი კაცი გახლდათ. იქ კი ზოგი ახალგაზრდა, იცით, როგორ უხეშად ელაპარაკებოდა? მე ეს მწყინდა... ნიაზი როგორღაც თითქოს არც იმჩნევდა. ვინ იცის, მერე რამდენ მათგანს დაუტრაბახია, ნიაზს ვიცნობდიო, მაშინ კი...


„მინახავს მამა როიალთან... მსგავსი დაკვრა აღარ მომისმენია“


ბელინსკის 10 — ნიაზის სახლი

მიყვარდა ნიაზი. როცა რუსეთში ვსწავლობდი, ხშირად ვუყვებოდი ხოლმე იქაურ მეგობრებს მის შესახებ. ძალიან მიყვარდა ეს ამბავი: ერთხელ ნიაზი ტროლეიბუსში ასულა. ვიღაცა მიადგა, გაიარეო, გაიწია... მერე კიდევ სთხოვეს, გადაიწიეთო, — ისევ გაიწია, კიდევ რომ სთხოვა ვიღაცამ, ცოტა გაიწიეთო, ნიაზს უთქვამს: შე კაი დედმამიშვილო, ფეხით სიარული რომ მნდომოდა, ტროლეიბუსში კი არ ჩავჯდებოდიო.


მშობლებთან ერთად

დიდი იუმორი ჰქონდა. იუმორი ხომ ნიჭიერი ხალხის თვისებაა.

**თემო ჯაფარიძე:** ნიაზი ჩემზე უფროსი იყო, თუ არ ვცდები, 10 თუ 11 წლით. ვცხოვრობდით ერთ უბანში, ის ბელინსკის, მე — ხოშტარიას ქუჩაზე. ახალგაზრდობიდანვე უარყოფითი დამოკიდებულება მქონდა საბჭოთა წყობილებასთან. ჩემი ახლობლების წრეც ასეთივე აზრის იყო. ვერის ბაღში ხშირად ვსაუბრობდით ხოლმე ამაზე. იქ ბევრი კარგი პიროვნება გავიცანი: მათ შორის ავთო ვარაზი... ნიაზი ვერის ბაზრის გვერდით გავიცანი. ახლა იქაურობა სხვანაირია, მაშინ ხალხური ბაზარი იყო, გლეხები ჩამოდიოდნენ. ბაზრის ბოლოს მწნილებს ყიდდნენ. იქვე ახლოს იკრიბებოდნენ ლოთები. ავთო ვარაზმა წამიყვანა რამდენჯერმე. იქ შევხვდი ნიაზს. რაღაც მოეწონა ჩემში. შეიძლება ის, რომ არ ვიყავი საბჭოთა მორალის.

ნიაზ დიასამიძე დროს უსწრებდა: პირველი ჩამცმელი იყო. ყოველთვის გაწკრიალებული ეცვა, ეცვა რაც მერე მოდაში შემოვიდოდა, კაუჩუკიან ტუფლებს ბუგი-ბუგი ერქვა. ეს ტუფლებიც პირველად მან ჩაიცვა. ტანსაცმელს ხშირად თვითონ იკერავდა. ჩინური თეთრი მატერია შემოვიდა მოდაში, პირველად მაგისი პიჯაკიც ნიაზმა ჩაიცვა. გარეგნულად რომ შეხედავდი, ნამდვილი ჯენტლმენი იყო. ასეთი იყო შინაგანადაც. უაღრესად თავაზიანი, განათლებული, ეთიკური, ზედმიწევნითაც რომ დამთვრალიყო, აგრესიული არ გახდებოდა. ზოგჯერ უდიერ ახალგაზრდას რომ შეხვდებოდა, ეტყოდა: შენგან კაცი არ გამოვაო! ის იყო ქალაქელი კაცი, თბილისური კულტურის მატარებელი.

ხატვა რომ დავიწყე, რამდენიმე პორტრეტი შევასრულე. შინ მეკიდა კედელზე. ნიაზი მიმყვა ერთხელ. შეხედა და მოეწონა: ეს შენ დახატეო? — მკითხა. მე დავხატე-მეთქი. შენ ბოტიჩელი გყვარებიაო! არადა, მართლა მიყვარდა. როგორ მიხვდა, — ეს ხომ ურთულესია. რაღაც ბოტიჩელისებური იყო, მაგრამ არ ჰგავდა ბოტიჩელს. ეს რომ გეგრძნო, ძალიან დახვეწილი უნდა ყოფილიყავი. წავიდა. ორ დღეში ავთო ვარაზი მომიყვანა, აჩვენა ჩემი ნახატები, ნახე რა ბიჭიაო, — უთხრა. ასეთი გულისხმიერი იყო.

ცუდ პერიოდში ვცხოვრობდით. მაშინდელი იდეოლოგიის საზღვრებში უნდა მოქცეულიყავი. რამდენჯერმე სცადა, ემუშავა. „საბჭოთა ხელოვნებაში“ მუშაობდა. ძალიან გონიერი სტატია დაწერა მხატვრობაზე, მაგრამ ისეთი ამბავი ატეხეს, იდეოლოგიის თვალსაზრისით არ ვარგაო, ისე შეუჩნდნენ, ჩაიქნია ხელი. მისი არჩევანი — რომ სვამდა, იყო პროტესტი. სხვები ეგუებოდნენ სიტუაციას, ის არა. თავისუფალი, დიდი პიროვნების მონაცემები ჰქონდა, მაგრამ ისეთ სიტუაციაში მოხვდა, სხვა გამოხატულება პოვა. ნიაზი ხალხური გახდა... ლეგენდები შეიქმნა მასზე. ქალაქში ყველა ცნობდა. მისი გამოჩენა უხაროდათ, რომ დაინახავდნენ, ელიმებოდათ. არადა იყო მომენტები, როცა ნიაზს არ ელიმებოდა, ცუდ ხასიათზე იყო, მაგრამ იმდენად ეთიკური იყო, თავის განწყობას თავს არავის მოახვევდა.

ხშირად დავდიოდით ერთად, მივყავდი სხვადასხვა ოჯახში. ზოგჯერ მთელი ღამე დავხეტიალობდით. ერთხელ მთაწმინდის ძირში წამიყვანა ვიღაცასთან. იქიდან რომ გამოვედით, მთაწმინდაზე ავიდეთო, — მითხრა. ავედით პანთეონში. ჩამოვიარეთ იქიდან და ირიჟრაჟა. საბას ბაღთან ერთ-ერთი სახლის პირველი სართულის ფანჯარა ღია იყო. მოჩანდა გაწკრიალებული ოთახი და შიგ როიალი. ნიაზმა მითხრა: დაიცაო და კარზე დააკაკუნა. მე მომერიდა. ძალიან ადრე იყო. კარი ახალგაზრდა ქალმა გააღო, სანდომიანი ქალი იყო. ნიაზმა დიდი მოწიწებითა და ბოდიშის მოხდით სთხოვა, როიალზე დავუკრავო. მობრძანდითო, — გვითხრა ქალმა. ასეთი ნდობა დღეს ხომ გამორიცხულია! შევედით. აღმოჩნდა, მარტო ეს ქალი ცხოვრობდა. ნიაზი დაჯდა როიალთან და დაუკრა. საოცრად უკრავდა. ქალი გავიდა... ფარდის იქით დავინახე, რომ კედელს მიყრდნობილი უსმენდა ნიაზს. რომ დაამთავრა, წამოდგა, ბოდიში და დიდი მადლიერება გამოხატა. ქალმა გვითხრა: თუ გნებავთ, კიდევ დაუკარითო, მაგრამ არ დავრჩით. წამოვედით. ეს დღე ჩამრჩა გონებაში.

ხშირად ვყოფილვართ ერთად მე, გურამ რჩეულიშვილი და ნიაზ დიასამიძე. ახლობლები ვიყავით ერთმანეთისთვის. ერთხელ ბათუმში ჩავედით მე და გურამი. ბინას ვერ ვშოულობდით. ნიაზი შეგვხვდა. მეორე დღეს ბიჭებთან ხუმრობდა: წუხელის მოვდიოდი და რას ვხედავ, გურამს წყალში სძინავს, თემო კი ბოძზე ასასვლელ კაუჭზე ჰკიდია და ისე თვლემსო...

**გურამ ლორთქიფანიძე:** ნიაზ დიასამიძე იყო ტონის შემომტანი ყველაფერში. მაგან გვასწავლა თმის გაყოფა, თმაზე ბრიოლინის წასმა. ყველაფერში ვბაძავდით... მაშინ არსებობდა ოდეკოლონი „შიპრი“. სპეციფიკური სუნი ჰქონდა, ნიაზი ისხამდა ხოლმე და იმისი მიბაძვით, ჩვენც. ხატავდა, უკრავდა, ლექსებს წერდა... მგრძნობიარე და კეთილშობილი გახლდათ. სვამდა, თორემ ლოთი არ იყო. შეეჩვია სმას... მწიგნობარი, ყოველმხრივ განათლებული, სევდიანი კაცი იყო. იმ თაობაში, საერთოდ, უფრო მეტი სევდა იყო, გულიანი ბიჭები იყვნენ.

უნივერსიტეტიდან ხშირად ერთად მოვდიოდით. აქვე ახლოს, იყო სასაუზმე-სარდაფი. იქ უფროსი იყო ასათიანი, კოჭლობდა და ტანცგეორქას ვეძახდით, ჩავიდოდით, ბატონო გიორგი, სტიპენდიამდე ნისიად გვაჭამეთ-თქო, ვეტყოდით. ერთხელ საათები დავუტოვეთ მე და ნიაზმა. ნიაზმა მითხრა, შენს საათს მე გამოვიტან, ნუ იდარდებო. იმდენი ქნა, ბოლოს მაინც გამოიხსნა. თავისი დატოვა და ჩემი გამოიტანა.

ერთხელ ბათუმში ვიყავი, ინტურისტში. ისეთი პერიოდი იყო, ნიაზი აღარ სვამდა. უცებ დერეფანში ნაბიჯების ხმა გავიგონე და „შიპრის“ სუნი მეცა. კარი გააღო. ნიაზი შემოვიდა ჩუმად. რა მოგივიდა-მეთქი, ვკითხე. ისე უცნაურად დუმდა. ლაპალუპით წამოუვიდა ცრემლები: დავლიე, ბიჭოო. ორივე ვისხედით და ვტიროდით.

**თემურ დიასამიძე** (შვილი): მამა ცალკე ცხოვრობდა, მაგრამ ხშირად მნახულობდა. ბაბუაჩემი სულეიმანი მოდიოდა და მივყავდი ხოლმე მასთან შაბათ-კვირას. ბაბუა მემედ აბაშიძის თანამებრძოლი იყო, დიდი წვლილი აქვს შეტანილი აჭარის გათავისუფლებაში. პირველი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეც იყო აჭარაში. მერე მდგომარეობა დაიძაბა. ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმეს, თბილისში ჩამოვიდა. მამა უკვე თბილისში დაიბადა. არაჩვეულებრივი კაცი იყო ბაბუა — წყნარი, ინტელიგენტი, ინტელექტუალური. მათთან ოჯახში სხვანაირი გარემო იყო. მე მამა მთვრალი არასოდეს მინახავს. როცა ერთმანეთს ვხვდებოდით, ყოველთვის ფხიზელი იყო. თავმდაბალი და მოკრძალებული. შინ წიგნებს კითხულობდა ხოლმე. მეგობრებთანაც მივყავდი, ავთო ვარაზთან, სხვებთან. არ დამავიწყდება, მარლენ კიტიასთან შეხვედრა, როგორი სითბო ჰქონდა მამაჩემის მიმართ. მეუბნებოდა: იცი, რა ნამუშევრები აქვს მამაშენს?! იცი, როგორ ძერწავს, ოღონდ მერე არ უფრთხილდება, ფანტავსო. მინახავს მამა როიალთან. არაჩვეულებრივად უკრავდა. მსგავსი დაკვრა აღარც მომისმენია. ვკითხე კიდეც, მუსიკაზე სწავლობდი-მეთქი? არაო, — მითხრა. ბებიამ შეუსწორა, როგორ არა, ერთი წელი ხომ დამყავდიო! გაბრაზდა: მერე მე არ მისწავლიაო. თვითონ ჰქონდა ნასწავლი დაკვრა.

არაჩვეულებრივი მეგობრები ჰყავდა: გურამ ასათიანი, ავთო ვარაზი, თემო ნაცვლიშვილი, თემიკო ჩირგაძე (ყველა ნათელში ამყოფოს ღმერთმა)... მეგობრობდა უბანში უბრალო ხალხთან, ერთი ჰყავდა, „მალიარი“ იოსკა, მეორე ქურთის ბიჭი... იმისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა არც ეროვნებას, არც იმას აგრძნობინებდა ვინმეს, განათლებული არ ხარო. მერე მამაჩემის სახლში რომ გადავედით ბელინსკზე, ისეთი სითბოთი შეგვხვდნენ უბნელები, რემონტი თითქმის უფასოდ გაგვიკეთეს, ნიაზის შვილის ოჯახს პატივი სცეს.

მამა ყოველთვის ელეგანტური იყო, თვითონ იკერავდა ტანსაცმელს, ჩემი უმცროსი ვაჟიც დაემსგავსა, უკვე აქვს შეკერილი ბევრი რამ, ჩვენებაც უნდა მოაწყოს, მოდელიერის ნიჭი გამოჰყვა. უფროსი მუსიკოსია...

სულ ახალგაზრდა იყო ნიაზ დიასამიძე, რომ გარდაიცვალა — 43 წლისა. უბრალოდ, ოპერაცია დაუგვიანდათ. მე მაშინ 19 წლის ვიყავი, ძალიან მეტკინა გული.

*ლელა ჯიყაშვილი*





## კოლხიდა გეპატიჟებათ ზღვის დღესასწაულზე

საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც უამრავმა ადამიანმა იცის ულამაზესი კურორტის — ურეკის არსებობის შესახებ. მაგრამ ბევრი არაფერი იციან აქაური ზღვისა და საოცარი თვისებების მქონე მაგნიტური ქვიშის სანაპიროს შესახებ.

შავი ზღვისპირეთის სანაპიროს უნიკალურ კურორტზე რბილი სუბტროპიკული კლიმატის, თბილი ზღვის, საამო ნიავის და, რაც მთავარია, სასწაულმოქმედი მაგნიტური ქვიშის ერთობლიობა შესანიშნავ პირობებს ქმნის დასვენების, გაჯანსაღებისა და მკურნალობისათვის. მოგეხსენებათ, ყოველივე ამისათვის აუცილებელია კომფორტული საცხოვრებელი პირობები, სადაც დამსვენებელი თავს ყოველმხრივ კარგად იგრძნობს, სადაც არ შეაწუხებს ჩვენი ყოფისთვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო პრობლემები და ზღვის სანაპიროზე გატარებული რამდენიმე დღის შემდეგ, მართლა გაკაჟებული დაბრუნდება შინ. ასეთ პირობებს გვთავაზობს თანამედროვე, კომფორტული, სამკურნალო-დასასვენებელი კომპლექსი „კოლხიდა“, რომელიც ზღვიდან სულ რაღაც 50 მეტრითაა დაშორებული. „კოლხიდასა“ და ურეკის უნიკალური თვისებების შესახებ გვესაუბრება სამკურნალო-დასასვენებელი კომპლექსის დირექტორი **გია რუსიეშვილი**.

— ურეკის წვრილმარცვლოვანი მაგნიტური ქვიშა მართლაც უნიკალურია. მისი მაგნიტური შემთვისებლობა 13-25-ჯერ მეტია ჩვეულებრივთან შედარებით და სწორედ ეს ქმნის მცირე ინტენსივობის ბუნებრივ მაგნიტურ ველს, რომლის გამაჯანსაღებელ თვისებებს კაცობრიობა ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იცნობდა. მას სამკურნალოდ იყენებდნენ ძველი ეგვიპტელები, ბერძნები, ინდოელი იოგები, შუა საუკუნეების სახელგანთქმული ექიმები. ჩემი ცხოვრების 40 წლის მანძილზე საკუთარი თვალით მინახავს ურეკში განკურნებული ასობით ადამიანი. ინტენსიური მკურნალობის შედეგად სასწაულები ხდება. როდესაც 1977 წელს აშენებული „კოლხიდა“ შევიძინეთ და ევროსტანდარტების მიხედვით მოვაწყვეთ, გადავწყვიტეთ, რომ ეს უნდა ყოფილიყო ნამდვილი სამკურნალო-დასასვენებელი კომპლექსი, სადაც გადახდილი თანხის ღირებულებაში შევიდოდა როგორც ნომრის, ისე კვებისა და ექიმის მომსახურება, ფიზიოთერაპია, დიაგნოსტიკა, მასაჟი. გარდა ამისა, ჩვენი საკუთარი 250-მეტრიანი პლაჟის სილა ყოველდღე იცრება და სუფთავდება...

**— დამსვენებელთა რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა, თავისუფალი ნომერი არცთუ ისე იოლი საშოვნელია თქვენთან.**

— საბედნიეროდ, სრული დატვირთვით ვმუშაობთ. გვაქვს 94 კეთილმოწყობილი ნომერი, მათ შორის — 3 აპარტამენტი, 12 ლუქსი და 79 ორადგილიანი ნომერი; რესტორანი, ბარი, კინოთეატრი, დისკოთეკა, ატრაქციონები, წყლის თხილამურები, საბავშვო ოთახი და ა.შ. და რაც მთავარია, გვყავს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი. კარგად გვაქვს დაცული სადღეღამისო ავტოსადგომი. ჩვენთან დამსვენებელი ნამდვილად ზღვის დღესასწაულზე იგრძნობს თავს.

**— ხომ არ აპირებთ სასტუმრო კომპლექსის გაზრდას?**

— არა, გადაწყვეტილი გვაქვს ხარისხის გაზრდა და ფასის დაწევა. მომავალი წლისთვის აუზიც გვექნება და დასასვენებელ სეზონსაც გავახანგრძლივებთ, ანუ შეგიძლიათ ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე გვეწვიოთ. ხავერდოვან სეზონზე ფასებიც თანდათან შემცირდება.

**— რომელი დაავადებების მკურნალობაა განსაკუთრებით ეფექტური ურეკში?**

— კომპლექსური მეცნიერული გამოკვლევებით დადგინდა შემდეგი დაავადებების მაღალეფექტურობა: გულსისხლძარღვთა სისტემის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, ნერვული სისტემის, ბავშვთა კონტინგენტის დაავადებები, ამასთან, ეფექტურად იკურნება ქალისა და მამაკაცის უნაყოფობის გამომწვევი ქრონიკული უროგენიტალიური დაავადებები. „კოლხიდაში“ მკურნალობა ყველა ავადმყოფს ინდივიდუალურად უტარდება. სამკურნალო ფაქტორების გამოყენებას განსაკუთრებით დადებითი შედეგები ბავშვთა დაავადებების მკურნალობის დროს აქვს.

*ეკა ლომიძე*

R

# „ეტყობა, ჩვენმა ბიზნესმენებმა ინგლისური კარგად ვერ ისწავლეს“



ორიგინალური შემოქმედების, თავისებური ცხოვრების სტილისა და მანერების გამო მას არაორდინარულ ადამიანად მიიჩნევენ. ზოგი ფიქრობს, რომ იგი მხოლოდ საკუთარ სამყაროში ცხოვრობს, ნაკლებად აწუხებს რა ხდება „მის ნაჭუჭს“ მიღმა და როგორც ყველა უცნაური ადამიანი, ისიც თავისებურად „აფრენს“. ჩემი რესპონდენტი მუსიკოსი **ირაკლი ჩარკვიანი,** რომელიც ახლახან მეორედ გახდა მამა. მას და ქეთათოს პატარა ნანა შეეძინათ.

— **ირაკლი, პირველი სექტემბერი როგორ თენდებოდა თქვენს ბავშვობაში?**

— ნამდვილი დღესასწაული იყო, იდეალური წარმოდგენები გვქონდა ცხოვრებაზე, ადამიანთა უმრავლესობას და ბავშვებსაც სჯეროდათ კომუნიზმის არსებობის, რომ არაფერში ფული არ უნდა გადაგვეხადა, რომ შეიძლებოდა ყველა ერთნაირად მდიდარი და ბედნიერი ყოფილიყო. დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ ეს შეუძლებელია, ნებისმიერი ადამიანი თავისებური და განსხვავებულია მეორისაგან. ამიტომაც შეუძლებელია ყველა ერთნაირ დონეზე ცხოვრობდეს. თუმცა დღეს ევროპაში სოციალური დაცვა ისეთი აქტიური ფორმით ვითარდება, რომ ცხოვრება მგონი მართლა კომუნიზმისკენ მიდის. საქართველოში ამის მიღწევას ალბათ საუკუნე დასჭირდება.

— **თქვენი კოლეგების დიდი ნაწილი უცხოეთისკენ ილტვის, ამბობენ — იქ უკეთ შევძლებთ ფრთების გაშლასო, თქვენც ხომ არ ფიქრობთ „სამოთხის“ სხვაგან ძიებას?**

— „სამოთხის“ ძიება სადღაც, აბსურდია, სამოთხე ყველა ადამიანშია. მნიშვნელობა არა აქვს, სად იცხოვრებ, ნიუ-იორკში თუ თბილისში. თუ შენს შინაგან ბუნებას დააკვირდები, შეამჩნევ, რომ შენს არსებაში ყოველდღეა სამოთხეც და ჯოჯოხეთიც. სხვა საქმეა თუ ადამიანი იმისთვის მიდის უცხოეთში, რომ ნორმალურად იცხოვროს, ამაში ვერაფერს ვხედავ ვერც საკვირველს და ვერც საძრახისს. მე პირადად ჯერჯერობით არსად წასვლაზე არ მიფიქრია.

— **ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე უარყოფითი მოვლენები თქვენს ოჯახსაც შეეხება. გავიგე მამათქვენს, ბატონ გელა ჩარკვიანს თურმე მანქანა მოსტაცეს, დაიბრუნეთ?**

— ერთი წლის წინ მოპპარეს მანქანა, ჩვენმა სამართალდამცავებმა ძალიან იყოჩაღეს, ორჯონიკიძეში იპოვეს და უკან ჩამოიყვანეს, თუმცა, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, მანამდეც მოპპარეს. ის მამაჩემის საკუთარი მანქანა იყო, მაგრამ ვერ იპოვა, ის კი, რომელიც დაუბრუნეს, სახელმწიფოს ეკუთვნოდა. შეიძლება ამიტომაც გამოიჩინეს სამართალდამცავებმა მეტი მონდომება.

— **ირაკლი, რას განიცდით ყველაზე მეტად დღევანდელ საქართველოში?**

— ათი წელია ვცდილობთ დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსის შენარჩუნებას და არ მინდა, ხალხმა ამის იმედი დაკარგოს, არადა, სიტუაცია მაინც იქით მიდის... დამოუკიდებლობა საქართველოსთვის თითქოს „საყვარელი“ იყო, რომელიც მოსწონდა, მაგრამ ბოლოს ის მაინც ადრინდელ „ცოლს“ უბრუნდება, იმას, ვისთანაც 200 წლის წინ ხელი მოაწერა გეორგიევსკის „მმაჩში“. უცნაური აღმოჩნდა ეს კავშირი, როგორც ჩანს, ჩვენი ბიზნესმენებიც რუსებს უკეთ ელაპარაკებიან. ინგლისური კარგად ვერ ისწავლეს, სხვებთან ურთიერთობის გასამყარებლად. ზარმაცი ხალხი ვართ. საუბედუროდ, ეს ყველაფერი იმას მოასწავებს, რომ გავხდებით ძველებურად ერთი გუბერნია, დაგვინიშნავენ გუბერნატორს და... სულაც არ მინდა ასე დავინახო, მაგრამ...

— **თქვენი პროტესტი მარტო თქვენს შემოქმედებაში გამოიხატება თუ სხვა ფორმებსაც მიმართავთ?**

— პროტესტის გამოხატვის ფორმა ჩემთვის მუსიკა და პოეზიაა. ახლა, მაგალითად, დავწერე კომპოზიცია, სადაც ვკითხულობ მაიაკოვსკის ცნობილ ტექსტს — „პასპორტიდან“ — „ია გრაჟდანინ სოვეტსკოგო სოიუზა!“ როგორც ჩანს, ჩვენ ვიარეთ, ვიარეთ და საბჭოთა კავშირის გარეშე ვერ გავძელით. არ ვიცი, კავშირი როგორი იქნება ანი, მაგრამ რაღაცით იმ ძველს რომ ემსგავსება, ფაქტია.

— **ირაკლი, ოჯახში გაჩნდა პატარა ნანა, რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში?**

— უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ჩემი ქვეყნის წინაშე. შვილი რაც მეტი გყავს, მით უფრო კარგი ქვეყანა გინდა.

— **თქვენ გგონიათ, ასე ფიქრობს ყველა? თუნდაც კორუმპირებულთა კასტა, მათაც ხომ ჰყავთ შვილები?**

— სანამ ეგ კატეგორია არ გაძღება, მათი შეჩერება შეუძლებელია, ოჯახიშვილობით, წარმომავლობით, გენეტიკურად ძალიან დახვეწილი უნდა იყო, რომ არ გაღორდე, ესენი კი ველური ხალხია. ალბათ მათი შვილები მაინც იფიქრებენ საკუთარ ქვეყანაზე.

— **კიდევ რა ხდება ახალი თქვენს შემოქმედებაში?**

— ქეთათომ დაამთავრა ახალ მუსიკაზე მუშაობა. ტელესერიალ „მგლების ხორუმისთვის“ ვაკეთებდი მუსიკას, ისიც დავასრულე, მზად მაქვს ალბომი, რომელიც ალბათ შემოდგომაზე გამოვა.

— **თქვენ მიიღეთ მონაწილეობა სიმღერასა და კლიპში — „აიღე ცოცხი“, რომელიც დასუფთავების პრობლემას ეხება. ეს კოლეგების თანადგომა იყო თუ, უკაცრავად და, ნაგავი ყელში ამოგივიდათ? წუხხართ ჭუჭყიანი თბილისის გამო?**

— ყველაფრის გამო მივიღე ამ სიმღერასა და კლიპში მონაწილეობა. თუ ეს გავლენას მოახდენს ხალხზე და ნაკლებად დააბინძურებენ ქალაქს, დიდად გავიხარებთ.

*ეკა ლომიძე*


ქართული და უცხოური
ჟურნალ-გაზეთების
გამოწერა
თბილისის მაცხოვრებელთათვის
და ორგანიზაციებისთვის
ტელ: 33-26-73
სახლიდან გაუსვლელად



შპს „ელვასერვისი“




# — ზუკა ნამდვილი „ტერორისტია“ — ყოველ დილით მახრჩობდა

## სოფელი ჯადოსნური „ტელევიზორია“



ვითვალისწინებ იმ ფაქტს, რომ „კვირის პალიტრა“ ზუსტად პირველ სექტემბერს გამოდის და მოზარდი მკითხველების გასახარად, გთავაზობთ ინტერვიუს მათ თანატოლ მომღერალ **თიკა ჯამბურიასთან,** რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ ცნობილ კლიპში ძალიან უხდება სასკოლო ფორმა, თურმე სულ არ უყვარს თეთრი ბაბთები და წინსაფარი. გაცნობებთ, რომ ხმები იმის შესახებ, თითქოს კლასში დარჩა, აბსოლუტური ჭორია — „ასეთი რამ არასოდეს მოხდება. სანიმუშო მოსწავლე არ ვარ, მაგრამ, არც ცუდი მეთქმის, თუ არ ჩავთვლით სამიანს ბოტანიკაში, რომელსაც ვერ ვსწავლობ“ — ამბობს იგი. ჯერჯერობით მათემატიკასაც ვერ უმკლავდება სათანადოდ. მაგრამ ლიტერატურაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში ცდილობს, ტოლი არ დაუდოს არავის.

— **ამ ზაფხულს რა მოხდა ისეთი შენს ცხოვრებაში, რამაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა?**

— მარტვილის რაიონში გვაქვს სოფელი. ძალიან ლამაზი და საყვარელი. ჩემი არაბავშვური ცხოვრების, შემოქმედებითი რეჟიმის გამო, აქამდე ერთი დღით მიწევდა ხოლმე სოფელში ჩასვლა. წელს დიდხანს დავრჩი იქ და ძალიან ბედნიერი ვარ. ვცდილობდი სოფლურად მეცხოვრა. ჩავიცვი კალოშები და ტალახში დავდიოდი. ეზოში პატარა გოჭები რომ დავინახე, კინაღამ გავგიჟდი, ხელი დავტაცე, ვეფერე, ვეფერე, მერე ლოგინში ჩავიწვინე. ამის გამო ყველა დამცინოდა. მერე დავდიოდი და უფროსებს ვეხვეწებოდი, ძროხა მომაწველინეთ-მეთქი. ყური არავინ მათხოვა. თან შემაშინეს, უცხოს მიკარებაზე ძროხამ წიხლი იცისო. არც ყველი ამომაყვანინეს. მოკლედ, ძალიან „მკაცრად“ მომექცნენ.

— **გული დაგწყდა ამის გამო?**

— რა თქმა უნდა. მერე გადავწყვიტე, შტაბი ამეშენებინა. წიგნებში წამიკითხავს, როგორ აშენებდნენ წინათ ბავშვები სოფლად შტაბებს. რაღაც საშინელი ხუხულა გამომივიდა. ხუთი ბავშვი რომ შევძვერით შიგ, ჭრიალი დაიწყო და სასწრაფოდ განკარგულება გავეცი: დატოვეთ შტაბი, ნგრევაა მოსალოდნელი-მეთქი. „რაზმმა“ შეასრულა ბრძანება, მე, როგორც კაპიტანმა, ბოლოს დავტოვე „ობიექტი“, გამოსვლისას თავი ჭრის ძგიდეს მივარტყი და ერთი „ჭრრ-ს“ დაძახების შემდეგ შტაბის ადგილზე ნანგრევები დარჩა.

— **ე.ი. ხელმოცარული დარჩი, ვერაფრით გაერთე?**

— წავედი ტყეში მაყვლის საკრეფად, ისე შორს „შევტოპე“, რომ კინაღამ დავიკარგე, მგელს მოვკარი თვალი და გულგახეთქილი გამოვიქეცი სოფლისკენ. თურმე ჩემი ნათესავები მეძებდნენ. მერე მდინარეზე წავედი ბიჭებთან ერთად სათევზაოდ და ხელით დავიჭირე თევზები. იცით, როგორ ვკიოდი სიხარულისგან? ჩემი აზრით, ბავშვები სოფელში უნდა ცხოვრობდნენ, სანამ სკოლას დაამთავრებენ. ასე მგონია, იქ ცხოვრება უფრო ლამაზი და საინტერესოა, ვიდრე ქალაქში. სოფელი ჯადოსნური „ტელევიზორია“, სადაც ყველა კადრს ცოცხლად ნახულობ და ყველაფრის მონაწილე თავად ხარ. ასე მგონია, კიდევ უფრო მგრძნობიარე გავხდი იქ. სოფელში ყოფნის შემდეგ მალთაყვაში მომიწია შეჩერებამ რამდენიმე დღით.

— **თიკა, სოფელში კონცერტებს არ მართავდით შენ და ნინი?**

— ალბათ იმის გამო, რომ ჩვენ ხშირად ვართ ნამდვილ სცენაზე, სპექტაკლებისა და კონცერტების დადგმის მოთხოვნილება არა გვაქვს. თუმცა, განუწყვეტლივ ვღიღინებთ. აი, მაგალითად, ჩაქვში მე, ნინი, ზუკა და ნატალია — ეკა მამალაძის ქალიშვილი — აუზში სულ სიმღერ-სიმღერით ვაყვინთვინებდით ერთმანეთს. ზუკა ნამდვილი ტერორისტია, დილით მაღვიძებდა და აუზისკენ მიმათრევდა, უნდა დაგახრჩოო. თუმცა, ჩემნაირი გულადი არავინ აღმოჩნდა: შუა ზღვაში მაშველი ჟილეტის გარეშე გადავეშვი ზღვის ველოსიპედიდან და გავცურე.

— **თიკა, პირველი სექტემბერი მოდის. გიხარია სწავლის დაწყება?**

— მიხარია, დაიჯერებთ? პირველ სექტემბერს მეორედ მივდივარ სკოლაში. ან რაღაც ხდებოდა და სწავლის დაწყების თარიღს ცვლიდნენ, ან სიმღერის და გასტროლის გამო სკოლაში ვერ მივდიოდი ხოლმე.

— **მკაცრია დედიკო?**

— დიახ. სამაგიეროდ, მამა მალაღებს ძალიან. დედას არ უყვარს ცხოველები. მე კი ვგიჟდები. მამამ, ერთხელ სახლში რომ მოვიდა, მანიშნა ქურთუკში რაღაც მყავს დამალული შენთვისო და ნაგაზის ლეკვი მომაწოდა. დედა გადაირია. შინ ვერ დავტოვებო, მაგრამ ველარაფერს გახდა მანამ, სანამ ლეკვი უზარმაზარ ძაღლად არ იქცა. ერთი სული მაქვს, მამა სამუშაოდ თბილისში როდის გადმოვა. ჩემი სამართალდამცავი მამა მხოლოდ მე მპატიობს უწესრიგობას. როცა ვცელქობ (საერთოდ ძალიან ცელქი ვარ), დედა მემუქრება, თუ არ მოისვენებ, ლუკას გავაჩენთო. ლუკა მე უნდა ვყოფილიყავი, ასე ჩამიფიქრეს თურმე, მაგრამ თიკად გავჩნდი. ისე მომწონს ნაბოლარაობა (ორი და მყავს), ლუკას გაჩენაზე ხმის გაგონებაც არ მინდა.

— **პატარა „ეგოისტო“, როგორი მოსწავლე ხარ?**

— ისეთი, როგორიც ჩემი თანატოლების უმრავლესობა. არაფრით გამორჩეული. ძალიან მიყვარს გეოგრაფია. რუკებზე ვგიჟდები. ერთ ღამეში ვისწავლე მსოფლიოს მთები. ძილშიც მაბოდებდა თურმე მთების სახელები. მეც ისევე ვისჯები, როცა [illegible], როგორც ჩემი კლასელები. ზამთარში „შატალოზე“ გავიპარე, ძალიან [illegible] ოჯახში. მაგრამ რა ვქნა, როცა ჩემს კლასელებთან ერთად ვარ, აღარც ოჯახი [illegible], აღარც სკოლის დირექტორი და აღარც ჩემი პოლიციელი მამიკო. რა ვქნა, მე მომღერალი კი არა, პირველ რიგში ბავშვი ვარ, რომელსაც ბავშვურად უნდა ცხოვრება და თუ ხელს შემიშლიან, გთხოვთ, დამეხმაროთ და ჩემი უფლებები დაიცვათ. თქვენი გ[illegible]ეთით ყველა ბავშვს ვულოცავ პირველ სექტემბერს და ჩემთან ერთად მოვუწოდებ: „ვისწავლოთ“!

*ეკა ლომიძე*


ავიაკომპანიები „საქავიასერვისი“ და „სამარა“ 25 აგვისტოდან ასრულებენ რეისს



თბილისი — სამარა — ორშაბათობით
სამარა — თბილისი — სამშაბათობით
მის: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. №4
ტელ: 99-02-37; 99-83-87

# ჩიტის მოტანილი ამბები...

**ისევ ივსება და იცლება „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთები, ისევ მოდის რედაქციაში მკითხველთა წერილები. ისევ დაგვიგროვდა სათქმელი, უშუალო, გულახდილი საუბარი მოგვენატრა. ერთმა მკითხველმა (ქ-ნმა თამარ გარიშვილმა) ისიც მოგვწერა, თუნდაც იმიტომ მიყვარხართ, რომ ჩემ თვალწინ ისე სწრაფად და შეუმჩნევლად გაიზარდეთ, როგორც „მეზობლის ბავშვიო“. სამტრედიელმა ზაზა გოგორიშვილმა გაგვიმხილა, თქვენ გამო შინ ომი მაქვს — ვერც გაზეთს ვიმეტებ დასახევად და ვერც თქვენს ჟურნალებსო („გზა“, „ბომონდი“, „რეიტინგი“...). სამაგიეროდ, კურიოზების ნაკრები, იარაღზე და შეიარაღებაზე შექმნილი კატალოგი კოზირივით ჭრის დედაჩემის და ჩემი მეუღლის არგუმენტებს. შეკითხვის გამოგზავნას ვერ ვასწრებ ირაკლი ალადაშვილთან, რომ პასუხი უკვე დაბეჭდილიაო. მაგრამ ამას წინათ გამოქვეყნებულმა ჯემალ ჭკუასელის „გამარჯობა, მამამ“ მთლად გადამრია. მატარებელში ვკითხულობდი და ავტირდი ამხელა კაცი. ჩემ წინ მჯდომმა მოხუცმა გურულმა ჯერ თვალი ამარიდა, მერე კი, როცა დავწყნარდი, მათხოვე, რაი წერია ამფერიო და გაზეთი გამომართვა. ახლა ის ატირდა — აი, რაი დოუწერია ამ დასალუპავსო...**

**ათენში გადახვეწილი დუშელი ნანა ყურაშვილი იქ მყოფი უამრავი ქართველის სახელით გვწერს: „ყოველი კვირადღე ზეიმია ჩვენთვის. ამ დღეს მოდის ათენში „კვირის პალიტრა“. გმადლობთ, რომ თქვენი გაზეთი საქართველოში „გვაბრუნებს“ მცირე ხნით მაინც“...**

## გულში არჩატეული გრძნობები

— ლანჩხუთის რაიონის მცხოვრებთა უმრავლესობა თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველია. გაგვახარა სტატიამ გოდერძი ჩოხელზე. სტიმული მომეცა და გაზეთ „ლანჩხუთი პლუსში“ გამოვაქვეყნე წერილი. ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ მას თქვენც დაბეჭდავთ. — გვწერს ლანჩხუთელი ზაურ წილოსანი. სიამოვნებით გთავაზობთ



*საყვარელ მწერალთან გადაღებული ფოტო დუშეთიდან გამოგვიგზავნა მეათეკლასელმა ნათია ჯავახიშვილმა*

ამონარიდს ამ წერილიდან:

„ჩვენო გოდერძი ჩოხელო!

ნუ მიწყენ, შენობით რომ მოგმართავ. მე ერთი დიპლომიანი მწყემსი ვარ, 66 წლის კაცი, რომელიც ბოდიშს გიხდის, რომ მყუდროება დაგირღვია... თანაც ქართველები ღმერთს შენობით მიმართავენ, ძვირფას ადამიანსაც... განა ეგეთი რა გაწყენინეთ, შე მადლიანო, ამ გაუსაძლის ქვეყანაზე კიდევ ერთ სხივსა და იმედს რომ გვიქრობდი! თუმცა კი შეძელი, შეგვაჯანჯღარე და გვაგრძნობინე, რისი გაძლებაც არ შეიძლება, იმას არ უნდა ვუძლებდეთ...

გოდერძი, იმ დასკვნამდე მივედი, რომ შენ ყველა თვისებით ხარ ისეთი ქართველი, როგორებიც იყვნენ მონღოლთა შემოსევის დროს. აი, რას წერს მონღოლი ნოინი ქართველებზე: „ქართველებმა ვაჟკაცურად იბრძოლეს სამშობლოს დაცვისათვის და ვაჟკაცურად დაგვემორჩილნენ, მათ აქვთ რჯული კეთილი, სძულთ სიცრუე და მათ შორის არ მოიპოვება არც მწამლავი და არც მხიბლავი“ (რა კარგი ქართველები ვყოფილვართ). ასეთი ხარ შენ. რამდენ რამეს გაგიზიარებდი, ახლოს რომ მყავდე...

პასუხს არ ველი, მაგრამ თუ მოიცლი და მომწერ, უმჯობესი იქნება „კვირის პალიტრით“ გამცე პასუხი. იმდენს უყვარხარ გურიაში, ნეტავ პრეზიდენტი უყვარდეთ ასე“.

დუშელი გოგონა, მეათეკლასელი ნათია ჯავახიშვილი გოდერძი ჩოხელთან შეხვედრას იხსენებს. სკოლაში მიწვეულ მწერალს ნათიასთვის და მისი მეგობრებისთვის უთქვამს, მთელი ჩემი მოთხრობები, ლექსები და კინოფილმები თქვენიაო.

ყოველ სექტემბერს ქართულის მასწავლებელი თხზულებას გვაწერინებს თემაზე, „ამ ზაფხულს გაცნობილი ლიტერატურული გმირი“. გოდერძი ჩოხელის გმირები მე და ჩემს კლასელებს ყოველთვის ხუთიანებით გვავსებენო, გვწერს ნათია და იმ ფოტოსაც გვიგზავნის, საყვარელ მწერალთან რომ გადაუღია.

## მილიონი სამუშაო ადგილი

დაპირებული მილიონი სამუშაო ადგილი რომ გვქონოდა, აღარც ჩვენი უამრავი მკითხველი მოგვწერდა გულისტკივილით აღსავსე წერილებს. აი, თუნდაც მარეხს მოვუსმინოთ, ახალგაზრდა ისტორიკოსს, რომლისთვისაც აუხდენელ ოცნებად ქცეულა ჰქონდეს საკუთარი, თუნდაც მინიმალური საარსებო წყარო: „მე ჩემს თანამემამულეებსა და ქვეყანაზე ფიქრი მაწუხებს, ისევე როგორც ქართველთა უმეტესობას და არა იმათ, ვინც მშვენიერი საცირკო სანახაობით იქცევს ხალხს ყოველდღიურად. უკვე აშკარა გახდა, რომ საპარლამენტო თუ სახელისუფლებო უმრავლესობას საკუთარი კეთილდღეობის გარდა აღარაფერი აღელვებს...“

თუ მარეხი ასე თუ ისე „ბედს შეჰგუებია“, რუსუდან ბირკაია კარგა ხანია სამუშაოსთვის „იბრძვის“. ექიმ-თერაპევტს, ოქროს მედალოსანს, წითელ დიპლომიანს... უცხო ენათა ინსტიტუტიც დაუმთავრებია, კომპიუტერული პროგრამებიც უსწავლია, სინქრონული თარგმანის სპეციალისტიცაა...

და ყველაფერ ამის შემდეგ სამსახური ვერ უშოვია, „ჯადოსნური წრე“ ვერა და ვერ გაურღვევია. თარჯიმნის, მდივან-რეფერენტის, მენეჯერის უამრავი ვაკანსია ცხადდება (გაეროს და ეუთოს პროგრამებში, საელჩოებში, სასტუმროებში, სხვადასხვა კორპორაციაში), მაგრამ რად გინდა, ყველგან სათანადო გამოცდილების (სტაჟის) მქონე მუშაკებს ეძებენ. საინტერესოა, თუ არსად მიიღეს სპეციალისტი, გამოცდილებას საიდან შეიძენს.

— არადა, იძულებული ვიქნები, გავყიდო ჩემი ერთოთახიანი ბინა და სადმე საზღვარგარეთ გადავიხვეწო, რომ მოვახერხო ჩემი ერთადერთი შვილის აღზრდა ისე, რომ მანაც ჩემსავით ზედმეტ ადამიანად არ იგრძნოს თავი.

## მიშველეთ! არ მინდა საქართველოდან წასვლა!..

ამავე თემას ეხმაურება თელაველი მედიცინის მუშაკი, რომელიც რაიონის „ვაჟკაცური“ გამგებლის შიშით, ვინაობას არ გვატყობინებს.

„აბა, ჩემო გაზეთო, მთელი კვირა რომ შენით ვსულდგმულობ, მიშველე რამე. — შინაურულად მოგვმართავს უცნობი ქალბატონი და აგრძელებს, — ამისთვის სულ ცოტა რამეს ვითხოვ: წლევანდელ ხელფასს, საერთოდ რომ არ ამიღია, მიზერულია, მაგრამ როგორმე ვიმყოფინებდი. წინა წლების გაყინულ ხელფასებზე აღარაფერს ვამბობ... თუმცა, თანდათან გამოიკვეთა ჩემს გონებაში საქართველოდან წასვლაზე ფიქრი და ამან ძალიან შემაშინა“... რა გვეთქმის. უცნობი მკითხველის „როლში“ მრავალი ჩვენი თანამემამულეა და ყოველდღიურადაც უამრავი ადამიანი ტოვებს საქართველოს. ვინ ტურისტის, ვინ მომღერლის, ვინ სპორტსმენის, ვინ მსახიობის და რა ვიცი, ვინ რა სტატუსით არ მიემგზავრება საზღვარგარეთ. მერე ზოგი ლტოლვილად ჰბარდება, ზოგი არალეგალურად პოულობს სამუშაოს, ზოგიც ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება და ასე ცარიელდება ქალაქები, სოფლებიც...

განგაშის ზარი, მგონი, დაგვიანებულიცაა!..

## უმუშევრად რჩებიან... ახალგაზრდა მებაჟეებიც



საბაჟო აკადემიის კურსდამთავრებულთა სახელით გვწერს გიორგი მოხევიშვილი, რომელიც აკადემიაში იმ იმედით ჩარიცხულა, რომ დამთავრების შემდეგ დაასაქმებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებდნენ სარეკლამო განცხადებებში, რომლითაც აბიტურიენტებს იწვევდნენ ფასიან(!) უმაღლეს სასწავლებელში.

მაგრამ დაამთავრეს ბიჭებმა აკადემია და ცარიელი დაპირება შერჩათ ხელთ. უფრო მეტიც, აკადემიის კურსდამთავრებულებს ატესტაციის გავლის უფლებასაც არ აძლევენ. მაშინ რაღა საჭირო იყო სასწავლებლის დაარსება, თუ მისი აღზრდილები არავის სჭირდებოდა.

მომავალი მებაჟეები თანახმანი არიან გაიარონ ნარკოლოგიური შემოწმება, ატესტაცია, მონაწილეობა მიიღონ კონკურსში და მხოლოდ ამ კონკურსში გამარჯვების შემდეგ ითხოვენ სამუშაოს...

## ნანიკო ტყუპისცალს ეძებს...

17 წლის ნანიკოს გულისტკივილი კი არ ვიცი, გაგიმჟღავნოთ თუ არა. გოგონას ახლახან შეუტყვია, რომ ტყუპისცალი ჰყავს! ეს ამბავი ჩემთვის იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, სხვაზე აღარაფერზე ვფიქრობო...

„ძალიან მინდა, ჩემი დაიკო ვიპოვო, რომელიც უკვე შემიყვარდა“ — გვწერს გოგონა, რომლის დაბადების თარიღია 1986 წლის 28 მარტი. ამ დღეს დაბადებულ გოგონათა შორის, ვინ იცის, ერთ-ერთი ნანიკოს ტყუპისცალია. თუმცა, ისიც არ არის გამორიცხული, რომ გაშვილებულ გოგონას დაბადების თარიღი შეუცვალეს. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი ფოტოსურათია. ნანიკოს ვთხოვთ (იგი გვარს და მისამართს არ ასახელებს) თავისი ფოტო გამოგვიგზავნოს, იქნებ ასე უფრო ადვილად იპოვოს ტყუპისცალი და...



*გურამ ცერცვაძე. „წითელი თევზი“*

## ბედნიერებას გვიზიარებენ

მართლაც რომ გაგვახარა თბილისელი ირმა და დათო ბარბაქაძეების ბარათმა. თურმე ნუ იტყვით და, 14 წელი შვილი არ ჰყოლიათ. მოლოდინით გაბეზრებულებს ორი წლის წინ პატარა ეკატერინე შეუფარებიათ საკუთარ „ფრთებქვეშ“. გოგონას გასაოცარი სითბო და სიყვარული შეუტანია ბარბაქაძეების ოჯახში.

და როცა ცოლ-ქმარი აღარც კი ფიქრობდა მეორე შვილზე, სწორედ მაშინ მომხდარა სასწაული. ამ გაზაფხულზე ირმას ტყუპი გაუჩენია, კენჭივით ბიჭები — ერეკლე და დავითი!..

სწორედ ამ სიხარულს გვიზიარებენ. წერილი არასოდეს გაგვიგზავნია რედაქციაში და ჩვენი ბედნიერება ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ მაინც გვინდა თქვენც გახაროთო. მკითხველთა სახელით ვულოცავთ ირმას, დათოს და პატარა ეკატერინეს ამ უდიდეს სიხარულს და მათგან ბოკვერებივით ბიჭების ფოტოსაც ველით...

## არც დენი, არც წყალი!..

აგარელი მაყვალა გაბოძე სოფლის მოსახლეობის სახელით დახმარებას გვთხოვს — პაპანაქება სიცხეში წყალი არა გვაქვს, რაც უშუქობის ბრალიაო. ტრანსფორმატორის შეკეთებას მთელი ზაფხული მოანდომეს და მაინც არაფერი გვეშველა, რამდენიმე „ურჩი“ გადამხდელის გამო (პენსიონერები არიან, ამიტომაც ვერ იხდიან გადასახადს) მთელ სოფელს აღარც დენი გვაქვს და აღარც წყალი. იქნებ თქვენ მაინც დაგვეხმაროთ, თორემ სხვა არავინ გვყავს იმედადო. რას ვიზამთ, რადგან მკითხველს ერთადერთი ჩვენი იმედი დარჩენია, ქარელის რაიონის მესვეურთ გვინდა მივმართოთ გაზეთის ფურცლებიდან — იქნებ გულთან მიიტანონ აგარელთა გასაჭირი და დაეხმარონ...

## გლეხკაცს გულს ნუ ვატკენთ...

„თითქმის თვე-ნახევარია, კანდელაკის ქუჩის ბოლოში „გარე მოვაჭრეთა“ ბაზარზე ვზივარ და ჩემი შრომით მოყვანილ საზამთროს ვყიდი რაღაც კაპიკებში 65 წლის კაცი, 5 შვილის მამა. კაციშვილს არ უკითხავს, რა დამიჯდა ერთი კილოგრამი საზამთროს მოყვანა, სამაგიეროდ, 25 თეთრი ეძვირებათ და იცით, ვის? „ბმვ“-თი, „ფორდით“ და „მერსედესითაც“ რომ მოდიან, იმათ. გლეხის შრომას ჩალის ფასი ადევს. მე ერთი ჯაგლაგი ცხენი ძლივს ვიყიდე მთელი წლის ნაშრომით, დღედაღამ მინდორში ვგდივარ და ამათ ჩემი ხელით მოწეული საზამთრო ეძვირებათ... თურქული ურჩევნიათ...“

ეს სტრიქონები ვახტანგ მიქაუტაძის წერილიდანაა, რომელიც შემოგვჩივის, რომ თუ ასე გაგრძელდა, მალე გლეხკაცი შრომაზე გულს აიცრუებს (სულერთია, მის მოყვანილს ფასი არა აქვს) და მერე ნახეთ, ქართული ხილი და ბაღჩეულ-ბოსტნეული წითელ წიგნში შესატანი რომ გაგვიხდებაო.

...ხომ შეგვიძლია, გული არ ვატკინოთ გლეხკაცს, რომელსაც მარტო იმისთვის ხომ არ მოჰყავს მოსავალი, რომ გაყიდოს და ფული აიღოს... ქვეყანა ხომ მით უფრო ძლიერია, რაც მეტი დოვლათი იქმნება!..

## ორი ლექსი მოგაბარე...

რედაქციაში ერთი მთიელი კაცი გვესტუმრა. ძარღვიანი ლექსები მოიტანა. მოვუწონეთ, ფოტოც გადავუღეთ და დავპირდით, როცა მკითხველის პოეზიას დავუთმობთ ლიტერატურულ გვერდს, მის ლექსებსაც გამოვაქვეყნებდით. არადა, მართლაც ხომ გულიდან ამოსული სტროფია:

*დიდი ხნის წინათ ტყეში გაპარულ,*
*ხელშურდულიან, ონავარ ბიჭებს,*
*მოშიებულებს და გზადაკარგულთ,*
*მე მოგონების ქამანდით ვიჭერ...*

ლექსების ავტორი ნოდარ ოდიშელიძეა, რომელიც რამდენჯერმე გვესტუმრა რედაქციაში. ერთხელაც ვუთხარი, ნუღარ შეწუხდებით, თქვენს ლექსებს აუცილებლად დავბეჭდავთ-მეთქი. მითხრა, იქნებ მათხოვოთ ჩემი ხელნაწერი, ერთ-ერთი ლექსის გადაწერა მინდაო. არ ვიცი, ასეთი რამ სხვა დროს მგონი, არც დამმართნია, ვერაფრით ვიპოვე დასაბეჭდად გამზადებული ხელნაწერი (ხომ არის ზოგჯერ შემთხვევა, როცა რაღაც ნივთი ცხვირწინ გიდევს და ვერ პოულობ). სარედაქციო საქმე მოვიმიზეზე და ბოდიში მოვუხადე. არაფერი უთქვამს, მთიელი კაცის თავაზიანობით დამემშვიდობა და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ კარისკაცმა რაღაც ფურცელი მომაწოდა, თქვენთვის დატოვესო. აი, რა ეწერა ამ ფურცელზე:

*ორი ლექსი მოგაბარე,*
*გაჩორკნილი არცთუ კარგად,*
*მაგ პატარა მაგიდაზე,*
*მიკვირს, როგორ დაგეკარგა?!*

ყველა საქმე გადავდე და ლექსებს დავუწყე ძებნა... სულ რაღაც ორიოდე წუთში ვიპოვე... ასე რომ, არ დამიკარგავს თქვენი ლექსები, ბატონო ნოდარ!..

## აფერა გრძელდება

კიდევ ერთი „ინკოგნიტო“ მკითხველი საკმაოდ გახმაურებული აფერის შესახებ გვიამბობს, რომელიც სამწუხაროდ, ისევ გრძელდება და ახლა უკვე უფრო ფართო მასშტაბით. აი, რას გვიამბობს უცნობი ავტორი: „დარეკეს ჩემს ბინაში, ჩვეულებრივ ტელეფონზე, მითხრეს საქველმოქმედო ორგანიზაციიდან ვართო და მომცეს მობილურის ნომერი, რომელზეც უნდა დამერეკა. იქ კი მიპასუხეს, რომ გათამაშდა თბილისელების ტელეფონის ნომრები და გამარჯვებულთა შორის ვარ. „მოვიგე“ 2.800 ლარი, ვიდეოაპარატურა და ქსელში ჩართული მობილური ტელეფონი. როცა დაასკვნეს, რომ ძალიან გამიხარდა, თავიანთი „პირობებიც“ წამომიყენეს — საათ-ნახევრის განმავლობაში უნდა მეყიდა 5 ცალი 30-ლარიანი „მაგთის“ მონობარათი და დამერეკა ხსენებულ ნომერზე, გადამეცა ბარათების კოდი და მოგებაც გარანტირებული მქონდა! თუ მოგებული ვარ, ის 150 ლარი გამომიქვითეთ საერთო მოგებიდან-მეთქი. — ჭკუა ვიხმარე და ჩემი მოსაზრება გავაცანი „ქველმოქმედებს“. როგორ ფიქრობთ, დამთანხმდნენ? — ცივად გამითიშეს ტელეფონი!“

არ მოტყუვდეთ აზარტული თამაშებისა და მოგების მოყვარულნო. აფერა მონობარათებით ისევ გრძელდება!

**და ასე მიჰყვება ერთმანეთს მკითხველის ნაფიქრ-ნააზრევი. ჩიტის მოტანილი ამბებივით გულისკენ პოულობს გზას თითოეულ ბარათში ჩადებული ტკივილი თუ სიხარული.**

**ჩვენდა გასაოცრად, ასფალტის ქარხნის დირექტორმა ბატონმა გოგი პაქსაშვილმა დაგვირეკა და ეთერ თარიმანის პუბლიკაცია შეგვიქო („მთვარე დავტოვე სახლის დარაჯად...“), რომელიც საბერძნეთში სამუშაოდ წასულ ჩვენს თანამემამულეებზე მოგვითხრობდა. ვიტირე ამხელა კაცმაო, გვითხრა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ თურმე ქალბატონ ეთერსაც ჰქონია „საქმე“ ბატონ გოგისთან. ბოლო დროს სულ ვფიქრობ, ნეტა ასფალტის ქარხნის დირექტორს ვიცნობდე, — ჩემს სახლთან ახლოს, ვაზისუბნის მესამე მიკრორაიონის ასასვლელში სულ რაღაც 300 მეტრზე გზა ისეთი გაუბედურებულია, თავბედს ვიწყევლით (განსაკუთრებით წვიმიან ამინდში) მისი გავლისასო. ასე რომ, „ნაცნობობა“ ჩვენი გაზეთის საშუალებით შეიძლება შედგეს...**

**მიმოხილვას 8 წლის გიორგი ნოზაძის ნახატიანი ბარათით დავასრულებ, რომლითაც იგი „საბალღო-სალაღო“ გვერდის ავტორს, მამუკა ხუციშვილს ძმაკაცივით მიმართავს: „მამუკ, ამ ნახატს გჩუქნი ჩემგან სამახსოვროდ და ძალიან დიდი მადლობა, რომ ყველა ჩემი სურვილი ამიხდინე. ყველაზე კარგ მეგობრად შენ მიმაჩნიხარ“.**

**და კიდევ: მხატვარი გურამ ცერცვაძე თავისი ნახატების ფოტორეპროდუქციებს გვიგზავნის. მისი ერთ-ერთი ნახატით ჩვენს მიმოხილვასაც „მოვრთავთ“.**

**კვლავ ველით თქვენს ბარათებს...**

***რედაქციის სახელით — ელენე სალარიძე***

# ნაუკითხავი ბარათი...



*მინდა გიამბოთ ერთი სიყვარულის ამბავი.*

*მართალი გითხრათ, ვერც გავრისკავდი ნათიას და ზაზას თავგადასავლის მოთხრობას, ზაზას დას, ინგას რომ არ წავექეზებინე. მან ნათიასთვის ზაზას მიერ აფხაზეთიდან გამოგზავნილი წერილიც კი წამაკითხა...*

მოულოდნელად წამოვიდა მაისის შხაპუნა... ქუჩაში გამვლელები გარბოდნენ, სადარბაზოებს თუ მაღაზიებს აფარებდნენ თავს. ნათია კი სულაც არ ჩქარობდა და მეგობარ გოგონებს არწმუნებდა, — ამ თბილ წვიმაში სეირნობას რა სჯობსო... უცებ მანქანამ ჩაიქროლა და ერთიანად გაწუწა... მერე მანქანა გაჩერდა, უკან დაიხია, ყმაწვილმა მძღოლმა ბოდიში მოუხადა „დაზარალებულს“ და გოგონებს შინ მიყვანა შესთავაზა.

გოგონებს უარი არ უთქვამთ.

წვიმამ რომ გადაიღო და ცისარტყელამ ცის კიდე გააფერადა, მძღოლი ნათიას მიუბრუნდა, — ბედნიერების ნიშანიაო...

მართლაც ბედნიერ ფეხზე შეხვდნენ ერთმანეთს ნათია და ზაზა იმ წვიმიან დღეს. მას შემდეგ ერთმანეთს აღარ დაშორებიან... მაგრამ მოულოდნელად ნათიას დამ თავი ჩამოიხრჩო. რატომ და რისთვის — არავინ იცოდა. ჭორიკნებს რა გამოლევს. თქვეს, — ჯიშში აქვთ სიგიჟე და იმიტომაც ჩაიდინა ეს საქციელიო. ნათია ცოცხალმკვდარი იყო.

გავიდა ორი წელი. ეს პერიოდი ნათიასთვის უსაშველოდ მძიმე იყო, მაგრამ კიდევ უფრო გაუსაძლისი და აუტანელი იქნებოდა, ზაზა რომ არ ყოფილიყო მის გვერდით... ნათია ნამდვილად უმადლოდა ბიჭსაც და იმ დიდ გრძნობასაც, რომელმაც შეაძლებინა ცხოვრება კვლავ გაეგრძელებინა. ცოტაც და, მალე მათი ქორწინების დღეც უნდა დანიშნულიყო. ისევ ალაპარაკდნენ ცნობისმოყვარე „მოსეირენი“ და და ერთ-ერთმა „კეთილმა“ ნაცნობმა ნათიას ამბავი მოუტანა: ზაზას დედას არ უნდიხარ. ამბობს, — რად მინდა გიჟის ჯიშის რძალიო... თითქოს მეორედ მოუკვდა და და გადაწყვიტა, ზაზას ოჯახის სიმშვიდე არ დაერღვია არასასურველი რძლობით. ოღონდ არ იცოდა, დაშორების მიზეზად რა დაესახელებინა. არ სურდა გაკვრით მაინც კვლავ მისთვის მტკივნეულ თემას შეხებოდა, თანაც გრძნობდა, დედის სიტყვები ზაზას წონასწორობას დააკარგვინებდა. თითქოს ბედად, ზაზა ორი კვირით მივლინებაში წავიდა და ნათიამ „დრო იხელთა“ — გათხოვდა!

...მხოლოდ ერთხელ, შემთხვევით შეხვდნენ მერე ერთმანეთს. ნათიამ ცივად უთხრა ზაზას, — მოვიქეცი ისე, როგორც ჩავთვალე საჭიროდო.

...უცხო თვალის დასანახად ქალი „მშვიდად“ და „ბედნიერად“ ცხოვრობდა, ვაჟს კი... ცოლის მოყვანა საერთოდ აღარ უფიქრია.

ნათიას „ბედნიერება“ დიდხანს არ გაგრძელებულა. სამი წლისაც არ იყო ლევანიკო, მამით რომ დაობლდა. ჯერ დის სიკვდილმა, მერე ზაზასთან დაშორებამ, ბოლოს კი შვილის მამის დაკარგვამ თავზარი დასცა ახალგაზრდა ქალს. კარგა ხანს არავის დანახვა, ადამიანის ხმის გაგონებაც არ უნდოდა.

ამ ამბიდან ერთი წლის მერე აფხაზეთის ომი დაიწყო. ნათიას მეგობრებმა გააგებინეს, რომ ზაზა გუმისთასთან, გვარდიის ერთ-ერთ შენაერთში იბრძოდა. ელდა ეცა, უსიამოვნო გრძნობამ დარია ხელი. ზაზას დასთან მოუხშირა სტუმრობას. როცა გაიგო, ზაზას ბიძაშვილი, გოგა, აპირებდა აფხაზეთში წასვლას, გადაწყვიტა, მისი ხელით წერილი გაეგზავნა ზაზასთვის და ეამბნა, რაც თავს გადახდა, რატომ მოიქცა ასე. ნათიას წერილმა ზაზამდე მიაღწია, მაგრამ მისმა ნათიამდე — ვეღარ.

**ინგა (ზაზას და):** ნათიას წერილი ზაზას ისე გახარებია, რომ უთქვამს: სულ სხვანაირად შემოტრიალდა ჩემი ცხოვრება, ახლა ტყვია აღარც მომეკარებაო. პასუხი მალევე დაუწერია, მაგრამ გამოგზავნა კარგა ხანს ვერ შეძლო. მერე გოგა დაიჭრა. ზაზას სწორედ მისთვის გამოუტანებია წერილი, თან დაუბარებია: ნათიას და ყველა ჩემს ახლობელს უთხარი, რომ ძალიან მალე დავბრუნდებიო. გოგა თბილისში არ ჩამოსულა, ზუგდიდში გაჩერდა ცოტა ხანს (ფეხში იყო დაჭრილი), მერე ისევ უკან გაბრუნდა. ზაზამ ფიცი ვერ აასრულა — ცოცხალი არ დაბრუნდა. გოგამ სასწაულებრივად მოახერხა მისი თბილისში ჩამოსვენება. ნათია მხოლოდ ზაზას დაკრძალვის დღეს მოვიდა. ისეთი უბედური და სასოწარკვეთილი იყო, გული მომიკვდა. რა ბედნიერები უნდა ყოფილიყვნენ ერთად! ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის, რომ წერილი, რომელიც გოგამ გადმომცა, მაშინ არ მივეცი. ვიცოდი, ნათიას კიდევ უფრო ააფორიაქებდა და მოსვენებას სამუდამოდ დაუკარგავდა ზაზას წერილი... რამდენიმე თვის შემდეგ გავიგე, რომ ნათიამ თბილისი დატოვა. რაც დრო გადიოდა, უფრო განვიცდიდი იმას, რომ არ გავუმჟღავნე წერილის ამბავი. ვცადე მასთან დაკავშირება, მაგრამ ამაოდ... დედაჩემი ორ წელიწადში მიჰყვა შვილს... მარტო ვცხოვრობ, ვერ მოვახერხე ოჯახის შექმნა. ვიცი, თქვენი გაზეთი საქართველოს ფარგლებს გარეთაც ვრცელდება. ეგებ, მოსკოვში, ნათიას ხელში ჩაუვარდეს ის ნომერი, რომელშიც მათი წერილების გამოქვეყნება მინდა. ვიცი, არ მიწყენს.

ზაზას და ნათიას წერილებმა ერთიანად შემძრა. მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ ამ ბარათებს; განსჯა და ფიქრი თქვენთვის მოგვინდვია, მკითხველო!

*„ჩემო ზაზა!*

*ჩვენ არასოდეს გვისაუბრია წერილებით. ალბათ იმიტომ, რომ არ იყო ამის საჭიროება. ახლა ჩვენ შორის დრო ჩადგა და კიდევ უამრავი „რაღაც“, ამიტომ მინდა ქაღალდიდან გესაუბრო, თითქოს ახლოს ხარ, ერთი ხელის გაწვდენაზე, მაინც მგონია, ცხრა მთასა და ცხრა ზღვის იქით ხარ გადაკარგული... როცა გავიგე, აფხაზეთში წავიდაო, გული კინაღამ გამისკდა. მინდოდა ბედნიერი ყოფილიყავი, ცოლი მოგეყვანა, შვილები გყოლოდა... შორიდან (შენ ამას ვერასოდეს გრძნობდი) გაფაციცებული თვალს გადევნებდი... ჩემმა მეგობარმა ლიამ მითხრა, ზაზას შეურიგდი, ხომ ვიცი, ისევ გიყვართ ერთმანეთიო. შევიცხადე: მერე რა, რომ მიყვარს (შენ მაგივრად ვეღარ გავბედე ლაპარაკი), შვილიანი ქვრივი რაში სჭირდება-მეთქი. მერე აფხაზეთში წახვედი. იმაზე ფიქრი, რომ ტყვიების წვიმაში გიწევს ყოფნა, ჭკუას მაკარგვინებს.*

*გახსოვს, ჩვენი პირველი შეხვედრა? რა თბილი წვიმა იყო, არა? ცისარტყელამ ბავშვივით გაგვახარა ორივე. გვეგონა, იმ დღიდან სულ ცისარტყელასავით ფერადი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება... კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. რამდენი ტკივილი შეგვხვდა...*

*ალბათ უსინდისო გგონივარ, იმასაც ფიქრობ, „უკეთეს ვარიანტზე“ გაგცვალე. თუ რატომ მოვიქეცი ასე, ამაზე ინგას უკვე ველაპარაკე. სანამ ჩამოხვალ, მინდა ეს შენც იცოდე. ძალიან გთხოვ, დედაშენს ნურაფერს ეტყვი, ნურც აგრძნობინებ. დედაა და განსაკუთრებული „ვინმე“ უნდოდა შენთვის, ამიტომაც გამოთქვა ის ეჭვი ჩემი დის თვითმკვლელობის გამო. აპატიე და გთხოვ, მეც მაპატიო. ნანაზე ირიბად ნათქვამმა გული მომიკლა, თანაც, არ მინდოდა ნაძალადევად შემოვჭრილიყავი თქვენს ოჯახში, ამიტომაც ვარჩიე ცალკე, უშენოდ ცხოვრება. ეს დიდი შეცდომა იყო, დავისაჯე კიდეც. ინგა რომ არა, ვერ გავბედავდი გულის გადაშლას. შენმა დამ მითხრა, ისე წუხდა უშენობას, დედაჩემიც კი მიხვდაო... ჰოდა, ბოლომდე ვშლი „კარტებს“. მიყვარხარ, თავს გაუფრთხილდი, მოუთმენლად გელი. დიდხანს ველარ გავუძლებ უშენობას. შენი ნათია. 1993წ., 15.05.“*

*„გამარჯობა ნათია!*

*ყველაფერს წამოვიდგენდი, მაგრამ გოგა თუ ამისთანა საჩუქარს ჩამომიტანდა, არც მეგონა. იცი, შენი წერილი ჩემთვის რას ნიშნავდა? დამშეული ხალხისთვის ციდან მანანის ჩამოცვენის ტოლფასი იყო... წარსულს აღარ გაგახსენებ, არც ერთი წუთით აღარ მინდა ვიფიქრო იმ დროზე, როცა უშენოდ ვიყავი. მეც შორიდან „გითვალთვალებდი“. მეუბნებოდნენ, კარგი ქმარი შეხვდა, ბედნიერიაო... მწყინდა-მეთქი, ვერ გეტყვი, რადგან შენი ცუდი უფრო დამანაღვლიანებდა, მაგრამ სიმართლეს ვერ დავმალავ, მთლად გახარებულიც ვერ ვიქნებოდი. მეწყინა თედოს დაღუპვა. ინგამ მირჩია, სამძიმარზე მოვსულიყავი, მაგრამ ვერ გავბედე. ჯერ ერთი, არ შემეძლო შენი ტანჯვის ყურება, მეორეც, მოდარაჯებულ თვალებს მოვერიდე, ხალხმა არ თქვას: — ჩასაფრებულ კაცს შესაფერისი მომენტი დაუდგაო. მეც მაპატიე! ჩვენ ისეთი მენტალიტეტით ვიზრდებოდით, რომ ყოველთვის გვაფრთხობდა პოზიცია — „რას იტყვის ხალხი“. თუკი იმაში ვიქნებოდი დარწმუნებული, რომ შენ კიდევ გიყვარვარ, მაშინ, რაღა თქმა უნდა, არც დავფიქრდებოდი, უმალ შენთან გავჩნდებოდი, მაგრამ მე ხომ ეს არ ვიცოდი? ის კი არა, წლების მანძილზე (გიჟი რომ რაღაცას ამოიჩემებს) ერთსა და იმავე კითხვას ვაძლევდი ჩემს თავს: რატომ გათხოვდა? პასუხს ვერ ვპოულობდი. დედაჩემი დუმდა. აფხაზეთში წასვლის წინ ინგამ „შემომაპარა“, — იქნებ ნათია ნახოო, მაგრამ ვერ გავბედე. მეგონა, ცივად შემხვდებოდი... შენს „სიცივეს“ კი საბრძოლველად წასული ვერ გავიყოლებდი. რასაც უნდა გადავერჩინე, ისევ იმ დღეებზე მოგონებას, როცა ჩვენ ერთად ვიყავით, უნდა ვეხსნე სიკვდილისაგან... აწი ვინ რას დამაკლებს? ნათია, აქ 17-18 წლის ბიჭები იბრძვიან, მათი მეთაური ვარ. გარეწარი უნდა ვიყო, რომ ისინი მივატოვო. ყველანი ერთად დავბრუნდებით. სულ მალე ჩვენ გავიმარჯვებთ... მერე ნახე, რა ბედნიერები ვიქნებით...*

*აუუ, ოცნებებში წავედი, უკვე ვიცი, რასაც გავაკეთებ, აღარაფრის მეშინია, შენ ხომ ჩემ გვერდით ხარ? შენს ბიჭს მამობას გავუწევ და ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება. აღარ გემშვიდობები...*

*სხვათა შორის, როცა შენი გათხოვების ამბავი გავიგე, მაშინაც არ დაგემშვიდობე, ალბათ იმიტომ, რომ გულის გულში მწამდა, ჩვენი გზები კვლავ გადაიკვეთებოდა... მართალი აღმოვჩნდი, არ შეიძლება ასეთი გრძნობა უკვალოდ გაქრეს.*

*ნახვამდის, გკოცნი უთვალავს!*

*შენი ზაზა“*

***მარინა ბაბუნაშვილი***

## გამოხმაურება

# პასუხი კითხვაზე „რას იტყვით?“

„გამარჯობა, „კვირისპალიტრელებო“, თქვენი გაზეთის დიდი გულშემატკივარი ვარ...

11 აგვისტოს ნომერში ქალთა გვერდში დაიბეჭდა თბილისელი ლ.თ.-ს პატარა წერილი, რომელიც მკითხველისგან მისი საქციელის ერთგვარ შეფასებას ითხოვდა (შეგახსენებთ წერილის შინაარსს: ახალგაზრდა ქალი მშობლების სურვილით ადრე გათხოვდა. თითქოს ბედნიერიც იყო, მაგრამ...

ერთხელ, ღამით, ტელეფონით ამცნეს — თქვენი ქმარი ამა და ამ ბინაში იმყოფება, ინსულტი დაემართაო. თურმე, კაცი საყვარელთან რჩებოდა, ცოლს კი ეგონა, სამსახურში უამრავი საქმე აქვსო. ცოლმა გაჭირვებისას არ მიატოვა იგი, მაგრამ როცა კაცი გამომჯობინდა, პატიება ვეღარ შეძლო. თანაც, ქალის ცხოვრებაში გამოჩნდა „ძველი სიყვარული“, რომელიც ცოლობას სთხოვდა... და ქალიც გათხოვდა, რასაც მოჰყვა ქმრის სანათესავოს აგრესია. სწორედ ეს ქალი ითხოვდა კომენტარს — მითხარით, სწორად მოვიქეცი თუ არაო. — მ.ბ.).

ამ ამბავმა ჩემი თავგადასავალი გამახსენა: მეც ბედნიერ ქალად მიმაჩნდა თავი. ქმარშვილით მუდამ ვამაყობდი. ადრე სხვა დრო იყო, მეუღლე თანამდებობის პირი გახლდათ, ამიტომაც ჯვრისწერა ვერც ქორწინების დღეს, ვერც მერე მოვახერხეთ. მოგვიანებით, დღენიადაგ ვეხვეწებოდი, მოიცალე, დიდი ლხინის გამართვა არ გვინდა, ორი მეგობარი ვიახლოთ და ჯვარი დავიწეროთ-მეთქი. სულ იმას იმიზეზებდა, — არ მცალიაო. მერე გავიგე, რომ საყვარელი ჰყოლია. რაღა თქმა უნდა, ოჯახში დაძაბულობამ იმატა. ბიჭებიც (შვილები) დაძაბულები იყვნენ მშობლების კონფლიქტის გამო. შვილების გამო ვცდილობდი თავის შეკავებას, მაგრამ, როცა გავიგე, ჩემმა ქმარმა იმ ქალთან ჯვარი ჩუმად დაიწერა, თვალის დასანახავად შემძულდა.

იმ წერილის ავტორისგან განსხვავებით, აღარ გავთხოვილვარ, თუმცა მეც მყავდა მთხოვნელი. შვილების აღზრდას მოვანდომე დარჩენილი ცხოვრება. ახლა კი მარტო ვარ. ბიჭები დაოჯახდნენ. უფროსს რუსი ცოლი ჰყავს, რუსეთში ცხოვრობს და აქეთ გამოხედვაც არ უნდა. უმცროსი კი ორი წელია გერმანიაში წავიდა სამუშაოდ, ალბათ ცოლ-შვილსაც მალე წაიყვანს.

ღმერთმა ბედნიერად ამყოფოთ ორივე, მაგრამ ჩემი ყმაწვილქალობა მენანება და საკუთარი თავი მეცოდება. მარტო დავრჩი. სულაც არ ვამტყუნებ ლ.თ.-ს, რომელმაც მეორე ოჯახი შექმნა და იპოვა კიდეც ბედნიერება.

ჩემო კარგო (მივმართავ ლ.თ.-ს), ნუ აქცევ ყურადღებას შენი ქმარყოფილის ნათესაობის რისხვას. ოჯახის გამო ქალმა შეიძლება ბევრ რამეზე დახუჭოს თვალი, მაგრამ ღირსების შელახვაზე — არა.

ბედნიერი გამყოფოს ღმერთმა. მე ვამართლებ შენს ნაბიჯს.

***პატივისცემით — ნათელა მ. თბილისი“.***

# შემოდგომაზეც რომ ლამაზი იყოთ...



ზაფხულობით ყველა ლამაზდება, მაგრამ წინ შემოდგომაა, ამიტომ ის, თუ როგორ გადაიტანს კანი ზაფხულს, ბევრადაა დამოკიდებული თქვენზე.

ერთხელ, როცა ბრიჟიტ ბარდოს სთხოვეს, გაემხილა თავისი კანის სისალუქის საიდუმლო, უპასუხა: — არასოდეს მერევა, რომელია დღის კრემი და რომელი — ღამისაო.

თქვენც დაიმახსოვრეთ: დილიდან კანი დაიცავით გამოშრობისაგან, საღამოთი — იხმარეთ მკვებავი კრემი.

კანის მთავარი მტერი ზაფხულობით არის მზე და წყალი.

მარტო კრემით კანს ვერ დაიცავთ. გადადეთ დიეტა. მიიღეთ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით C, E, და B ვიტამინებით მდიდარი საკვები.



# მე რომ მიყვარდა, ის ბიჭი სხვას „მისთხოვდა“

*მაშინ 15 წლისანი ვიყავით. ერთმა ძალიან ლამაზმა გოგომ, ერთი ძალიან ლამაზი ბიჭის გამო თავი მოიკლა — გულმა ღალატს ვერ გაუძლო... იმ ამბიდან 15 წელი გავიდა... ამას წინათ ერთი 50 წელს გადაცილებული მშვენიერი ქალბატონი გავიცანი. მარტოხელააო, რომ მითხრეს, გავოგნდი — ვინ დატოვა ეს ქალი მარტო-მეთქი. მაგან თავი მოიკლაო. — მიპასუხეს, — შეყვარებულმა უღალატა სიყმაწვილეში. ერთი წელი ხმას არ იღებდა. შემდეგ ალაპარაკდა და პირველად ეს თქვა — მე მოვკვდი, რადგან ჩემში ის ნაწილი განადგურდა, რომელსაც სიყვარული შეეძლოო. ის ქალი მდინარეში არ გადავარდნილა, არც ვენები გადაუჭრია, მაგრამ ასე გამოდის, „თავი მაინც მოიკლა“. უცნაურია, არა? რამდენნი ყოფილან თურმე ისეთები, ის ერთი სიყვარული ერთადერთად და განუმეორებლად რომ უქცევიათ... არ მიცდია ეს უცნაურობა ამომეხსნა, უბრალოდ, ახლობლების საშუალებით დავუკავშირდი „უცნაურ ქალებს“, რომლებიც დღემდე შორეული წარსულით, ერთადერთი სიყვარულის მოგონებით ცხოვრობენ.*

**თამრიკო (56 წლის):** — დღემდე მიკიჟინებენ, — როგორ შესწირე იმ უხეიროს მთელი სიცოცხლეო... განა არ ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ქორწილამდე სამი დღით ადრე კი სხვა შეირთო ცოლად. მაშინ მოვკვდი. ეს იყო ცოცხლად სიკვდილი... ყველანაირად ვეცადე, თავს მოვრეოდი. მოვერიე კიდეც, მაგრამ გული გამიცივდა. სიყვარული დიდი ხანია აღარ შემიძლია. ქალი მუსიკალურ სიმს ჰგავს, თრთოლით, ნაზად უნდა შეეხო და მთელი ცხოვრება ჯადოსნურ მუსიკასავით იჟღერებს, მაგრამ თუ ერთი უხეშად ხელი გაჰკარი, გაწყდება... 25 წლის შემდეგ ქუჩაში შემთხვევით შევეფეთე. ინვალიდ შვილს ასეირნებდა ეტლით. მაშინ ვიგრძენი, რომ სიყვარულთან ერთად სიბრალულიც მომკვდარიყო ჩემში...

**ნატა (48 წლის):** — მე რომ მიყვარდა, ის ბიჭი სხვას წაჰყვა „ცოლად“. არ იფიქროთ, ჰომოსექსუალისტი იყო. ძალიან ვუყვარდი, მაგრამ ჩემზე მეტად ფული უყვარდა. მამამისის ჩიჩინს ვერ გაუძლო — ღარიბი გოგო ცოლად რად გინდაო და მდიდარი კაცის საბრალო ყრუ-მუნჯი გოგო შეირთო ცოლად. უფრო სწორად, იმ გოგოს მისთხოვდა. პირველი დღეებიდანვე სიმამრისთვის განუცხადებია, — წილი მომეცი, მანქანა და ბინა მიყიდეო. ყველაფერი შეუსრულა. ისე გაუვიდა თავს, რომ საშინელი დანაშაულებიც ჩაიდინა. ციხიდან დაიხსნეს, მაგრამ ოჯახიდან გამოაგდეს. ახლა ჰოლანდიაშია. ვიცი, რომ არამზადაა, შეიძლება უბედურიც ვყოფილიყავი მის გვერდით, მაგრამ ვერ ვივიწყებ, სხვა კაცს ვერც ვამჩნევ. მგონია, სიყვარულით ვარ ავად. საერთოდ, ეს გრძნობა სენია, რომელიც არ იკურნება.

**ლენა (54 წლის):** — მე 16 წლის ვიყავი, ის 17-ის. მამაჩემის მშობლებთან ჩამოვედით კიევიდან (დედა უკრაინელი მყავს). მაშინ გავიცანი ჯაბა. ერთი ნახვით შემიყვარდა. მშობლებს გამოვუცხადე — ბებია-ბაბუასთან მინდა დარჩენა, სკოლას აქ დავამთავრებ-მეთქი. დამტოვეს. მთელი წელი თავქარიანი შეყვარებულები ვიყავით. ბებია-ბაბუა არ მიშლიდა ქართველ ბიჭთან ურთიერთობას, უხაროდათ, ერთადერთი შვილიშვილი აქვე გათხოვდება და ჩვენ გვერდით დარჩებაო. დავორსულდი. ჯაბამ გაიგო თუ არა, ერთი კვირა არ გამოჩენილა. კვირის თავზე გავიგე, რომ ცოლი შეირთო და საქორწინო მოგზაურობაში წავიდა. მერე კი საბოლოოდ გადასახლდა მოსკოვში. ტყუპი შემეძინა, რომლებიც გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან მამას. არასოდეს მოუკითხავს შვილები, ცოლთან შვილი არ გაუჩნდა და ვიღაცის ბავშვი იშვილეს. ნაძირალაა, მაგრამ არასოდეს მიფიქრია სხვა კაცზე. ახლაღა ვხვდები, რომ ასეთი თავგანწირვა არ ღირდა.

***ეკა ლომიძე***





ყვითელი ყვავილი
სპორტის სახეობა
ციური სხეულის სამოძრაო გზა
ცვარ-...
ოკუჯავას საყვარელი უბანი მოსკოვში
სადგური ბამზე
ანდერსენის სამშობლო
ხის თოჯინა
ომის ვარცხნილობა
1812 წ. უდიდესი ბრძოლის ადგილი
20 კაპიკი
დახურული ეზო ძველ რომში
უძველესი სახელმწ. აზერბაიჯ. ტერიტორ.
ავიაციის პიონერი ამერიკელი ძმები
საცეკვაო ნაბიჯი
იაპონური ავტომობილი
სტილი დასავ. ევროპის ხელოვნებაში
მეთუნეობის ხელოვნ.
ზანდი
... ნიუმენი, ... მაკარტნი
ბერძ. ანბანის მე-10 ასო
მერიმეს ნოველა
ქაღალდის ფულის ნომინალ. ღირებულ.
„ლეონი“ (ფრანგი მსახიობი)
ესპანელთა მოკლე, უსახელო სამოსი
ლენინის მეუღლე
XIV ს-ის ქართველი მხატვარი
მტაცებელი ფრინველი
რომაელი მხედართმთავარი
უკრაინის პარლამ.
სპარტაკი



აქილევსის სუსტი წერტილი
ელინთა პერანგი
თეატრალ. კოლექტ.
დიდი საწნახელი
შეპასუხება ორატორის მიმართ (ადგილიდან)
ბრაზილიური ხალხური ცეკვა
ვირტუოზული პიესა ორგანისთვის
ბენზინგასამართი სადგ. ვახუშტის ხიდთან
მეგრული „ფაფა“
ბია
ჰოლანდიური ქალაქი და ლუდი
ხე, იაპონიის სიმბოლო
კარატეს ფილოსოფიურ-ტექნიკური კომპლექსი
კაზინოების ქალაქი აშშ-ში
სცენის გასანათებელი მოწყობილობა
„არაჩვეულებრივი გამოფენა“ (პერსონაჟი)
გომბეშო
ატკინსონის პერსონაჟი
მოსალოდნელი საფრთხის გრძნობა
60-იანი წლების პოპულარული ცეკვა
ქავჟარაძე
მემატიანე, ჟამთააღმწერელი
უდაბნო ჩილეში
ინდიელების ძლიერი შხამი
ცეკვა კაბარეში
წამლის მყარი ფორმა
ნახევარკუნძული ჩრდ. ამერიკაში
იაპონური არაყი





ქართულად შემწვარი წიწილა
გარემო, არემარე
შერლოკ ჰოლმსის ტრანსპორტი
ნარკოტიკი ინდური კანაფისგან
თამაში ბანქოთი
ფრანგი მსახიობი
სურნელოვანი ნივთიერება პარფიუმერიაში
დიუმას რომანი „გრაფი მონტე-...“
ნოტი
აღმოსავლეთი მეზღვაურთათვის
ტექნიკური ბანანი
მიმართულება როკ-მუსიკაში

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. საფო; 2. ფანაბერია; 3. კომოდორი; 4. კლიო; 5. მომი; 6. „სალამბო“; 7. ლა; 8. „ნორმა“; 9. დასი; 10. ბეზე; 11. „აიდა“; 12. ვაიდა; 13. ვია; 14. გობი; 15. ბერია; 16. სახრე; 17. პაპეეტე; 18. ყავა; 19. ვისლა; 20. პური; 21. აქსიომა; 22. იტალია; 23. პირსინგი; 24. ლეჩო; 25. ვესტა; 26. „აინა“; 27. ქარვა; 28. მანიე; 29. ასამბლეა; 30. იოანე; 31. „ოტელი“; 32. კიოტო; 33. ლი; 34. იელი; 35. „რა“; 36. ტარო; 37. არიელი; 38. ეტნა; 39. სესია; 40. მაკა; 41. ტატი; 42. სიმი; 43. „ასტიკა“; 44. მასტიკა; 45. „ნაკადული“; 46. უელსი; 47. კარლო; 48. თარი; 49. ძუა; 50. ფეი; 51. სია; 52. ომი; 53. აბაი; 54. ამეთვისტო; 55. ცა; 56. „მი“; 57. კომლი; 58. არშია; 59. ალვა; 60. კორპუსი; 61. რობი; 62. ული; 63. რიგა; 64. ლო; 65. ობი; 66. და; 67. ბოა; 68. ისე; 69. შელი.

1. სადიზმი; 2. მომავალი აინშტაინი; 3. საარჩევნო ყუთთან; 4. ოსტატი; 5. ტურნირის სიმბოლოები.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

CMYK

## ნანიკო ბავშვობაში მტირალა ყოფილა

**— მაინტერესებს, აპირებს თუ არა ნანიკო ხაზარაძე სექტემბრიდან სამსახურში გასვლას? როგორ აფასებს თავის თავს დედის ამპლუაში. ბავშვის აღზრდას დამოუკიდებლად აპირებს თუ ბებიების დახმარებით, თუ შეეცვალა ხასიათი?**

***ნინო მოსიძე***



კითხვაზე უპასუხებს **ნანიკო ხაზარაძე**.

— პირველი სექტემბრიდან „რუსთავი-2“-ში ნამდვილად ვერ შევძლებ დაბრუნებას, თუმცა სამსახურში გასვლას უახლოეს მომავალში ვაპირებ. არა იმიტომ, რომ მოდას ვარ აყოლილი, ანდა ჩემი თვითმიზანი მაინცდამაინც მუშაობაა და უამისოდ არ შემიძლია (ვგულისხმობ ცხოვრების ამ ეტაპზე, თორემ უმოქმედობა ჩემი ცხოვრების სტილი ნამდვილად არ გახლავთ). არა, უბრალოდ, ლილუს გაჩენის შემდეგ პრობლემები მოგვემატა, მათ შორის, ფინანსურიც. გარდა ამისა, მშობლებისაგან დამოუკიდებლად გადავწყვიტეთ ცხოვრება და ამიტომაც საზრუნავი გაგვიათმაგდა. სამსახურში გასვლისთანავე ვაპირებ ძიძა ავიყვანო, რადგანაც ბებიებს თავიანთი საქმეები აქვთ და საკმაოდ მოუცლელები არიან. თუმცა ამ ეტაპზე ყველა მეხმარება, მათ შორის, მეუღლეც. თავდაპირველად ვფიქრობდი, ბავშვს დამოუკიდებლად მოვუვლი-მეთქი, მაგრამ მალევე დავრწმუნდი, რომ არაფერი გამომივიდოდა. არა იმიტომ, რომ დედობისთვის მზად არ ვიყავი, არა, უბრალოდ, ჩემი გოგონა ძალიან მტირალაა, სულ ტირის, დღეს და ღამეს მნიშვნელობა არა აქვს. როგორც მშობლებმა გვითხრეს, მეც და ჩემი მეუღლეც (ლევან ნუცუბიძე) სამ თვემდე ძალიან ჭირვეულები და მტირალები ვყოფილვართ. ჰოდა, მეც რაღა დამრჩენია, მთელი ორთვე-ნახევარი ჯერ კიდევ წინ მაქვს. ლილუ საკმაოდ მგრძნობიარეა, განსაკუთრებით კი იმ დღეს, როდესაც ბევრი სტუმარი თუ მომნახულებელი გვყავს. რაც შეეხება დედის ამპლუაში ვგრძნობ თუ არა თავს, არ მოგატყუებთ და გეტყვით, ჯერჯერობით ბოლომდე გაცნობიერებული არა მაქვს ეს „როლი“. გამოგიტყდებით და ხანდახან შინიდან რომ გამოვდივარ, ბავშვი მავიწყდება კიდეც. თუმცა საკუთარ თავს იმაშიც ვიჭერ, რომ საკმარისია, მცირე ხნით დავტოვო და მონატრების გრძნობა მეუფლება. რაც შეეხება ხასიათს, ხასიათი არ შემცვლია, უბრალოდ, ბავშვის შეძენასთან ერთად პასუხისმგებლობა და საზრუნავი მომემატა. ეს გრძნობა ყოველგვარი იძულების გარეშე, თავისთავად მოდის, როცა ხედავ, რომ შენი შვილი ძალიან უსუსურია და ზრუნვას საჭიროებს.

## სიტყვათა კონა

**გააბრბოლა** — ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ჟრუანტელის დავლა.
**გაგა** — 1. მკვახე ლეღვი. 2. ძაღლზე გაჯავრება მისი თავიდან მოშორების მიზნით.
**გაგლისპება** — გაანჩხლება, გაგულისება
**გავეშება** — გამძვინვარება, ზომაზე მეტად გაჯავრება.
**გაზარინელი** — იგივეა, რაც ღაზარინელი, — სიზმართ ამხსნელი, ვარსკვლავთ მცოდნე.
**გალი** — უშტო ხე.
**გალოპრილი** — ქერქშემოცლილი ხე.
**გამგე** — შუამავალი, გამრიგებელი.
**გამგებელი** — 1. იგივეა, რაც მეურნე (მომვლელი). 2. კეთილმოსურნე ადამიანი.
**გამზრახი** — მოლაპარაკე, მოლაყბე.
**გამზრდელი** — ვაჟთა აღმზრდელს გამზრდელი ჰქვია, ხოლო ქალთა აღმზრდელს გადია.
**გამოზრდილი** — 1. შაქარში შენახული ხილი. 2. თაფლით მწნილად შენახული ხილი. 3. საკვებად შემონახული მარაგი.
**გამოცდილი** — გასინჯული, განწმენდილი.
**გამოჭვრეტა** — სარკმლიდან, ჭუჭრუტანიდან ყურება. ხოლო გამოჭყეტა — თვალის ძლიერი გაფართოება, თვალის დიდზე გახელა.
**გამოხსნა** — 1. ტყვის მკურნალობა და მორჩენა. 2. ტყვეობიდან გათავისუფლება.
**განბასრვა** — გაკიცხვა.
**განბრჯობა** — გასამართლება.
**განგოზა** — კირითა და ცარცით შელესვა.
**განი ქმნა** — ძილისა და სიმთვრალის დაფრთხობა.
**განპოხება** — გასუქება.

## საიდან მოდის სიტყვები «ბისტრო» და «მაფია»?

**— რატომ ჰქვია სწრაფი კვების სასაუზმეს „ბისტრო“? სადაური სიტყვაა? ძალიან ჰგავს რუსულს, თუმცა ლექსიკონში განმარტებულია როგორც ფრანგული წარმოშობისა. იქნებ იმაზეც მიპასუხოთ, თუ რას ნიშნავს სიტყვა „მაფია“. ზოგი მას ოჯახის მნიშვნელობით თარგმნის, ზოგიც ნათესაურ-კლანური კავშირისა...**

***ზაქრო შენგელია***



— პირველ შეკითხვაზე უპრობლემოდ შეგვიძლია გიპასუხოთ, რომ „ბისტრო“ რუსული სიტყვიდან არის ნაწარმოები, თუმცა ფრანგულად სასადილოს ჰქვია. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში, როდესაც ნაპოლეონის გეგმა, დაეპყრო მთელი მსოფლიო, კრახით დამთავრდა და რუსი ჯარისკაცები პარიზის ოკუპაციაში იღებდნენ მონაწილეობას, მაშინ მშიერი კაზაკები, რომლებიც ისედაც შიშის ზარს სცემდნენ პარიზელებს, ფრანგულ ტავერნაში შესვლისას საჭმლის მოლოდინში მოუთმენლად გაიძახოდნენ, ბისტრო-ბისტროო! სწორედ აქედან წარმოიშვა იდეა, შექმნილიყო სწრაფი კვების სასადილო, რომელსაც კაზაკების გავლენით ფრანგებმა ბისტრო უწოდეს. ეს სასადილოები იმდენად მომგებიანი და პოპულარული გახდა პარიზში, რომ მსგავსი კაფეები ევროპაში, მოგვიანებით კი ამერიკაშიც გაჩნდა, უკანასკნელ ხანს კი თბილისშიც მოიკიდა ფეხი.

რაც შეეხება სიტყვა „მაფიას“, აქ უფრო რთულად გვაქვს საქმე, რადგანაც ეს სიტყვა იტალიელ მეცნიერებშიც კი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ერთნი თვლიან, რომ იგი სპარსულ-არაბული წარმოშობისაა („მახია“) და ნიშნავს „სიმამაცეს“ ან „თვითდაჯერებულობას“. მეორენი კი ამტკიცებენ, რომ იგი ძირძველი იტალიური განსაზღვრებაა, რომელიც XV საუკუნის სიცილიაში იყო გავრცელებული და ამ სიტყვას მაშინ მოიშველიებდნენ, როდესაც რაიმე მშვენიერს ან არაჩვეულებრივს აღწერდნენ. 1870 წელს შედგენილი იტალიური ენის განმარტებით ლექსიკონში პირველად გაჩნდა სიტყვა მაფია, როგორც „ზღვარგადასული, თავხედური გამოხდომა“. ასევე არსებობს ვერსია, რომ ჯერ კიდევ მე-13 საუკუნის იტალიაში და კერძოდ კი, სიცილიაში, ფრანგების წინააღმდეგ მეამბოხენი საკუთარ თავს მაფიას უწოდებდნენ, ანუ ეს აბრევიატურა გახლავთ ფრაზისა — „სიკვდილი საფრანგეთს, ამოისუნთქე იტალია“. მოცემული სიტყვების პირველ ასოთა შეერთებით მიღებულია ტერმინი „მაფია“ (Morete alla Francia, Italia anela).

## ვინ არის ასლან აბაშიძის სიძე?

**— პატივცემულო რედაქციავ, მაინტერესებს, ვინ არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ასლან აბაშიძის სიძე, სად ცხოვრობს და რა საქმიანობას ეწევა?**

***ჯაბა გიგოლიშვილი***

— მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე საუბარი არავინ ისურვა, თავად ასლან აბაშიძის სიძე კი ამჟამად სამშობლოში, ანუ იტალიის ქალაქ რიმინიში იმყოფება, რედაქციამ მაინც შეძლო რაღაც დეტალების გარკვევა. ასლან აბაშიძის სიძე მარკო კანისტრალე წარსულში სპორტსმენი, საკმაოდ კარგი ფეხბურთელი ყოფილა. მისი ძირითადი საცხოვრებელი ადგილი ამჟამად ბათუმი გახლავთ და მუშაობს ბათუმში, სპეცდაცვის სამსახურში, თუმცა ხშირად მოგზაურობს და უმეტეს დროს მაინც სამშობლოში ატარებს. მას ახასიათებენ, როგორც კომუნიკაბელურ და კეთილშობილ პიროვნებას. ჩვენთვის ერთი დეტალიც გახდა ცნობილი, — მარკო გურმანიც ყოფილა, სულაც არ ეზარება და ხშირად დიდი სიამოვნებით თვითონვე ამზადებს იტალიელთა განთქმულ კერძს — პიცას ოჯახის წევრებისთვის.

## ვინ კურნავს უფასოდ ნარკომანებს...

**— ვარ 35 წლის. 15 წელია უკვე, რაც ნარკოტიკებს დავეჩვიე. მინდა განვიკურნო ამ საშინელი „სენისგან“, მაგრამ მკურნალობისთვის განკუთვნილი თანხა არა მაქვს. ვარ უმუშევარი. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, რომელ სამედიცინო დაწესებულებას მივმართო. კურნავს თუ არა ჩემნაირ დაავადებულებს სახელმწიფო უფასოდ და დაცულია თუ არა ანონიმურობა.**

***მუდმივი მკითხველი***

კითხვაზე უპასუხებს **ირინა ამნიაშვილი**, ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი სამკურნალო დარგში.

— 2002 წლის 1-ელი ივლისიდან 2003 წლის 1-ელი იანვრის ჩათვლით ჩვენი ინსტიტუტი უფასოდ მკურნალობდა ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პაციენტებს. პროგრამა ნახევარწლიანი იყო და პირველ ჯგუფთან მუშაობა უკვე დასრულდა. ამ პროგრამის განახლება და მეორე ეტაპის დაწყება სახელმწიფო დაფინანსებაზეა დამოკიდებული, ანუ იმ პროცესებზე, შეეხება თუ არა მას ბიუჯეტის სეკვესტრი, რადგანაც პროგრამა ბიუჯეტიდან ფინანსირდება (ხარჯებს შესაბამისად ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო ადგენს პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობისა და მრავალი სხვა საკითხის გათვალისწინებით). რაიმეს წინასწარ თქმა რთულია. ასევე ჩვენთვის უცნობია, როდის განახლდება პროგრამა. რაც შეეხება ანონიმურობას, გიპასუხებთ შემდეგს, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ადამიანს ერთხელ ეძლევა შანსი იმკურნალოს სახელმწიფო ხარჯზე უფასოდ და ამასთან მისი ანონიმურობა დაცული იქნება. ეს გახლავთ ერთჯერადი დათმობა, ანუ კეთილი ნება სახელმწიფოს მხრიდან, რათა ნარკომანს მიეცეს გამოსწორების შანსი (აქვე დავძენთ, რომ ეს შეკითხვა რედაქციამ ერთი თვის წინ მიიღო და იმ პერიოდში ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დათხოვილი იყო რემონტის გამო. მაშინ მივმართეთ სხვა კლინიკებს და როგორც აღმოჩნდა, მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, მომსახურება კი მხოლოდ ფასიანი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. თანაც, დიდ თანხებთან დაკავშირებული, რაც დაახლოებით 1500-დან 2500 დოლარამდე მერყეობს).

ქალბატონ ირინასთან საუბარში ისიც გაირკვა, რომ თურმე მათ ინსტიტუტში მწვავე მდგომარეობიდან, ანუ ე. წ. „ლომკიდან“ გამოსვლა პაციენტს ფასიანი მკურნალობისას 710 ლარი დაუჯდება. ეს მდგომარეობა დაახლოებით 10-14 დღე გრძელდება. მკურნალობის ამ ციკლს მოჰყვება შედარებით დაბალფასიანი, ერთთვიანი მკურნალობა. ხოლო საბოლოო გამოჯანმრთელება მხოლოდ ნახევარწლიანი მკურნალობის შედეგადაა შესაძლებელი. ასე რომ, მკითხველს მხოლოდ ისღა დარჩენია, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების იმედი ჰქონდეს).

## რას ნიშნავს «აბრეშუმის გზა»

**— ხშირად საუბრობენ „აბრეშუმის გზის“ პროექტის შესახებ. გთხოვთ გვიპასუხოთ, რა მარშრუტს გაივლის აღნიშნული მაგისტრალი, შეეხება თუ არა იგი თბილისს და მის შემოგარენს, აგრეთვე რა ვადაში განხორციელდება ეს პროექტი?**

***დემურ ჯოჯუა, ლია წიკლაური***

კითხვაზე უპასუხებს **ლალი ეგაძე**, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსი.




— ეს არ გახლავთ კონკრეტული მარშრუტის მქონე „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ მსგავსი პროექტი. „დიდი აბრეშუმის გზის“ მიზანია ხელი შეუწყოს იმ მსოფლიო მნიშვნელობის პროექტის განხორციელებას, რომელსაც ტრასეკა ჰქვია, ტრასეკა კი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანია, ანუ ის უნიკალური პროექტი, რომელიც სრულიად ახლებურად გაიაზრებს ქვეყნებს შორის ურთიერთობის ფორმებს. ამ პროცესში კი საქართველოს უთუოდ პრიორიტეტული ფუნქცია მიენიჭება და დაუბრუნებს მას აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების დამაკავშირებელ ისტორიულ მისიას. ეს არის იდეა, რომლის გარშემოც ერთიანდებიან 49 სახელმწიფოს სტრატეგიული ობიექტების ხელმძღვანელები. ეს არის პროექტი, რომელიც ბევრ სახელმწიფოს ეკონომიკური, ანუ სავაჭრო კუთხით აერთიანებს. „აბრეშუმის გზის“ პროექტში ჩართულია მასში მონაწილე ქვეყნების სტრატეგიული ობიექტები, რკინიგზა, საზღვაო პორტი, საჰაერო სივრცე და საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვები... პროექტი უკვე ხორციელდება. მიმდინარეობს შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის, ეს გახლავთ ეკონომიკურად მომგებიანი, სასარგებლო პროექტი, ყველა წევრი და მონაწილე მხარისთვის. კონფერენციებსა და შეხვედრებზე საუბარია საზღვრებზე ტვირთების გადაზიდვა-უსაფრთხოებაზე ანუ სუფთა ეკონომიკური საკითხების მოგვარებაზე ქვეყნებს შორის. ამდენად, პროექტი უკვე ფუნქციონირებს და სახელწოდებაც მხოლოდ სიმბოლურ დატვირთვას ატარებს და არავითარ შემთხვევაში არ ასოცირდება აბრეშუმთან დაკავშირებულ საქმიანობასთან, ანდა რაიმე მაგისტრალის მშენებლობასთან...

## მსჯავრდადებული და საზღვარგარეთის პასპორტი

**— მისჯილი მქონდა 2 წელი.. გავთავისუფლდი შეწყალებით და დაპატიმრებიდან 2 წელიც უკვე გავიდა. შემიძლია თუ არა პასპორტის აღება და საზღვარგარეთ გამგზავრება?**

***გოგა მესხიშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **გია მაისურაძე**, იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელების და პრობაციის დეპარტამენტის მრჩეველი.

— შეკითხვის ავტორი ირწმუნება, რომ მას სასჯელის ვადა მოხდილი აქვს. თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, სასჯელის ვადის გასვლასთან ერთად მას გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა და აქედან გამომდინარე, არავითარი პრობლემა არ უნდა შეექმნას პასპორტის აღებასა თუ საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით, თუმც აქვე დავძენ, რომ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საქართველოში თვით კანონმორჩილ მოქალაქეებსაც კი პრობლემა ექმნებათ. სასჯელმოხდილ მოქალაქეთათვის ვიზის მიცემა იმ ქვეყნის კონსულის პრეროგატივაა, სადაც ეს უკანასკნელი გამგზავრების სურვილს გამოთქვამს.

თუ პირი პირობითი მსჯავრის პირობით თავისუფლდება პატიმრობიდან, ამ შემთხვევაში მას საგამოცდო ვადით უშვებენ. აქედან გამომდინარე, მას არა მარტო ქვეყნის საზღვრების დატოვება ეკრძალება, არამედ შესაძლოა ქვეყნის შიგნით გადაადგილების უფლებაც კი არ ჰქონდეს. თუმც არის ერთი დეტალი, რომელიც ხშირად აბნევს სასჯელმოხდილებს მათი ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში, ანუ ვგულისხმობ იმას, რომ ამნისტიისას პირს ათავისუფლებენ: ერთ შემთხვევაში პირობით, მეორე შემთხვევაში კი უპირობოდ. პირველ შემთხვევაში პირი შეზღუდულია თავის ქმედებებში და მას კონკრეტული საგამოცდო ვადა აქვს მიცემული იმისათვის, რომ დაამტკიცოს, გამოსწორდა თუ არა. მეორე შემთხვევაში კი ნასამართლობა ავტომატურად ქარწყლდება. ამ პირობით გათავისუფლება საქართველოში ძალზე იშვიათი შემთხვევაა.

რაც შეეხება შეკითხვის ავტორს, იგი დარწმუნებით აღნიშნავს, რომ სასჯელი უკვე მოხდილი აქვს. ამრიგად, თუ პასპორტს ვერ იღებს, ეს უკვე კორუფციის შედეგია და არა იმისა, რომ მსჯავრდადებული იყო.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

CMYK

# მედიცინა

გრად თმა, არ ატაროთ მაგარი შესაკრავები, არ დაივარცხნოთ და არ დაიწნათ სველი თმა. მუდმივად ნუ გაიყოფთ თმას ერთსა და იმავე ადგილას.

აი, კიდევ რამდენიმე პრაქტიკული რჩევა:

...თუ თმა მსხვრევადია — ესე იგი, მისახედია კუჭ-ნაწლავი;

## შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**შემთხვევით მომიხდა თვალის ექიმთან მისვლა და მან დამისვა კატარაქტის დიაგნოზი, მხედველობა ნორმალური მაქვს. შეიძლება, კატარაქტა მხედველობის გაუარესების გარეშე მიმდინარეობდეს? რას შეეძლო გამოეწვია ჩემს შემთხვევაში ეს დაავადება და არსებობს თუ არა მისი პროფილაქტიკის გზები?**

***ერთგული მკითხველი***

კატარაქტა თვალის ბროლის შემღვრევას ეწოდება. შესაძლოა, მოცემულ მომენტში იგი არ იწვევდეს მხედველობის სიმახვილის დაქვეითებას. დაავადება ნებისმიერ ასაკში შეიძლება განვითარდეს. არსებობს თანდაყოლილი კატარაქტა, რომელიც მუცლად ყოფნისას ნაყოფის განვითარების დარღვევითაა გამოწვეული. რაც შეეხება შეძენილ ფორმებს, კატარაქტით შეიძლება გართულდეს სხვადასხვა სისტემური დაავადება. მის განვითარებას ხელს უწყობს მავნე ფაქტორთა (მაგალითად, რადიაციის) გავლენა, ტრავმები, თვალის კონტუზია. ყველაზე მეტადაა გავრცელებული ასაკობრივი კატარაქტა, რომელიც მოსახლეობის ნახევარზე მეტს აღენიშნება.

ცნობილია, რომ თვალის ბროლის სტრუქტურის რღვევის ხელშემწყობი ფაქტორია ულტრაიისფერი გამოსხივება, ამიტომ ოფთალმოლოგები გვირჩევენ მზიან ამინდში ვატაროთ სპეციალური ულტრაიისფერი სხივებისაგან დამცავი ფილტრის მქონე მზის სათვალე.

უნდა ითქვას, დღეისათვის კატარაქტის გამომწვევი კონკრეტული მიზეზი უცნობია. ამიტომ შეუძლებელია მისგან თავის დაცვა ეფექტური პროფილაქტიკური საშუალებებით. თუმცა, არსებობს სხვადასხვაგვარი ანტიოქსიდანტური წვეთები, რომლებიც თითქოსდა აფერხებს კატარაქტის განვითარებას, მაგრამ ხშირია შემთხვევები, რომ ადამიანი იწვეთებს მას, ცხოვრების ჯანსაღ წესსაც იცავს და დაავადება მაინც სწრაფად პროგრესირებს. სხვას კი, რომელიც არანაირ ღონეს არ ხმარობს დაავადების პროფილაქტიკისათვის, კატარაქტა საერთოდ არ აღენიშნება. ასე რომ, ვიდრე არ დადგინდება კატარაქტის განვითარების საერთო კანონები, მისი პროფილაქტიკა შეუძლებელია. მისგან განკურნების ერთადერთ მეთოდს კი ხელოვნური ბროლის ოპერაციული გზით გადანერგვა წარმოადგენს.

**ვარ 44 წლის ქალი. მაქვს საშინელი ტკივილები კუდუსუნის არეში. ვერავინ ვერაფერი გამიგო. ახლა ერთმა ექიმმა მითხრა, რომ მაქვს „კოკციგოდინია“. გთხოვთ, მიამბოთ ამ დაავადების შესახებ. რა უნდა გავაკეთო ტკივილის მოსახსნელად? წინასწარ გიხდით მადლობას.**

***ერთგული მკითხველი***

კოკციგოდინია ბერძნულად ნიშნავს კუდუსუნის ტკივილს. ეს დაავადება უხშირესად 40 წელს გადაცილებულ ქალებს აღენიშნებათ. ხშირად კუდუსუნის არეში ტკივილი რაიმე სხვა დაავადების, მაგალითად, ხერხემლის ოსტეოქონდროზის სიმპტომს წარმოადგენს. კოკციგოდინიის მახასიათებელი ტიპური ჩივილებია: ხანგრძლივი ჯდომისას კუდუსუნის არეში ტკივილი, რომელიც ძლიერდება ადგომის დროს. ადამიანი იძულებულია უარი თქვას თეატრში, კინოში წასვლაზე, სამსახურსა და სახლში კი ჯდომას მხოლოდ ერთ დუნდულაზე ახერხებს (მონაცვლეობით). საინტერესოა, რა იწვევს მსგავს ტკივილს? კუდუსუნისა და გავის ძვლებს შორის არის სუსტად ძვრადი სახსარი. ტკივილის მიზეზი ყველაზე ხშირად ხდება ხოლმე მასში მარილების ჩალაგება, ანთებითი პროცესის განვითარება მის მახლობლად. ამ პროცესის მაპროვოცირებელ მომენტად შეიძლება იქცეს ტრავმა, კუდუსუნის მოტეხილობა, რომელიც შესაძლოა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გადაიტანეთ. მაგალითად, თხილამურებზე სრიალისას, უეცარი დაცემა იწვევს გავა-კუდუსუნის სახსრის ზედმეტად მოხრას შიგნით. ველოსიპედით, ავტომობილით, ცხენით ხანგრძლივი მგზავრობა, მძიმე მშობიარობა დიდი ზომის ნაყოფით კი, პირიქით — სახსრის ზედმეტად გაშლას გარეთ. ამის შედეგად ვითარდება ძვლოვანი კოჟიჟი და 10-30 წლის გავლის შემდეგ, როდესაც სახსარში მარილები ჩალაგდება, იგი უმოძრაო ხდება. ხანგრძლივი ჯდომისას მას აღარ შეუძლია, მოიხაროს, ადგომისას კი — სწრაფად გაიშალოს. რენტგენოლოგიური გამოკვლევისას გავისა და კუდუსუნის არეში ამ დაავადებისას ხშირად გამოხატული ცვლილებები არ აღინიშნება ხოლმე.

კოკციგოდინიის დროს ინიშნება:

1. ტკივილგამაყუჩებელი სანთლების (ანესთეზინით, ნოვოკაინით და სხვა) შეყვანა სწორ ნაწლავში 2-ჯერ დღეში (დილას და საღამოს).
2. გავისა და კუდუსუნის არეში ტკივილგამაყუჩებელი საცხების (ტროქსევაზინი, ბუტადიონი, მენოვაზინის ხსნარი) შეზელვა 1-2-ჯერ დღეში. მასაჟი და თვითმასაჟი აღნიშნულ არეში.
3. ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების მიღება აბების ან ინიექციების სახით.
4. სამკურნალო ფიზკულტურა სპეციალისტის მეთვალყურეობით.
5. ფიზიკურ დატვირთვასა და ხანგრძლივ ჯდომაზე უარის თქმა.
6. თბილი (42 გრადუსამდე) მიკროოყნები (50-100 გრამი) გვირილის ნაყენით. ოყნის შემდეგ 1 საათის განმავლობაში საჭიროა ნახევრად მჯდომარე მდგომარეობაში ყოფნა, რათა სითხე სწორ ნაწლავში დარჩეს გავა-კუდუსუნის სახსრის მიდამოში.
7. B ვიტამინის პრეპარატებისა და რეოპირინის ან ინდომეტაცინის (მეთინდოლის) მიღება.
8. ასეთი მკურნალობა უნდა ჩატარდეს 2-3 კვირის განმავლობაში და, რა თქმა უნდა, მკურნალ ექიმთან შეთანხმების შემდეგ.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი — მკითხველს

**მძიმე ტრავმის შემდეგ (ამოღებული მაქვს კოჭის ძვალი) კოჭის არეში გამიჩნდა ტროფიკული წყლული, რომელიც განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში მიღიზიანდება. ექიმის განმარტებით, სისხლძარღვები დაზიანებულია და წყლულის მორჩენა ძალიან ძნელია. იქნებ მკითხველმა მირჩიოს რამე ამ დაავადების მოსარჩენად ან შესამსუბუქებლად მაინც?**

**წინასწარ გიხდით მადლობას.**

***გიორგი თედელური***

**მყავს 8 თვის შვილიშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა ჭიპის თიაქარი. ექიმებმა გვირჩიეს ოპერაციის გაკეთება, მაგრამ ჩვენ ოპერაციისგან თავს ვიკავებთ. გთხოვთ ეს შეკითხვა გამოაქვეყნოთ „კარაბადინში“, იქნებ თქვენი მკითხველებიდან ვინმემ იცოდეს ჭიპის თიაქრის სამკურნალო ხალხური მეთოდები. გთხოვთ, ნუ დარჩებით გულგრილნი. გმადლობთ.**

***ჟენია ასლამაზიშვილი***

**ბოლო დროს ძალიან გამიუარესდა მეხსიერება. ვერ ვიმახსოვრებ ახალი ნაცნობების სახელებს, ტელეფონის ნომრებს და სხვა საჭირო ინფორმაციას. წიგნის წაკითხვიდან ერთი თვის შემდეგ, მისი ერთი გმირის სახელიც კი აღარ მახსოვს. ვერ ვიხსენებ საკუთარი მეუღლის დაბადების დღეს, ყველაფრის ჩაწერა მიწევს. იქნებ ვინმემ მირჩიოს, როგორ შეიძლება მეხსიერების გაუმჯობესება.**

***გოდერძი ბარდაველიძე, თბილისი***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## დიაგნოზი თმის მიხედვით



ყოველთვის ძალიან განვიცდით, როდესაც სავარცხელს თმა მოჰყვება, ის კი არ გვიფიქრია, რატომ! ეს ხომ იმაზე მიუთითებს, რომ ორგანიზმში რაღაც ცვლილებები ხდება, ინტენსიურად თმის ცვენას შეიძლება იწვევდეს ჯირკვლების დაავადება, ან არასწორი კვება.

**ექიმები გვირჩევენ:** გავამდიდროთ საკვები ვიტამინებითა და მინერალებით, ან მივიღოთ თმის და კანისთვის განკუთვნილი ვიტამინების კომპლექსი.

ზოგჯერ თმის ცვენას იწვევს კეფაზე მაღლა, მაგრად შეკრული თმა (ე.წ. „ცხენის კუდი“), ამიტომ ეცადეთ, არ დაიწნათ, არ შეიკრათ მა-

...თმა სწრაფად გიბერდებათ? შეამოწმეთ ექიმთან გული და კუჭქვეშა ჯირკვალი; ენდოკრინოლოგთან გააკონტროლეთ, ხომ არ დაგერღვათ ჰორმონული ფუნქცია.

...ნაადრევად გათეთრებას იწვევს ბევრი მარილის გამოყენება, მჟავეული, სტრესები და გადაღლილობა.

...თმის ბოლოები იყოფა — ესე იგი, არასწორად იკვებებით. თუ ღია ფერის თმა გქონდათ და სწრაფად გაგიმუქდათ, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი.

...ქერტლის დროს შეზღუდეთ მარილის, შაქრის, ყველისა და რძის პროდუქტების გამოყენება.

***ტრუდ-7 №129***

## აჰ, მთვარევ, მთვარევ!..

ძველი ბერძნები, რომაელი პატრიციები, ეგვიპტელი არისტოკრატები, სამხედროები და ქურუმები „მთვარის აბაზანებს“ აძლევდნენ უპირატესობას, რომელსაც სავსემთვარეობისას იღებდნენ. მთვარის ნაამბორალი ლამაზია, კანს თანაბრად, უჩვეულოდ ლამაზ, ბრინჯაოსფრად რუჯავს.

ღამის ულტრაიისფერი სხივი დღის სხივისგან განსხვავებით გამაახალგაზრდავებელია, სავსემთვარეობისას გარუჯვა არა მარტო ზაფხულში შეიძლება, არამედ მთელი წლის მანძილზე, რა თქმა უნდა, ცა უღრუბლო უნდა იყოს. ძველად ლამაზმანები მთვარეს მხოლოდ 20-30 წუთით ეჩვენებოდნენ, შემდეგ იძინებდნენ. ძილი მთვარის ნაამბორალის „გასამაგრებლად“ აუცილებელია.

***მედიცინა***

## ფუტკარმა თუ გიკბინათ

ფუტკარს, სიკეთესთან ერთად, უსიამოვნებაც მოაქვს — მისი ნესტრის სიმწარე არასოდეს დაგავიწყდებათ. თუმცა, კბენის თავიდან აცილების რამდენიმე მეთოდი მაინც არსებობს: საფუტკრესთან ან აყვავებულ მინდორზე სეირნობისას არ იპკუროთ სუნამო და არ გამოიყენოთ პარფიუმერია, არ ჩაიცვათ ღია, მყვირალაფერებიანი სამოსი (ფუტკრებს ყვავილი რომ არ ეგონოთ), არ დალიოთ ტკბილი სასმელი და, რაც მთავარია, ხელი არ აუქნიოთ თქვენს ახლოს მოზუზუნე ფუტკარს, რომ არ გააღიზიანოთ, ის ხომ კბენით იცავს თავს! თუკი კბენა მაინც გარადაუვალია, შეეცადეთ, ხელებით დაიფაროთ თვალები და სახე — ყველაზე მტკივნეული ადგილები. შეეცადეთ, სასწრაფოდ ამოიძროთ ნაკბენი ადგილიდან ფუტკრის ნესტარი, რათა შხამი ნაკლებად გავრცელდეს. რომ არ დაგიწითლდეთ, შეგიშუპდეთ და ქავილი დაგიცხრეთ, ნაკბენზე დაიდეთ ყინულის ნატეხი, წაისვით დამაწყნარებელი ლოსიონი, სოდიანი წყლის ტამპონი კი ტკივილს დაგიამებთ.

***პრიროდა***

## თქვენი ბიოლოგიური ასაკი

**იმის გარკვევაში, თუ რამდენი წლისა ხართ, არა პასპორტის მიხედვით, არამედ შინაგანად (ბიოლოგიურად), დაგეხმარებათ შემდეგი ტესტი:**



**კანის მდგომარეობა**

რაც უფრო მეტი ხნისანი ვართ, მით უფრო ცუდად მარაგდება ჩვენი კანი სისხლით, ამასთან უხეში და მშრალი, თხელი ხდება.

ხელისგულის კანზე 5-6 წამის ხანგრძლივობით მოიჩქმიტეთ. თუ ნაჩქმეტის კვალი 2-3 წამში გაქრა, ე.ი. თქვენ 20 წლის ახალგაზრდის კანი გაქვთ, თუ 4 წმ-ის შემდეგ — მაშინ 30 წლის, თუ 10 წმ-ის შემდეგ — 50 წლის, თუ 12 წმ-ის შემდეგ — 60 წლის.

**ფილტვების მდგომარეობა**

თუ 1 მ-ის სიშორიდან ჩააქრობთ სანთელს, ე.ი. თქვენი ფილტვები 20 წლისაა, 70-80 სმ-ის სიშორიდან — 40 წლის, 50-60 სმ-ის — დაახლოებით, 60 წლის.

**წონასწორობის შეფასება**

თვალები დახუჭეთ და გაჩერდით ერთ ფეხზე და თუ 28 წამის შემდეგ დაგჭირდათ წონასწორობის შესანარჩუნებლად, მეორე ფეხზეც დაყრდნობა, ე.ი. თქვენი წონასწორობის გრძნობა — 28 წლისაა, თუ 18 წმ-ის დაახლოებით 50 წლის, თუ 10 წმ-ის შემდეგ — 60 წლის.

***ტრუდ-7 №29***

## თავი გტკივათ? — დაიცავით თვალები



ძალიან ბევრს სიცხეში თავის ტკივილი აწუხებს. იცით თუ არა, რომ ამ ტკივილის გამომწვევი მექანიზმი ისეთივეა, როგორიც სიცივის დროს — სისხლძარღვების შევიწროება, სპაზმები. ამ დროს უნდა მიიღოთ სისხლძარღვების გამაფართოებელი წამლები და გაიკეთოთ მომადუნებელი მასაჟი. და კიდევ, ტკივილის მიზეზი შეიძლება გახდეს მზეზე თვალების მოჭუტვა, რაც იწვევს თვალებისა და მიმიკის კუნთების დაძაბვას. ამიტომ, საჭიროა ატაროთ მზისგან დამცავი სათვალე.

სიცხეში თავის ტკივილს ხსნის ცივი (და არა ყინულოვანი) წყლით დაზელა ხელების თითებიდან მხრებისკენ და ფეხების ქვევიდან (ტერფიდან) ზევით.

ასევე გირჩევთ: მოიხსნათ ყველა სახის ლითონის სამკაულები (განსაკუთრებით ოქროს ძეწკვი, ბეჭდები). ამ დროს უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა.

***კომსომოლსკაია პრავდა №127***

## მამაკაცებო, გახსოვდეთ!..

დიდ ბრიტანეთში, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, თურმე სხვადასხვა დაავადებით უფრო ხშირად და ადრე კვდებიან მარტოხელა მამაკაცები, ვიდრე ცოლიანები. ინგლისელი კოლეგებისაგან დამოუკიდებლად ამერიკელმა მკვლევარებმაც თითქმის იგივე შედეგები მიიღეს. ცოლიანი მამაკაცები 1,7-ჯერ ფიზიკურად უფრო აქტიურები არიან, იშვიათად და ცოტას ეწევიან, რეგულარულად იკვებებიან, ხშირად აკითხავენ ექიმებს; რაც შეეხება ფრანგ სოციოლოგებს, ისინი ამტკიცებენ, რომ მამაკაცები, რომლებიც ყოველდღე ეფერებიან და კოცნიან თავიანთ მეუღლეებს, საშუალოდ 5 წლით მეტხანს ცხოვრობენ, ვიდრე ისინი, რომლებიც ასეთ წვრილმანს არ აქცევენ ყურადღებას. გარდა ამისა, ალერსიანი და ყურადღებიანი მამაკაცი იშვიათად ხვდება ავარიაში და ბევრ ფულსაც გამოიმუშავებს.

***ცელებნიკი***

# მიმტევებელი დიდხანს ცოცხლობს

ექიმების აზრით, შურისგება, სამაგიეროს გადახდა, აგრესიულობა, სიბრაზე — არის ადამიანის ნერვული სისტემისა და ფსიქიკის რეაქცია გარე სამყაროს უარყოფით მოვლენებზე. შური შეიძლება იძიო ადამიანებზე, ცხოველებსა და უსულო



საგნებზეც კი, მაგალითად, ქალს, სარკეში არ მოეწონა თავისი თავი და გაბრაზებულმა დაამსხვრია სარკე. თუ აგრესიულობა, შურისძიების გრძნობა, სიბრაზე პროგრესირებადია, საბოლოო ჯამში, ადამიანი იწყებს მთელი სამყაროს შეძულებას. პირველ რიგში, უარყოფითი ემოციები მიმართულია არა გარე სამყაროსკენ, არამედ ადამიანის გონისკენ, რადგან სწორედ ის არის შურისმაძიებელი, ის ცდილობს, ჩხუბით, აყალმაყალით, ყვირილით გაინელოს სიბრაზე, ისწრაფვის, ჩააქროს ხანძარი, რომელიც გულში უნთია. ექიმების აზრით, შურისმგებლობა, უპირველესად, ადამიანის ორგანიზმს შლის, რადგან ამ დროს ხდება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების — თავის ტვინის ჰიპოფიზის, თირკმელზედა, კუჭქვეშა და ფარისებრი ჯირკვლებისა და სასქესო ორგანოების დაძაბვა. ჰიპოფიზი იწყებს ჰორმონის გამოყოფას, რომელიც იწვევს თირკმელზედა ჯირკვლების დაძაბულ მუშაობას, გადაისვრის სისხლში შიშისა და სტრესის ჰორმონებს, რომლებიც მაღლა სწევს წნევას, იწვევს ინსულტს, თირკმლებისა და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სპაზმებს. მცირდება ორგანოების სისხლითა და თავის ტვინის ჟანგბადით მომარაგება.

ხშირ შემთხვევაში ბრაზიანი (შურისმაძიებელი) ადამიანი ავადდება ჰიპერტონიით, პანკრეატიტით, წყლულით, ნაღვლის ბუშტით და ა.შ. ისინი არიან ეგოისტები, ამაყები. აწუხებთ არასრულფასოვნების კომპლექსი. ბრაზიანი, აგრესიული ადამიანი, რომელსაც შურისძიების გრძნობა არ ასვენებს, იშვიათად აღწევს კარიერაში წარმატებას, მაგრამ, რაც მთავარია, ისინი არ უყვართ, მათი ეშინიათ, ერიდებიან.

ექიმმა-ნევროპათოლოგებმა დაადგინეს, რომ იმ ადამიანების სისხლში, რომლებსაც მალე ავიწყდებათ წყენა, შეუძლიათ პატიება, წარმოიქმნება ჯანმრთელობის საწინდარი სიხარულის (ბედნიერების) ჰორმონები, რაც ხანგრძლივი სიცოცხლის გარანტიაა. თუ უარს იტყვით შურზე, ბოროტებაზე, წყენაზე, სიძულვილზე, გაიმარჯვებთ თქვენს თავზე, ქვენა გრძნობებზე, ნებისმიერ გამარჯვებას კი, ყოველთვის მოსდევს კეთილი ნაყოფი.

*არგუმენტი ი ფაქტი №25*

# კომბოსტო... და მაგნიტური ქარიშხალი

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ არაკეთილსასურველი გეოფიზიკური დღეების დროს ორგანიზმში წარმოიქმნება დიდი რაოდენობით ე.წ. თავისუფალი რადიკალები, რომლებიც აზიანებენ უჯრედოვან გარსს — მემბრანებს, რაც ხელს უწყობს იმას, რომ საკვები დაუბრკოლებლად მოხვდეს უჯრედებში და დაირღვეს ნივთიერებათა ცვლის პროცესი. ამიტომაც, სასურველია, ამ დღეებში რაციონში შევიტანოთ ნაკლები ტკბილეული. თავისუფალი რადიკალებისგან უჯრედებს იცავს ბუნებრივი ანტიოქსიდანტები, რომლებიც ხელს უშლის დაჟანგვას (რომლითაც მდიდარია ბოსტნეული, ხილი, ახალი მცენარეული ზეთი, გაღივებული შვრია).

ექიმი-დიეტოლოგები გვირჩევენ: მივიღოთ ახალი ბოსტნეული — მოშუშული ან მოხარშული, რადგან ყველა სახის შემწვარი და მწარე საკვები ხელს უწყობს თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას.

ე.წ. მაგნიტურ დღეებში სასარგებლოა მცენარეული ცილები: ლობიო, სოია, მუხუდო, ბრინჯისა და წიწიბურას ფაფები, შვრია, გარგარის ჩირი, კაკალი და თაფლი (თუ თაფლისადმი ალერგია არ გაქვთ).

მაგრამ, ყველაზე მეტად მეტეომგრძნობიარე ორგანიზმს თურმე კომბოსტო ეხმარება. იგი შეიცავს ორგანიზმისთვის შეუცვლელ ცხიმებს, მინერალურ მარილს, ბაქტერიოციდულ ნივთიერებებს — ლიზოციმს. კომბოსტო ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნას, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას.

*ტრუდ-7 №31*

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ).**
10-14 სთ.




თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

პირველად საქართველოში!
მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:
სქესობრივი აქტის ჩატარების გამნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.
ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!
კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: 99 64 99
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
ანონიმურობა დაცულია!

**ძალზე ხშირად ექიმები ნიშნავენ გამოკვლევებს. მათ შორის, ყოველთვის სისხლის საერთო ანალიზს. რატომ? რა ინფორმაციას იძლევა ის?**

*გ. ქუთათელაძე*

# რას გვიჩვენებს სისხლის საერთო ანალიზი?



სისხლი ჯანმრთელობის ნებისმიერ ცვლილებაზე რეაგირებს. ექიმი ამიტომაც ითხოვს პაციენტისგან სისხლის საერთო ანალიზის გაკეთებას. სისხლის საერთო ანალიზის აღება ხდება თითიდან და განისაზღვრება რამდენიმე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. მაშ ასე:

**ჰემოგლობინი** — ნორმა 120-160 გ/ლ-ზე (მამაკაცი); 120-140 გ/ლ-ზე ქალი. ჰემოგლობინი არის ცილა, რომელსაც შეიცავს ერითროციტები (სისხლის წითელი ბურთულები). მას გადააქვს ორგანიზმში ჟანგბადის მოლეკულები, გამოდევნის ნახშირორჟანგს. თუკი ჰემოგლობინის დონე დაქვეითებულია, ქსოვილებს ჟანგბადი მცირე რაოდენობით მიეწოდება. ასე ხდება ანემიის (სისხლნაკლებობის), სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის, ზოგიერთი მემკვიდრული დაავადების დროს.

**ჰემატოკრიტი** — 40-45% — მამაკაცი; 36-42% — ქალი. მიუთითებს, რამდენ პროცენტს წარმოადგენს სისხლის უჯრედები (ერითროციტები, ლეიკოციტები და თრომბოციტები) სისხლის თხიერ ნაწილთან (პლაზმა) შედარებით. თუ ჰემატოკრიტი ქვეითდება, ადგილი ჰქონია სისხლდენას ან ძლიერ შემცირებულია სისხლის ახალი უჯრედების წარმოქმნა. ეს ხდება მძიმე ინფექციური დაავადებების და აუტოიმუნური პათოლოგიების დროს. მომატებული ჰემატოკრიტი არის სისხლის შესქელების შედეგი, რასაც იწვევს გაუწყლოვანება.

**ერითროციტები** — $4\text{-}5.10^{12}$-1 ლ სისხლში— მამაკაცი; $3\text{-}4.10^{12}$-1 ლ — ქალი. ეს უჯრედები ჰემოგლობინს შეიცავს: ერითროციტების რაოდენობა მჭიდრო კავშირშია ჰემოგლობინთან: მცირეა ერითროციტების რაოდენობა — დაქვეითებულია ჰემოგლობინის დონე და პირიქით.

**ფერადობის მაჩვენებელი** — 0,85-1/,05. ეს არის ჰემოგლობინის დონესა და ერითროციტების რაოდენობას შორის თანაფარდობა. ფერადობის მაჩვენებელი იცვლება სხვადასხვა ანემიის დროს: მატულობს $B_{12}$, ფოლიუმდეფიციტური, აპლასტიური და აუტოიმუნური ანემიების დროს. მცირდება რკინადეფიციტური ანემიის დროს.

**ლეიკოციტები** — 70%-მდე. ლეიკოციტების საერთო რაოდენობა ეს არის ობრატები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან არასპეციფიკურ იმუნურ პასუხზე. მათი ძირითადი ფუნქციაა უცხო მიკროორგანიზმების გაუვნებელყოფა (განადგურება). განსაკუთრებით საფრთხილოა, თუკი ორგანიზმში არსებობს ჩირქოვანი პროცესი, ხოლო ნეიტროფილების რაოდენობა (ლეიკოციტების ერთი ჯგუფი) სისხლის ანალიზში მომატებული არ არის. ჩირქი სხვა არაფერია თუ არა მკვდარი ლეიკოციტების გროვა.

**ეოზინოფილები**. ლეიკოციტების საერთო რაოდენობის 1-5%. ისევე როგორც ნეიტროფილები მიეკუთვნება არასპეციფიკურ იმუნიტეტს, მათი მატება დამახასიათებელია ალერგიის დროს, ასევე პრიმიტიული დაავადების დროსაც.

**ლიმფოციტი** — 19-30%, ეს არის სპეციფიკურ იმუნიტეტზე პასუხისმგებელი უჯრედები, თუკი გამოხატული ანთებითი პროცესის დროს მაჩვენებელი ეცემა 15%-ზე ქვემოთ, მნიშვნელოვანია შეფასდეს 1 ლ. სისხლზე ლეიკოციტების აბსოლუტური რაოდენობა. ის არ უნდა იყოს 1200-1500 უჯრედზე ნაკლები.

**თრომბოციტები** — $170\text{-}32.10^{9}$-1/ლ-ზე. ის პასუხისმგებელია სისხლდენის შეჩერებაზე — ჰემოსტაზზე. თრომბოციტების რაოდენობის შემცირება მიუთითებს იმუნოლოგიური დაავადების არსებობაზე ან ძლიერ ანთებით პროცესზე.

**ერითროციტების დალექვის რეაქცია** — ედრი — 100 მმ/სთ-ში მამაკაცებში, 15 მმ/სთ-ში ქალებში. მომატებული ედრი მიუთითებს ანთებითი პროცესის არსებობაზე ან სხვა პათოლოგიურ პროცესზე. გაითვალისწინეთ! უმიზეზოდ მომატებული ედრის მაჩვენებელი ყურადღებას საჭიროებს!

ასევე გაითვალისწინეთ! ზოგიერთი სისხლის საერთო ანალიზის აღების წინ, თავს იკავებს საკვების მიღებისაგან. ეს შეხედულება მცდარია. სისხლის საერთო ანალიზის დროს კვებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მაგრამ თუკი ალკოჰოლი მიიღეთ, ან მზის აბაზანები, ფიზიოპროცედურები, აგრეთვე რენტგენოლოგიური გამოკვლევა ჩაიტარეთ, უმჯობესია რამდენიმე დღე მოიცადოთ, რომ ანალიზის შედეგი მცდარი არ იყოს.

*მაია მუხიგული*

# პლანეტაზე გურმანები ცხოვრობენ

ჩვენ შევქმენით გურმანების პლანეტა, ამტკიცებს ფრანგი მეცნიერი ანრი ჟუაიო, რომელსაც მიაჩნია, რომ ბევრი სერიოზული დაავადება განვითარდა არასწორი კვების გამო. „ბოლო ნახევარ საუკუნეში ბევრ ქვეყანაში მკვეთრად შეიცვალა კულინარიული ტრადიციები. ქიმიის განვითარებამ უკანა პლანზე გადასწია და შეავიწროვა ნატურალური პროდუქტები. თანამედროვე ადამიანის საკვები შეიცავს ბევრად მეტ კალორიას, ვიდრე 50 წლის წინათ, ამასთან, ძირითადად იკვებებიან ცხოველური ცხიმებით. ადამიანებმა შეიძინეს ცუდი თვისება — ჭამენ სწრაფად და რაც მოხვდებათ. ყველაფერმა ამან კი გამოიწვია ე.წ. ცივილიზაციის დაავადებანი“.

პროფესორს მიაჩნია, რომ ბევრ ტკბილეულზე, შემწვარ ხორცზე, კონსერვანტებსა და შაქარზე უარი უნდა თქვან ადამიანებმა და მიიღონ მეტი ახალი ხილი და ბოსტნეული. კიდევ ერთი გემრიელი საშიშროებაა — ნაღების ნაყინი, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით შაქარს, ცხიმსა და კონსერვანტებს. ასევე ამახვილებს ყურადღებას მეცნიერი ყავაზე და მიაჩნია, რომ 2 პატარა ფინჯანზე მეტი არ უნდა მიიღოს ადამიანმა, რადგან ზედმეტმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ბენზონპირინი — ფისის დაგროვება ორგანიზმში. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ისე შეეჩვია ტკბილ და გაზიან წყალს, წვენებს, დაავიწყდა, რომ წყლითაც შეიძლება წყურვილის მოკვლა. არადა, ადამიანმა უნდა მიიღოს დღე-ღამეში არანაკლებ 1,5 ლ ჩვეულებრივი წყალი, რომელიც მთლიანად გამოდევნის მავნე ნივთიერებებს.

ფრანგი მეცნიერი ასევე ეწინააღმდეგება ნებისმიერ ცხიმს, რომელიც თბური დამუშავებით მიიღება. ასევე ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებები წარმოიქმნება მცენარეულ ზეთში შეწვის პროცესში.

საუკუნის საშიში დაავადებანი რომ შემცირდეს, აუცილებელია ადამიანმა შეცვალოს კვების ჩვევები, მენიუ და თუ წლის განმავლობაში ყოველდღე გამოიყენებთ ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტებიდან 3 პროდუქტს, ე.ი. სრულფასოვნად იკვებებით, — გვარწმუნებს ფრანგი მეცნიერი.

ეს პროდუქტებია: კაკალი, მზესუმზირა, გოგრის თესლი, შირბახტი (ქუნჯუტი, სიმსიმი), შტოში, წითელი მოცვი, ძახველი, ასფურცელა (ცირცელი), ასკილი (ნაყენი), კუნელი, ხურტკმელი, შავი მოცხარი, მარწყვი, ხილი (განსაკუთრებით ლიმონი და ფორთოხალი კანიანად), ახალი ბოსტნეული (კომბოსტო, გოგრა, ნიახური, პირშუშხა, ნიორი, ხახვი), ზღვის კომბოსტო, სოია და სოიის ფქვილი, მწვანე, შავი და ნებისმიერი ბალახეულის ჩაი, ხმელი ჩირი, ქიშმიში, შავქლიავი, ლეღვი, ჭერმის და გარგარის ჩირი, ფინიკი (ინდის ხურმა), თაფლი, ზეითუნი, სოიისა და სიმინდის ზეთი, ვაშლის ძმარი, ჭინჭრის, არყის ხის და ცაცხვის ფოთლების ნაყენი.

*ლიზა №25*

კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:
1.დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;
2.ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;
3.სამეანო განყოფილებას;
4.ახალშობილთა განყოფილებას;
5. გინეკოლოგიურ განყოფილებას;
6.თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);
7.ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);
8.სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;
9 .რეაბილიტაციის სამსახურს(ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).
კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.
ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.
მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით.
მადლობას გიხდით ნდობისთვის.
მის: ცოტნე დადიანის №255
(ყოფ. I სამშობიარო სახლი)
☎ 66-73-70 71 72 73 74



**ირანი**

# ირანი: თითქმის სსრკ?

ირანი ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც ისლამისტები ხელისუფლებისთვის არ იბრძვიან. ისინი თავად არიან ხელისუფალნი — ქვეყანას 1979 წლიდან მართავენ. ისლამური რესპუბლიკა იმგვარსავე ხაფანგში მოექცა, როგორშიც იყო სსრ კავშირი: აქაც პიროვნების კულტი ბატონობს (ხომეინი), სახელმწიფო მოხელეებს აიძულებენ ყურანის ცოდნას, უნივერსიტეტები ისლამიზებულია, კონტროლდება პრესა, სახელმწიფო ეკონომიკა არაეფექტიან-




ია. დღეს ირანი ამბოხების მოლოდინშია. პროგრესულად მოაზროვნე ირანელები დახლებიდან იტაცებენ ოპოზიციონერ ლიდერთა წიგნებს, განსაკუთრებით პოპულარულია აკბარ განჯის ნაშრომები. განჯის 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს მხოლოდ იმის გამო, რომ კონსერვატორულ სასულიერო ფენას „ფაშისტები“ უწოდა.

რეჟიმის მთავარი საფრთხე დისიდენტური მოძრაობა კი არა, ცხოვრების დონის თანდათანობითი დაქვეითებაა. ორჯერ გაიზარდა უმუშევრობა, ხომეინის დაპირება — ყოველი საშუალო ირანელი ჩვენი ნავთობის წყალობით გამდიდრდებაო — ფუჭი აღმოჩნდა.

ამ პირობებში მოსახლეობის განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს სასულიერო პირებისათვის მინიჭებული პრივილეგია. მეცნიერ ჰაშემ აღაჯარს სასიკვდილო განაჩენი მხოლოდ იმიტომ გამოუტანეს, რომ საყვედური წამოსცდა — მე დანჯღრეული მანქანით დავდივარ, იმამები კი „მერსედესებს“ დააქროლებენო. ათასობით სტუდენტი გამოვიდა აღაჯარის დასაცავად და ხელისუფლება იძულებული გახდა, ოპოზიციონერი ციხიდან გაეშვა.

ისლამისტებთან ბრძოლის საუკეთესო მეთოდია — ხელისუფლებაში მათი კიდევ რამდენიმე წლით დატოვება. მაშინ გაირკვევა, რომ მათ აღარ შეუძლიათ დღევანდელი მუსლიმანური ქვეყნების პრობლემების გადაჭრა.

***„ვაშინგტონ პოსტის“ ირანელი კორესპონდენტი აფშინ მოლავი***

**დიდი ბრიტანეთი**

# ლონდონი ტერაქტების მოლოდინშია

„ალ-ქაიდამ“ შესაძლოა 11 სექტემბრის მოვლენები ლონდონში გაიმეოროს. უსამა ბინ ლადენის თანამზრახველთა ახალი გეგმები ბრიტანეთისა და ამერიკის დაზვერვის სამსახურებისთვის გახდა ცნობილი. ახალი ტერაქტების სქემა ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის ტერაქტების სქემას იმეორებს! ტერორისტებს სამგზავრო თვითმფრინავში შეაქვთ იარაღი, ასაფეთქებელი ნივთიერება



და თვითმფრინავი ლონდონის ცენტრში, ერთ-ერთი შენობისკენ, სავარაუდოდ, პარლამენტისკენ მიჰყავთ. ადრე დაზვერვის სამსახურები იტყობინებოდნენ, რომ „ალ-ქაიდა“ ბიგ-ბენს უპირებს აფეთქებასო, რაც, საბედნიეროდ, არ მოხდა. ბრიტანული გაზეთი „სანდი ტელეგრაფი“, რომელმაც გააფრთხილა ნისლიანი ალბიონის მცხოვრებნი მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ, ვარაუდობს, რომ დაზვერვამ ინფორმაცია მიიღო ერრიადის აფეთქებების მომზადების მონაწილე ალ აბდ ალ-ჰამდისგან. იგი ივნისის დამლევს ნებაყოფლობით ჩაჰბარდა პოლიციას. ახლა მის დაკითხვას ცსს აწარმოებს.

ლონდონის გარდა ტერაქტები შეიძლება განხორციელდეს იტალიაში, ავსტრალიაში და აშშ-ში. ბრიტანეთის დაზვერვის წარმომადგენელი აცხადებს, — მუქარა რეალურია, დიდი სიფრთხილე გვმართებსო.

***იზვესტია №153***

# მექსიკის შტატ ჩიაპასში „კეთილი მთავრობა“ შეიქმნა

80-იან წლებში მსოფლიო ანტიგლობალიზმის გურუმ, მარკოსმა, მექსიკის უღარიბეს შტატ ჩიაპასში ადგილობრივი მოსახლეობის, ინდიელების, უფლებათა დასაცავად შექმნა შეიარაღებული ჯგუფი და მოძრაობას კუბელი სახალხო გმირის, ემილიანო საპატას სახელი უწოდა. რამდენიმე წელს ტყეში ცხოვრობდნენ, აბორიგენებს იდეოლოგიურად ამზადებდნენ. 1994 წელს საპატისტი მეომრები ჯუნგლებიდან გამოვიდნენ და შტატის დედაქალაქი სან კრისტობალ-დე-ლას კასასი დაიკავეს. მექსიკის ხელისუფლებამ ამბოხებულებთან გასასწორებლად გაგზავნა ჯარი, რომელიც საპატისტებს სულ ადვილად გაუმკლავდებოდა, მარკოსს ინტერნეტის საშუალებით მეორე ფრონტი რომ არ გაეხსნა მეხიკოს წინააღმდეგ. მან მთელი მსოფლიოს ჟურნალისტებს ამცნო ჩიაპასის ამბები. მექსიკის მთებში ჩაკარგული ღატაკი შტატი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, ინდიელთა ამბოხი კი მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებების მთავარ სიახლედ იქცა.



საპარატისტების და ჯარის შეტაკებას 150 ადამიანი ემსხვერპლა. მერე დაიწყო მშვიდობიანი მოლაპარაკება, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ინდიელ მოსახლეობას ფართო ავტონომია მიანიჭეს. საპატისტებმა შტატის 30 მუნიციპალიტეტში თვითმმართველობის სახალხო ორგანოები შექმნეს და მას „კეთილი მთავრობა“ უწოდეს. მასში შედიან ადგილობრივ ტომთა ბელადები, უხუცესები, ცნობილი ადამიანები. ისინი წყვეტენ ყველა საჭირბოროტო საკითხს, თვითონ კრებენ გადასახადს. თავად შეიარაღებული ამბოხებულები „კეთილ მთავრობაში“ არ შევიდნენ.

ხელისუფლებას ძალიან ეშინოდა, რომ შეიარაღებულები ისევ შეეწინააღმდეგებოდნენ ფედერალურ ჯარს, ამიტომ 20 ათასი მექსიკელი ჯარისკაცი ჩიაპასის შტატში დატოვა. წლების განმავლობაში საპატისტები დროდადრო ჩნდებოდნენ, ანტიგლობალისტურ გამოსვლებს აწყობდნენ. შუა აგვისტოში მექსიკაში მოულოდნელად დამთავრდა ეს უცნაური სამოქალაქო ომი. საპატისტებმა, რომლებიც ათ წელიწადს ებრძოდნენ ხელისუფლებას, იარაღი დაყარეს და თავიანთი გამარჯვების აღსანიშნავად გამართეს ინდიელთა კულტურის გრანდიოზული ფესტივალი, რომელიც პოლიტიკურ მანიფესტაციად იქცა. ფესტივალზე შეკრებილმა ასი ათასზე მეტმა ადამიანმა მოისმინა მარკოსის მიმართვის ჩანაწერი: — „საპატისტური არმია ახალ სტრატეგიას ირჩევს. შევეცდებით, შევეგუოთ ჩვენ გარშემო არსებულ სამყაროს, მე აღარასოდეს მოგმართავთ საპატისტური ავტონომიის სახელით, მაგრამ ყოველთვის ხალხის დამცველად მიგულეთ“.

ლეგენდარული მარკოსი ყოველთვის ნახევრად მითური ფიგურა იყო, ალბათ ამიტომაც არ გამოჩნდა ფესტივალზე. არავინ იცის მისი სახელი, გვარი, წარმოშობა. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ „მარკოსი“ გარდაცვლილი მეგობრის პატივსაცემად დაირქვა, სახეს ყოველთვის ნიღაბი უფარავს, ერთ-ერთ ინტერვიუში ირწმუნებოდა — 541 წლის ვარო. მისი ნაწარმოები, „სხვა რევოლუცია“, მთელ მსოფლიოში დაიბეჭდა და მას პროგრესულად მოაზროვნის სახელი შესძინა. თავის დროზე მარკოსს მსოფლიო ლიტერატურის ლეგენდამ, მწერალმა გაბრიელ გარსია მარკესმაც ჩამოართვა ინტერვიუ. მეხიკოში მოსალაპარაკებლად ჩასულ მარკოსს გამოჩენილი მექსიკელი და ამერიკელი ინტელექტუალები ხვდებოდნენ.

ჩიაპასის შტატში ბლოკპოსტების მოხსნით მან ფაქტობრივად აღიარა, რომ მიზანს მიაღწია, შტატს ოფიციალურ ხელისუფლებასთან ერთად ინდიელები — „კეთილი მთავრობა“ მართავს. გამარჯვების ზეიმზე დაუსწრებლობით კი საბოლოოდ იქცა ვირტუალურ სივრცეში გადასულ სიმბოლოდ.

***კომერსანტი №153***

# ჩრდილოეთ კორეის თოფმა შეიძლება გაისროლოს

ჩრდილოეთ კორეის განცხადებამ, რომ იგი დღე-დღეზე გამოაცხადებს თავს ბირთვულ სახელმწიფოდ, მთელ მსოფლიოში დიდი მღელვარება გამოიწვია.

ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კორეა მაშინვე ვინმეს დაარტყამს. მაშ რისთვის არის ეს საჭირო? საქმე ის არის, რომ „ჩრდილოკორეელი ამხანაგები“ ამბიციურობით არაფრით ჩამოუვარდებიან ვაშინგტონს. პრეზიდენტ ბუშის სიჯიუტეს ჩრდილოკორეელი ლიდერი არანაკლები სიჯიუტით პასუხობს და ვაშინგტონს გადაკვრით მიანიშნებს, რომ მისი არ ეშინია. თუმცა ისიც ცხადია, რომ ჯორჯ ბუში, სანამ ის პრეზიდენტია, არ მოასვენებს. თუმცა ვაშინგტონის პოლიტიკაში ჩრდილოეთ კორეის მიმართ მუქარას დროდადრო შემრიგებლური ტონი ცვლის — პრობლემის დიპლომატიური გადაჭრის გზები უნდა ვეძებოთო. რაც იმას ნიშნავს, რომ ჯორჯ ბუშს ბოლომდე არა აქვს ჩამოყალიბებული ფხენიანთან ბრძოლის მეთოდი. ეს იმითაც არის გაპირობებული, რომ ერაყისაგან განსხვავებით, რომლის მეზობლები — სირია და ირანი აშშ-ის მიმართ მტრულად არიან განწყობილნი, ჩრდილოეთ კორეას ამერიკის მეგობარი ქვეყნები — იაპონია და სამხრეთ კორეა ჰყავს ამოღებული მიზანში. ეს ორი ქვეყანა ბუშისა და კიმ ჩენ ირის ამ დაპირისპირებაში ფხენიანის მძევლები არიან. კორეის თოფი კარგა ხანია კედელზე კიდია და გამორიცხული არ არის, რომ ფინალში გაისვრის.

***შტერნი***

# ნახვამდის, პაპა!

პარაგვაის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ფიდელ კასტრო ცუდად გამოიყურებოდა, მძიმე ავადმყოფს ჰგავდა, ძლივს ლაპარაკობდა. დღეს უკვე საჯაროდ მსჯელობენ თუ ვინ შეიძლება იყოს მისი მემკვიდრე. დასავლელი ექსპერტების აზრით, მემკვიდრის ვინაობა კუბის კომუნისტური პარტიის V კონგრესზე გახდება ცნობილი. კონგრესი დეკემბრის ბოლოს გაიმართება. უკვე ასახელებენ ორ შესაძლო კანდიდატურას — ფიდელის ძმას, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს რაულ კასტროს და საგარეო საქმეთა მინისტრს ფილიპე პერესს. დასავლეთი იმედოვნებს, რომ ხელისუფლების სათავეში სწორედ პერესი იქნება, პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა პოლიტიკოსი. კუბელებს არ მოსწონთ ორთოდოქსი კომუნისტი რაულ კასტრო, რომელიც დღეს უფროს ძმაზე გავლენიანია, მას ემორჩილება არმია, პოლიცია, პრაქტიკულად, მთლიანად აკონტროლებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. რაც მთავარია, მას პარტიაში პერესზე მეტი მომხრე ჰყავს. ნათელია, რომ კონგრესი სწორედ მას მისცემს ხმას. ასე რომ, არც ფიდელის წასვლის შემდეგ დაადგება კუბა დემოკრატიის გზას.

***ოგონიოკი №33***

# „პუტინის არაჩვეულებრივი თავგადასავალი იტალიაში“

იტალიაში სამი დღით სტუმრად ჩასულ ვლადიმირ პუტინს იტალიის პრემიერ-მინისტრი აეროპორტში დახვდა და სარდინიაში, თავის ვილაში წაიყვანა. რუსი ჟურნალისტები ორი ქვეყნის მეთაურებს სასტუმროში ელოდნენ. პრესკონფერენცია ორსაათიანი დაგვიანებით დაიწყო. სტუმარ-მასპინძელი მშვენიერ გუნებაზე იყო, თუმცა პროტოკოლის სამსახური ირწმუნებოდა — სადილზე სასმელი არ მიურთმევიათო.

სილვიო ბერლუსკონი კითხვებზე მეტად ვრცელ პასუხებს იძლეოდა, აქებდა და ადიდებდა რუსეთს, გეგონებოდათ რუსეთზე კი არა, სხვა ქვეყანაზე ლაპარაკობდა. იტალიელი ჟურნალისტები მაინცდამაინც ვერ იზიარებდნენ მის აღტაცებას, პუტინს ჯიქურ ჰკითხეს, — ვიზიტის დროს რატომ ჩამოგყვათ სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“-ო. საერთოდ, იტალიელები ცოტა გამომწვევად იქცეოდნენ, როცა პუტინი საუბრობდა, ბერლუსკონი თვალს უკრავდა ჟურნალისტებს, ხელს უქნევდა, სახელმწიფოს მეთაურის საკადრისად არ იქცეოდა, თუმცა მთელი გულით დაუჭირა მხარი პუტინის იდეას, რუსეთ-ევროპას შორის უვიზო ურთიერთობებზე.

პრესკონფერენციის შემდეგ სილვიო ბერლუსკონი და ვლადიმირ პუტინი „პორტოსა“ და „მილანს“ შორის საფეხბურთო მატჩის სანახავად წავიდნენ.

***ლენტა რუ***

## მოკლედ

**ავღანეთში** შეიქმნა ახალი პოლიტიკური პარტია — „ავღანელი კომუნისტები“, რომელიც ქვეყნის ყოფილი მმართველი სახალხო დემოკრატიული პარტიის მემკვიდრეა. მას შემდეგ, რაც 1992 წელს, მოჯაჰედებმა ექსპრეზიდენტი ნაჯიბულა ქაბულის ცენტრალურ მოედანზე ჩამოახრჩვეს, კომუნისტებმა ავღანეთში ხმა ახლა პირველად აიმაღლეს.

**აშშ**-ში განახლდა ცნობილი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი. 7,5 მლნ დოლარზე პრეტენზია აქვთ მწერლის უმცროსი ვაჟის გრეგორის 8 შვილსა და მეოთხე ცოლს. საქმე იმან გაართულა, რომ გრეგორმა (2 წლის წინ გარდაიცვალა) 1994 წელს სქესის შესაცვლელი ოპერაცია გაიკეთა და გლორია დაირქვა.

**აშშ**-ის რადიო Classic FM-ის დადგმაში „პეტია და მგელი“ „წითელქუდას“ ახალი ვერსია) ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა მგელი გაახმოვანა.

**ბაქოში** 25-26 სექტემბერს გაიმართება შავი ზღვის აუზის ქვეყნების კონფერენცია ტურიზმის დარგში. მონაწილეობას მიიღებენ თურქეთის, რუსეთის, უკრაინის, საქართველოს, მოლდავეთის, რუმინეთის, ალბანეთისა და საბერძნეთის წარმომადგენლები.

**რუანდის** ახალმა პრეზიდენტმა პოლ კაგამემ დედაქალაქ კიგალის სტადიონზე შეკრებილ მომხრეებს ამცნო, რომ მას ამომრჩეველთა 94%-მა დაუჭირა მხარი. რუანდაში 1994 წლის გენოციდის შემდეგ, რომელსაც მილიონზე მეტი ადამიანი შეეწირა, საპრეზიდენტო არჩევნები პირველად გაიმართა.

**სტოკჰოლმში** ნობელის ფონდმა გამოაცხადა რომ პრემიას, ტრადიციულად მიანიჭებენ შემდეგ დისციპლინებში: ფიზიოლოგია (ან მედიცინა), ფიზიკა, ქიმია, ლიტერატურა და მშვიდობა. თითოეული პრემია წლეულს 1 მლნ 178 ათასი დოლარი იქნება. ნობელის ხსოვნის პრემიას ეკონომიკის დარგში, იმავე თანხის ოდენობით, შვედეთის ბანკი გასცემს.

**რუსეთის** არმიის პოლკოვნიკის იური ბუდანოვის მიერ მოკლული ჩეჩენი გოგონას, ელზა კუნგაევას ოჯახი ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის ნორვეგიის კომიტეტის მიწვევით ნორვეგიაში გადასახლდა. სამართალდამცავებს მიაჩნიათ, რომ ბუდანოვისთვის ათწლიანი პატიმრობის მისჯის შემდეგ კუნგაევების ოჯახს რუსეთში საფრთხე ელოდა.

**ინდოეთის** ვიცე-პრემიერმა ლალ კრიშნა ადვანიმ პაკისტანს მოსთხოვა ბომბეის აფეთქებასთან დაკავშირებული ბოევიკების გადაცემა. აფეთქებებს 50 ადამიანი ემსხვერპლა. ვარაუდობენ, რომ ის პაკისტანელი ისლამისტების ორგანიზაციის მოწყობილია.

**შოტლანდიის** ერთ-ერთი სასახლის კერძო კოლექციიდან მოიპარეს ლეონარდო და ვინჩის ტილო „მადონა თითისტარით“. ამ სურათზე ლეონარდო 1500-1510 წლებში მუშაობდა. ხეზე ზეთის საღებავით შესრულებულ სურათზე მადონა ქედის ფონზე ზის, მუხლებზე იესოთი. ყრმას ხელში ჯვრის ფორმის თითისტარი უჭირავს.

**ამერიკის** პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დაამტკიცა აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული კანონპროექტი კოღოებთან ბრძოლის თაობაზე. კანონი ამ საქმისთვის ფედერალური ბიუჯეტიდან 100 მლნ დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

**სომხეთის** სოფლის მეურნეობის სამინისტრო გაიღებს ხარჯებს სირიაში გარგარის ბაღის გასაშენებლად და იქ თავის სპეციალისტებს მიავლინებს. სირიელებს ძალიან მოსწონთ სომხური გარგარი.

**ათენის** აეროპორტში 21 აგვისტოს დაპატიმრებული რუსი ოლიგარქი ვლადიმირ გუსინსკი თავდებით გაათავისუფლეს, გირაოდ 100 ათასი ევრო გადაახდევინეს. კორიდალის ციხიდან გათავისუფლებული გუსინსკი ათენის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში დაუცდის გადაწყვეტილებას რუსეთში მისი ექსტრადიციის თაობაზე.

**ერაყის** ქალაქ ნეჯეფში, იმამ ალის მეჩეთთან, დიდი აფეთქება მოხდა, დაიღუპა 20, ათობით ადამიანი დასახიჩრდა. აფეთქებას ემსხვერპლა ერაყის ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭოს თავკაცი აიათოლა მოჰამად ბაქარ ალ-ხაკიმი. იგი ერაყელებს მოუწოდებდა, შეეწყვიტათ თავდასხმა ამერიკელებზე. აფეთქება სწორედ იმ დროს მოხდა, როცა მლოცველები მეჩეთიდან გამოდიოდნენ.

**ჩიკაგოს** სასამართლომ განაჩენი გამოუტანა მუსლიმანთა დახმარების ფონდის თავკაცს ინაამ არნაუტს. ეს ფონდი წლების განმავლობაში ეხმარებოდა ჩეჩენ, ავღანელ და ბოსნიელ ბოევიკებს. არნაუტს 11-წლიანი პატიმრობა და 315 ათასი დოლარის გადახდა მიუსაჯეს. ფონდის მეთაური აშშ-ისა და რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივი მუშაობის შედეგად გაასამართლეს.

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა — არ დავუშვებთ, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში გათავისუფლებული 14 გერმანელი მძევლიდან რომელიმემ ფული იშოვოს თავიანთი თავგადასავლის გამოქვეყნებით, — ჰონორარი მძევლების გასათავისუფლებლად გადახდილი თანხის ანგარიშში მთავრობას უნდა გადაეცესო.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***



# გახსოვდეს დიდგორი!

## 6 სექტემბერს დიდგორობა აღინიშნება

1121 წელს, აგვისტოში ქართველთა მეფემ, დავით აღმაშენებელმა ომებში ნაცადი და გონივრული რეფორმებით გაძლიერებული ქვეყნის მხედრობით განიზრახა თურქ-სელჩუკების საბოლოოდ განდევნა. 300.000 ათას ურჯულოსთან საბრძოლველად (ფრანგი მემატიანის ცნობით — 600.000) 40.000 ქართველი, 15.000 ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ფრანგი შეიკრიბა მანგლისთან ახლოს, დიდგორის ველის მიდამოებში. იმის მიუხედავად, რომ მტერი კალიასავით მრავალი იყო, ქართველებმა დედამიწის უძლიერეს იმპერიას აჩვენეს, რა შეუძლიათ — დიდგორი მოვიგეთ! და თუმცა დავითმა „თავისი სპანი დაიცვა უვნებლად“, იქ დაღვრილ სისხლში უეჭველად ქართველებისაც ერია. მემატიანემ ნახა, როგორ ფრიალებდა გამარჯვებულთა დროშა, რომელსაც განგებამ მისცა დანიშნულება, რომ ქართული სიამაყე დღემდე, 9 საუკუნის მანძილზე ეკვება — ღვთის ნებით, ასე იყო საჭირო! ეს რომ არა, ამ 9 საუკუნეში მრავალჯერ გაგვსრისეს, საკუთარი ნებითაც ბევრჯერ ამოვისვარეთ ლაფში, მაგრამ დიდგორი და „დავითიანი“ დროშის ელვარება გონებიდან ვერ წაგვეშალა, თუმცა, ამ დროშის სახელით ზოგჯერ ერთმანეთსაც ვხოცავდით. დღესაც სიმბოლოებს „დავითიანი“ ალმისას რომელიღაცა წარმავალი შენობების სახურავებზე დავაფრიალებთ ერთმანეთის გულის გასახეთქად და მტრის გასაცინებლად. ღამის სიბნელეში კი იქ, დიდგორიდან უჩინოები დიდგორელების ხმლებს ჯართისკენ მივარბენინებთ. ხოლო ჩინიანებს ამ ამბავზე ცრემლები გვდის, — ეს რა ვქენითო, თითქოს ჩვენ არ ვიყავით იმ უჩინოებს მონღოლური წესით საგულდაგულოდ რომ გადავაძრეთ კანი თავის ქალიდან, ზედ გასქელებული აქლემის ტყავი გადავაფარეთ და მერე მზის გულზე დავსვით, იმათი ტვინიდან დიდგორიც და ბასიანიც სამუდამოდ რომ ამოგვეფხიკა. სამაგიეროდ, მშივრები და ტვინგალაყებულები ძაღლივით მიგდებული ლუკმის მონები გავხადეთ... მიდით, ქართველებო! მაგრამ არ დაგავიწყდეთ, შეიძლება დიდგორი ტვინიდან ამოიღოთ, მაგრამ სისხლიდან — ვერასოდეს... სხვანი უფრო გულდასმით მუშაობდნენ, მაგრამ ქართველმა ბიჭმა ტანკთან ჯოხით ბრძოლა მაინც გაბედა.

დრონი მეფობენ და არა მეფენი! — წაშალეთ ქართული ასომთავრული და მათ ნაცვლად ინგლისური წარწერები შემოგვაჩეჩეთ. ერთ დროს ასე გვაჩეჩებდნენ არაბულს, სპარსულს, რუსულს, შიგადაშიგ ბერძნული და ფრანგულიც გამოგვირიეს, მაგრამ ეს უცხო ასოთა ლაბირინთი სერაფიტის ქვის ერთმა ქართულმა წარწერამ გაჰკვეთა: „მე ვარ სერაფიტი, ასული ზევახისა...“ მთელი სპარსულ-არაბული კვნესა 3000 წლის სამარხიდან ამოღებული სალამურის ერთ ქართულ სიმღერად შეფასდა.

მიდით, ქართველებო! აშიმშილეთ, გააქციეთ საქართველო. ათქმევინეთ, აქ რა დამრჩენია, წავალ, სხვის ცას შევეფარებიო — მთელ ამ უსასოო და გამომშრალ წამოძახილს სპარსეთში გადახვეწილი უბრალო ქართველის ქადილი გაანედლებს — რაც უნდა მტანჯოთ, მაწამოთ, მაინც ვიქნები ქართველიო...

ჩვენ ყორღანაშვილიც გვყავდა, მაგრამ გვყავდნენ ჩოლოყაშვილიც და ერისთავებიც — ბიძინა, შალვა და ელიზბარი — ესენი უფრო მეტნი, თანაც, ძმები იყვნენ... დიდგორიც ვისთვის მხოლოდ გაშლილი ველია და ვისთვის საყრდენი, საიდანაც კარგად შეიძლება ზეცის დანახვა, რომ ზემოთ მადლობა შესწირო უფალს. იქ, დიდგორზე, ბრძოლის დასაწყისში მხოლოდ 200 ქარქაშში ხმალჩაგებული ქართველი შევიდა მტრის ბანაკში. მოღალატეები ეგონათ და სიხარულით შეხვდნენ... იმ 200-მა დაიწყო ბრძოლა და ვინ იცის, იქნებ იმათ გადაწყვიტეს ომის ბედი... საქმე ისე როგორ წაგვივა, ქვეყნისთვის შეწირული 200 კაცი არ დაგრჩეს? მთელი ჩვენი ისტორია ქვეყნისთვის შეწირული კაცების ისტორიაა, თან მსხვერპლად ვწირავთ და თან მათზე ვლოცულობთ. ილიასაც ვესროლეთ და ისევ ილიასთან დავრჩით. ურჯულო და რჯულიანი მეფეების მხედართმთავრები ვიყავით, მათთვის მოვიგეთ ვატერლოოც და თურქულ-სპარსული ომებიც, მაგრამ ჩვენი მთავარი მხედართმთავარი დავითი იყო. მთავარი ომიც დიდგორი იყო. იქ დაღვრილ სისხლს მიეცა ნება ქვეყანა 9 საუკუნის მანძილზე გადაერჩინა...

მიდით ქართველებო, იარეთ! მაგრამ 9 მთა და 9 ზღვა რომ გადაიაროთ, მაინც დიდგორს დაუბრუნდებით, დიდგორია მთავარი — ის ვერ დაგავიწყდებათ!

***ეთერ ერაძე***

რას წერენ ჩვენზე

# საქართველო პირველი „რუსული“ ზამთრის მოლოდინში

## რაო „ეეს როსია“ ადგილობრივ კადრებს არჩევს

(დასაწყისი იხ. გვ. 14)



თბილისში ყოველი შემთხვევისათვის ელექტროგენერატორებს იმარაგებენ

ოღონდ, ის აღარ დაუზუსტებია, როგორ უნდა გადაიხადოს ხალხმა ეს ფული. თანაც დსთ-ის ქვეყნებისგან განსხვავებით, ელექტროენერგია საქართველოში გაცილებით ძვირია. თბილისი გამორთულთა „შავ სიაში“ არ არის, მაგრამ ქალაქის მოსახლეობა დაძაბულ მოლოდინშია, ყველა ელოდება ჩუბაისის დანაპირების შესრულებას — ქვეყნის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფას და ტარიფის შემცირებას. ერთდღიანი ვიზიტით მიღწეული შეთანხმებით, რუსეთის ენერგოჰოლდინგი, რომელმაც ამერიკული „ეი-ესისგან“ თბილისის „თელასის“ აქციების 75%, თბილისის „გრესის“ 300-მეგავატიანი ენერგობლოკი და ჰიდროელექტროსადგურები — „ხრამი-1“ და „ხრამი-2“ შეიძინა, საქართველოში მუშაობას 1-ელ სექტემბრიდან შეუდგება. მოსკოვიდან სამუშაო ჯგუფები უკვე ჩამოდიან, რათა შეამოწმონ შეძენილი ობიექტები და შეიმუშაონ ღონისძიებები, რომელიც საქართველოს ნორმალურად გამოზამთრების საშუალებას მისცემს. „რაოს“ წარმომადგენლები ამჟამად კადრების შერჩევის საკითხს წყვეტენ. ისინი არ გამორიცხავენ, რომ ახლა უკვე რუსეთის „თელასის“ ხელმძღვანელ მუშაკებს შორის ადგილობრივი სპეციალისტებიც აღმოჩნდებიან. ყოველ შემთხვევაში, ჰოლდინგის ხელმძღვანელობა არ აპირებს „თითოეულ საქალაქო ქვესადგურში მოსკოველი დისპეტჩერის დაყენებას“. საქართველოში საკუთარი სპეციალისტებიც საკმარისად ჰყავთ — ენერგეტიკაში 700 ათას ადამიანამდე მუშაობს. მიუხედავად ამისა, რუსი სპეციალისტები ქართულ ენერგოობიექტებზე მაინც იმუშავებენ, სად და რამდენი — ამას მუშაობის პროცესი აჩვენებს, — აცხადებენ ჰოლდინგის წარმომადგენლები. პარალელურად თბილისში კომპანია „იტერას“ სპეციალისტებიც მუშაობენ. საქართველოს სახელმწიფო კანცელარია ვარაუდობს, რომ „იტერა“ თბილგრესის ერთ-ერთ 140-მეგავატიან ბლოკს შეიძენს, ჯერჯერობით კი თბილისი გამწარებული ეძებს ფულს — უკვე მოხმარებული გაზის საფასურის, 708 ათასი დოლარის გადასახდელად. ამასობაში ყბადაღებული „რუსეთის ენერგეტიკული ექსპანსია“ კვლავ ქართველ პოლიტიკოსთა ყურადღების ცენტრშია. ისინი უტევენ შევარდნაძეს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შეცვლისა და მოსკოვის მიმართ გაუმართლებელი დათმობების გამო. შევარდნაძე კი ოპონენტებს პასუხობს, რომ ამ საქმეში პოლიტიკა არ ურევია და წმინდა ეკონომიკურ მიზნებს ისახავსო, მაგრამ ქვეყნის საპარლამენტო ოპოზიცია, რომელმაც უნდა განიხილოს ქართულ-რუსული შეთანხმება, ქვეყნის მეთაურთან ნამდვილი ბრძოლისთვის ემზადება.

***ნეზავისიმაია გაზეტა №179***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
30 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1125 |
| ევრო | 2,3058 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3390 |
| რუსული რუბლი | 0,0693 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5116 |

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი «მზიური» აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან IV-X კლასების მოსწავლეები
მის: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎ 29-48-61; 95-45-75; 91-03-17



— ბავშვობის ის პატარა მონაკვეთი, ყოველთვის გაუხუნარი რჩება...



— თუ 1-ელ ოქტომბერს დაიწყო სწავლა, ჩემი ჩაწყობილია

# — სექტემბერში გაგანია რთველია და დავიწყოთ რა, ოქტომბერში?

## მეც გავცქერ იმ დღეებს, გაფრენილს...

(დასაწყისი იხ. გვ. 4)

**ნინო ჩხეიძე,** მსახიობი: ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინ, 1932 წელს. მაშინ მიმიყვანეს პირველ კლასში. „ეს იყო არაჩვეულებრივი, შესანიშნავი დღე ჩემს ცხოვრებაში. დიდებული პედაგოგი, სარა საყვარელიძე მასწავლიდა. სკოლაში წასვლამდე, წინა საღამოს ისეთი ფაციფუცი გამიდიოდა, ახლაც რომ ვიხსენებ, ღიმილს ვერ ვიშორებ. ჩემს ჩითის კაბას თავს ვევლებოდი, ხან რას მივაკერებდი ზედ და ხანაც რას, რომ უფრო გამელამაზებინა. მაშინ ფორმები არ იყო. ეს კაბა მაინც ჩემთვის რაღაც განსაკუთრებული გახლდათ. მერე როდის-როდის ჩამეძინა და დილაუთენია ეზოში გავიქეცი, უამრავი ყვავილი დავკრიფე, რომ დიდი თაიგული შემეკრა. ზესტაფონში, ჩვენი სახლიდან სკოლამდე სამი კილომეტრი უნდა გაგვევლო. დედამ ხელი ჩამჭიდა და მეც საკუთარ თავში ძალიან თვითდაჯერებული სკოლის გზას დავადექი. იმ დღის შემდეგ დედა აღარ გამომყოლია. ჩემი პირველი მასწავლებელი უმშვენიერესი ქალბატონი გახლდათ. მისი ვაჟი, ჩემი თანატოლი და კლასელი, ლევიკო საყვარელიძე პირველივე დღიდან გაგიჟებით შემიყვარდა. კარგა ხანს გამყვა ეს სიყვარული. მერე ის დიდი კაცი გახდა. ჯანმრთელობის მინისტრი იყო. სამწუხაროდ, დღეს ცოცხალი აღარ არის. ასე რომ, ჩემს მოგონებებში ბავშვობის ის პატარა მონაკვეთი, ყოველთვის ცხადი და გაუხუნარი რჩება“.

**გივი ბერიკაშვილი,** მსახიობი: „ვერაზე ვცხოვრობდი და მე-3 ვაჟთა სკოლა ცხვირწინ მქონდა. სახლიდან გამოსული სულ იმ სკოლას „ვეჯახებოდი“. პირველ სექტემბერს სასწავლებლად რომ წავედი, რაღაც ახალი ხდება ჩემს ცხოვრებაში-მეთქი, ისეთი განცდა არ მქონია. მაშინაც და ახლაც წინააღმდეგი ვარ სწავლა პირველ სექტემბერს დაიწყოს. რატომო, მკითხავთ, ჰოდა, გიპასუხებთ. კომუნისტების დროს მოსკოვში სასწავლო წლის დაწყება პირველ სექტემბერს შემოიღეს, ჩვენც მაგათ მივეკედლეთ. იქ სექტემბერში უკვე გრილა, ჩვენთან? ჩვენთან ამ დროს გაგანია რთველია. სოფელში სწავლა რომ იწყებოდა, ბავშვებს ხან რთველში, ხანაც ვაშლის საკრეფად გაგვლალავდნენ ხოლმე, ამიტომ მოვითხოვ (იცინის), 1-ელი სექტემბერი 1-ელმა ოქტომბერმა შეცვალოს. მე ხომ არ ვამბობ, სწავლა ნოემბერში დაიწყოს მანდარინის კრეფა რომ იწყება. ერთი სიტყვით, დიდ ჩხუბს ვაპირებ, სადაც საჭიროა, უნდა ვიბრძოლო, რომ სწავლა ყოველ წელიწადს 1-ელ ოქტომბერს დაიწყოს. თუ ისე მოხდა, როგორც მე მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ეს ჩემი ჩაწყობილია“.

***ლია იაკობაშვილი***

ასლგადამღები აპარატები
ევროპიდან და იაპონიიდან
აღდგენილი და ახალი
1. იჯარა - ლიზინგი
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი

ქსეროასლები
შავ-თეთრი ნითელი ლურჯი
2-დან 5 თეთრამდე
ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი ქსეროასლები
კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით
საარჩევნო პლაკატების და ბუკლეტების
კომპიუტერული დიზაინი
ფოტოების მხატვრული გაფორმება, ბეჭდვა ნივთებზე, „ნაკლეიკები“ თქვენი ბავშვის ფოტოთი, ეტიკეტები, აკინძვა, ლამინირება
Web-დიზაინი

თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1,
მოზარდ-მაყურებელთა თეატრი,
ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“
Company LTD

„[illegible]“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი“ აწარმოებს

ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ფირმა „ლაზისი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად და ხარისხიანად ევროსტანდარტის პროფილით ესპანური სისტემის საკეტებით
ფერები — სხვადასხვა.
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან, სალაროების მხრიდან)
☎ 33-75-87; 899-18-66-15;
899-55-62-77; 34-52-93 (საღამოს)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ულვაში



ხევსურეთის ერთ უმშვენიერეს სოფელში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თითქმის მთელი შემოქმედებითი კოლექტივია მორიგ ექსპედიციაში. ისტორიულ ფილმს იღებდნენ. მასობრივ სცენებში იქაურებიც არიან დაკავებულნი.

მორიგი სცენა რომ გადაიღეს, გრიმიორმა სათითაოდ ჩამოუარა მსახიობებს და ოსტატურად დაიწყო მიწებებული ხელოვნური ულვაშების „ახევა“.

ერთი ხევსური შემცბარი უყურებდა ამ პროცესს. შეშინებულმა ჯერ ულვაშზე იტაცა ხელი და მერე ისე მოკურცხლა, სულ ზურგზე ირტყამდა ფეხებს.

## ნეტავი შემეძლოსო!..



გამოჩენილ ქართველ მომღერალს პაატა ბურჭულაძეს და თბილისის კოლორიტს, სასტუმრო „ივერიის“ დირექტორს, ვახტანგ ცხადაძეს ახლო მეგობრობა აკავშირებთ. პაატა რომ თბილისში ჩამოდის, იმ ღამეს აუცილებლად ქეიფობენ მეგობრებთან ერთად.

ერთხელაც რომ ჩამოვიდა მსოფლიოში ცნობილი ბანი და „ჩაუსხდნენ“, ლამის გათენებამდე მოუწიათ ქეიფი. მათი ქეიფი კი უსიმღეროდ როგორ იქნებოდა... ვახტანგი თავგადაკლული მღერის. პაატამ უთმინა, უთმინა და ბოლოს „გაუბედა“ შენიშვნა:

— ვახტანგ, ჩემს ხმაზე ნუ გადმოდიხარ!..

ისევ მღერიან:

— რამდენჯერ უნდა გითხრა — ჩემს ხმაზე ნუ გადმოდიხარ-მეთქი, — ისევ ბუზღუნებს პაატა.

ვახტანგმა ვეღარ მოითმინა:

— ჩემო პაატა, ნეტავი მართლა შენს ხმაზე გადმოსვლა შემეძლოს, თორემ ამ სასტუმროს დედაც... და აქ მომსვლელისაცო...

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## სუკის მწვადები



დაბა წაღვერში ცხოვრობს კოლორიტი — მალხაზ ლონღაძე, მეტსახელად ყველა ოჩობაიას ეძახის. ტიმოთესუბნის მონასტრის ტერიტორიაზე, ერთხელაც ტურისტების მოლოდინში უდგას მაყალი და წვავს მწვადებს. გამოჩნდა რუსი ტურისტებით სავსე ავტობუსიც (ოჩობაია საბჭოთა არმიაშია ნამსახურები და ასე თუ ისე „ახერხებს“ რუსი ქალების „შებმას“, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობდა). ტიმოთესუბნის მშვენიერებით მოხიბლული სამი გრძელფეხება ქერა ტურისტი ქალი ოჩობაიას მწვადებით დაინტერესდა და ისიც დაფაცურდა, მაგრამ რა დაფაცურდა... დიდი ამბით მიიპატიჟა ქალბატონები — კუშაიტე სუკი, კუშაიტე სუკიო (ე. ი. სუკის მწვადიო)... გაკვირვებული ტურისტები ერთმანეთს უყურებდნენ, რა უნდა ამ კაცს ჩვენგანო. ოჩობაია დაფიქრდა, ეტყობა, ეჭვი ეპარებათ, მართლა სუკის მწვადები რომ არისო და მთელი მონდომებით იმეორებდა — ნასტაიაშჩიე სუკი, ნასტაიაშჩიე სუკიო. რუსი ქალბატონები ცივად გაბრუნდნენ, თან დროდადრო გაოცებულები იხედებოდნენ უკან. ოჩობაია არანაკლებ გაკვირვებული დარჩა, რა ვუთხარი ახლა მე ისეთი ამ ქალბატონებსო!..

***ჯემალ ინასარიძე, წაღვერი***

## „დაშიფრული“ დეპეშა



ოთხმოცდაათიანი წლებია, როგორც ბევრმა სხვამ, ჩემმა მეზობელმა გივიმაც აიკრა გუდა-ნაბადი და მისი თქმით, საზღვარგარეთს მიაშურა.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ოჯახმა მის ასავალ-დასავალს ვერ მიაკვლია და ის-ის იყო, დალუპულად უნდა ჩაეთვალათ, რომ რუსეთის ერთ-ერთი ქალაქიდან ზუსტად მაშინ მოუვიდათ უცნაური შინაარსის დეპეშა, — „ნე ლეჟუ, ნე სტაიუ“ — იტყობინებოდა გივი.

ვერც მშობლებმა, ვერც ნათესავ-მეზობლებმა დეპეშას ვერაფერი გაუგეს და ბოლოს დახმარებისათვის მეზობელ სომეხს მიაკითხეს, რუსეთის ამბები შენზე კარგად ვის ეცოდინება — ეგება შენ მაინც „გაგვიშიფრო“ დეპეშაო.

ჟორამ წაიკითხა დეპეშა, გაეცინა და, — ზნაჩიტ სიდიტო!.. — გამოიტანა კომპეტენტური დასკვნა.

***გიგიბარი, ხაშური***

## შაქრო და შლაპა



შაქრომ მოდური შლაპა შეიძინა. შინ დაბრუნებულმა მეუღლეს შესჩივლა:

— თამრო, ვინც კი შლაპაზე შემხედავდა, ყველა იცინოდა, მაგრე არ მიხდება?

— როგო არ გიხდება, მაგრამა აი, ამსიგრძე იარლიყიანი რო გახურამს!.

## მუსიკალური თერაპია



— მიხამ იგეთი ნაზი საგალობელი დაწერა, მოსმენისთანავე ჩაგეძინება!

— სთხოვე, თუ ძმა ხარ, იგეთი დაწეროი, დაძინებულმა კაცმა რო ვეღარ გაიღვიძოი.

— რას ამბობ, ჯო, თავი მოკვლა გადაიწყვიტე?

— არა, ერთი პოლიტიკოსისთვინ მინდა!..

## თხა თხაზე ნაკლები...



— მიხო, ანკეტაში რო დაგიწერნია, დაბადების ადგილი გურჯაანეს-აირესიო, ეგ საიდან მაიგონე, ჰა?

— დუბაის სასტუმროში, ზოგი ბუენოს-აირესსა სწერამდა, ზოგი ლოს-ანჯელესსა, ზოგიც ათას დარდუბალასა, მე რა, იმათზე ნაკლები ვიყავ, რო?

***ბაკურ ბაქრაძე, თბილისი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ნარკომანი პარკში მიბარბაცებს. ხეებს ეჯახება. ყოველ დაჯახებაზე ბოდიშს იხდის.

— ვა, მიტინგია?! — თქვა ბოლოს გაკვირვებულმა.

***გოჩა ფაჩუაშვილი, ქუთაისი***



ერთი სვანი ეკითხება მეორეს:

— მილიონს რამდენი ნული უნდა?

— რამდენი და ექვსი!

— ორ მილიონს?

— მაგას რაღა კითხვა უნდა, თორმეტი!

***თამაზ ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი***



— ექიმო, თუ კაცი ხარ, მითხარი რა მჭირს, ოღონდ ლათინურად კი არა, ქართულად! — სთხოვს ჭიჭიკია ექიმს.

ყურადღებით გასინჯვის შემდეგ ექიმი ასკვნის:

— ქართულად უსაქმურობა გჭირს, თანაც მაგარი ლოთი ხარ!

— აგაშენა ღმერთმა! ახლა ეგ ყველაფერი ბიულეტენში ლათინურად ჩაწერე!..

***ჯანსულ ბოჭორიშვილი, ქუთაისი***



საგიჟეთში გამოცდები ჩაატარეს. ვინც კარგად უპასუხებდა, შინ გაუშვებდნენ.

არითმეტიკაში იყო გამოცდა. ერთს ჰკითხეს: — 6 X 6-ზე რამდენიაო. 595 — იყო პასუხი. მეორეს ჰკითხეს — 9 X 5-ზე თუ იცი, რამდენი იქნებაო. სამშაბათიო — დაუფიქრებლად უპასუხა. მესამეს შედარებით იოლი კითხვა დაუსვეს, იქნებ გავუშვათო — 2 X 3-ზე რამდენიაო. ხუთიო — უპასუხა იმანაც არხეინად. ყოჩაღო, მოუწონეს, ახლოს ხარ პასუხთან, მაგრამ ბარემ ისიც გვითხარი, როგორ ამოხსენიო. როგორ და 595 გავყავი სამშაბათზე და მივიღე 5-იო...

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ფელეტონებს და იუმორესკებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

სვანი ფოტოატელიეში შედის და ფირი მიაქვს. ფოტოგრაფიართმევს და ეუბნება, გავამჟღავნებ და ორ საათში მზად იქნებაო.

— არ უნდა გამჟღავნება, პირდაპირ დაბეჭდეო! — აღშფოთდა სვანი.

***ნესტან, თბილისი***

## მოლოცვა

**მანანა დავითაიას და რევაზ ხაბეიშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ სიყვარულს, სიხარულს და აკვანთსიმრავლეს. დაე, მუდამ სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ოჯახის მეგზური.

*ნონა პერტენავა*

უმშვენიერეს და ბედნიერ ცოლ-ქმარს

**ნოდარ და ნათელა ჩიტაშვილებს**

გილოცავთ დაბადების საიუბილეო და თანაცხოვრების ლამაზ წლებს. თქვენი არსებობა ციური მადლია, ნამოღვაწარი „პატარა“ გორში ხელიხელ საგოგმანები.ნოდარი მშენებელი, ნათელა მასწავლებელი თქვენ მარტო ამის არასდროის შემოფარგლულხართ ირგვლივმყოფთ, ახლობლებს სამშობლოს — ფაქიზი სიყვარულით და ძლიერი მორალით მოძღვრავთ.ულამაზეს შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ!

*როლანდი გულიკო ჩხეტიანები*

## მადლობა

თეონა იაგორაშვილს ბავშვობაში მიღებული ტრავმის შედეგად განუვითარდა სკოლიოზი. 5 წლის მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. 15 წლის გოგონას მხსნელად მოევლინა ოთარ ღუდუშაურის სახ. ეროვნული ცენტრის ტრავმატოლოგიის საავადმყოფოს მედპერსონალი: ირაკლი კარბელაშვილი, ნიკა თევდორაშვილი, ბადურ ზედლიცკი, ლევან თავბერიძე, ნინო გამცემლიძე, ტარიელ ნიშნიანიძე. ხერხემლის ვერტებორორგის ბატონ ზაზა აზმაიფარაშვილის მიერ გაკეთებულმა უნიკალურმა ოპერაციამ სასწაული მოახდინა — გოგონა გამოჯანმრთელდა! მადლობა ყველას, ვინც მხარში ამოგვიდგა, უპირველესად, ჯანმრთელობის სამინისტროს, დიდუბის რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილებას და რა თქმა უნდა, ზაზა აზმაიფარაშვილს და მის გუნდს. ღმერთი შეგეწიოთ.

*ვალიდა კიკოლაშვილი, თეთრიწყარო*

**ნინიკო ყურაშვილს**

ჩემო საყვარელო, ჩემო ჭკვიანო გოგო, გილოცავ სტუდენტობას, სულ ბედნიერად და სიკეთით გევლოს. სალომე

## ბინები

1-ოთახიანი სუფთა ბინა მუდმივი ელდენითა და წყლით, 3(4), მ. „სამგორთან“. მის. მეველის ქ. №11, ბ. 20. ფასი 3500$. ტ: 893-92-24-19 თამაზი

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არატიპური, კუთხის ბინა ლოჯიით, აივნებით, ბ/აირით, ტელეფონით, დოლიძის ქუჩაზე, 26-ე კორპ. ფასი $25.000 ტელ: 69-69-35. ნანა

იყიდება ან იცვლება ჯიპის ტიპის ავტომანქანაზე სახლკარი ფოთში — 2-სართულიანი სახლი, მდ. კაპარჭინის პირას, მალთაყვაში, მარცხნიდან 100 მეტრში ესაზღვრება პალიასტომის ტბა, მარჯვნივ კი, 1 კილომეტრში შავი ზღვა. ეზო — 3000 კვმ. განაშენიანებული (საინტერესოა ნადირობისა და თევზაობის მოყვარულთათვის). ტელ: 899 55-43-17; 899 71-55-30

## ქირავდება

უცხოელებზე, ვაკის პარკთან ახლოს, აბაშიძეზე, 3-ოთახიანი ბინა ორი საძინებლით, დიდი ლოჯიით, ზალით, ავეჯით, ტელეფონით, კონდიციონერით, იტალიური გათბობით, თერმექსით, ახალი ევრორემონტით, საკუთარი კაპ. ა/ფარეხით. შესაძლებელია გრძელვადიანი კონტრაქტიც. ფასი 1000$. ტ: 23-24-67

## სამუშაო

ყურადღება! ამერიკულ-უნგრულმა კომპანიამ ამა წლის 1 ივლისიდან დაიწყო ამიერკავკასიის ბაზარზე საქმიანობა. გვესაჭიროება ბიზნეს-პარტნიორები, როგორც თბილისიდან, ასევე სხვა ქალაქებიდან. ტ: 877 71-69-35; მერაბი 37-86-15 (ოფისი)

გვჭირდება განათლებული ადამიანები ოფისში სათანამშრომლოდ. სამუშაო კონტრაქტითაა. მსოფლიოში საუკეთესო მუშაკებს, შანსი ეძლევათ ყოველ 3 თვეში უფასოდ წასვლისა საზღვარგარეთ, სამუშაოდ ან სტაჟირებით (კომპანიის პროფილით). გამომუშავება — ყოველდღიური, თვეში — საშუალოდ 300-600 ლარი. მიმდინარეობს შერჩევა. ფირმის საერთაშორისო მენეჯერი ბ-ნი დავითი. მის. „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი №6. ტ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94; 899 90-54-78

## მომსახურება

სხეულის კორექცია უნიკალური მცენარეული არაჰორმონალური საშუალებებით: წონაში დაკლება დიეტისა და შიმშილობის გარეშე, ორგანიზმის გაწმენდის, იმუნური სისტემის აღდგენის, ნივთიერებათა ცვლისა და ნერვული ფონის მოწესრიგების ხარჯზე; სიმაღლეში ზრდა 5-10სმ-ით გოგონებისა და ვაჟებისთვის, 25 წლამდე. ტ: 95-33-47

> ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ — 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ჭარბთმიანობისაგან განკურნება მხოლოდ ერთხელ გაკეთებული ეპილაციის შედეგად. ასეთი აპარატურით ვმუშაობთ მხოლოდ ჩვენ! შედეგის არქონის შემთხვევაში (რაც არ ხდება), გადახდილი თანხა დაგიბრუნდებათ. მოგვმართეთ სახეზე ყოველგვარი ჩირქოვანი გამონაყარის დროს. მიღება ყოველთვე, 1-10 რიცხვამდე ქუთაისში, 10-30 რიცხვამდე — თბილისში. ტელ: 893 31-05-49. ლალი

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

## ტურიზმი

დასვენება ქობულეთში. ხავერდოვანი სეზონი. 10 დღე 80 ლარიდან 3-ჯერადი კვებით კაფეში (შედის ღირებულებაში) და საცხოვრებელი ადგილით სხვადასხვა პირობებით. ჯგუფებზე და ბავშვებზე — შეღავათები. მის. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 113-115 (ეზოს სიღრმეში სამკურნალო ცენტრი). კაბ. 31 ცისანა სუმბაძე ტელ: 91-18-38 (სამსახური), 877-41-86-16 69-18-38 (სახლი)

## მკურნალობა

უცხოური უახლესი მეთოდებით, უცხოური აპარატურით და ჩინური ნემსებით, ყველა ასაკში სწრაფი შედეგებით — სრული გარანტიით აღვიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს — ენაბორძიკობას, ლოგონევროზს, ნევროზს, ფსიქოლოგიურ აშლილობებს, ენაჩლუნგობას (ტლიფინებს), პარეზებს, დცპ-ს — თბილისში — მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული ექიმი-ლოგოპედი, თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი ქ-ნი ინა კომახიძე. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

## ვასწავლი

გამოცდილი ფიზიკა-მათემატიკოსები მოვამზადებთ აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს მათემატიკურ საგნებში ან დავეხმარებით სკოლის საგნების მომზადებაში, მაღალი ნიშნის გარანტიით. ტ: 34-95-80 (დღე) ქეთინო; 39-08-42 (მთელი დღე)

გამოცდილი სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი, აბიტურიენტებს მოამზადებს ისტორიაში შეღავათიანი პირობებით. ტ. 22-78-56

შევასწავლი თურქულ ენას. ტ. 39-77-81 მარინა

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

> თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. ეკონომიკური; 3. უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები ჩაირიცხებიან მე-3 კურსზე. ფასი 150 ლარიდან. მის: თოფურიას №12, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 30-51-30; 32-06-97; 32-82-60

## იყიდება

სასწრაფოდ 40 კვმ მიწის ნაკვეთის პროექტით და მშენებლობის ნებართვით ქ. თბილისში დიღმის მასივის მე-V კვარტალში, ხეივანთან, გზის პირას. მობ. 899-94-11-94

ვყიდი 1600 კვმ მიწის ნაკვეთს სახლით. კაპიტალურად შემოღობილი, ხეხილიანი ეზოთი, ტალავერით, დენით, წყლით უზრუნველყოფილი. გამოდგება როგორც საცხოვრებლად, ისე კომერციული მიზნით. რესტორან „უშბასთან“. ტრასიდან 15-20 მეტრი დაშორებით. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. კვმ ფასი 23$. ტ. 899-24-38-01

ავტოგასამართი სადგური, 3000 კვმ მიწის ფართობით. აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კმ-ზე. ტელ: 899 55-43-17; 899 71-55-30

## სხვადასხვა

**მკითხველთა საყურადღებოდ!**

16 აგვისტოს, მეტრო „რუსთაველის“ ამოსასვლელთან მდებარე ფოტომომსახურების მაღაზიაში ერთ-ერთმა მოქალაქემ შეცდომით წაიღო კონვერტი, რომელშიც იდო ორი ფოტოფირი. კონვერტზე ეწერა „ნესტანი“. მპოვნელს ვთხოვთ, დააბრუნოს აღნიშნული ფირი იმავე მაღაზიაში ან დარეკოს: 33-39-54.

## ხსოვნა



**მაია იაშას ასული ჯანგავაძე**

გვიჭირს საუბარი წარსულ დროში ისეთ ლამაზ, გულთბილ და მოსიყვარულე ადამიანზე, როგორიც შენ იყავი ძვირფასო მაიკო. სულით ხორცამდე მოყვასისთვის დახარჯული მადლით და პატიოსნებით წარსდექი უფლის წინაშე. 1999 წლის 9 სექტემბერს ქ. მოსკოვში მომხდარმა ტერორისტულმა აფეთქებამ მოგისწრაფა სიცოცხლე. უმძიმესი განაჩენია უშენოდ შევხვდეთ 4 სექტემბერს, შენს მე-4 დაბადების დღეს. დარჩენილი ჩვენი დღეები უშენოდ ულაზათოდ გრძელდება. გულში დიდი ტკივილი და ჭრილობა დაგვიტოვე. მაიკო, ვერაფრით ვინუგეშებთ თავს, ვერც გამწარებულ მშობლებს ვუმსუბუქებთ სასოწარკვეთილებამდე მისულ მწუხარებას — ეს შეუძლებელია! — შენ ისეთი ტკივილი ხარ — ხსნას მხოლოდ ლოცვაში და უფლის რწმენაში ვეძებთ, რადგან გვჯერა, ზეცაში დამკვიდრებული შენი ლამაზი სული მარადიული და უკვდავია. ამქვეყნად დარჩენილი შენი ხსოვნა კი თითოეული ჩვენგანისთვის ყველაზე ძვირფასია და მას დავიწყება არ უწერია. ცაში იფარფატე ჩვენო ლამაზო ფერიავ, სიზმრად მოგვევლინე და ისევ შენ დაგვიმშვიდე შენი განშორებით აბობოქრებული ჩვენი სულები.

*ოჯახი*

**ბესო გაბედავას მონატრება!**

ჩვენო საყვარელო ბესო. ორი წელი გახდება 5 სექტემბერს, შენი უკანასკნელი ამოსუნთქვიდან, მწარე და გაუსაძლისია უშენობა, ძნელია იმაზე ფიქრი, რომ აღარასოდეს შემოაღებ კარს და შენს თბილ, ღიმილიან სახეს ვეღარ ვნახავთ შენი სიცოცხლის მანძილზე, მხოლოდ სიყვარული თესე, დიდმა სიყვარულმა დიდი მონატრება იცისო, მართლაც ყველას გვენატრები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*ნოდარ ბეჭვაიას ოჯახი*



**ოთარ სამადაშვილის მონატრება**

ჩვენო საყვარელო ოთარ! 2 სექტემბერს შენი დაბადების დღეა. პირველი წელია უშენოდ რომ ვხვდებით. შენს საფლავთან მოვალთ, ავანთებთ სანთლებს და მოგილოცავთ დაბადების დღეს. შენს ოჯახში უშენობამ დაისადგურა. ვეფერებით შენს სურათებს და ცრემლის ზღვაში ვიძირებით. მაშინ შეწყდა შენი გულის ცემა, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდი შენს ცოლ-შვილს და ახლობლებს. ყოველთვის ჩვენი იმედი იყავი. გამორჩეული კაცი იყავი ყველაფერში. უფალმაც გამოგარჩია, ცხოვრებას მოწყურებული იყავი, მაგრამ სიკვდილმა დაგვამარცხა. ძნელია იმის შეგუება, რასაც უშენობა ჰქვია. რა ვქნა ჩემო ძმაო ოთარ, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი. შენს მონატრებაში უნდა გავლიო დარჩენილი წუთისოფელი. გვენატრება შენი ხმის გაგონება, შენი დანახვა, ალალი გულის პატრონო სიზმრად მაინც დამენახვე. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალია, მაგრამ იმ ტკივილს, იმ სიცარიელეს, რაც შენი წასვლით დაგვიტოვე, ვერავინ შეავსებს. ძალიან გვენატრები ყველას.. რამდენი აუხდენელი ოცნება დაგრჩა გულში. უფალს ვთხოვ, მანდ, ზეციურ სასუფეველში ეღირსოს ასრულება შენს ლამაზ ოცნებებს. მჯერა, რომ სასუფეველში იქნება შენი სპეტაკი, ლამაზი სული. ღმერთს ვთხოვ, შეისმინოს ჩემი ლოცვა-ვედრება და ზიარებით წასულს ამ ქვეყნიდან გაგიბრწყინოს სული ცათა სასუფეველში.

*შენი ციური*

**გურამ ფირცხალაიშვილის ხსოვნას**



ოთხი წელი იწურება, გურამ, ოთხი ტკივილიანი წელი, რაც ჩვენთან აღარა ხარ. რა ხანმოკლე აღმოჩნდა შენთვის ეს წუთისოფელი და ამ მოკლე დროში რამდენი სიკეთე, სიყვარული, კაცობა დათესე ირგვლივ.

შენ აღარა ხარ ჩვენთან, მაგრამ შენი სიცოცხლე გრძელდება, ძვირფასო. გრძელდება სოფიკოში, გურამიკოში და მიშიკოში.

ძალიან გვენატრები, გურამ. გაუსაძლისია უშენობა, თურმე შენით გვიხაროდა სიცოცხლე და ყველაფერი.

გილოცავ 5 სექტემბერს, დაბადების დღეს, მჯერა, ნათელში იქნება შენი ლამაზი სული.

*შენი ნუნუ, კახა, ზაზა*

**თემო ჟორჟოლიანის მონატრება**



პირველი კლასიკური გიმნაზიის VI კლასში უნდა წასულიყავი 2003 წლის პირველ სექტემბერს, მაგრამ ვაი ასეთ სექტემბერს, რომელიც უშენოდ გათენდა ჩვენო ლამაზო, ჭკვიანო, საყვარელო, ძვირფასო სანატრელო თემო. მე შენი ბებო VI კლასის წიგნით შენს სამუდამო სასუფეველში მოვედი, სადაც შენ მეგულები საყვარელო.

გატანჯული, ცრემლიანი თვალებით ყველა პატარაში შენ გეძებთ ჩვენო ძვირფასო თემო. გვწამს, რომ უფალმა სასუფეველში რჩეულთა შორის დაგიმკვიდრა სამუდამო სავანე, ჩვენ კი შენს საფლავს არ მოვაკლებთ ყვავილებს და წმინდა სანთლებს, რათა უფრო გაბრწყინდეს სასუფეველში შენი სპეტაკი სული.

*ირინა თეიმურაზ ჟორჟოლიანები*

**იური ჭითაშვილი**



ორი წლის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა იური ჭითაშვილი. ხობის რაიონის ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა. წავიდა უჩუმრად, უხმოდ, თითქოს, როგორც ყოველთვის, სხვის შეწუხებას მოერიდაო, ძილში მშვიდად დატოვა წუთისოფელი.

მისი ახლობლებივით აგვაფორიაქა და დაგვამწუხრა მისმა გარდაცვალებამ, რადგან მისმა სამსახურმა უკვე რამდენიმე თვეა ჩვენს შენობაში დაიდო ბინა. ბატონი იური დიდი მოკრძალებით გვხვდებოდა და გვესაუბრებოდა ხოლმე. კვირის ბოლოს ერთადერთი ვაჟის ქორწილისთვის ემზადებოდა. მიპატიჟების მოლოდინში ვიყავით და ვაგლახ, არ დასცალდა, ახალმოყვანილ რძალს მოფერებოდა, მისით გაეხარა... იური ჭითაშვილი ინჟინერ-მექანიზატორი იყო და წლების განმავლობაში სამელიორაციო მექანიზაციის სამმართველოში მუშაობდა, სადაც ზეინკლის მოწაფედ დაიწყო მუშაობა და შემდგომ მთავარი ინჟინრის, საწარმოო-საგეგმო განყოფილების უფროსის თანამდებობა ეჭირა.

ბოლო დროს ბატონი იური საქართველოს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხობის რაიონული განყოფილების უფროსი გახლდათ. ჩუმი, უპრეტენზიო, განათლებული — ასე დაამახსოვრდებათ იგი ხობელებს და არა მარტო მათ. იური ჭითაშვილი დააკლდება ყველას როგორც კარგი მამა, მეუღლე, მეზობელი და ახლობელი. ჩვენ კი დიდხანს მოვისაკლისებთ ბატონ იურის, მასთან საუბარს, მის ღიმილს..

60 წლის იუბილეს მოლოცვას და ნარკვევის დაწერას ვაპირებდით, განგებამ არ დაგვაცალა. იგი 59 წლისა წავიდა ამქვეყნიდან. მსუბუქი იყოს მისთვის მიწა, რომელიც გულზე დაეყრება, სამუდამო სასუფეველი მის სულს.

*გაზეთ „სამეგრელოს“ რედაქციელები*

**ჭითაშვილი იური**

ორი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ, იურა ბიძია. ერთ კვირაში შენი ლადოს ქორწილი უნდა ყოფილიყო. როგორ გიხაროდა და როგორ ელოდი ამ დღეს და ვაგლახ, რომ ვერ მოესწარი.

ძალიან გვენატრები ყველას და გვაკლიხარ შენს ოჯახს, და-ძმებს, ახლობლებს. მშვიდად იძინე საყვარელო იურა ბიძია!

*შენი საყვარელი და და დისშვილები ნინო და ნანა.*

**ხვიჩა ცხადაია**



1 სექტემბერი შენი დაბადების დღე დედიკო, 29 წელი შეგისრულდებოდა. 19 წლისა წახვედი ჩვენგან ჩემო ტკბილო, ლამაზო ბიჭო, ძალიან გვენატრები დედ-მამას, დას, რომელიც ვაჟკაცურად მხარში გვიდგას.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილო 19 წლის ბიჭო, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მხოლოდ შენს ლამაზ, ნათელ სულს სანთლები ავუნთოთ. ხვიჩიკო, ძალიან გვენატრები.

*ოჯახი*

**ნელი ორკოდაშვილის გახსენება**



ჩვენო საყვარელო ნელი! ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. მოყვასის კეთილდღეობისათვის უშურველად მზრუნავს, საკუთარი თავი დაგრჩა ყურადღების გარეშე; შედეგმაც არ დააყოვნა. ზეადამიანური ძალით ებრძოდი უკურნებელ სენს, რომლის გასაღებიც ჯერ კაცობრიობას ვერ მოუძებნია.

გაუსაძლისია ჩვენი ტკივილი, შენი მოხუცი მამის ტკივილი. უყურო მის ჩამქრალ თვალებს და სანუგეშოდ არაფრის თქმა არ შეგეძლოს. ძალიან გვიყვარხარ, გვაკლიხარ და უსასრულოდ გვენატრები.

უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ოჯახი*

**გიგა ჭანტურიას მონატრება**



გაუნელებელი ტკივილით გავიდა 40 დღე, ჩვენო სიამაყევ და დიდო იმედო. 24 წლისა წახვედი და თან გაიყოლე უამრავი აუხდენელი ოცნება, მოუშუშებელი ტკივილი დაუტოვე შენს უბედურ მშობლებს, ვერაფრით ივსებენ სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია. გაუსაძლისად გვენატრები და გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი. შენგან დატოვებულ სითბოსა და სიყვარულის ვერაფერი წაშლის.

რჩეულები მიჰყავსო თავისთან უფალს — ჭეშმარიტი ნათქვამია. ჩვენ კი დაგინთებთ წმინდა სანთლებს, რათა უფრო გაბრწყინდეს სასუფეველში შენი სპეტაკი სული.

*შენი მამიდაშვილები*

**თემურ ფიფიას მონატრება**



ორმოცი ტკივილიანი დღეა, რაც ეს ქვეყანა დატოვე, დატოვე და სიკეთით სავსე კაცის სახელი დაგრჩა. თბილის იყავი ყველას მიმართ, დიდსულოვანი და მიმტევებელი, სათნოების, ადამიანური სიკეთითა და გულუხვობით დაჯილდოებული.

ჩვენ გვჯერა როგორი კეთილი და სამართლიანი იყავი ცხოვრებაში, ასეთივე ადგილი გექნება სამუდამო სასუფეველშიც. მსუბუქი ყოფილიყოს მშობლიური ზუგდიდის მიწა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და ლამაზი სული.

*მამია გეგეჭკორის ოჯახი*

**გვენატრები, ლევან!**



ჩვენო კეთილო, ლამაზო ბიჭო! 6 სექტემბერს ერთი წელი ხდება, რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ. სევდით, ტკივილით, უსაშველო მონატრების განცდით სავსე ერთი წელი. ლევან! გაუსაძლისია უშენობა. დრო მონატრებას კიდევ უფრო ამძაფრებს. შენ ხომ ჯერ მხოლოდ ცხრამეტი წლისა ხარ. ჩვენს ხსოვნაში მზეჭაბუკისმაგვარ ვაჟკაცად, უკეთილშობილეს ჭაბუკად არსებობ. არსებობ მოუშუშებელ ჭრილობად და მარადიული სიკეთის სიმბოლოდ. შენ ხომ ამშვენებდი შენს სამოს, არაჩვეულებრივი, ვაჟკაცური გარეგნობით, კარგი ქართულით, საოცრად გულწრფელი საკუთარი ლექსებით. საქართველო შენთვის „სიყვარულის თაიგული“ იყო. რა ძალა გაწერინებდა სიკვდილზე. რას გვიბარებდი: „თქვენს განშორებას გული ვერ იტანს, ეს კარგად იცით, ჩემო და-ძმებო, მხოლოდ ამას გთხოვთ, მოინახულეთ ჩემი საფლავი, ჩემო კარგებო!“

სულიდან გამოჟონილი წამლეკავი ტკივილი დაუამებლად რჩება, რომელიც შენი სითბოთი, შენი სიყვარულიანი გამოხედვით, გადამდები სიცილითა და იმ სიკეთითაა სავსე, ყველასადმი რომ იჩენდი განურჩევლად. მივდივართ შენს საფლავთან და იქ შენი ღიმილიანი სურათები გვხვდება. ვანთებთ სანთლებს და მის შუქზე შენს ღიმილიან სახეს ვხედავთ... თითქოს იმ ღიმილით გვამშვიდებ, გვეხმარები, რომ ცოტა ხანს კიდევ ვიცოცხლოთ შენი ლამაზი სულის მოსახსენებლად. შენი ხსოვნა კი მეგობრის ლექსებში განივთდა:

„მუხანათურად მოქნეულ დანას,/ თითქოს ემსხვერპლა მთელი ქვეყანა./ ერთი ლამაზი ბიჭის სიცოცხლე/ გაფრინდა უკანმოუხედავად...

ან

„ერთი წელია მას შემდეგ, ლევან!.../ ყველას გვაკლიხართ, — ხუმარა ანცი,/ თანაც, საოცრად თბილი და მშვიდი,/ რატომ წახვედი, რად მიგვატოვე,/ რად დაგვიტოვე ტკივილი დიდი?!“

იცი, ლევან, შენს საფლავზე თოთხმეტი წლის გოგონას წერილი ვიპოვეთ, რომელსაც უკვე ოთხი წელია ყვარებიხარ, გულწრფელი და ლამაზი წერილი. ვეფერებით იმ მარადისობას, რომლის ბინადრადაც გვეგულები. უფალს ვავედრებთ შენს ვაჟკაცურ, ლამაზ სულს, მაგრამ მონატრებას, უსაშველო მონატრებას ვეღარ ვუძლებთ.

*ოჯახი*

**ზაზა კირვალიძის გახსენება**



ჩემო სიხარულო, ჩემო სევდავ და ტკივილო, ჩემო ზაზუკი. ცრემლებით სავსე ორი წელი მიილია უშენოდ. მენატრები უსაზღვროდ. დაგეძებ, მაგრამ ამაოდ. ჩემო ერთადერთო ძამიკო. ხომ მიღალატე და დამტოვე მარტო ტკივილით სავსე ქვეყანაზე. დილა სიხარულო, შენი ნათელი სვით იწყება ჩემთვის, ღამე კიდევ უძირო სევდით და ფიქრით იწურება. მიჭირს ძამიკო უშენოდ! რითი ვანუგეშო დედიკო, მამიკო, შენი თაკო და ანუკი. ყველას იმედი ხომ შენ იყავი, ჩემო ტკბილო ძამიკო. შენ ყოველთვის ჩემს გვერდით იქნები, შენი ხატება ყოველთვის მე დამყვება, ჩემი ტკივილი კი ჩემს გულში იქნება ყოველთვის, ჩემო სიხარულო!. მიყვარხარ და მენატრები, მენატრები, მენატრები...

ნათელში მიმყოფოს ღმერთმა შენი ლამაზი სული. ჩვენ კიდევ აქედან ვილოცებთ შენთვის, ჩემო ჩამქრალო იმედო.

*შენი დაიკო*

**გიორგი (გია) კვატაშიძის მონატრება**



4 სექტემბერს მოვალთ შენს საფლავთან, ცრემლითა და ყვავილებით, ავანთებთ 34 სანთელს, მოგილოცავთ დაბადების დღეს. მოულოდნელი და შემზარავი იყო შენი ტრაგიკული სიკვდილი. ყველგან შენ დაგეძებთ, ყველგან შენ კეთილშობილებას ვეძებთ, ჩვენო გაუნელებელო ტკივილო. ტკივილი, რომელსაც დრო ვერასოდეს განკურნავს. მონატრებით, სიყვარულით ვგოდებ უბედური დედა — რატომ, რისთვის? ვინ? ტრაგიკულად წახვედი და თან წაიყოლე უზომო სევდა, მონატრება, სიყვარული (დედას ვერ აკმაყოფილებს ფიქრებში შენთან ყოფნა, სახლში სურათებთან ლაპარაკი და საფლავის ქვაზე ნახატი სურათი. შეუძლებელია დედის ტკივილის ფურცლებზე გადატანა). რამდენის ატანა შეუძლია ადამიანს. ტკბილ-მწარე ყოფილა წუთისოფელი. შვილო, უფალი მიუზღავს ყველას თავისას, შენ კი ჩვენო კეთილო, მხიარულო, გვჯერა, რომ იმ ქვეყნად ნათელში დაიმკვიდრებ სასუფეველს.

*შენი გამწარებული მშობლები*

**სულიკო ქურდაძის გახსენება**



ჩემო სულის მეგობარო, მიიწურა ცხრა ტკივილიანი წელიწადი. 4 სექტემბერს 67 წელი უნდა მოგველოცა. წლებმა ვერ გაანელა შენი მონატრების სურვილი. დაგვიტოვე უსაზღვრო ტკივილი და მონატრება, ძალიან გვენატრები. წმინდა სანთლებით მოვალთ შენს საფლავზე და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*შენი საყვარელი ოჯახი*

> და ლიდა მამისწარაშვილი, ბიძაშვილები — მამისწარაშვილები და მამულაშვილები, დეიდაშვილები — ღონიკაშვილები და დავითაშვილები, მამიდაშვილები დაღელაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
>
> **ლუბა ზაქარიას ასული მამისწარაშვილი**
>
> პანაშვიდი: 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს, 16 საათზე;
>
> დაკრძალვა: სამშაბათს 2 სექტემბერს, 15 საათზე. მის. ა. წერეთლის გამზ. III კორპ. ბინა № 49.



# მამაჩემი ელენა ბონერმა მოკლა! — ამბობს წყალბადის ბომბის შემქმნელის, აკადემიკოს ანდრეი სახაროვის ვაჟი

**— თქვენ აკადემიკოს სახაროვის ვაჟის ნახვა გსურთ? ის აშშ-ში, ქალაქ ბოსტონში ცხოვრობს და მას ალექსეი სემიონოვი ჰქვია, — მწარედ გაიხუმრა დმიტრი სახაროვმა, — სინამდვილეში კი ალექსეი ელენა ბონერის ვაჟია. ბონერი დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ შეირთო მამამ. თითქმის 30 წელია, ალექსეი ყველა ინტერვიუში თავს აკადემიკოს სახაროვის შვილად აღიარებს, მის დასაცავად ხმას იმაღლებდნენ დასავლეთის რადიოსადგურები, მე კი ცოცხალი მამის ხელში ობოლი ვიყავი და ვოცნებობდი, ნეტავ მამამ ცოტაოდენი დრო მაინც დამითმოს-მეთქი. მაგრამ გვერდით მონსტრი ჰყავდა, ელენა ბონერი და ამის საშუალებას არ აძლევდა.**

დმიტრი სახაროვი მთელი სიცოცხლე ცდილობდა გაერკვია, რატომ გაუცივდა მამას გული შვილების — დმიტრის, ტატიანასა და ლუბას მიმართ ელენა ბონერის ცოლად შერთვის შემდეგ. მოგონებებში აკადემიკოსი სახაროვი გერებზე უფრო მეტს ლაპარაკობდა, ვინემ ღვიძლ შვილებზე.

როცა სახაროვმა ბონერი შეირთო, დმიტრი 15 წლისა იყო. მას დედა უფროსმა დამ, 23 წლის ლუბამ შეუცვალა, მამა კი საცხოვრებლად ახალ ცოლთან გადასახლდა. დმიტრი იშვიათად მიდიოდა მამასთან, რადგან ცხადად გრძნობდა, როგორ სძულდა ბონერს.

სახაროვი შვილებს მატერიალურად ეხმარებოდა, თვეში 150 მანეთს უგზავნიდა ფოსტით. როგორც ჩანს, გადახდის ეს სისტემა მას ბონერმა უკარნახა. როცა ბიჭს 18 წელი შეუსრულდა, იმ დღიდან მამისგან კაპიკი არ მიუღია და ეს მაშინ, როცა ბონერის შვილები მშვენივრად სარგებლობდნენ და დღესაც სარგებლობენ სახაროვის სახელითა და ქონებით.

დმიტრის სწყინდა მამის ასეთი დამოკიდებულება, მისი არ ესმოდა, მაგრამ როცა წამოიზარდა, ამისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, მამა უყვარდა, მისით ამაყობდა, თუმცა ერთხელ უხერხულობის გრძნობა დაეუფლა, როცა გორკიში გადასახლებულმა მისმა სახელოვანმა მამამ შიმშილობა მხოლოდ იმის გამო გამოაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა საზღვარგარეთ გამგზავრების ვიზას არ აძლევდა ბონერის ვაჟის ცოლს, ლიზას.

— იმ დღეებში მამასთან ჩავედი. მინდოდა დამერწმუნებინა, რომ სწორად არ იქცეოდა. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როცა დავინახე შიმშილით დასუსტებული და გაფითრებული მამა, მეორე ოთახში კი სავსე სუფრას უსხდნენ ბონერი და მისი რძალი და ხიზილალიან ბლინებს მიირთმევდნენ!..

მაგრამ რა შუაში იყო ბონერის რძალი? როცა მამას ამის შესახებ ვკითხე, მომიჭრა, — ასე იყო საჭიროო. ვისთვის? რა თქმა უნდა, ელენა ბონერისთვის. მამას ბონერი უგონოდ უყვარდა, ისიც სარგებლობდა თავისი გავლენით და მამას ძალიან ხშირად უკადრისი საქციელისკენ უბიძგებდა. იმ შიმშილობამ სახაროვის ჯანმრთელობაზე მძიმედ იმოქმედა. მას ტვინის სისხლძარღვების სპაზმი დაემართა, ბონერმა მშვენივრად იცოდა, თავისი საქციელით მამას სიკვდილს რომ უახლოებდა.

— როცა ბონერის შვილები ოჯახებით ამერიკაში გადასახლდნენ, მეც მოვინდომე საზღვარგარეთ წასვლა, მაგრამ მამა და დედინაცვალი კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ. ბონერს შეეშინდა, რომ იქ გაირკვეოდა სიმართლე სახაროვის შვილების შესახებ და მის „დევნილ“ შვილებს აღარ დაეხმარებოდნენ ადამიანის უფლებების დაცვის ორგანოები. მამისთვის ბონერის სურვილი კანონი იყო.

დმიტრიმ ცოლი სტუდენტობის პერიოდში შეირთო, შვილიც შეეძინათ. ძალიან უჭირდათ. დმიტრი კარდაკარ დადიოდა და ხალხს დანების, მაკრატლების და ხორცის მანქანების გალესვას სთავაზობდა.

არც მას და არც მის უფროს დებს მამა არ დახმარებია. ბონერი ამას სასტიკად უკრძალავდა.

როდესაც ლუბას მშობიარობისას პირველი შვილი დაეღუპა, მამა მასთან არც კი მისულა, მხოლოდ ტელეფონით მიუსამძიმრა.

ზოგი ახლობელი ფიქრობს, რომ ბონერი ეჭვიანობდა ქმარზე, მის მკვდარ ცოლზეც კი და ამიტომ ეჯავრებოდა კლავდია ვიხირევასა და ანდრეის ნაშიერნი. მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ იყო — ხარბ ელენა ბონერს მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერის სახელიცა და ქონებაც მხოლოდ საკუთარი, ღვიძლი შვილებისთვის ემეტებოდა!



სახაროვის თანამშრომლებს არ უყვარდათ ელენა ბონერი. მათი აზრით, რომ არა ეს ქალი, აკადემიკოსი უთუოდ დაუბრუნდებოდა მეცნიერებას.

1982 წელს ქ. გორკიში სახაროვთან ჩავიდა იმ დროს ახალგაზრდა მხატვარი სერგეი ბოჩაროვი, რომელსაც დიდი მეცნიერის პორტრეტის შექმნა სურდა. ის აკადემიკოსს დაახლოებით ოთხი საათი ხატავდა. იმავე ოთახში ფეხმოუცვლელად იჯდა ბონერიც.

სერგეი ბოჩაროვის მოგონებიდან:

— აკადემიკოსი სახაროვი და მე ვსაუბრობდით. სხვათა შორის, ის ყოველთვის არ ლანძღავდა საბჭოთა მთავრობას, მის კარგ მხარეებსაც აღნიშნავდა, მაგრამ საკმარისი იყო მთავრობის დასაცავად ხმა ამოეღო, რომ მაშინვე ბონერი თავში წაუთაქებდა ხოლმე. მე გაოგნებული ვიყავი. სახაროვი კი ამ დარტყმებს უხმოდ იტანდა. მივხვდი, რომ ეს უკვე ბონერის ჩვევა იყო და გავიფიქრე, — სახაროვი კი არა, ბონერი უნდა დამეხატა, რადგან ის მართავს ამ დიდ მეცნიერს-მეთქი.

ბოჩაროვმა ბონერი მრუმე ფერებში დახატა სახაროვის პორტრეტზე. როცა ქალმა ტილოს დახედა, აღშფოთდა, ხელით დაიწყო საღებავის გათხაპნა.

— ბონერს ვუთხარი, არ მინდა იმ „კუნძის“ დახატვა, რომელიც თავისი ბოროტი ცოლის აზრებს იმეორებს და მისგან ცემა-ტყეპას იტანს-მეთქი. ბონერმა წივილ-კივილი ატეხა და სახლიდან გამაგდო.

ბონერის სიხარბის თაობაზე ლეგენდები დადის. აი, ერთ-ერთი მაგალითი: თავის შვილიშვილს, მატვეის, ქორწილის დღეს აჩუქა ჩაის სერვიზი, რომელიც ბოსტონის ერთ-ერთ ნაგავსაყრელზე იპოვა. მოგეხსენებათ, რომ ამერიკელები ხშირად ყრიან არა მარტო ძველ და უვარგის, არამედ მობეზრებულ ნივთებსაც.

ელენა ბონერის ანგარება ნათლად გამოჩნდა, როცა გასანაწილებელი გახდა მისი გარდაცვლილი ქმრის ქონება. რა თქმა უნდა, აკადემიკოსის მემკვიდრეობაზე უფლება მას ერგო, მისი სიკვდილის შემდეგ კი ტატიანას — ბონერის ქალიშვილს. სახაროვის ღვიძლ შვილებს კი თითქმის არაფერი შეხვდათ. ბონერმა გაყიდა აგარაკი მოსკოვის მახლობლად და აღებული გროშები მიუყარა გერებს.

ბონერი უსინდისოდ მოექცა ბორის ბერეზოვსკისაც.

ანდრეი სახაროვის მუზეუმი დახურვის პირას იყო მისული. ბერეზოვსკიმ მუზეუმს 3 მლნ დოლარი გადასცა, რომელიც ბონერმა მაშინვე გადარიცხა აშშ-ში სახაროვის ფონდის ანგარიშზე, მუზეუმი კი მთლიანად გაღატაკდა. აშშ-ის ფონდი ქველმოქმედებას კი არა, კომერციას ეწევა. იქ უზარმაზარი თანხები ტრიალებს, რითაც სარგებლობენ ელენა ბონერი და მისი შვილები. ამ გაუმაძღარმა ქალმა ამერიკაში დააარსა ანდრეი სახაროვის კიდევ ერთი არქივი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბონერის ქალიშვილი. ამ არქივს და ფონდს ახლოსაც არ გააკარეს სახაროვის ქალიშვილი ტატიანა სახაროვა-ვერნაია, რომელიც აშშ-ში ცხოვრობს.

***ექსპრეს-გაზეთა №32***


# WWW.SHOPGE.COM
## გასახდომი სავარჯიშო ქამარი — AB Tronic — "აბტრონიკი"



*გსურთ გახდომა?*
*გსურთ გათავისუფლდეთ ცელულიტისგან?*
*გსურთ მოიცილოთ ზედმეტი ცხიმები?*
*გეზარებათ ვარჯიში?*

გასახდომი სავარჯიშო ქამარი "აბტრონიკი" ეფექტური საშუალებაა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოსაგვარებლად. იგი ძირეულად განსხვავდება სხვა მსგავსი ქამრებისგან და ახალი სიტყვაა **AB** სისტემებში. თუ სხვა ქამრებს აქვთ მხოლოდ მასაჟის რეჟიმი, "აბტრონიკს" გააჩნია დაზელვისა და ვარჯიშის ფუნქციებიც. მასში გამოყენებულია ნეოპრენის მასალა, რომლის საშუალებითაც "აბტრონიკი" წარმოქმნის მსუბუქ ვიბრაციულ დარტყმებს. ასეთი უსაფრთხო ვიბრაცია უზრუნველყოფს თქვენი კანქვეშა მამოძრავებელი ნერვების აქტივიზაციასა და კუნთის შეკუმშვას. რაც არ უნდა მკაცრ დიეტას იცავდეთ, თქვენი კუნთები მაინც ეშვება და კარგავს ტონუსს, რაც თავისთავად ფორმას უკარგავს სხეულს. "აბტრონიკის" ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ამ მოშვებული კუნთების გამოვლენა, მათი გამკვრივება, ცხიმების დაწვა და ცელულიტის დაშლა, კანის სტრუქტურის გაუმჯობესება და, რაც მთავარია, სხეულის იმ ნაწილებზე ზემოქმედება, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას.



მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება, რითაც "აბტრონიკი" გამოირჩევა სხვა ქამრებისგან, არის ის, რომ იგი აღჭურვილია **LCD** მონიტორით. მისი საშუალებით თქვენ თვალნათლივ შეგიძლიათ სხვადასხვა კუნთებზე განსხვავებული სავარჯიშო რეჟიმების შერჩევა. "აბტრონიკს" ასევე მოყვება სხვადასხვა ზომის ქამარი, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ მოირგოთ იგი როგორც წელზე, ასევე ხელებზე და ბარძაყებზე.

"აბტრონიკის" ქამარი არ წარმოადგენს სამედიცინო დანიშნულების ხელსაწყოს. იგი დამზადებულია მხოლოდ ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ვარჯიშის გარეშე თქვენთვის სასურველი მიზნების მისაღწევად სწორ კვებასთან ერთად. ყოველდღიურად 30 წუთის განმავლობაში ქამრის გამოყენებით თქვენ იგრძნობთ შედეგს სულ რაღაც ოთხ კვირაში.

გასახდომი სავარჯიშო ქამარი **AB Tronic** – ნებისმიერ დიეტაზე ბევრად უფრო ეფექტური და იოლი საშუალებაა!

ფასი 154 ლარი

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან იხილეთ ინტერნეტ მაღაზია - **www.shopge.com.** ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.



# *როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება*

## თავი არ სტკივათ უ. . . . .




### „თავი ადამიანს აქვს ერთი. მისი დონორიც არ არსებობს. ამიტომ უმჯობესია გავუფრთხილდეთ.“ /კეთილი ექიმის რჩევა/

იშვიათია ადამიანი, რომელსაც არასოდეს სტკივებია თავი. აუცილებელია ვიცოდეთ! თავის ტკივილი 45–ზე მეტი დაავადების სიმპტომია. გაიხსენეთ რამდენი უსიამოვნება შეიძლება მოგიტანოთ თავის ტკივილმა ყოველდღიურ ცხოვრებაში. სამსახურში ვერ ახდენთ ყურადღების კონცენტრირებას, ქვეითდება შრომისუნარიანობა, ასე სახარბიელო სამსახურის დაკარგვაც მოსალოდნელია. პირად ცხოვრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რომელ გუნება განწყობილებაზეა ლაპარაკი, როდესაც თავი ეს-ესაა "გაგისკდება".

გინდა მხოლოდ ერთი – დალიო აბი, ჩაწვე ლოგინში და არავინ შეგაწუხოს. წლების მანძილზე თავის ტკივილი გაბეზრებდათ თავს, და აი დადგა გამარჯვების დღე!

ამერიკული კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ მსოფლიოში კარგად ცნობილ პრეპარატს "გინკო-სმარტი", რომელიც დამზადებულია მცენარეულ ინგრედიენტებზე.

"გინკო-სმარტი"-ის დადებითი ზემოქმედება ორგანიზმზე განპირობებულია მასში შემავალი უნიკალური ნაერთების მიერ, რომლებიც როგორც აჩვენა პრაქტიკამ და კლინიკურმა გამოკვლევებმა:

- ახდენენ მეხსიერების ძლიერ სტიმულაციას, ყურადღების კონცენტრირებას;
- იცავენ ტვინის უჯრედებს ნაადრევი სიბერისაგან;
- აუმჯობესებენ მხედველობას და სმენას;
- ამაგრებენ სისხლძარღვების კედლებს და აუმჯობესებენ სისხლის მიმოქცევას;
- აწესრიგებენ არტერიულ წნევას;
- ამცირებენ ინფარქტისა და ინსულტის რისკს;
- აუმჯობესებენ კანის მდგომარეობას;
- ასუსტებენ დეპრესიის სიმპტომებს.

„ნუტრიმენტ ჰაუსში" კვალიფიციური და გულისხმიერი ექიმები იზრუნებენ თქვენს ჯანმრთელობაზე და დაგეხმარებიან მტკივნეული პრობლემების გადაჭრაში.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

**„ნუტრიმენტ ჰაუსი“, მის: დ. აღმაშენებლის 150**
**ტელ: 95-65-03; 96-06-67**
**სამუშაო საათები: ყოველდღე კვირის გარდა 10.00 – 18.00**
**www.shopge.com**

# ფრთხილად, შურიანებო!..

— ერთი შეხედვით არაფერი ჩამიდენია უჩვეულო. რომ მცოდნოდა, ჩემი როყიო ნათქვამი ასეთ უბედურებას დაატრიალებდა, გეფიცებით, სიტყვას არ დავძრავდი, მაგრამ... როგორც ჩანს, ბედისწერა იყო, რაც დამემართა, — მითხრა ჩემმა რესპონდენტმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, — სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში ჩავირიცხე. სტუდქალაქში დავიდე ბინა. ჩემთან ერთად ოთახში ცხოვრობდა ერთი გოგონა, რომელიც სხვა ფაკულტეტზე სწავლობდა. მალე დავმეგობრდით.



ერთი ბიჭი შემიყვარდა. ისიც სტუდქალაქში ცხოვრობდა და ახლობლობდა ჩვენთან, ყურადღებას გვაქცევდა, ყველაფერში გვერდით გვედგა...

თუმცა, გიზო (ასე ერქვა ბიჭს!) საამისოდ საბაბს არ მაძლევდა, ვიფიქრე, ტყუილად არ იზრუნებდა ჩვენზე, ალბათ ვუყვარვარ, მაგრამ ვერ ბედავს გამხელას-მეთქი. გუნებაშიც არ გამივლია, ეგებ ჩემი მეგობარი მანანა მოსწონდა. მანანას გარეგნობით ბევრად ვჯობდი და როგორც მეგონა, სითამამით და მოხერხებულობითაც...

გამოვუტყდი მანანას: — არა მგონია, გიზო ტყუილად დადიოდეს ჩვენთან, ალბათ ვუყვარვარ-მეთქი. გაწითლდა, თავი დახარა და წაიჩურჩულა: — მე ვუყვარვარ, უკვე ცოლობაც მთხოვაო!..

არ დავიჯერე. მეგონა, მომეყურა-მეთქი, მერე კი... შურმა ამავსო და შემძულდა, როგორც გიზო, ასევე მანანა. გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, ისინი ერთმანეთისთვის დამეშორებინა. ჯერ მანანას ოთახიდან სხვაგან გადავედი, მერე ხმა დავუყარე — უზნეო და ჩუმალაა, ბიჭები აკითხავდნენ, ჩემი არც ერიდებოდა, არ მინდა მაგის გამო მეც გავილანძღო-მეთქი!..

მანანას „უზნეობის“ ამბავმა გიზოს ყურამდეც მიაღწია. იჩხუბეს. მანანა სოფელში წავიდა, გიზოს ჯიბრზე გათხოვდა, თანაკლასელს გაჰყვა ცოლად და დაუსწრებელზე გადავიდა, რაც გიზომ ვერ აიტანა და... თავი მოიკლა!..

ამ ამბავზე ლეგენდები დადიოდა იმხანად, რას აღარ ლაპარაკობდნენ!..

მე მაშინვე ვინანე, რომ ჩემმა შურმა და ენამ დაატრიალა ასეთი უბედურება, მაგრამ იმდენი ვერ მოვისაზრე, რომ აღსარება მეთქვა და მომენანიებინა...

საცაა, ორმოცი წლის გავხდები. ოჯახის შექმნა ვერ მოვახერხე. რამდენიმეჯერ ქორწილამდე მისული საქმე ჩამეშალა. ყოფილი საქმროები მორიდებით მეუბნებოდნენ — შენზე ისეთი რამეები გვითხრეს, უმჯობესია ახლავე დავშორდეთ ერთმანეთსო. ვინ ეუბნებოდა, ან რას?! თითქოს, ვიღაც უხილავი „მდევარი“ არ მასვენებდა და არ მაძლევდა ბედნიერების უფლებას...

ცნობილმა მოსკოველმა ნათელმხილველმა სერგეი ლაზარევმა მითხრა: „თავად გაგიკეთებია ჯადო საკუთარი თავისთვის, შურითა და ბოლმით დაგინგრევია სხვისი ბედნიერება, ჭორიკანობით თვითმკვლელობამდე მიიყვანე ადამიანი, რომლის ცოდვილი სული შენს ბედსაა ჩაჭიდებული და ვერასოდეს მოიცილებ... შენს ბედად გინდოდა ის და ამისთვის არაფერს მოერიდე, ჰოდა — მიიღე კიდევაც „საჩუქარი“ — იგი „შენია“ და ვერასოდეს დაუსხლტები, ტყუილად ცდილობ სიცოცხლეში ჰპოვო შენი ადგილი“.

ნათქვამია, — ჩამდენმა ერთი ცოდვა ქნა, დამბრალებელმა — ათასიო...

მართალია.

***ინგა ჯაყელი***

## „საზალლო–სალალო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**
1) — დ); 2) — ა); 3) — გ);
4) — ბ); 5) — ა); 6) — დ).

**II. რებუსი**
ნაქები ქოთანი ადრე გატყდებაო.

**III.** კამეჩი.

**IV. გამოცანები**
ა) სიმინდი; ბ) ცისარტყელა.

# ჩვენ გვწერენ: უცხო სახლში ყველაფერი ნაცნობი იყო...

ამას წინათ ჩემმა თანამშრომელმა, გოგი ციხისთავმა, ერთი საოცარი ამბავი გვიამბო და გვთხოვა, ეგებ ამიხსნათ, რა დამემართაო. რა თქმა უნდა, გაგვიჭირდა პასუხის გაცემა. ამიტომ მისი მონათხრობი თქვენ შემოგთავაზეთ, იქნებ, თქვენ დაეხმაროთ გოგის.



— ჩემი მშობლები გაშორებული იყვნენ. მე დედასთან ვიზრდებოდი. მიჭირდა მის უცნაურ და რთულ ხასიათთან შეგუება. არ იფიქროთ, ცუდად მექცეოდა. უბრალოდ, ძალიან განსხვავებულები ვიყავით. ის გეოლოგი იყო. ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, თუ რაღაც არ აეწყობოდა, საშინლად დარდობდა. ეტყობა, იმასაც განიცდიდა, მამას რომ მივყავდი თავისთან 1-2 საათით. დედაჩემი უკრაინელი იყო და ყველა ახლობელი შორს ჰყავდა, მამის ნათესავების სახელის გაგონებაც არ უნდოდა. ყური მქონდა მოკრული, რომ სადღაც, ზემო იმერეთში, მყავდა პაპა და ბებია, რომლებსაც გაუთხოვარი მამიდა უვლიდა. დაუჯერებელია, მაგრამ მამიდაჩემის სახელიც კი არ ვიცოდი დიდხანს... მამა ბოჰემურად ცხოვრობდა და მშობლებთან იშვიათად ჩადიოდა.

მეცხრე კლასში ვიყავი, დედასთან ურთიერთობა ძალიან გამიმწვავდა. შინიდან გავიპარე. ვიცოდი, მამასთან მომძებნიდა, ამიტომ პირდაპირ უცნობ მამიდასთან გავეშურე. სოფელს კი იოლად მივაგენი, მაგრამ მერე კითხვისა მომერიდა... კარგა ხანს შორიახლო ვუტრიალე ორღობეებს და სახლებს. რატომღაც ერთი ეზო მეცნაურა... ბოლოს, ვიღაც ცნობისმოყვარემ მკითხა, — ვისი სტუმარი ხარო. ვუთხარი და იმანაც მიმაცილა სწორედ იმ სახლამდე. მოკლედ, გამოვიდა მამიდა. რას მიცნობდა... შენი ძმისშვილი ვარ-მეთქი. გულში ჩამიკრა, შინ შემიყვანა და აი, მაშინ პირველად დავფიქრდი, რომ ვიცოდი, სად მივდიოდი. ვიცოდი, როგორი კედლები დამხვდებოდა, სად ეკიდა ფარდაგი, სურათები... ან მაგიდა, საწოლი სად იდგა... კომოდზე რომ მამაჩემის ბავშვობის დროინდელი სათამაშო ნავი დამხვდებოდა, ისიც ვიცოდი.

მამიდა მეფერებოდა, მეკითხებოდა, მარტო როგორ გამოგიშვესო. რაღაცნაირად მიხვდა — გამოპარული ხომ არ ხარო... მეც მივხვდი, რომ მამას დაურეკავდა, მამა — დედას... დედა აქ თუ ჩამოვიდოდა, ვერ გადავიტანდი.

დასაძინებლად ცალკე ოთახში შემიყვანა. მარტო რომ დამტოვა, ვიცოდი, სად უნდა მივსულიყავი — ძველ რადიოლასთან... რადიოლის ქვეშ რვეულის ფურცლები ეწყო. კალამიც ვიცოდი, სად იყო — მაგიდის უჯრაში. ამოვიღე, მამიდას რაღაც ბოდიშისა და მადლობის სიტყვები დავუწერე, ბაბუაჩემის საყვარელი პატარა ჭიქა კარადიდან გამოვიღე (ვიცოდი, რომ ბაბუას უყვარდა!), ჯიბეში ჩავიდე, რიჟრაჟს დაველოდე და ოდნავ გატყდა თუ არა სიბნელე, გამოვიპარე.

მას მერე ათი წელი გავიდა. მაინც მაწვალებს კითხვა — რა მოხდა?..

***დალი ნანიტაშვილი***
***თბილისი***

# ადამიანის სხეულის საიდუმლო

იშვიათობას არ წარმოადგენს, როცა ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა საგანი ხვდება.

საფრანგეთში, დღენაკლულ ჩვილს თანდაყოლილი გულის მანკი ჰქონდა და ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად მშობლები ოპერაციაზე დასთანხმდნენ.

გულმკერდის გაკვეთისას აორტის მახლობლად აღმოაჩინეს მეტალის საგანი, რომლის ამოკვეთის შემდეგ პათოლოგია გაქრა.

როგორ მოხვდა ეს საგანი ჩვილის გულმკერდში? ლაბორატორიული გამოკვლევის შემდეგ ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ეს იყო დაახლოებით 200 წლის მუშკეტის ტყვია, რომელსაც ამერიკელი კოლონიზატორები ხმარობდნენ.

გამოკვლევაში პარაფსიქოლოგებიც ჩაერთნენ. ისინი ტყვიის საშუალებით ამტკიცებენ, რომ ეს ფრანგი პატარა არის 1907 წელს დაღუპული 19 წლის ამერიკელი ჯარისკაცის რეინკარნაცია. ჯარისკაცი ომში გულმკერდის არეში დაიჭრა.

ისიც გაირკვა, რომ ბავშვის მშობლები საფრანგეთში კი ცხოვრობდნენ, მაგრამ წარმოშობით ამერიკელები ყოფილან...

***კრიმინალნაია ხრონიკა №17***



## სჯობს გაყრა, ვიდრე უინტერნეტობა

ერთი კვირა ელექტრონული ფოსტის გარეშე, ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიხედვით... საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის ან გაყრის ტოლფასია — ასეთი აზრისანი არიან სხვადასხვა ევროპული და ახლოაღმოსავლური კომპანიების თანამშრომლები.

ბიზნესმენების ცხოვრებაში ელექტრონულ ფოსტას იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომ თუნდაც ნახევარსაათიანი აკრძალვა მათ „ძლიერ შეშფოთებას“ იწვევს. 800 კომპანიიდან გამოკითხულთა 20% აღიარებს, რომ სამუშაო დღის განმავლობაში ელექტრონული ფოსტის გაუმართაობა მათ მომავლის შიშს აღუძრავს.

***ნიუ ზუიქი***



## ეროტიკული მონეტები

ძველ ჩინეთში მიმოქცევაში ერთ დროს ეროტიკული მონეტები ყოფილა. მონეტის ერთ მხარეს ლექსი იყო ამოტვიფრული, მეორეზე — ხორციელ ტკბობას მიცემული რომელიმე ქალღმერთი ან ღმერთი. სწამდათ, რომ ასეთი ფული მფლობელს ავი სულებისგან დაიფარავდა, ამიტომ მშობლები ასეთ ფულს, ძირითადად, ბავშვებს აძლევდნენ. ეროტიკულ მონეტებს ახალჯვარდაწერილთა ზეწრის ქვეშ მალავდნენ.

***ვოკრუგ სვეტა***

## „როლს-როისი“ — ჩალის ფასად

1907 წლის ხელით აწყობილი „როლს-როისი“ ჩინეთში სულ... 95 000 იუანად (11 446 დოლარი) გაიყიდა. პრესტიჟული მანქანის ასეთი სიიაფე იმით აიხსნება, რომ იგი.... ხისაა. უნიკალური ავტოს ყველა დეტალი, გარდა ძრავის, შასის და საბურავებისა, ტაილანდური ტიკის ხისგანაა გამოთლილი. მოდელის შექმნას ხის ოსტატმა 600 დღე მოანდომა.

ზომითა და მექანიკური ფუნქციებით ჩინური „როლს-როისი“ ბრიტანული ორიგინალის ასლია. მანქანის სიგრძე — 4,2 მეტრია, სიგანე — 1,68მ, სიმაღლე კი — 1,7მ.

***ეხო პლანეტი №32***

## სიცილით მკვდარი

52 წლის ტაილანდელი, ვინმე დამნოენ საენ-უმი ძილში სიცილით დაიღუპა.

როცა ჩაძინებული კაცი მოულოდნელად ახარხარდა, ცოლმა მისი გაღვიძება სცადა, მაგრამ ამაოდ. რამდენიმე წუთის შემდეგ მან სუნთქვა შეწყვიტა. მისი სიკვდილის მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია. ექიმების ვარაუდით, შეიძლება საენ-უმი მიოკარდის ინფარქტით გარდაცვლილიყო, რაც სიცილის დროს ჟანგბადის მოჭარბებულად გამოყენების შემდეგ, გულის გადიდებით ხდება ხოლმე.

***შტერნი***

## პრიზად — შედევრი



„მახსოვს, ვსხედვართ მე და ჩემი ძმა კანალეტოს ტილოსთან, ჩაის ვსვამთ და ვსაუბრობთ“, — ალბათ ასე დაიწყებს თავის მოგონებებს ოდესმე ინგლისელი ალექს ჰავორსი. ასეთი უჩვეულო პრიზი მან სამხატვრო ფონდის მიერ მოწყობილ კონკურსზე დაიმსახურა — ერთი დღით იგი 6 მლნ გირვანქა სტერლინგად შეფასებული შედევრის მფლობელი გახდა. რა თქმა უნდა, კანალეტოს ტილო ძმებთან „მარტო არ გაუშვიათ“: სანამ ისინი ჩაის შეექცეოდნენ, სურათს მუზეუმის დაცვა ადევნებდა თვალყურს.

***მირორი***

## მექსიკური პედაგოგიკა

მექსიკელმა მასწავლებელმა თავის მოსწავლეებს კითხვის სიყვარული რომ გაუღვივოს, უცნაური ხერხი მოიგონა: კლაუდია პერიჩარტკუმ სანაძლეო დადო — თუ სასწავლო წლის დასასრულამდე მოსწავლეები 2500 წიგნს წაიკითხავდნენ, იგი თავის დიდებულ თმას შეიჭრიდა. ეს მეორე მსხვერპლია კეთილშობილური საქმისთვის გაღებული. პირველი სანაძლეო — 6 თვეში 500 წაკითხული წიგნი — მასწავლებელმა წააგო და თმაც, დაპირებისამებრ, ათასფრად შეიღება. ახლა კი მაკრატლის მომარჯვება დასჭირდა — პირველი კულულის მოჭრის პატივი ყველაზე თავგამოდებულ მკითხველებს ერგო.

34 წლის კლაუდია გასულ სასწავლო წელს თავის პედაგოგიურ კარიერაში ყველაზე იღბლიანად მიიჩნევს. მისმა მოსწავლეებმა წიგნის სიყვარულისთვის დიპლომები დაიმსახურეს.

***ელ მუნდო***

## ჯარიმა — გაშიშვლება!

40 წლის სან-ფრანცისკოელ პოლიციელს, ჯეიმს მაკგრეგორს უამრავი მომჩივანი ქალი ჰყოლია — ბოლოს და ბოლოს, სამართალდამცველი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის სასამართლოს წინაშე წარდგება. როგორც გაირკვა, მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლ ქალებს, ჯარიმის ნაცვლად, პოლიციელი გაშიშვლებას აიძულებდა. ერთ-ერთი შინ ბიკინის ამარაც გაუშვია, მანქანა კი ჩამოურთმევია.

მართლმსაჯულებამ იზეიმა — სტრიპტიზინსპექციის მოყვარული პოლიციელი პასუხს აგებს.

***ოკნა №32***

## ქათმებო, გიხაროდეთ!

ქათმების უფლებებს ამიერიდან ცნობილი ექსბითლზი, სერ პოლ მაკარტნი დაიცავს — მან კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს კომპანია „კენტაკი ფრაიდ ჩიქენსს“.

სწრაფი კვების რესტორნების ქსელის მეპატრონეს, რომელიც ძირითადად ქათმის ხორცით ვაჭრობს, მკაცრმა ვეგეტარიანელმა ღია წერილი გაუგზავნა. როგორც სერ პოლი წერს, კომპანიის ფერმებში, სადაც ყოველწლიურად 750 მლნ ქათამს ზრდიან, საშინელი რამეები ხდება. სარესტორნო ქათმებს ისე კვებავენ, რომ სიარულიც კი უჭირთ. ცოცხლად ყრიან მდუღარეში ბუმბულის იოლად გასაცლელად და მერე ტანჯულებს დენით ხოცავენ...

კომპანიის ხელმძღვანელობა ბრალდებას უარყოფს და ამბობს, სერ პოლი დეზინფორმირებულია, ქათმები სიკეთისა და ჰუმანიზმის ატმოსფეროში ცხოვრობენო და ურჩევენ ყოფილ ბითლზს, — სხვის საქმეში ცხვირს ნუ ყოფს. თუ ზოგიერთები ვეგეტარიანობას არჩევენ, ეს მათი პირადი საქმეა, მაგრამ სხვები ასე არ ფიქრობენო. რაო, როგორ მღეროდა „ბითლზი“?

— Let It Be-ო, მაშ, მართლაც, ასე იყოს!

***პრიროდა ი ჟიზნ №32***

## ქაღალდი ყველაფერს აიტანს!

ექსპრეზიდენტმა ბილ კლინტონმა თავის მეუღლეს მიჰბაძა და მემუარების დაწერას აპირებს, შავი დღისთვის ფული ხომ უნდა?

ქალბატონმა ჰილარიმ თავისი წიგნით 12 მილიონი დოლარი ჩაიჯიბა, თუმცა გამომცემლებს პირი უტეხა და კლინტონის მონიკამდელ და შემდგომ ქმრის სასიყვარულო თავგადასავლებზე არაფერი დაუწერია. სამაგიეროდ, ბილმა დაიფიცა: ყველაფერს ვუამბობ მკითხველს, რადგან ჭორებმა დამღალაო. ექსპრეზიდენტმა უკვე ავანსიც მიიღო — 15 მლნ დოლარი. თუმცა ამბობენ, ბილი არაფრის დაწერას არ აპირებსო. კლინტონს სურს მკითხველს ბრძენ პოლიტიკოსად, სანიმუშო მეოჯახედ და კარგ შვილად წარუდგეს. წიგნის მესამედი მის მშობლებთან მიმოწერას დაეთმობა, ნაწილი — ბავშვობას. ამ პერიოდში, ბუნებრივია, მცირეწლოვნობის გამო სექსუალური თავგადასავლები არ ექნებოდა. კლინტონი ხვდება, გამომცემლებს წიგნი არ მოეწონებათ, მაგრამ ავანსის დაბრუნებას ველარ მოითხოვენ. 15 მილიონი დოლარი კი უზრუნველი სიბერისთვის სავსებით საკმარისია!

***ლიბერასიონი***



## იმპოტენტებს ვთხოვთ, თვალები დახუჭონ!

ავსტრიის ქალაქ ზალცბურგის მერმა ჰაინც შადენმა, უელსის პრინცის მომავალი ვიზიტისთვის თადარიგი დაიჭირა და ნატიფი ხელოვნების მუზეუმის წინ შიშველი მამაკაცის ქანდაკების აღება ბრძანა. მერის აზრით, ქანდაკების შთამომავლობის გასაგრძელებელი, ცოტა არ იყოს, დიდი ორგანო, პატიოსან მოქალაქეებს შეურაცხყოფას აყენებს. სხვათა შორის, ქანდაკება ერთი თვეა, რაც დადგეს და მაშინ ქალაქის მერი არ შეუშფოთებია ორმეტრიანი ფიგურის რომელიმე დეტალს. მოქანდაკემ თავის ქმნილებას „ტრიუმფი“ უწოდა. ენამოსწრებულმა ზალცბურგელებმა სახელწოდება ოდნავ სრულყვეს და ახლა მას „ვიაგრის ტრიუმფი“ ჰქვია. პრინცის ვიზიტამდე არავის მოსვლია აზრად მისი აღება, მაგრამ მერს როგორც უთხრეს, მას ამ ბოლო დროს სექს-პრობლემები გასჩენია. მერი შიშობს, რომ „ვიაგრის ტრიუმფი“ პრინცს თავის გასაჭირს შეახსენებს და ვიზიტი ჩამწარდება.

***მეგაპოლის-ექსპრესი***

## მოწევის ნაცვლად, სიგარეტი „ჩაიცვით“

თუ თქვენი კაბა 25 000 სიგარეტისგან არის შეკერილი (ეს კი 15გ სუფთა ნიკოტინია), არა მარტო ცხენების მთელი რემა გადაარჩინეთ სიკვდილს (1 გრამი ნიკოტინი ცხენს კლავს!), მეტოქეების გულის გასახეთქი სამოსიც მოიპოვეთ. უჩვეულო სამოსი, რომლის შექმნას 1250 კოლოფი სიგარეტი მოხმარდა, რომში, მაღალი მოდის დეფილეზე წარმოადგინეს. ექვსი მაღალკვალიფიციური თერძი ერთ თვეს „კერავდა“ კაბას და უმოწყალოდ ანადგურებდა ძვირფას სიგარეტებს. თამბაქოს ქაღალდი სპეციალური უთოთი სწორდებოდა და მერე უწვრილესი ძაფებით იკერებოდა. უნაზესი კონსტრუქცია თვით ყველაზე კაფანდარა მოდელსაც არ ანდეს. კაბა ქაჩალსა და ფერწასულ მანეკენს ჩააცვეს. შედევრის ავტორებს ამით იმის თქმა სურდათ, რომ სიგარეტი მავნებელია ჯანმრთელობისთვის.

უნიკალური კაბის, რომელსაც „ლედი სმოუქინგი“ (მწეველი ქალი) ჰქვია, ფასი გასაიდუმლოებულია. იგი ალბათ მუზეუმში დაიდებს ბინას.

***ჯენტი***

## ტელეწამყვანს თუ უყურე, ამინდი „გამოგრჩება“




რუმინეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ყველა იმ ტელეწამყვანის სამსახურიდან გათავისუფლება ბრძანა, რომლებიც მაყურებელს ამინდის პროგნოზს აცნობენ. თურმე სექსუალურ დიქტორებს მაყურებლის ყურადღება ამინდზე კი არა, სულ სხვა რამეზე გადააქვთ. ეს იდეა მაშინ გაუჩნდა მინისტრს, როცა თვითონვე თვალი ვერ მოსწყვიტა ხორცსავსე წამყვანს და ამინდის შესახებ არაფერი გაუგია. მეტიც, სხდომაზეც დააგვიანდა და თავსხმა წვიმაშიც მოჰყვა.

***ლიზა №35***

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ჰიუგოს სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ი | ს | ფ | ე | რ | ე | ბ | შ | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ფ | გ | ნ | ო | უ | ა | ქ | გ | ე | ე | ტ | ი | ბ | ო | ა | | ვ | ი | ნ | ა | | ა | რ | ქ | შ | ი | ა | ა | ი |

**დ.** გემის ან თვითმფრინავის კურსიდან აცდენა; **ა.** ტალღების ზემოქმედებით ზღვის ნაპირის ნგრევა-ჩარეცხვა; **ი.** ტროას მეორენაირი სახელწოდება; **ს.** ზოდიაქოს ერთ-ერთი ნიშანი; **ვ.** მოგზაური, რომლის სახელიც კონტინენტს ეწოდა; **ე.** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **ნ.** რა ერქვა ლენინის ცოლს; **ე.** „ნატვრის ხის“ პერსონაჟი, რომელსაც არც მცურავისა ეშინოდა და არც გველკუასი; **კ.** ვულკანის ჩაღრმავებული ნაწილი, საიდანაც ლავა გადმოდის; **ვ.** თენგიზ აბულაძის ერთ-ერთი ფილმი; **ი.** თეოდორ დოსტოევსკის ნაწარმოები; **რ.** გერმანელი მფრინავი, რომელმაც მოსკოვში, წითელ მოედანზე დასვა თვითმფრინავი; **ი.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა გაყიდეს მონად; **ს.** შეჯიბრი თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული მარშრუტით; **პ.** ძალიან პატარა; **ა.** გარემოცვა, ბლოკადა; **ლ.** მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; **ი.** სუფთა მოგება ძიუდოში; **ტ.** ესტონეთის დედაქალაქი; **რ.** აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **ი.** ნდომა, სურვილი, მადა; **ს.** ჩეხი კომპოზიტორი; **ფ.** იტალიური საავტომობილო ფირმა; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს პატრიარქი; **რ.** ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ქვეყნებში; **ე.** განსწავლული ადამიანი; **ბ.** ტრუფალდინოს მშობლიური ქალაქი; **შ.** კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალი; **ი.** ფაშიზმის სამშობლო.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ.** გოჩა; **ა.** აკვარელი; **ე.** ელე; **რ.** რენეგატი; **თ.** თხუნელა; **ე.** ერნესტო; **დ.** დუდუკი; **ა.** ამალთეა; **დ.** დიმიტრი; **ა.** ალიანსი; **ი.** იუველირი; **ს.** სოსელო; **ვ.** ვიცინი; **ე.** ელეგია; **ნ.** ნათლია; **ე.** ეშმაკი; **ჩ.** ჩიორა; **ვ.** ვიმპელი; **ე.** ეტალონი; **ნ.** ნივეა; **თ.** თიანეთი; **ა.** აკლდამა; **ნ.** ნეიტრონი; **ე.** ეშხი; **რ.** რვალი; **თ.** თელავი; **ა.** ანხელი; **დ.** დისპუტი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.**

# ცეროდენას სადარდელი

მალე ამერიკაში გაიმართება უნიკალური, ჰოლივუდისთვისაც კი, უჩვეულო ქორწილი — ჯუჯა მსახიობი ვერნ ტროიერი, რომელიც კინომოყვარულებისათვის ცნობილია მინი მის სახელით (გადაღებულია ფილმებში: „ოსტინ პაუერსი“, „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“, „შავტუხა შაშ-



ვი“...), ჯვრის დაწერას აპირებს 29 წლის ჟენევიევა გალენზე. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან მსახიობი 82 სმ სიმაღლისაა, ხოლო საპატარძლო, ყოფილი მანეკენი — 175 სმ.

ვერნ ტროიერი ყველაზე იღბლიანი ქონდრისკაცი-მსახიობია ჰოლივუდში, „ჰარი პოტერში“ მან 317 მლნ დოლარი მიიღო, „შავსამოსიან ხალხში“ — 250 მლნ, ხოლო ოსტინ პაუერსის ორივე ფილმში — 420 მლნ დოლარი. ვერნი სრულფასოვანი ვარსკვლავია და ამიტომაც ყველა იმ ატრიბუტს ფლობს, რაც მის მაღალ მდგომარეობას შეესაბამება: ჰყავს მცველები, შავი მერსედესი და თავს უამრავი ქალი ახვევია, რომლებსაც მისი დიდება და ფული ხიბლავთ. სხვათა შორის, ბევრი ეჭვობს, რომ ჟენევიევა გალენსაც მისმა სიმდიდრემ აუჭრელა თვალი, მაგრამ საპატარძლო იფიცება, მხოლოდ მისი დიდი გულის გამო შემიყვარდაო.

ორი წელია ეს უცნაური წყვილი ერთად არის, ამ ხნის მანძილზე რა არ გადახდათ თავს. ერთი ხანობა ქალი, ეტყობა, დაღალა ექსტრავაგანტურმა კავშირმა და ღამის კლუბის სტრიპტიზიორთან გააბა რომანი. ეს რომ ტროიერმა გაიგო, დარდისაგან სმა დაიწყო. მერე მაინც შერიგდნენ. მაგრამ საქმე ქორწილამდე რომ მივიდა, ქონდრისკაცმა პატარძალს სთხოვა, ცოტა ხანი მადროვე, კარგად უნდა დავფიქრდეო. საფიქრალი კი ნამდვილად ჰქონდა, რადგან გარდა ხალხის მითქმა-მოთქმისა, წმინდა ტექნიკური პრობლემებიც უნდა მოეგვარებინა. საქმე ის არის, რომ ვერნ ტროიერი ცხოვრობს საგანგებოდ მისთვის აშენებულ კოკროჭინა სახლში, რომელიც სათამაშოს ჰგავს და მისი თითქმის ორმეტრიანი საცოლე იქ დამჯდარიც ვერ დაეტევა. თუ სხვა შენობაში გადავლენ, ახლა იქ მოუწევს ყველაფრის გადაკეთება: ციცქნა ავეჯის, აბაზანის შეკვეთა. სინათლის ჩასართავ-გამოსართავის გადაადგილება და ა.შ.

ცეროდენას ყველაფერი თავის ზომაზე უნდა ჰქონდეს, თორემ საკუთარ სახლში უხერხულად იგრძნობს თავს. ამდენ გადაკეთება-გადმოკეთებას დრო სჭირდება. თუ, რა თქმა უნდა, ყველაფერი შემოდგომამდე მოესწრო, ხომ კარგი. ყოველ შემთხვევაში, ჟენევიევას იმედი აქვს, რომ წელს მისის ტროიერი გახდება.

— ვერნი მეუბნება, შენ შემდეგ აღარავინ შემიყვარდებაო, მე მჯერა მისი, — ამბობს საპატარძლო.

***კომერსანტი №146***

# გაიხსნა ვენეციის კინოფესტივალი

ამერიკელი რეჟისორის, ვუდი ალენის ახალი ფილმის ჩვენებით გაიხსნა ვენეციის მესამოცე კინოფესტივალი. შორეულ 1932 წელს სწორედ ვენეციაში ჩატარდა პირველი კინოფესტივალი. ვენეციის ფესტივალზე ძირითადად აჩვენებენ ელიტარულ კინოშედევრებს და მის ჯილდოს „ოქროს ლომს“ მეტოქეობას მხოლოდ კანის „ოქროს პალმის რტო“ და ჰოლივუდის „ოსკარი“ თუ გაუწევს. ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე არის მარიო მონიჩელი, ორგანიზატორი და დირექტორი კი მორის დე ჰადელნი. ეს უკანასკნელი ამაყობს იმით, რომ სწორედ ვენეციამ გააცნო მსოფლიოს პირველად ბევრი შემდგომში დიდი რეჟისორის სახელი. როგორც ჩანს, ძალიან საინტერესო იქნება კონკურსგარეშე პროგრამა, რომელშიც შედის ვუდი ალენის ბოლო ფილმი. ფილმის სახელწოდება ინგლისურად არის „ანიტჰინგ ელსე“, რაც ქართულად დაახლოებით ასე ჟღერს — „კიდევ რაღაცა“. „იმედი მაქვს, ჩემი ფილმი მოგეწონებათ. თუ არადა, მომავალ წელს უკეთესს გადავიღებ“ — თქვა ვუდი ალენმა ფილმის ჩვენების წინ.

არასაკონკურსო პროგრამის ფილმებს შორის წარმოდგენილია ისეთი ცნობილი რეჟისორების სურათები, როგორებიც არიან რიდლი სკოტი, ძმები კოენები. კონკურსში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ქრისტოფერ ჰემპტონის, ბრუნო დიუმონის, მარკო ბელოკიოს, ტაქეში კიტანოს, ანდრეი ზვიაგინცევის ფილმები. სულ — 143 ფილმი.

***ევრონიუსი***




# ამბავი სიყვარულისა და დანაშაულისა

პირველი როლი მარი ტრენტინიანმა ფილმში „ჩემი სიყვარული, ჩემი სიყვარული“ 5 წლისამ ითამაშა. 41 წლისა კი ისეთ ვითარებაში დაიღუპა, კინოდრამის სიუჟეტად გამოდგება, ისეთი კინოდრამისა, რომელშიც არის ყველაფერი — სიყვარულიც, ეჭვიანობაც და დანაშაულიც. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში გვერდიდან არ მოშორებიან თავისი ცნობილი მშობლები — ნადინ და ჟან-ლუი ტრენტინიანები.

მარი ორი თვე ლიტვაში მუშაობდა ფრანგული ტელესერიალის, „კოლეტის“ გადაღებებზე. სერიალის რეჟისორი და სცენარისტია დედამისი, ნადინი. ქალიშვილს მან მთავარი, ცნობილი ფრანგი მსახიობისა და მწერლის, გაბრიელ სიდონი-კოლეტის როლის განსახიერება ანდო.

მარი ტრენტინიანი გამოცდილი მსახიობი იყო, თანაბარი გატაცებით თამაშობდა თეატრსა თუ კინოში. ლიტვაში მეგობარი — მომღერალი და როკჯგუფ „შავი სურვილების“ გიტარისტი ბერტრან კანტი ახლდა. სულ ერთად იყვნენ, ხელიხელჩაკიდებულნი დადიოდნენ. ერთი შეხედვით, ალბათ კლოდ ლელუშის ცნობილი ფილმის „ქალი და მამაკაცის“ რომანტიკულ წყვილს ჰგავდნენ, მაგრამ ცხოვრება უფრო სასტიკი აღმოჩნდა, ვიდრე რეალობა.

მარის, რომელიც ქმარს რამდენიმე წლის წინ გაეყარა, თავისი ოთხი შვილი მონატრებია. ამიტომ ყოფილმა ქმარმა ბავშვები ლიტვაში ჩაუყვანა. ახლა ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ამან გამოიწვია კანტის ეჭვიანობა. ისიც ცნობილია, რომ 39 წლის მუსიკოსს მეტად ახირებული ხასიათი ჰქონდა და ნარკოტიკებსაც ეტანებოდა. როგორც ფრანგული პრესა წერს, „ბერტრანი ფრანგული როკმუსიკის ყველაზე გამოუცნობი ვარსკვ-





ლავია. მას თაყვანს სცემს პუბლიკა. იგი აგრესიული ქარიზმის მქონე ლიდერია“. კანტის სიმღერები პროტესტია გლობალიზაციის, რასიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

რა მოხდა 25 ივლისის საღამოს სასტუმროში, თითქმის უცნობია: მარი ცოცხალი აღარ არის, მის საყვარელს კი, რომელიც ჯალათად ექცა, თითქმის აღარაფერი ახსოვს. მარი ტრენტინიანის ვაჟის თქმით, კანტმა ჩხუბის დროს დედამისს ხელი ჰკრა — მარი დაეცა და თავი იატაკს დაარტყა. ამასთან, ამბობენ, რომ კანტმა სასტიკად სცემა ქალი. ფაქტი ის არის, რომ მარი ტრენტინიანი საავადმყოფოში უგონოდ მყოფი მიიყვანეს. ბერტრან კანტმა თავის მოკვლა სცადა, მაგრამ პოლიციელებმა შეაჩერეს და კლინიკაში წაიყვანეს.

მარის ვილნიუსის საავადმყოფოში თავის ტვინის ორი ოპერაცია გაუკეთდა. საფრანგეთიდან ჩამოსულმა ქირურგმა სტეფან დელაჟუმ როგორც განაცხადა, მეორე ოპერაცია სასწაულის იმედით გაკეთდა.

სამწუხაროდ, სასწაული არ მოხდა. მარის მშობლებმა 1-ელ აგვისტოს ქალიშვილი პარიზში გადაიყვანეს. მარი ტრენტინიანი იმავე დღეს გარდაიცვალა ტვინის შეშუპებით.

ლიტვაში დარჩენილ ბერტრან კანტს 10-წლიანი პატიმრობა ელის. იგი დანაშაულს აღიარებს — როკმომღერალი ჟურნალისტთა ობიექტივებს ემალება. როგორც ამბობენ, ბერტრან კანტი მომხდარით თავზარდაცემულია და საშინლად იტანჯება.

***ეხო პლანეტი №32***

# ჯვრისწერაზე ბორკილებით?



ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი გვინეტ პელტროუ ავსტრალიის დედაქალაქ სიდნეის პოლიციამ ფოტოგრაფის ცემის ბრალდებით დააკავა.

ოქტომბერში მსახიობს ავსტრალიაში სასამართლო პროცესზე ჩასვლა მოუწევს, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ დროს აქვს ქორწილი.

გვინეტს „ოცნებათა ფაბრიკაში“ შესანიშნავი რეპუტაცია აქვს და არასოდეს გახვეულა სკანდალებში. სიდნეიში იგი საქმროსთან, ჯგუფ „ქოლდფლეის“ ფრონტმენთან, კრის მარტთან ერთად ჩავიდა. ერთ მშვენიერ დღეს პლაჟზე ფოტოაპარატიანი პაპარაცი გადაეკიდა და არ მოეშვა. ეტყობა, გვინეტი გუნებაზე ვერ იყო და მას გადაღება აუკრძალა. ამასაც არ დასჯერდა და ქვით ავტომობილის საქარე მინა ჩაუმსხვრია. შეშინებულმა ფოტოგრაფმა პოლიცია გამოიძახა.

გვინეტი პოლიციიდან მართალია ნახევარ საათში გაუშვეს, მაგრამ უფრო განრისხებული იყო — პაპარაცის მსახიობი ქვით ხელში გადაუღია. რა თქმა უნდა, პრესაში ასეთ არასახარბიელო პოზაში გამოჩენა სულაც არ წაადგება მის რეპუტაციას სასიკეთოდ. თუმცა გვინეტს პატიმრობა არ ელის — ფოტოგრაფი მზადაა, სარჩელი უკან გამოიტანოს, რადგან ასე უფრო მოითბობს ხელს, პელტროუ კი საკუთარ ჯვრისწერაზე უბორკილოდ წაბრძანდება.

***ნიუ ზუიქი***

# „მისტერ რობერტ დე ნირო“



ზუსტად 60 წლის წინ, 1943 წლის აგვისტოში, ნიუ-იორკის ბოჰემური მხატვრების ოჯახში დაიბადა ბიჭუნა, რომელსაც არაბუნებრივი სიფერმკრთალის გამო ახლობლები „ბობირძეს“ ეძახდნენ. 2 წლის იყო, მშობლები რომ გაშორდნენ ერთმანეთს. მიზეზი უფროსი რობერტ დე ნიროს ეჭვიანობაში იყო. არადა, დაუცხრომელი ვირჯინია კი აძლევდა საბაბს, ხელთათმანებივით იცვლიდა თაყვანისმცემლებს და ამიტომაც ბობის ქუჩისკენ მიუწევდა გული, სადაც უხვად ელოდა საცდური. დე ნირო იტალიური კვარტალის მეზობლად გაიზარდა. იქაური მოზარდები განგსტერული სტილით გამოირჩეოდნენ, კრიმინალური გარჩევები, ქუჩის ბანდები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, სწორედ ასეთ კამპანიაში აღმოჩნდა 14 წლის ბობი. ერთხელ მამამისმა სულზე მიუსწრო და კინწისკვრით გაიგდო წინ, თორემ ვიღაცის დახლის გაძარცვაში აპირებდა მონაწილეობას. მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, ბოროტმოქმედება მისი მოწოდება არ იყო.

17 წლის რობერტი სამსახიობო ხელოვნების კონსერვატორიაში ჩაირიცხა, თანაც ისე, რომ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატიც არ ჰქონდა ჯერ აღებული. სწავლის დრომ სწრაფად გაიარა...

რობერტი ბევრს ცდილობდა, მაგრამ ვერავინ ამჩნევდა მის ნიჭს. ბოლოს, ორი „ოსკარის“ მფლობელმა, ჰოლივუდის ვარსკვლავმა შელი უინტერსმა იკისრა მისი მფარველობა. რამდენიმე ფილმში გადაიღეს, მაგრამ წარმატება არა და არ ჩანდა. ასე გავიდა ათი წელი.

დიდი ხნის ნაცნობთან, მარტინ სკორსეზესთან შეხვედრამ სწრაფად შეცვალა მისი ცხოვრება. პირველი მათი ერთობლივი ფილმი, „ბოროტი ქუჩები“, ნათელი მაგალითი იყო იმისა, რომ მსახიობმა და რეჟისორმა ერთმანეთი იპოვეს. ამის დასტური იყო მათი შემდგომი ფილმები „ტაქსისტი“, „ნიუ-იორკი, ნიუ-იორკი“, „ცოფიანი ხარი“, „კომედიის მეფე“, „კარგი ბიჭები“. მაგრამ კიდევ იყო ფრენსის ფორდ კოპოლას „ნათლია-2“, რომელმაც დე ნიროს „ოსკარი“ მოუტანა საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლისათვის. დე ნიროს შრომისუნარიანობა ყველას აოცებდა. „ტაქსისტის“ გადაღების წინ ის შეუჩერებლად დააქროლებდა მანქანას ქალაქში. „ნიუ-იორკი, ნიუ-იორკში“ მონაწილეობისას პროფესიულ ჯაზმენთან მეცადინეობდა საქსოფონზე დაკვრაში.

მსახიობის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სერჯიო ლეონეს ფილმს „ერთხელ ამერიკაში“. აქ მან მთლიანად გამოავლინა თავისი მსახიობური შესაძლებლობები. შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა გმირის ცხოვრება რაღაცით ჰგავს რობერტის სიჭაბუკეს. მის გმირს განგსტერობის გამო კი არ ეცარება ხელი, არამედ იმიტომ, რომ რომანტიკოსია, ერთგული მეგობრობის უნარი შეინარჩუნა, თავისი თავის ერთგული დარჩა ბოლო წუთამდე, ხოლო სიბერეში კარგავს უკანასკნელ ილუზიებს...

პირად ცხოვრებას დე ნირო გარეშე თვალისაგან გულმოდგინედ იცავდა, მაგრამ აბა, პრესის გამჭრიახ თვალს რა გამოეპარებოდა. „ბობის მხოლოდ მუქკანიანი ქალები მოსწონს“ — ასეთი სათაურებით იყო აჭრელებული ჟურნალ-გაზეთები. მან ყველა გააოცა, როცა 1976 წელს მსახიობი და მომღერალი დაიან ებოტი შეირთო ცოლად. დე ნირო კი გაკვირვებას ვერ მალავდა, — დაიანი ძალიან ლამაზია და მშვენიერი ბავშვები გვეყოლება, ვერ გამიგია, რა აქოთქოთებთო?

მუქკანიანი ებოტი დედასავით ზრუნავდა ქმარზე და მისი ნიჭით აღფრთოვანებული იყო. რობერტმა მისი ქალიშვილი იშვილა, ხოლო 1978 წელს ვაჟიც შეეძინა, რომელსაც იმ ოტელის პატივსაცემად, სადაც ბავშვი ჩაისახა, რაფაელი დაარქვეს (კიდევ კარგი, იმ სასტუმროს „ჰილტონი“ ან „პლაზა“ არ ერქვაო, — ხუმრობდნენ ავყიები), მაგრამ მეუღლეები რამდენიმე წლის შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ და აი, მაშინ, კი ფრთები გაშალა ბობიმ და დაერია შავკანიან გოგონებს. 1995 წელს ტუკი სმიტმა დე ნიროს ტყუპი ბიჭი აჩუქა. მოლაპარაკების თანახმად, ბავშვები ოთხ დღეს დედასთან არიან, ოთხს — მამასთან.

1997 წელს მსახიობმა ისევ მუქკანიანი ლამაზმანი, ყოფილი სტიუარდესა გრეის ჰაიტუერი შეირთო ცოლად. წლისთავზე ვიკი ელიოტი დაიბადა. გრეისმა გადაწყვიტა, ოჯახისთვის მიეძღვნა მთელი სიცოცხლე, მაგრამ ასეთმა თავგანწირვამ არ უშველა, ორი წლის შემდეგ ოჯახი სკანდალით დაინგრა. რობერტი გრეისს უჩიოდა — მცემაო. საპასუხოდ ყოფილმა მეუღლემ განაცხადა, ნარკომანია და მამად არ გამოდგებაო.

60 წლის დე ნირო ძველებურად ზვერავს ეშხიან გოგონებს და ისინიც არ აკლებენ ყურადღებას. ჰიუ გრანტი წუწუნებდა, — მასთან ერთად რესტორანში რომ შევდივარ, მე აღარავინ მაქცევს ყურადღებასო. ბოლო დროს ჭორები დადის, — ნაომი კემპბელი, რომელიც 90-იან წლებში ხვდებოდა ბობის, უარზე არ იქნება მასთან ურთიერთობა აღადგინოს და ბავშვი გააჩინოსო.

რობერტ დე ნიროს საწერ მაგიდას ორი „ოსკარი“ ამშვენებს, სულ ცოტა ხნის წინ კი ამერიკის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის უმაღლესი ჯილდო მიიღო — კინოში გაწეული ღვაწლისა და კინოინდუსტრიის განვითარებისათვის.

***ტვ პარკი №34***

CMYK

# ჩემპიონთა ლიგის „ქართული“ გოლები


აშვეთია ზეიმობს

მოსკოვის „ლოკომოტივი“ და გლაზგოს „რეინჯერსი“ ქართველებს უნდა უმადლოდნენ, წლეულს ჩემპიონთა ლიგის საგზურები რომ მოიპოვეს. „შახტართან“ სტუმრად 0:1 წაგების შემდეგ მოსკოველი რკინიგზელების ლიგაში მოხვედრის შანსი ერთობ მცირე გახლდათ. უკრაინელებს, რომელთაც ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი ბერნდ შუსტერი თავკაცობს, მოსკოვში მხარდასაჭერად 5.000 ქომაგი ჩაჰყვა. შეხვედრის ბედი მიხეილ აშვეთიამ გადაწყვიტა, რომელმაც პირველ ტაიმში ორი გოლი გაუტანა „მეშახტეებს“, შესაბამისად შეხვედრის მე-20 და 45-ე წუთებზე. მეორე ტაიმში გუნდებმა თითო გოლი გაიტანეს და ორი მატჩის ჯამში გამარჯვება „ლოკომოტივმა“ იზეიმა.

„გლაზგო რეინჯერსისა“ და დანიური „კოპენჰაგენის“ პირველი მატჩი შოტლანდიაში ფრედ 1:1 დასრულდა. საქმე იქით მიდიოდა, რომ დანიაშიც იგივე ანგარიშში უნდა დაფიქსირებულიყო და დამატებითი ტაიმები დანიშნულიყო. თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე „ვიკინგების“ კარი შოთა არველაძემ დალაშქრა და „რეინჯერსი“ ლიგაში გაიყვანა. ამრიგად კახა კალაძესთან ერთად წლეულს კიდევ ოთხი ქართველი ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში — „ლოკომოტივიდან“ აშვეთია და ასათიანი, „რეინჯერსიდან“ კი — არველაძე და ხიზანიშვილი.

სენსაციური შედეგი დაფიქსირდა ნიუკასლში, სადაც ბობი რობსონის გუნდი ბელგრადის „პარტიზანთან“ დამარცხდა. სტუმრად მოგების შემდეგ ინგლისელებს თითქოს თავი ქუდში ჰქონდათ, თუმცა ლოთარ მათეუსის გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, იმავე ანგარიშით მოიგო, რა ანგარიშითაც შინ დამარცხდა, შემდეგ კი პენალტების სერიაში იმარჯვა. პენალტების სერიით დამარცხდა კიდევ ერთი ფავორიტი, დორტმუნდის „ბორუსია“, რომელმაც ბელგიური „ბრიუგეს“ ბარიერი ვერ დაძლია. სხვა მოულოდნელობა ლიგაში არაფერი მომხდარა.

## 0:11 უეფას თასი. I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო შეხვედრები.

**ტორპედო (ქუთაისი) — ლანსი (საფრანგეთი) 0:2**
**სიონი (ბოლნისი) — პუხოვი (სლოვაკეთი) 0:3**

4 თამაში, 0 მოგება, 0 ფრე, 4 წაგება, ბურთების შეფარდება 0:11 (!). ასეთია ქართული გუნდების წლევანდელი ნაცოდვილარის სტატისტიკა უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე. უკვე კარგა ხანია შევეჩვიეთ, რომ ქართული გუნდი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ევროთასების ნებისმიერი ეტაპის მომავალ ეტაპზე გავიდეს, თუ მეტოქედ ქართული გუნდივე არგუნა წილისყრამ. ასეთი რამ კი უეფას კანონების მიხედვით, სამწუხაროდ არ ხდება. შემდეგ ეტაპზე გასვლას ვინ ჩივის, ერთი კინკილა გოლიც ვერ გაიტანეს ჩვენებმა ოთხ შეხვედრაში და სამარცხვინოდ ჩამოშორდნენ საფეხბურთო ევროპას. სათქმელიც თითქოს არაფერია, თავად სტატისტიკაც მოწმობს ყველაფერს, ვინ რამდენი გოლი გაიტანა ჩვენების კარში და რომელ წუთებზე უხდებოდათ „სიონისა“ და „ტორპედოს“ მეკარეებს თავთავიანთ კარში შეგორებული ბურთისათვის თვალის გაყოლება, დიდად საინტერესო არ უნდა იყოს. ილუზიებს, თითქოსდა ქართული ფეხბურთი სწორ გზაზე დგას და როდესლაც რაიმე გვეშველება, ჯერ ალბანურმა „ტირანამ“ გადაასხა ცივი წყალი, შემდეგ კი ფრანგულმა „ლანსმა“ და სლოვაკურმა „პუხოვმა“.

## „მილანმა“ სუპერთასიც მოიგო



იტალიის „მილანმა“ ჩემპიონთა თასის მოგების შემდეგ, კიდევ ერთი ტიტული მოიპოვა. კარლო ანჩელოტის გუნდმა ანდრეი შევჩენკოს ერთადერთი გოლის წყალობით 1:0 მოუგო პორტუგალიის „პორტუს“ და ევროპის სუპერთასიც დაისაკუთრა. შეგახსენებთ, რომ სუპერთასი 1973 წლიდან თამაშდება ჩემპიონთა თასის მფლობელსა და თასების თასის მფლობელს შორის. ვინაიდან თასების თასის გათამაშება აღარ არსებობს, უკანასკნელი სამი წელია, ჩემპიონთა თასისა და უეფას თასის მფლობელები ხვდებიან სუპერთასისათვის ბრძოლაში. კახი კალაძეს ამ მატჩში ტრავმის გამო მონაწილეობა არ მიუღია.

## ბუფონი საუკეთესოა

გასულ ხუთშაბათს მონტე კარლოში, უეფას მიერ მოწყობილ გალაწარმოდგენაზე წინა სეზონის, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს ტურინის „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების მეკარე ჯან ლუიჯი ბუფონი. ბუნებრივია მასვე ერგო საუკეთესო მეკარის ტიტულიც. დანარჩენი ჯილდოები კი შემდეგნაირად განაწილდა: საუკეთესო მცველი: რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), საუკეთესო ნახევარმცველი: პაველ ნედვედი (იუვენტუსი, იტალია). საუკეთესო თავდამსხმელი: რუუდ ვან ნისტელროოი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი).

„ოქროს ბუცი“ მიუნხენის „ბაიერნის“ ფორვარდს როი მაკაის გადაეცა, საუკეთესო მწვრთნელებად კი „მილანის“ თავკაცი კარლო ანჩელოტი და „პორტუს“ მწვრთნელი ჟოზე მოურინიო აღიარეს. ევროპის საუკეთესო არბიტრის ტიტული გერმანელ მარკუს მერკს ერგო.

## „რეალმა“ სეზონი წარმატებით დაიწყო

მადრიდის „რეალმა“ მიმდინარე სეზონი წარმატებით დაიწყო. ესპანეთის სუპერთასის მეორე ფინალურ მატჩში „სამეფო კლუბმა“ „მალიორკას“ 3:0 მოუგო და საპატიო პრიზს დაეუფლა. პირველი შეხვედრა „მალიორკას“ 2:1 ჰქონდა მოგებული. „რეალის“ მიერ სეზონში პირველი ტიტულის მოგებაში დიდი წვლილი შეიტანა დევიდ ბექჰემმა — პირველი გოლი რაულმა მისი უზადო პასით გაიტანა, მესამე გოლის ავტორი კი თავად გახდა ინგლისის ნაკრების კაპიტანი, ერთხელაც რონალდომ გამოიჩინა თავი.

## ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი (რუსეთი) | 3:1 | შახტარი (უკრაინა) | პირველი მატჩი (0:1) | | | |
| კოპენჰაგენი (დანია) | 2:1 | რეინჯერსი (შოტლანდია) | (1:1) | | | |
| ცსკა (ბულგარეთი) | 0:3 | გალათასარაი (თურქეთი) | (0:3) | | | |
| აიაქსი (ჰოლანდია) | 2:1 | დ.დ. (1:1) | გრაცერი (ავსტრია) | (1:1) | | |
| აეკ (საბერძნეთი) | 3:1 | გრასჰოპერი (შვეიცარია) | (0:1) | | | |
| დორტმუნდი (გერმანია) | 2:1 | (2:4 პენ.) | ბრიუგე (ბელგია) | (1:2) | | |
| დინამო (ხორვატია) | 0:2 | დინამო (უკრაინა) | (1:3) | | | |
| სელტიკი (შოტლანდია) | 1:0 | მტკ (უნგრეთი) | (4:0) | | | |
| სლავია (ჩეხეთი) | 2:0 | სელტა (ესპანეთი) | (0:3) | | | |
| ნიუკასლი (ინგლისი) | 0:1 | (3:4 პენ.) | პარტიზანი (სერბეთი) | (1:0) | | |
| მარსელი (საფრანგეთი) | 0:0 | აუსტრია (ავსტრია) | (1:0) | | | |
| ბენფიკა (პორტუგალია) | 0:1 | ლაციო (იტალია) | (1:3) | | | |

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004

## პირველი ჯგუფური ეტაპი



### A ჯგუფი

ბაიერნი (გერმანია)
ლიონი (საფრანგეთი)
სელტიკი (შოტლანდია)
ანდერლეხტი (ბელგია)

**I ტური**
17 სექტემბერი
ლიონი — ანდერლეხტი
ბაიერნი — სელტიკი
**II ტური**
30 სექტემბერი
სელტიკი — ლიონი
ანდერლეხტი — ბაიერნი
**III ტური**
21 ოქტომბერი
ანდერლეხტი — სელტიკი
ლიონი — ბაიერნი
**IV ტური**
ნოემბერი
სელტიკი — ანდერლეხტი
ბაიერნი — ლიონი
**V ტური**
25 ნოემბერი
ანდერლეხტი — ლიონი
სელტიკი — ბაიერნი
**VI ტური**
10 დეკემბერი
ლიონი — სელტიკი
ბაიერნი — ანდერლეხტი

### B ჯგუფი

არსენალი (ინგლისი)
ინტერი (იტალია)
დინამო (უკრაინა)
ლოკომოტივი (რუსეთი)

**I ტური**
17 სექტემბერი
დინამო — ლოკომოტივი
არსენალი — ინტერი
**II ტური**
30 სექტემბერი
ინტერი — დინამო
ლოკომოტივი — არსენალი
**III ტური**
21 ოქტომბერი
ლოკომოტივი — ინტერი
დინამო — არსენალი
**IV ტური**
5 ნოემბერი
ინტერი — ლოკომოტივი
არსენალი — დინამო
**V ტური**
25 ნოემბერი
ლოკომოტივი — დინამო
ინტერი — არსენალი
**VI ტური**
10 დეკემბერი
დინამო — ინტერი
არსენალი — ლოკომოტივი

### C ჯგუფი

დეპორტივო (ესპანეთი)
პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
აეკ (საბერძნეთი)
მონაკო (საფრანგეთი)

**I ტური**
17 სექტემბერი
აეკ — დეპორტივო
პსვ — მონაკო
**II ტური**
30 სექტემბერი
მონაკო — აეკ
დეპორტივო — პსვ
**III ტური**
21 ოქტომბერი
დეპორტივო — მონაკო
აეკ — პსვ
**IV ტური**
5 ნოემბერი
მონაკო — დეპორტივო
პსვ — აეკ
**V ტური**
25 ნოემბერი
დეპორტივო — აეკ
მონაკო — პსვ
**VI ტური**
10 დეკემბერი
აეკ — მონაკო
პსვ — დეპორტივო

### D ჯგუფი

იუვენტუსი (იტალია)
გალათასარაი (თურქეთი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
სოსიედადი (ესპანეთი)

**I ტური**
17 სექტემბერი
იუვენტუსი — გალათასარაი
სოსიედადი — ოლიმპიაკოსი
**II ტური**
30 სექტემბერი
ოლიმპიაკოსი — იუვენტუსი
გალათასარაი — სოსიედადი
**III ტური**
21 ოქტომბერი
გალათასარაი — ოლიმპიაკოსი
იუვენტუსი — სოსიედადი
**IV ტური**
5 ნოემბერი
ოლიმპიაკოსი — გალათასარაი
სოსიედადი — იუვენტუსი
**V ტური**
25 ნოემბერი
გალათასარაი — იუვენტუსი
ოლიმპიაკოსი — სოსიედადი
**VI ტური**
10 დეკემბერი
იუვენტუსი — ოლიმპიაკოსი
სოსიედადი — გალათასარაი

### E ჯგუფი

მანჩესტერი (ინგლისი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
რეინჯერსი (შოტლანდია)
შტუტგარტი (გერმანია)

**I ტური**
16 სექტემბერი
რეინჯერსი — შტუტგარტი
მანჩესტერი — პანათინაიკოსი
**II ტური**
1 ოქტომბერი
პანათინაიკოსი — რეინჯერსი
შტუტგარტი — მანჩესტერი
**III ტური**
22 ოქტომბერი
შტუტგარტი — პანათინაიკოსი
რეინჯერსი — მანჩესტერი
**IV ტური**
4 ნოემბერი
პანათინაიკოსი — შტუტგარტი
მანჩესტერი — რეინჯერსი
**V ტური**
26 ნოემბერი
შტუტგარტი — რეინჯერსი
პანათინაიკოსი — მანჩესტერი
**VI ტური**
9 დეკემბერი
რეინჯერსი — პანათინაიკოსი
მანჩესტერი — შტუტგარტი

### F ჯგუფი

რეალი (ესპანეთი)
პორტუ (პორტუგალია)
მარსელი (საფრანგეთი)
პარტიზანი (სერბეთი)

**I ტური**
16 სექტემბერი
რეალი — მარსელი
პარტიზანი — პორტუ
**II ტური**
1 ოქტომბერი
პორტუ — რეალი
მარსელი — პარტიზანი
**III ტური**
22 ოქტომბერი
მარსელი — პორტუ
რეალი — პარტიზანი
**IV ტური**
4 ნოემბერი
პორტუ — მარსელი
პარტიზანი — რეალი
**V ტური**
26 ნოემბერი
მარსელი — რეალი
პორტუ — პარტიზანი
**VI ტური**
9 დეკემბერი
რეალი — პორტუ
პარტიზანი — მარსელი

### G ჯგუფი

ლაციო (იტალია)
ჩელსი (ინგლისი)
სპარტა (ჩეხეთი)
ბეშიქთაში (თურქეთი)

**I ტური**
16 სექტემბერი
სპარტა — ჩელსი
ბეშიქთაში — ლაციო
**II ტური**
1 ოქტომბერი
ლაციო — სპარტა
ჩელსი — ბეშიქთაში
**III ტური**
22 ოქტომბერი
ჩელსი — ლაციო
სპარტა — ბეშიქთაში
**IV ტური**
4 ნოემბერი
ლაციო — ჩელსი
ბეშიქთაში — სპარტა
**V ტური**
26 ნოემბერი
ჩელსი — სპარტა
ლაციო — ბეშიქთაში
**VI ტური**
9 დეკემბერი
სპარტა — ლაციო
ბეშიქთაში — ჩელსი

### H ჯგუფი

მილანი (იტალია)
სელტა (ესპანეთი)
აიაქსი (ჰოლანდია)
ბრიუგე (ბელგია)

**I ტური**
16 სექტემბერი
მილანი — აიაქსი
ბრიუგე — სელტა
**II ტური**
1 ოქტომბერი
სელტა — მილანი
აიაქსი — ბრიუგე
**III ტური**
22 ოქტომბერი
აიაქსი — სელტა
მილანი — ბრიუგე
**IV ტური**
4 ნოემბერი
სელტა — აიაქსი
ბრიუგე — მილანი
**V ტური**
26 ნოემბერი
აიაქსი — მილანი
სელტა — ბრიუგე
**VI ტური**
9 დეკემბერი
მილანი — სელტა
ბრიუგე — აიაქსი

## №34 (360) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

34-ე რეიტინგს 456 მკითხველი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 143-მა ქალმა და 303-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა პროფესიის ადამიანები არიან ყველაზე კოლეგიალურები?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, ამქვეყნად ყველაზე მეტად პედაგოგები იცავენ კოლეგიალობას. **5,58** საშუალო ქულით **„მასწავლებლები“** პირველ ადგილზე არიან. მკითხველთა მხოლოდ 1%-მა შეაფასა ეს გრაფა მინიმალური — 1 ქულით.

შემდეგ ადგილზე „მძღოლები“ აღმოჩნდნენ, საშუალო ქულაა 5,42. როგორც ვხედავთ, სულ უმნიშვნელო სხვაობით ჩამოიტოვეს მათ „ჟურნალისტები“.

რაც შეეხება კრიმინალთა კოლეგიალობას, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტი მაქსიმალური შეფასებები სწორედ მათ დაიმსახურეს — რესპონდენტთა 27%-ის აზრით, კრიმინალებს ვერც ერთი სხვა პროფესიის ადამიანი ვერ შეედრება კოლეგიალურობაში. მიუხედავად მაქსიმალურ ქულათა ასეთი სიმრავლისა, „კრიმინალები“ რეიტინგში მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

ჩვენი მკითხველების აზრით, პოლიციელები, ბიზნესმენები და პოლიტიკოსები თავს ნამდვილად ვერ მოიწონებენ კოლეგიალურობით. მათ შორის ყველაზე არაკოლეგიალურნი კი პოლიტიკოსები არიან — ასე ფიქრობს რესპონდენტთა 64%, რომელმაც მინიმალური — 1 ქულა დაუწერა პოლიტიკოსებს. ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური ქულაც (1%) პოლიტიკოსებმა მიიღეს.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი 46 წლის თბილისელი **ზინა პავლიაშვილია.** მან, საპრიზო ვარიანტისგან განსხვავებით, „ექიმებს“ ოთხის ნაცვლად ხუთი ქულა (მეოთხე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „კრიმინალებს“ პირიქით — ხუთის ნაცვლად — ოთხი (მეხუთე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 3 სექტემბერს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა: პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (VIII–VII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VII–VI ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VI–V ადგილებს), 4-სა და 5-ს (V–IV ადგილებს) და ა. შ. 7-8-მდე (II–I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად, 1 და 3 (VIII და VI ადგილები), 2 და 4 (VII და V ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №35 (361) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **მკითხველის პრემიაში**

**№35 (361) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 3 სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 4 სექტემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №35 (361) —
დამსახურებული კრიტიკა

**თქვენი აზრით, ვინ იმსახურებს ადამიანთა კრიტიკას დღეს ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№35(361) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ესტრადის მომღერლები | |
| 2 | სამართალდამცავები | |
| 3 | პრეზიდენტი | |
| 4 | ტელეწამყვანები | |
| 5 | პოლიტიკოსები | |
| 6 | ენერგეტიკოსები | |
| 7 | ბიზნესმენები | |
| 8 | ავტოინსპექტორები | |

*მკითხველის რეიტინგი*

**თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე თავმდაბალი თანამედროვე პოლიტიკოსი?**

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი

ტელეფონი

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

## *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

### აგვისტოს თვის ადამიანები საქართველოში

| | | |
|---|---|---|
| 1. | ნინო ბურჯანაძე | 44,0% |
| 2. | ბადრი პატარკაციშვილი | 26,8% |
| 3. | შალვა ნათელაშვილი | 6,0% |
| 4. | მიხეილ სააკაშვილი | 5,7% |
| 5. | ანატოლი ჩუბაისი | 3,6% |
| 6. | დავით მირცხულავა | 1,5% |
| 7. | დავით გამყრელიძე | 1,2% |
| 8. | ავთანდილ ჯორბენაძე | 1,0% |
| 9-12. | გოგი თოფაძე | 0,9% |
| 9-12. | ედუარდ შევარდნაძე | 0,9% |
| 9-12. | თემურ შაშიაშვილი | 0,9% |
| 9-12. | გურამ შარაძე | 0,9% |



თვის ადამიანის დასახელება მკითხველთა 1,2%-ს გაუჭირდა. 0,7%-ის აზრით კი, ამ ტიტულს არავინ იმსახურებს.

***მკითხველის რეიტინგში 336-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა***

## • ფოტოპალიტრა • ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



ალექსანდრე კარტოზია, ავთანდილ ჯორბენაძე

**„ფოტოანტიკვარში“ ისეთი მინიშნება იყო, რომ ქართულ პოლიტიკაში თუკი ვინმე მშვენიერი ქალბატონი მოღვაწეობს, თითქმის ყველა მათგანი დასახელდა.**

**ამ პატარა გოგონაში ზოგმა ნინო ბურჯანაძე „ამოიცნო“, ზოგმა — ნესტან კირთაძე, ლალი მოროშკინა, ფიქრია ჩიხრაძე, ელენე თევდორაძე და სხვები...**

**რესპონდენტთა 67%-ის აზრით კი, მაია ნადირაძე მართლაც ამარცხებს საყოველთაოდ გაბატონებულ აზრს — ლამაზი ქალი და პოლიტიკა? დიახ, ეს სავსებით შესაძლებელია.**

**თქვენ წინაშეა მაია ნადირაძის ბავშვობის ფოტო.**





**ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი**



**მაია ნადირაძე, ოთხი წლის**

## ფოტოგანწყობა



— ნიგნეში არ დაგვირიგ-ე-ეს!..

## 50 ათასი დოლარი ერთ კოცნაში



ჰოლივუდის ვარსკვლავმა შერონ სთოუნმა აუქციონი მოაწყო შიდსით დაავადებულთა სამკურნალო თანხის შესაგროვებლად... და ყველაფერთან ერთად თავისი კოცნაც გაყიდა.

აუქციონის ერთ-ერთ მონაწილე მანდილოსანს სთოუნთან ერთად საქველმოქმედო სადილის მოწყობის უფლების ყიდვა მოესურვა 36.000 დოლარად. ვარსკვლავმა დაიყოლია ეს მანდილოსანი გადაეხადა 50 ათასი, სამაგიეროდ კი, ერთ კოცნას დაჰპირდა. კოცნა 45 წამი გაგრძელდა და აუდიტორიაში დიდი გაკვირვება და შეძახილები გამოიწვია...

* * *

საღამოა. მიხო ლუდის ბარიდან დაბრუნდა და სავარძელში მოკალათდა ტელევიზორის წინ. შვილი მიუჩოჩდა და ეკითხება:

— მამი! რატომ არის მთვარე ასეთი დიდი?

— აბა, მე რა ვი...

— ვარსკვლავები რატომ არის პატარა?

— რა ვი მე...

— აბა, რატომ არის...

— დაანებე მამას თავი, აცალე ტელევიზორის ყურება, — ჩაერია საუბარში დედა.

— არა უშავს, შემეკითხოს! მე თუ არა, აბა, ვინ რას აუხსნის?!



**3/IX**
**პირველი მეოთხედი**
**მაგნიტური დღეა**
**4/IX 19-დან 21 საათამდე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები





**თარაზულად:** 1. „თბილგაზის" მესვეურთა წყალობით უმოქმედოდ დარჩენილი ხელსაწყო სამზარეულოში; 4. პროსპერ მერიმეს ნოველა; 6. ჭეშმარიტების სასმელი; 7. ბარძიმაშვილი, კიკაბიძე, იაშვილი, დავითაია; 8. რომელ ქვეყანაში აღმოჩნდებოდა დღეს ლეგენდარული ბაბილონი; 9. ვაჟა-ფშაველას პოემის გმირი; 10. არც ისე უწყინარი დანადგარი; 13. პროფესიონალ ჰოკეისტთა უმაღლესი ჯილდოს დამაარსებელი; 16. დიუმას მუშკეტერთაგან, ერთ-ერთის, ათოსის თავადაზნაურული წოდება; 18. ილია ჭავჭავაძის პოემა; 19. ღმერთების სასმელი ბერძნულ მითოლოგიაში; 20. ამერიკელი რეჟისორი, პროდიუსერი და მსახიობი, რომლის ფილმითაც გაიხსნა ვენეციის კინოფესტივალი; 22. სათავგადასავლო ლიტერატურით და ვესტერნებით ჩვენთვის ცნობილი ჩრდილო ამერიკული ვრცელი ველი; 23. სოფელი თბილისის მახლობლად, ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი; 25. ლითონის ან ხის მოკაუჭებული ღერი, კაუჭი; 27. ამერიკელი მსახიობი, ნუცა კუხიანიძის პარტნიორი; 28. მომხრენი და მონაწილენი რეაქციული, უკიდურესად მემარჯვენე ფაშისტური ტიპის დაჯგუფებებისა; 29. ფინელი მწერალი, ავტორი რომანისა „მეოთხე მალა"; 30. აკრძალვა საქონლის შემოტანა-გატანაზე სახელმწიფოში; 31. ზაფხულის თვე.

**შვეულად:** 1. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა, რომელშიც შედის მზე; 2. ახალდადგენილი მნიშვნელოვანი დებულება, ჭეშმარიტება; 3. მხატვრულ ნაწარმოებთა ერთობლიობა; 4. პომიდვრის ყოველწლიური ტრადიციული ბატალიები ესპანეთში; 5. „კიოლნის წყლად" წოდებული პარფიუმერიული ნაწარმი; 11. თეატრალური დასის საგასტროლო მოგზაურობა; 12. სპორტული ნაწარმის ამერიკული ფირმა; 14. საქალაქო ტრანსპორტი; 15. ფრანგი მსახიობი ფილმებში: „ძველი თოფი", „შინაბერა", „გააღეთ, პოლიციაა"; 16. სახელი კვარტეტში გაერთიანებული მომღერლებისა: ბერიშვილი, ავაგუმაშვილი, ღარიშვილი და ნაცვლიშვილი; 17. იანის ანტიპოდი ჩინურ ფილოსოფიაში; 21. მოძრავი კიბე; 22. ქაღალდის მასაში წებოს, სახამებლის, თაბაშირის, ცარცისა და მისთ. შერევით მიღებული პლასტიკური მასა; 24. თავისუფალი ფორმის მცირე ინსტრუმენტული პიესა; 25. ჟორჟ სანდის რომანი; 26. ვისიმე ხმის, მიხრა-მოხრის ზუსტი მიბაძვა, მიმსგავსება.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**



## დიდების ხეივანში საკუთარ ვარსკვლავებს გახსნიან..



ჰოლივუდის სავაჭრო პალატამ გამოაქვეყნა ცნობილი ადამიანების ნუსხა, ვინც 2004 წელს ჰოლივუდის დიდების ხეივანში საკუთარ ვარსკვლავს გახსნის. 21 ბრინჯაოს ხუთქიმიან ვარსკვლავზე ამოტვიფრავენ ენტონი ჰოპკინსის, ჰოლი ბერის, გლენ კლოუზის, პეტი დიუკის, ბრუკ შილდსის და სხვების სახელებსა და გვარებს. დიდების ხეივანი დაარსდა 1960 წლის 9 თებერვალს. მაშინ ჰოლივუდის ბულვარის ქვაფენილზე დაამონტაჟეს მსახიობ ჯოან ვუდვორდის პირველი ვარსკვლავი. 1994 წელს დაჯილდოებულთა რიცხვი 2000-ს აღემატებოდა. წელს სახელობითი ვარსკვლავები დაიმსახურეს ნიკოლ კიდმანმა, სტივენ სპილბერგმა და კევინ კოსტნერმა. ლაურეატებს ირჩევენ ჰოლივუდის სავაჭრო პალატის წარმომადგენლები და ამტკიცებს დირექტორთა საბჭო. ვარსკვლავის მისაღებად პრეტენდენტებს დიდი წვლილი უნდა ჰქონდეთ შეტანილი კინემატოგრაფიასა და შოუბიზნესში.



**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## 35 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№35 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 4 სექტემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი 518 ©**

**„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".